# საერთო გაზეთი

№39 (168) ● 05.10-11.10, 2011 წელი ● გამოდის ოთხშაბათობით ● www.saertogazeti.net; e-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი


## samefo ojaxSi didi skandali mwifdeba



რატომ არ აწერს ხელს ხელშეკრულებას თავადი დავით ბაგრატიონ-მუხრანელი და რატომ უღობავს გზას თავის შვილს — გიორგის სამეფო ტახტის კანონიერ მემკვიდრედ აღიარებისკენ?!



დღევანდელი მდგომარეობით, ტახტის მემკვიდრედ, შეიძლება, ანა ბატონიშვილის უფროსი ქალიშვილი ირინე (მალანია) ჩაითვალოს



**bagration-muxranelTa Sto samefo taxtis arakanonierad miTvisebis mcdelobiT wyals ruseTis imperiis wisqvilze asxams**

## `sukinsini~ `sukis sinebiT~ dakompleqtebuli saqarTvelos Zveli da axali xelisufleba vovas molodinSia!



## mogenatraT vova? waikuzeT, mova!!!

## politikis obol xidze, midis kako boboxiZe...



**`ero, guli wagsvlia da gagwyromia suli wminda, gonebaze rom moxvide asi aliyuri ginda!~**




## qveyana avadaa _ `saerTo gazeTi~ konsiliums iwvevs

## რედაქტორის სვეტი

ეს ქვეყანა, როგორც ჩანს, ტყუილს უჭირავს.

ტყუილს და არა სიმართლეს.

ბოლომდე სიმართლე რომ თქვა, როგორც ჩვენს პრეზიდენტს უყვარს თქმა, შეიძლება, ეს ქვეყანა ჩამოიშალოს.

დიდი ტყუილისა და დიდი ფარისევლობის ჟამი დგას საქართველოში.

საბჭოთა კავშირიდან, ერთი დიდი სატყუილეთიდან, გამოვიქეცით და მეორე დიდ სატყუილეთში ამოვყავით თავი.

თავის დროზე ტყუილმა შიგნიდან გამოჭამა და გამოხრა საბჭოთა იმპერიის უზარმაზარი სხეული და ნაწილ-ნაწილ დაშალა.

ტყუილი ახლა ქართული სახელმწიფოს სხეულს ხრავს ნელ-ნელა და დაგემოვნებით.

ტყუილს კიდევ ერთი ცუდი თვისება აქვს — ძველი ტყუილის გადასაფარად ახალი ტყუილი გჭირდება, მერე ის ახალიც ძველდება და ისევ სხვა ტყუილის გამოგონება გიწევს.

ასეა თუ ისეა, დემოკრატიულ და თავისუფალ საქართველოში დიდი ტყუილის ჟამი დგას.

დემოკრატიული და თავისუფალი საქართველო ვთქვი და ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტყუილი სწორედ ეს არის, რომელსაც სხვა უამრავი პატარა-პატარა ტყუილები მიება და ერთ უზარმაზარ სიცრუედ დაგროვდა.

არავითარი დემოკრატიული, ეს საბჭოთა საქართველოა, უფრო ზუსტად, გასული საუკუნის ბოლშევიკური საქართველოა, სხვა ყველაფერი სიცრუეა.

* * *



ჟურნალისტიკაში არსებობს ასეთი ტერმინი — დაბალანსება.

რა მახინჯი სახე მიიღო ამ თავისთავად სწორმა და საჭირო წესმა და ნორმამ ქართულ მედიასივრცეში, ეს ძალიან კარგად ჩანს პოლიტიკურ თოქშოუებად სახელდებულ სატელევიზიო გადაცემებში, სადაც ერთი მხარე ტყუის, მეორე მართალს ამბობს, შუაში კი მედიატორივით ზის ჟურნალისტი, რომელიც მედიატორს კი არა გამშველებელს უფრო ჰგავს.

სიმართლე ტყუილით უნდა „დაბალანსდეს“ და აი, ეს არის თურმე მიუკერძოებელი და ობიექტური ჟურნალისტიკა, ანუ ინფორმაციები ისე უნდა აიჭრას და აითქვიფოს ერთმანეთში, რომ იქიდან სიმართლის გაგება მსმენელმა და მკითხველმა ვერ შეძლოს.

ჭორი და სინამდვილე, სიცრუე და სიმართლე ისეა დღეს ერთმანეთში აზელილი და ისეა „დაბალანსებული“, რომ მოუმზადებელ, საქმეში ჩაუხედავ, არაინფორმირებულ ადამიანს ამ ბნელ ლაბირინთში გზის გაკვლევა უჭირს.

მეტნაკლები ოდენობით ტყუის ყველა — მწერალი, პოლიტიკოსი, სასულიერო პირი, ჟურნალისტი, ფილოსოფოსი, სოციოლოგი, ხელისუფლება, ოპოზიცია და ა.შ.

მატყუარებმა და ფარისევლებმა, რომელთა გამოც ინგრევა ეს ქვეყანა, პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად იოლი და ეფექტური გზა გამონახეს — უბედურების მთავარ მიზეზად ქართველი ხალხი გამოაცხადეს და ყველა ცოდვა მას გადააბრალეს.

არადა, ხალხი რა შუაშია — როგორც ზემოთ ვთქვით, სიმართლე და ტყუილი ისეა ერთმანეთში ალუფხული, ხალხი იქიდან სწორ დასკვნას ვერა და ვერ გააკეთებს.

* * *

და ბოლოს, სად არის გამოსავალი?

გამოსავალი ის არის, რომ როგორმე თავის მოსულელების რეჟიმიდან გამოვიდეთ და „დაუბალანსებელი“ სიმართლე ვთქვათ.

მართალია, დენთით სავსე კასრზე ვზივართ და ამ სიმართლემ შეიძლება ეს კასრი ააფეთქოს, მაგრამ მაინც ასე სჯობს — მთელი ცხოვრება დენთით სავსე კასრის მძევლები ხომ არ ვიქნებით?

**ვახტანგ ხარჩილავა**



**„საერთო გაზეთის“ რედაქცია დიდი სიყვარულით და პატივისცემით ულოცავს ბატონ**

## ჯანსუღ ჩარკვიანს

**80 წლის იუბილეს და უსურვებს დიდხანს სიცოცხლეს და ახალ შემოქმედებით წარმატებებს!**

### ლამაზი სიკვდილი

როცა დაიწყებს წყარო საუბარს,
მზეს რომ მისწვდება ირმის ბღავილი,
შემოასკდება როცა ალუბალს
მუხლზე კაბა და გულზე ყვავილი.

როცა კვირტები აფეთქდებიან,
როცა სიმღერას იტყვი სასურველს,
როცა ირმები დაფეთდებიან,
მზეს შეხედავენ, რქებში ჩაწურვილს.

როცა მერცხალი ზეცას შეუტევს,
როცა მიწაზე მზე და დარი დგას,
ირემი აპრილს კარებს შეუმტვრევს
და ატმის რტოებს რქებად დაიდგამს.

როცა მზე მინდვრებს კალთებს დაუცლის
საგვირილოდ და საენძელოდა,
ირემი ირემს ბალახს გაუწვდის
და რქას მიურტყამს სადღეგრძელოდა.

როცა ძეწნები ატირდებიან
და აკოცებენ ვაზებს ხარდნები,
შევხედავ ზეცას ნატვრისთვლებიანს,
ავტირდები და ავხარხარდები.

მოიგონებენ წარსულს მკვიდრები,
აბუბუნდება ქვეყნად ყველა მთა,
გავდიადდები, გავსულდიდდები
და ავენთები მამულს კელაპტრად,

დავდგები ცერზე, როგორც ავაზა,
ერთს გადავხედავ დღეებს გაფრენილს,
მერე მოვკვდები ისე ლამაზად,
ვით დაიბადა ეს ყველაფერი.

### თბილი წვიმა

ახლა რა ვუყო, როცა აღარ ხარ,
ხარ ატანილი ვარსკვლავთა მიერ,
ჩემთან მტვერია ისევ ამაღამ
და წვიმა მოდის თბილი და მღვრიე.
ახლა რა ვუყო, როცა მარტო ვარ,
ატანილი და სადღაც მიმქრალი,
შენი წვიმებით მინდა დათრობა
და შენი მკერდისფერი ჭიქებით.
ერთხელ სინათლეს მომტაცებ, ალბათ
სიმწვანით შეცვლი ჩემს მწუხარებას,
ყველაზე ლამაზს ჩაიცვამ კაბას
და გამიტაცებ თეთრი ქარებით...
ერთხელ კი, ერთხელ და მჯერა ერთხელ,
მაგრამ ამაღამ არის სიცივე,
თბილი წვიმები ძვალში გამტეხენ,
შენც მიმატოვე და მომიცილე.
ერთხელ კი, მაგრამ მითხარი-როდის,
მე მინდა ახლა, როცა მარტო ვარ.
ამქვეყნად ყველას საშველი მოდის-
მე შენი წვიმით მინდა დათრობა.

### განშორება

შენ ნუ გგონია,
რამეს ვდარდობ,
რამეს მივტირი,
ნურც იმას ფიქრობ,
უზენაესს რამეს შევუთქვამ,-
მე მიჭირს
შენთან განშორება,
თორემ სიკვდილი,
სიკვდილი რაა-
სულის გაყრა
ცოდვილ სხეულთან.

### ერთის პირობით

მწყურვალისათვის
მიმატანინე წყალი,
მევალისათვის
მიმატანინე ვალი,
გზააბნეულისთვის
მასწავლებინე გზები,
შეუწამლავი
შემაწამვლინე ზვრები,
მომაძებნინე
სხვაგან დაკარგული ძმები,
ამ ჩემს მამულში
დამამარხვინე ძვლები.
მათქმევინე:
ქვეყნად სიცოცხლე ღირდა,
მერე წამოვალ,
წამოვალ, საცა გინდა.

### ჰიმნი თავისუფლებას

მაგრად დაჰკარი, მაგრად დაჰკარი,
დადგეს ყიჟინი, კორიანტელი,
რომ საქართველოს რწმენის აკვანი
კვლავ იდგეს ტურფა და სანატრელი.

მაგრად დაჰკარი, მაგრად დაჰკარი,
მტერსავით თვალი არვის ექნება,
ვინც ჩვენ ერთმანეთს უცებ გაგვყარა,
სატრფოსთან შეყრას არ ეღირსება.

თუ გამარჯვება არის მიზანი,
დაბადებულნი ალბათ მართლება,
მამულისათვის! მამულისათვის!
ძმებო სიკვდილი ან გამარჯვება.

ბორჩას ამოდის
მთვარე სამოთხის,
ტყვია მიზანში მოსახვედრია.

თავისუფლება ისე არ მოდის,
..თავისუფლება ლომთა ხვედრია.

როგორ დაცხება, როგორ დაცხება
თავისუფალი ხალხის გუნება
თავისუფლება და აღტაცება,
დაუცხრომლობით აღესრულდება.

მამულისათვის! მამულისათვის!
ტყვია მიზანში მოსახვედრია.

თავისუფლება ისე არ მოდის,
თავისუფლება ლომთა ხვედრია.

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტრაციის №202375349

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

თავმოსულელებულნი.

# ramti-taro, dimti-taro, grZeli taro, mokle taro...

პარასკევს, პარლამენტის სდომაზე, დიდი ხალისობა და დიდი ჟრიამული იყო – სხდომაზე იხილებოდა საკითხი – გაამართლა თუ არა ჰიბრიდული სიმინდის პროექტმა?

მეტი თვალსაჩინოებისთვის საპარლამენტო უმრავლესობამ და საპარლამენტო უმცირესობამ არგუმენტების სახით სიმინდის ტაროები წარმოადგინა – უმრავლესობამ გრძელი, უმცირესობამ – მოკლე, თუმცა არგუმენტები დამაჯერებელი მაინც არ აღმოჩნდა და ასპარეზზე კვლავ გამოჩნდა კვირის გმირი კაკო ერთ ხელში გრძელი, მეორე ხელში მოკლე ტაროებით.



– არსებობს ასეთიც და არსებობს, აი, ასეთიც – მჭევრმეტყველებდა გმირი კაკო და ხან გრძელ ტაროს სწევდა მაღლა, ხან მოკლეს – და ეს ბუნებრივია, რადგან არსებობს პატარა ვაშლი და დიდი ვაშლი, ორივე კი ერთი ხის ნაყოფია.

... საღამოს ვასიკო ოდიშვილმა პარლამენტში მომხდარ ამბებს კომენტარი გაუკეთა – ვინაიდან სოფლის მეურნეობის მინისტრს პარლამენტარებმა საკადრისი პასუხი ვერ გასცეს, ამ პასუხს ახლა მე გავცემო – აიღო ეს ორი ვაშლი და შუაში ტარო ჩადო – აი, ეს ჩემგან სოფლის მეურნეობის სამინისტროსო.

(ოდიშვილის საჩუქარს სოფლის მეურნეობის სამინისტროსადმი ვიზუალურად აქვე წარმოგიდგენთ.)





# xelisufleba sakuTari Tavis opozicias qmnis?

შემოდგომის პირველი თვე მიიწურა, მაგრამ ოპოზიცია ჯერ არ გატოკებულა.

წინა წლებში, როგორც იტყვიან, ზრდილობის გულისთვის მაინც წაუპროტესტებდნენ ხოლმე ეს ე.წ.ოპოზიციონერები, ახლა საერთოდ არ გაფაჩუნებულან.

სამაგიეროდ, ჩუმი შარიშური და ფაციფუცი ნაცმოძრაობის რიგებიდან ისმის – ამბობენ, „ნაცელები“ არჩევნების წინ ვითომდა ერთმანეთს დაპირისპირებულ რამდენიმე „ოპოზიციურ“ ჯგუფად აპირებენ დაყოფას, რაც იმას ნიშავს რომ ხელისუფლებაც თვითონ იქნებიან და ოპოზიციაც.

აბა, რა ქნან – ვერ ივარგეს სხვებმა ოპოზიციად და იძულებულნი არიან საკუთარი თავის ოპოზიცია თვითონვე იყონ.

დემოკრატიის ოაზისად წოდებულ ქვეყანაში მთლად უოპოზიციონერობა რომ არ ივარგებს, იციან და ამიტომ ჩალიჩობენ ამდენს.

გულუბრყვილო და მიმნდობ ადამიანებს რა გამოლევს საქართველოში – ვიღაცები გიგი უგულავას ოპოზიციონერობასაც დაიჯერებენ და გიგა ბოკერიას გარადიკალებასაც.

ოქრუაშვილის, ნოღაიდელის, ბურჯანაძის ოპოზიციონერობა სადაც დაიჯერეს, იქ უგულავას და ბოკერიას ოპოზიციონერობა რომ დაიჯერონ, რა გასაკვირია?

მოკლედ რომ მოვჭრათ, ეს ხელისუფლებაც „სამ ტანცუეტ, სამ პაიოტ, სამ ბილეტი პრადაიოტ“, ოღონდ ბილეთები, რომლის ჩამორიგებასაც ის ახლა აპირებს, ოპოზიციონერობის დამადასტურებელი ბილეთებია, სააკაშვილის ხელმოწერით და მერაბიშვილის ბეჭდით.

მალე დიდი კონცერტი დაიწყება, სახელად არჩევნები.

აი, იქ ნახეთ თქვენ ყალბი ბილეთების ფრიალი და გამიშვი და გაგიშვებ...







# pirze momdgarsa sityvasa...

– ხანდახან ზედმეტები მომდის და მერე ვნანობო, – თქვა მიხეილ სააკაშვილმა.

როგორც გაირკვა, „ზედმეტებში“ პატივცემული მიხეილი ტელეკამერების წინ წამოცდენილ უხერხულ ფრაზებს გულისხმობდა.



ეჰ, გვეგონა, გვეშველა და კაცს სინანულის გრძნობა დაეუფლა ჩადენილ ცოდვათა გამო და სადაცაა „გალობანი სინანულისანის“ ახალი ვარიანტის წერას დაიწყებსო და ამ დროს თურმე მხოლოდ უნებლიეთ წამოცდენილი სიტყვების გამო წუხს.

ის ჯერჯერობით ახალგაზრდაა და, როგორც ჩანს, არ იცის, რომ „პირზე მომდგარსა სიტყვასა, განა სუყველას თქმა უნდა?“

მას ისიც არ ახსოვს, რომ დუმილი ოქროა და თუ დუმილზე უფრო კარგი და მნიშვნელოვანი არაფერი გაქვს სათქმელი, ჯობს დუმდე, რადგან დუმილი ოქროა, თუმცა პატივცემულ მიხეილს დუმილი არ ეხერხება – მას ლაპარაკი უყვარს, არდა, როცა ბევრს ლაპარაკობ, ბევრ სისულელესაც გამოურევ ხოლმე.

საერთოდ, სააკაშვილს სიტყვებთან ფრიად ორიგინალური და არაორდინალური დამოკიდებულება აქვს...

მას ჰგონია, სიტყვები მხოლოდ იმისთვის არსებობს, რომ მათი დახმარებით ადამიანები ან მოატყუო ან გალანძღო და დააშინო.

არადა, სიტყვებს უფრო მაღალი და კეთილშობილური დანიშნულებაც აქვს ვიდრე ტყუილის თქმა, ლანძღვა და დაშინება.

არაუშავს, პატივცემულ მიხეილს ყველაფერი წინ აქვს და მასთანაც აუცილებლად მოვა დიდი სინანულის ჟამი.

თავმოსულელებულნი.

# Cven 1993 wlis 27 seqtembramde gacilebiT adre davkargeT afxazeTi




*„საერთო გაზეთმა“ 27 სექტემბრის შავი თარიღის კვალდაკვალ ინტერვიუ სოხუმელ ხელოვანთან არჩია. „აფხაზეთი 1993 წლის 27 სექტემბერს არ დაგვიკარგავს, გაცილებით ადრე, როცა სამოქალაქო ომი წამოვიწყეთ, მაშინ გამოვუტანეთ ჩვენს თავს საბედისწერო განაჩენი”, — აცხადებს მწერალი და დრამატურგი* ***გურამ ოდიშარია*** *და აფხაზეთში ბოლოს დროს მიმდინარე პროცესებზე, ქართულ-აფხაზური ურთიერთობების აღდგენის პერსპექტივებზე გვესაუბრება:*

**- ბატონო გურამ, სულ ახლახან აფხაზებმა პრეზიდენტად ალექსანდრე ანქვაბი აირჩიეს, რა ვითარებაში ჩატარდა არჩევნები და ვინ არის ახალბედა ხელმძღვანელი?**

- ალიკ ანქვაბს ახალბედა ნამდვილად არ ეთქმის. ყოველთვის აფხაზურ პოლიტიკაში იყო ჩართული. პირადად ვიცნობ, ჩემი ბავშვობის მეგობარია, სულ რაღაც ორი წლით არის ჩემზე უფროსი. მისი პიროვნული თვისებებიდან აღსანიშნავია ხასიათის სიმტკიცე.

სამჯერ ესროლეს. ერთხელ ნაღმმტყორცნიდანაც. თუმცა უკან არასოდეს დაუხევია. შეუპოვარია, ამას გარდა, შრომისმოყვარე. შეუძლია სამი-ოთხი ღამე ისე გატეხოს მუშაობაში, ვითომც არაფერი. სანამ საპრეზიდენტო არჩევნები დაინიშნებოდა ვიცე-პრეზიდენტი იყო.

არ არის იღბლიანი, პირიქით, დაუღალავი შრომის ფასად აღწევს მიზანს.

შამბასგან განსხვავებით, განათლება საქართველოში არ მიუღია.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ხარკოვში სწავლობდა იურიდიულ ფაკულტეტზე. თუმცა საქართველოში ომამდე ორი წლით ადრე შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა. ბალაფშივით არ იცის ქართული, ოღონდ ესმის და სოხუმში ბევრი ქართველი მეგობარი ჰყავდა. გამოირჩევა ქველმოქმედებით.

**- პოლიტიკას პარადოქსებიც მოსდევს: ბალაფშს ცოლის ქართველობა ზოგჯერ ძვირად უჯდება, ე.წ. პრო-ქართული იარლიყი, ალბათ, ბარიერადაც ექცეოდა-ხოლმე, ანქვაბი ამ კომპლექსებისგან თავისუფალი იქნება და ვინ იცის, იქნებ, უფრო უკეთ მოახერხოს აფხაზურ საზოგადოებაში ქართული „კარტას“ გათამაშება?**

- მართალი ხარ. ეს პერიპეტიები ბალაფშის პრეზიდენტობას ახასიათებდა. საარჩევნო კამპანიის დროს, აფხაზური პრესა დიდი ასოებით წერდა მის „პრო-ქართველობაზე“ მსჯელობდნენ-კი, მაგრამ... ბალაფშის ცოლი ქართველია, შონია, არა მხოლოდ გვარით, არამედ ქართველობს კიდეც. საინტერესოა, ეს ქალბატონი, როგორ? რა სინდისით მივა ომში დაღუპული ჩვენი შვილების, ძმების საფლავებთან? ამ დროს პარალელურად, საპრეზიდენტო კამპანია ჰქონდა ხაჯიმბასაც, იგი სოჭში თვით პუტინმა მიიწვია. ასე რომ, რუსები ფსონს ხაჯიმბაზე-სპეცსამსახურების თამაშრომელ, (ახლა უკვე პოლკოვნიკია) და როცა აფხაზები საკუთარ თავთან დარჩნენ, როცა მათ თავისუფალი არჩევანის საშუალება მიეცათ, ბალაფში შემოხაზეს. ასე უმტყუნეს რუსებს. მეორე მხრივ, ეს ქართული მომენტი, აწ განსვენებულ პრეზიდენტს დაბრკოლებად ექცა. მის თითოეულ ქმედებაში ოპონენტები ქართულ კვალს ხედავდნენ. შესაძლოა, არც სჯეროდათ მისი პრო-ქართულობის, თუმცა ამ „კოზირს“ სათავისოდ იყენებდნენ. ისე, აფხაზები, რასაკვირველია, ჩვენი ინტერებიდან არ გამოდიან, პირველ რიგში, საკუთარი პრობლემებიდან გამომდინარე ეძებენ გამოსავალს და ეს ასეც უნდა იყოს. რაც შეეხება, ალიკ ანქვაბს მას პრო-ქართველად ნამდვილად არ აღიქვამენ.

**- არც ქართველებთან მეგობრობის და არძინბასთან დაპირისპირების გამო?**

- არის აქაც საინტერესო შტრიხები. მოდი, მაშინ ცოტა შორიდან მოვყვეთ: მოგეხსენებათ, არძინბა აფხაზეთში ეროვნული გმირის მანტიით არის შემოსული. იგი მებრძოლია, ომის მოგება ხომ არძინბას სახელს უკავშირდება? ამ დროს უპირისპირდება ანქვაბი და ახერხებს იმდენს, რომ შემდგომ მთავრობაში ვიცე-პრეზიდენტის პოსტს იკავებს. რა თქმა უნდა, თბილისში მუშაობაც წამოაყვედრეს და ქართული კვალიც უხსენეს...როცა არძინბა გაპრეზიდენტდა ცოტა ხანში მომხრეებთან მოუვიდა უთანხმოება, მათ შორის, ალექსანდრე ანქვაბიც აითვალისწუნა და მისწერა „მხილება“ პირადად მაქვს წაკითხული: შენ შევარდნაძის კაცი იყავი.... თბილისში ორი წელი შინაგან საქმეთა მინმისტრის მოადგილედ მუშაობდი... შენ, არ ხარ, საიმედო ჩვენთვის. წერილი სარკაზმულად იწყებოდა: „ბატონო ალექსანდრე“-ამ მიმართვით არძინბა ოპონენტის პრო-ქართულობაზე ამახვილებდა ყურადღებას.

მის პრეზიდენტობაზე წინდაწინ შეიძლება ითქვას, რომ კურსს კორუფციის დაძლევაზე აიღებს. კრიმინოგენურ ვითარებას შეებრძოლება. აი, გაიმარჯვა ანქვაბმა და მაშინათვე უთხრეს: ახლა წადი შენ და ჩვენს წმინდა ალაგას — დადრიფში მოილოცეო. მან კი უპასუხა: ჩემი წმინდა ადგილი არის ჩემი კონსტიტუცია...ჩემი კანონი. მე ვიქნები კანონის აღმსრულებელი.









აფხაზებმა ნდობა გამოუცხადეს, რადგან კორუფციამ და კრიმინოგენურმა ვითარებამ ხალხი მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო.

ბიუჯეტის ფული გაწოვილია. აფხაზებს ხომ ძველთაგან უყვარდათ კარგი ცხენები, ახლა ძვირფას მანქანებზე „გადასხდნენ“ ეტყობა, ეს გატაცება სისხლში აქვთ. წარმოიდგინე, ისეთი ძვირადღირებული მანქანები ჰყავთ, რომ თბილისში თითო-ოროლაა.

ჯერ კიდევ არძინბასგან დევნილი, როცა მოსკოვში საკუთარი ბიზნესით იყო დაკავებული, იქაც პოულობდა დროს და საშუალებას, არც ერთ აფხაზს უყურადღებოდ არ ტოვებდა, ოპერაციებს უფინანსებდა და თხოვნაზე უარით არასოდეს პასუხობდა. რა თქმა უნდა, პრეზიდენტობის პირობებში, მით უფრო, (როგორც ჩვენთან, იქაც, თითქმის შეუზღუდავი უფლებები აქვს პრეზიდენტს) ასპარეზი მეტი ექნება.

**- ბატონო გურამ, აფხაზეთის ტრაგედიიდან დრო გავიდა, უკვე თაობები გვაშორებს, ესეც გასათვალისწინებელი ფაქტორია**

- ახლა ხელისუფლებამ ჩრდილოეთ კავკასიელებს გაუღო კორიდორი, ეს კარგია. აფხაზეთის პრობლემაც ხომ არ უნდა დარჩეს უყურადღებოდ და მხოლოდ და მხოლოდ სახალხო დიპლომატიის დონეზე? ჩვენი ძმები უნდა დავიბრუნოთ. სხვათა შორის, ძმისგან, ახლობლისგან უფრო გეწყინება და ძნელად დაივიწყებ ტკენას, ვიდრე სხვისგან. უჩხუბიათ ძმებს, ყოფილა ხომ შემთხვევა? იქნებ, უთქვამთ, აღარაფერი მინდა მისიო, თუმცა ქვეცნობიერად მაინც შემრიგებელს მოელიან. ჩვენი კონფლიქტიც ასეთივე ხასიათისაა. საუკუნეები ერთად გვიცხოვრია, ტაძრები გვიშენებია, ერთად გვილოცავს გვიბრძოლია და ახლა ამ ჩვენს სისხლს და ხორცს ადვილად არ უნდა ვთმობდეთ.

**- ბატონო გურამ, მოგეხსენებათ, დაბრუნებაზე მეტად ახლა აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე დაგვიდგა მსჯელობის დრო და ეს რამდენად სასიკეთო იქნება ჩვენთვის?**

— არ მინდა ამ იდეის მხარდამჭერი ვიყო. ჯერ ერთი, თეორიული დებულებებია და დასაბუთება აკლია- რას მოგვიტანს? რისთვის? რატომ ხდება?- ბუნდოვანი წარმოდგენებია მხოლოდ. არ მინდა გავიდეს წლები და ახლა აფხაზეთში ჯერ კიდევ ბავშვი რომ არის, შემდეგ უკვე უკმაყოფილო დარჩეს: რას გვერჩოდით, ამ დამოუკიდებლობამ ვერაფერი სიკეთე მოგვიტანაო. ფაქიზი თემაა.

ჯერ უნდა დავიბრუნოთ აფხაზები და არა კვადრატული მეტრები. მათი გულები უნდა მოვატრიალოთ ჩვენსკენ. როცა სიმპათიით განვაწყობთ, მერე ის ტერიტორიებიც დაბრუნდება. თორემ 40 წელი აფხაზეთში ვცხოვრობდი, სოხუმელი კაცი ვარ, ისე მიყვარს სოხუმი, აფხაზეთი და უპირველეს ყოვლისა, აფხაზები, პირველი დავუჭერდი მხარს ამ ინიციატივას.

**- ახლა ასევე მსჯელობენ იმაზე, უნდა მოვუხადოთ თუ არა ბოდიში აფხაზებს. რა აზრის ხართ?**

- ასე შიშველი, ანუ უარგუმენტო ბოდიშის მომხრე არ ვარ. უნდა გავაანალიზოთ მომხდარი. 40 „იკარუსით“ დავიძარით და შევაჭერით ოსეთში. აფხაზეთშიც არანაკლები დავატრიალეთ.

სამხედრო საბჭო სასტიკად იქცეოდა. ციხიდან გამოსული ხალხი ომს ვერ მოიგებს. პირადად ჩემი და თქვენი საერთო ბიძა ივლიანე კუპრავა ქართველებმა წამებით მოკლეს, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ კარგად ცხოვრობდა, იმიტომ რომ, ისინი „სამოროდიოროდ“ იყვნენ ჩამოსულები. ამას გარდა, ვინც ბოდიშს იხდის, მას უნდა ჰქონდეს უფლება, ქართველი ხალხის სახელით მოიბოდიშოს. მეორე მომენტია, დაუშვათ აპატიეს აი, იმ კაცს, მაგრამ შეუნდობენ კიტოვანს, აწ განსვენებულ მის თანამოაზრეს და სხვათა და სხვათა?

დავაშავეთ და დავაშავეთ არა მხოლოდ ჩვენს ძმებთან, არამედ იგივე სისხლ-ხორცთან ქართველებმა ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტა გავაჩაღეთ.

მაშინ სოხუმში ვიყავი და კარგად მახსოვს როგორ სასწრაფოდ შეიკრიბნენ „რადიკალი“ აფხაზები ტელეეკრანებთან, რა შეძრწუნებული უყურებდნენ ომის კადრებს შუა თბილისში... აი, იმ საშინელებას როცა ქართველი ქართველს ესროდა. იყო შემთხვევა — ერთი ძმა პარლამენტის წინ იდგა იარაღით, ხოლო მეორე ასევე შეიარაღებული ქაშუეთის ეკლესიასთან და ამის შემხედვარე აფხაზები ბჭობდნენ: ესენი აქამდე მოვლენ და ჩვენ ხომ უფრო სასტიკად გაგვისწორდებიანო. ჰო, აფხაზეთის ომზე გაცილებით ადრე სამოქალაქო ომის პირობებში დავკარგეთ ასევე ჩვენივე ძმები-აფხაზები.

**- ბატონო გურამ, როგორც ვიცი, აფხაზების უხუცესთა საბჭოს(ასაკოვანი და ზნეობრივი ავტორიტეტები) დაუწყევლივართ ქართველები ამ სისხლის მღვრელი ომის გამო. პირადად რა იცით ამის შესახებ?**

- მიუხედავად იმისა, საქართველოში (სხვათა შორის, აფხაზეთშიც ასეა, იქაც ორად არის გაყოფილი საზოგადოება) აფხაზებთან ურთიერთობის მქონე და მომხრე პირებს ზოგიერთი მოღალატედ მიიჩნევს, ეს სერიოზულ არგუმენტად არასოდეს ჩამითვლია. არასოდეს დამიმილავს, რომ ამ ურთიერთობების მომხრე ვარ და პირადი მაგალითითაც დამიმტკიცებია

ამ გავრცელებული აზრის შემდეგ აფხაზებს დავეკითხე და გამოვარკვიე: ასეთი ფორმით არ ყოფილა, არამედ მათ ამ ომში დამნაშავეს დასჯა შესთხოვეს უფალს თავიანთ წმინდა სალოცავზე.

ისე, ახლა იმასაც საუბრობენ, შუქი და წყალი არ იყოო, მხოლოდ მატერიალურზე ამახვილებენ ყურადღებას, თორემ ტანკებით არ უნდა შევჭრილიყავით აფხაზეთშიო, ასეთი რამ არ გამიგონია, არადა, ხომ უნდა გავაანალიზოთ და ვაღიაროთ, თუ ბოდიში გვაქვს მოსახდელი, რატომ უნდა დავიხიოთ უკან?

**ნათია ნოდია**

***27 სექტემბერს პარლამენტში მომხდარ დაპირისპირებასა და დავით ბაქრაძის მიერ, პარლამენტარ დიმიტრი ლორთქიფანიძის პატიმრების მშობლებისათვის ფულის გამოძალვაში დადანაშაულებას საგანგებო განცხადებით „წინააღმდეგობის მოძრაობა“ გამოეხმაურა. ამ თემაზე „წინააღმდეგობის მოძრაობის“ ერთ–ერთ ლიდერს სოსო მანჯავიძეს ვესაუბრეთ.***

–რაც პარლამენტში მოხდა, მას შემდეგ ყველამ დაინახა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ზნე არ იცვლება. ბატონი დიმიტრი თავისი შეუპოვრობითა და პრინციპულობით გამორჩეული ადამიანია. თავდაუზოგავად შრომობს და ყოველთვის ცდილობს მოახდინოს რეაგირება სხვადასხვა ფაქტებზე მისი შესაძლებლობის ფარგლებში. ამავე დროს ის შრომობს იმისთვისაც, რომ საზღვრებს გარეთ გაიტანოს მაქსიმალურად ობიექტური ინფორმაცია. ანუ ის წარმოადგენს სტანდარტს ისეთი დეპუტატისა, როგორიც უნდა იყოს სინამდვილეში დეპუტატი და ბუნებრივია ნაციონალური მოძრაობის ჭაობს ნერვებს უშლის, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პარლამენტში ახალი ოპოზიციური პარტია ჩამოყალიბდა. ბატონ ბაქრაძის გულმა ვერ გაუძლო პარლამენტში ოპოზიციური კრიტიკის გაძლიერებას და შედეგად მივიღეთ მთელი ეს ვაქხანალია. ამ ოდიოზური ფიგურების მიერ კვლავ რუსული საფრთხობელით ოპელირება. არადა ყველამ ვიცით, რომ თვითონ ესენი არიან რუსეთის ყველაზე უფრო რეაქციული ინტერესების გამტარებლები. საქართველოს დაქცევის მოსურნე რუსულ–სომხური ლობის ინტერესების წარმომადგენლები და ჩვენი ქვეყნის ოკუპანტები, რომლებიც გაუგებრობაში მოხვედრილ ქართველ ხალხს ქედზე მოაჯდნენ, გაუკეთეს მას ანესთეზია თავისი საინფორმაციო საშუალებებისა და იქ მომუშავე ზონდერ–ჟურნალისტების მეშვეობით. ახლა, რომ დაინახეს გაუტკივარების ოპერაცია კარგად ვერ შესრულდა და პარლამენტში გარკვეული კრიტიკული გამონათქვამები ისმის, რომელმაც შესაძლოა ამ სომნაბულურ მდგომარეობაში მყოფი ქართველი ხალხის გამოფხიზლება გამოიწვიოს,– გაღიზიანდნენ. ასევე მათ დიდ გაღიზიანებას იწვევს ის რომ ბატონი დიმიტრი ძალიან მჭიდროდ თანამშრომლობს ჩვენთან, ანუ „წინააღმდეგობის მოძრაობასთან“. ასევე მოგეხსენებათ, რომ ევროპაში „წინააღმდეგობის მოძრაობის“, ბატონი დიმიტრისა და სხვების საშუალებით გადის ინფორმაციის ნაკადი იმის შესახებ, თუ რა ხდება რეალურად საქართველოში და ამიტომაც აღუკვეთეს , დიმიტრი ლორთქიფანიძეს ინფორმაციის მიწოდების საშუალება. სრულიად უხამსი მეთოდით გარიცხეს საერთაშორისო დელეგაციიდან, მიუხედავად იმისა რომ ბილეთი უკვე დაჯავშნული ჰქონდა და სამასი დოლარითაც აზარალეს.



გარდა ამისა, მოგეხსენებათ "წინააღმდეგობის მოძრაობა“ მუშაობს პენიტენციურ სისტემაში არსებულ პრობლემებზე, იყო საპროტესტო აქციები, საერთაშორისო ზეწოლა და რაღაც გარკვეული სასიკეთო ძვრები შეინიშნება ამ მხრივ. თუნდაც წიკლაურის საქმე ავიღოთ, კვდებოდა ფაქტობრივად 23 წლის ბიჭი, მამამისმა პირადად მე დამირეკა დახმარების თხოვნით, ჩაერთო ამ საქმეში მხოლოდ დიმიტრი ლორთქიფანიძე კი არა, მთლიანი ფრაქცია, არასამთავრობო ორგანიზაციები, „ობიექტივი“ და დიდი წვალებით მივაღწიეთ იმას, რომ სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ გასცა ცნობა, რომ პატიმარი მართლაც კვდებოდა და საჭირო იყო მისთვის დროებით აღმკვეთი ღონისძიების შეჩერება სამკურნალოდ და ეს ადამიანი ახლაც მკურნალობს. ასეთივე შემთხვევა იყო პატიმარ ელგარ–ზადესთან დაკავშირებით და ციხის უფროსი ლაშა ბრეგვაძე უკვე გადადგა. გარდა ამისა, ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ საზოგადოებას სრული ინფორმაცია მივაწოდოთ თუ რა ხდება პენიტენციურ სისტემაში, სადაც ადამიანების ცემა და დასაჭურისება უკვე ჩვეულებრივ კანონზომიერებადაა ქცეული. სამწუხაროა, რომ ამ წყლულმაც კი ვერ შეჰყარა და გააერთიანა ერი. როცა ჩვენ ვცდილობთ, რომ რაღაც შევცვალოთ ამ მხრივ და ხალხის მობილიზაციაც მოხდეს, ვიღაცამ ეს ისე არ უნდა აღიქვას თითქოს ამას ჩვენ რაღაც კაპიტალის დასაგროვებლად ვაკეთებთ. ეს ხომ თითოეულ ჩვენგანს ეხება, რადგან ერის გენოციდის და კრიმინალიზაციის პროცესი მიმდინარეობს. დაახლოებით ორი წლის წინ დავიწყეთ ჩვენ ამ საკითხებზე მუშაობა და დავიწყეთ იმიტომ, რომ დავინახეთ ქვეყანაში აშკარა გენოციდი მიმდინარეობდა. იმიტომ, რომ ინფორმაციები მოგვდიოდა, ვიცოდით, რომ სიები აქვთ ამათ, მაგალითად, ყველა მეწარმის, განსაკუთრებით იმათი, ვინც გამოირჩევა შემოქმედებითი უნარებით. საერთოდ ხდება, როდესაც ადამიანს სიმართლეს ეუბნები და მას მაინც არ სჯერა, რომ ასე შეიძლება მოხდეს. „კასანდრას“ სინდრომი ჰქვია ამას. ასე მოხდა სოხუმში, ასე მოხდა ცხინვალში და ასეთი რაღაცეები ხდება დღეს, დაიჯერეთ! დაიჯერეთ, რომ ამათ სამასი ათასი ადამიანი ხომ გაასამართლეს და გაატარეს ხორცისსაკეპ მანქანაში, კიდევ სამასი ათასის გატარება უნდათ, იმიტომ, რომ პენიტენციურ სისტემაში იგივე მდგომარეობაა რაც საკონცენტრაციო ბანაკებში.

**–დიმიტრი ლორთქიფანიძის საერთაშორისო დელეგაციიდან მოხსნის მოთხოვნის ავტორი რომ „ოპოზიციონერი“ გია თორთლაძე იყო, ამაზე რას იტყვით?**



–თორთლაძე საერთოდ გარეწარია და გაცილებით უარესი, ვიდრე მერაბიშვილი ან სხვა ჯალათები. იმიტომ, რომ თორთლაძე ამათი გამამართლებელია.

რაც შეეხება დავით ბაქრაძის გამოსვლას, ეს იყო მართლაც დემონსტრაცია იმ უბედურებისა, რაშიც ვიმყოფებით. ადამიანი ისვრის ბრალდებას, რომ ვითომ პატიმრების მშობლებს ფულს სძალავდეს დიმიტრი ლორთქიფანიძე. წარმოუდგენელია, რომ ეს უჯიშოები, უჯილაგოები ლაპარაკობენ დიმიტრი ლორთქიფანიძეზე, რომელიც ყველამ იცის, რომ არის უკომპრომისო, მორწმუნე ადამიანი, შვიდი შვილის მამა, ნიკო ლორთქიფანიძის ღირსეული შთამომავალი და ვიღაც ზურაბ მელიქიშვილი რომ ეტყვის დიმიტრი ლორთქიფანიძეს ხმა ჩაიწყვიტეო, მიმიფურთხებია მე ასეთი საქართველოსთვის, სადაც შეიძლება მსგავსი რამ მოხდეს და დაუსჯელი დარჩეს.

მათი ნერვოზი იმითაა გამოწვეული, რომ ფაქტია, ევროპაში მათი სახე უკვე კარგად გამოჩნდა და სწორედ ამაზე ნერვიულობენ. გარდა ამისა, შიგნით აქვთ პრობლემები, ამ სააკაშვილს ლეგიტიმაცია უმთავრდება, ნაციონალური მოძრაობის წიაღში კი არანაირი ძლიერი პოლიტიკური ფიგურა არ არის. ბაქრაძე თავის ჩანგლებიანი წარსულით საერთოდ ანეგდოტია და მისი საქართველოს პრეზიდენტად წარმოდგენა ნამდვილად სასაცილოა. მის მიერ „ფეისბუქელი“ მეგობრების სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე მოწვევა კომიკურიც აღარ არის უკვე და რა დავარქვა არც ვიცი. სხვა პოლიტიკური ფიგურა ამათ არ ჰყავთ, იმიტომ, რომ აბსოლუტურად დისკრედიტირებულები არიან. რჩებიან უპატრონოდ, რადგან სააკაშვილი მათ პოლიტიკურ უზრუნველყოფას ველარ შესძლებს და ახლა ცდილობენ რაღაც ნიჟარები შეიქმნან, საკუთარი მომავლის გარანტიისთვის. სააკაშვილი კიდევ უყურებს ამ თავის პოლიტიკურ გასვენებას, ეჭვიანობს მათზე და არის ერთმანეთში ეს შეხლა–შემოხლები. ერთი მხარე ესაა ბოკერიას ფლანგი, არტიკულირებული არამზადები ანუ იდეოლოგიზირებული მნგრეველები და არსებობს მეორე ფლანგი, რომლის წარმომადგენლები საერთაშორისო ორგანიზაციებისგან არიან გრანტირებულნი და დაფინანსებულნი, თავიანთი სოციალური ქსელი აქვთ და ფსევდო ოპოზიციურ ნიჟარას ქმნიან, ცდილობენ ასევე კავშირები დაამყარონ ევროპაში, მაგრამ არ გამოსდით, რადგან ჩვენს მიერ გატანილმა სიმართლემ უფრო უკეთესად იმუშავა იქ. დიმიტრი ლორთქიფანიძეზე შურისძიების ერთ–ერთი მიზეზიც სწორედ ეს იყო. ამ ფლანგს ეკუთვნის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა და სხვა ძალოვანი სტრუქტურებიც, რომლებიც ხალხის პირდაპირ ტერორს და დაჭერებს ახორციელებენ. მაგალითად, 170 ადამიანი დაიჭირეს ახლახანს, რადგან ნავთობის ბაზარზე კეზერაშვილის „გალფი“ იღებს სრულ მონოპოლიზაციას, ამ ადამიანებს ართმევენ ყველაფერს და არა მხოლოდ მათ, შემდუღებლები და მონტიორებიც კი დაიჭირეს. ერთ–ერთ შემდუღებელს, რომელიც დააპატიმრეს, დააბრალეს, რომ მან რაღაც სამუშაო შეუსრულა იმ მეწარმეს, რომელსაც სავარაუდოდ შეეძლო ეს გამოეყენებინა არა კანონიერი საქმიანობისათვის. შეუფარდეს მას ორთვიანი წინასწარი პატიმრობა და სთხოვენ ახლა ასი ათას დოლარს თუ რაღაც მსგავს თანხას, რომელსაც, მთელმა მისმა ნათესაობამ რომ გაყიდოს ქონება, მაინც ვერ შეუგროვებენ.

ამ ორივე ფლანგს, რომელზეც ზემოთ ვისაუბრე ჰყავს თავისი პროექცია, ანუ წარმომადგენლები ოპოზიციაში, მაგრამ როგორც თვითონ არიან პოლიტიკურად გაცვეთილები, ასევე ეს, მათი ინტერესების გამომხატველი ოპოზიციაც გაცვეთილი, არაფრის მაქნისი და ნდობა დაკარგულია. აქედან გამომდინარეა მათ შიგნით ნერვიულობა და დაძაბულობა. ამას გარდა, ამათ შორის ცოტა დაწინაურებული ვინც არის და ვისაც ტვინი ქონით არა აქვს ჯერ კიდევ გადაპოხილი ელემენტარულ ეკონომიკურ გათვლებს აწარმოებენ და ფიქრობენ იმდენს, რომ 7 მილიარდი გვაქვს უკვე საგარეო ვალი და მალე ამათ სესხს აღარავინ აღარ მისცემს. ამ დროს გვიწევს პროცენტების გადახდაც, ქვეყანაში კი მდგომარეობა უარესდება. ამათ სოციალური ვალდებულებები უნდა გაისტუმრონ, მიაჩვიეს ხალხი პენსიების და ხელფასების დროულად დარიგებას, განსაკუთრებით ძალოვანი სტრუქტურები. ამიტომ საგარეო და საშინაო ვალდებულებებიც რომ გაისტუმრონ ისევ გაუბედურებულ ქართველ ხალხს ულებენ კისრიდან ფულს და თან ყიდიან ყველაფერს, რა თქმა უნდა, ისევ რუსეთზე.

**–ანუ თქვენ ფიქრობთ ხელისუფლებას არანაირი სათადარიგო გეგმა არ აქვს?**

–არა, ორთქლის გამოშვების მეთოდი აღარ მუშაობს, რადგან ყველამ გაიგო უკვე ვინ ვინაა. ასევე აღარ მუშაობს სქემა, რომლის მიხედვითაც ოპოზიციურ პარტიებს პროტესტის მოპოვების, გადამუშავების და დახარისხების ლიცენზიებს აძლევდნენ, იმიტომ რომ ესენი პროტესტის მოპოვებას ველარ ახერხებენ. ახლა გამოფხიზლების, გაყოფის ჟამი დგება, ამიტომ საჭიროა ძალიან კარგად მოფიქრებული, ჭკვიანური მოქმედებები.

ჯერ შეხედეთ, რა სახეებით სხედან ამ პარლამენტში, ჯადო აქვთ გაკეთებული თუ რა უბედურებაა ეს? ზუსტად ასეთი სახეები ჰქონდათ 1944 წელს, ომის დამთავრების წინ გერმანული „ნაცმოძრაობის“ წევრებს და ანალოგიურადაც დაამთავრებენ ესენი. ახლა სახელოვანი „ახალი მემარჯვენეებისა“ და კიდევ უფრო სახელოვანი „ქრისტიან–დემოკრატების“ ხელმოწერის საფუძველზე ისეთი საარჩევნო კანონი შეიმუშავეს ამათ, რომლის შემდეგაც აღარც საღებავი იქნება, აღარც არაფერი და გვექნება პირდაპირ კომუნისტური არჩევნები. აი, რას ნიშნავს სატანასთან თანამშრომლობა, ესაა სწორედ, მეტი კი არაფერი. მე სულ ვამბობდი და ახლაც იგივეს ვიმეორებ, სანამ ბოლომდე არ გააუპატიურებენ ამათთან მოთანამშრომლე პარტიებს და პოლიტიკურად არ გაანეიტრალებენ, მანამდე არ მოეშვებიან. ეს არის კანონი და დაიჯერონ ერთხელ და სამუდამოდ. შეხედონ ახლა, არ გვანან გაუპატიურებულებს? სასაცილოა, როცა ბობოხიძის, მელიქიშვილისა და კუბლაშვილის პარლამენტმა უნდა დაგიდგინოს საარჩევნო სიები. აი, სადამდე მივედით. თუ გინდათ იმასაც გეტყვით, არჩევნები რომ მოვა, რას იტყვიან სხვა პარტიები. ერთი იტყვის, ჩვენ ამ უთანასწორო ბრძოლაში პირველად ვებმებითო. მეორე ვღებულობთ ამ გამოწვევასო, მესამე იტყვის, ქართველებო, თქვენმა ათმა პროცენტმაც რომ მიიღოს მონაწილეობა, ამათ გაყალბება აღარ გამოუვათ და ა.შ. იმის ნაცვლად, რომ მართლაც რეალურად დაზუსტდეს საარჩევნო სიები და ამ ერთი საკითხის გარშემო მოხდეს გაერთიანება. ახლა ამბობენ თანხები სჭირდება ამ საქმესო, მოიძიეს და ვინმემ უარი უთხრათ? „ეძიებდე და ჰპოვებდეო“ ხომ გაგიგიათ, მაგრამ ამათ უნდათ? აი, ეგ არის საინტერესო.

**ლელა არაბული**

# SexedeT, ra saxeebiT sxedan nacmoZraobis wevrebi am parlamentSi, zustad aseTi saxeebi hqondaT germanel nacistebs omis damTavrebis win...



# saakaSvilma rusebs afxazeTi da `samxreT oseTi~ langriT miarTva, axla ki oficiantiviT emsaxureba _ gemrielad miirTviTo...

***ორიოდე დღის წინ პარლამენტში ორ პარლამენტარს შორის ინციდენტი მოხდა, რომლის დროსაც აკაკი ბობოხიძე სააკაშვილის ავადხსენებას ამბრაზურასავით გადაეფარა.***

***საკითხთან დაკავშირებით ვესაუბრებით პარლამენტარ პეტრე მამრაძეს.***

**— ბატონო პეტრე, რატომ მოჰყვა თქვენს გამოსვლას პარლამენტში ზოგიერთი ნაციონალი პარლამენტარების მხრიდან ასეთი მწვავე რეაქცია, ის, რაც თქვენ თქვით, ორი წელია ყბადაღებული თემაა მედიისათვის, იყო მასში რაიმე ახალი თუ ანგარიშის გასწორებას ჰქონდა ადგილი?**

— ზოგიერთი პალამენტარის უღირსი საქციელის შეფასებისათვის, ვფიქრობ, დროის დახარჯვა არც კი ღირს, მით უმეტეს აკაკი ბობოხიძის გამო, რომელსაც საზოგადოება კარგად იცნობს, როგორც არასერიოზულ კაცს. ის 1994 წლის დროიდან იყო პარლამენტარი და ყველას ახსოვს, როგორ მოდიოდა იქ ნასვამი და მიკროფონში დედას იგინებოდა. თუმცა, ისიც ახსოვს, როგორ ეხვეწებოდა შევარდნაძეს 1993 წელს, რომ ის არ გადამდგარიყო. ასევე, საინტერესო იყო მის დასაცავად ზოგიერთი პარლამენტარის საქციელი.



იმედზე გასული მოდელირებული ქრონიკის შემდეგ „სქაინიუსმა“ მსოფლიოს ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა ტელევიზიამ ცალკე გადაცემა მიუძღვნა საქართველოს — სააკაშვილი და მისი კლოუნების თეატრი. ამ თეატრის მოქმედებას ჩვენ ვაწყდებით ყველა ნაბიჯზე. ასე მოხდა იმ დღესაც, როდესაც ბობოხიძის თანამოაზრენი ცდილობდნენ ჩემს პროვოცირებას, თუმცა, მათ არ ავყევი.

რუსეთის დუმაში რომ თქვა სპიკერმა გრიზლოვმა, რომ პარლამენტი დისკუსიების ადგილი



არ არისო, ამის განხორციელება სურდათ პარლამენტარებს.

წამყვანი უცხოური გამოცემები უწოდებენ „რეზინის შტამპს“, რომლითაც სააკაშვილი შტამპავს თავის თანამოაზრეებს და მორიგ ახირებულ გადაწყვეტილებებს. ინტერნეტში ამ მასალების მოკვლევა ყველასათვის ხელმისაწვდომია.

ალბათ, არაფერი ახალი არ იყო იმაში, რაც ვთქვი, მითუმეტეს ადრე, სააკაშვილს პირში მივახალე 2009 წლის ივლისში რომ 2008 წელს განახორციელა რა მან სამხედრო პოლიტიკური ავანტიურა „ლანგარზე“ მიართვა რუსეთის სამხედრო პოლიტიკურ მანქანას. იმის საშუალება, რომ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიები მათ სამხედრო ბაზების ადგილად ექციათ და ეცნოთ მათი დამოუკიდებლობა. ორი წელიწადია მას შემდეგ გასული და ეხლა ეს საწყალი ადამიანები რამ გაამწარა, ვერ გავიგე. ეჭვია იმისა, რომ მომავალ პარლამენტში ისინი ვერ მოხვდებიან და ეხლა ტყავიდან ძვრებიან იმის გულისათვის, რათა დაუმტკიცონ სააკაშვილს, რომ ისინი ერთგულები არიან „ხაზინის ქურდებისაგან შემდგარი მმართველი გუნდისა“, ვინაიდან ჩვენთან დღეს „ავტორიტარული პარტოკრატიაა“ გამეფებული და მეტი არაფერი. ამიტომ კადრულობენ ყველაფერს. ნებისმიერი ადამიანი უღირსი საქციელით თავის თავს აყენებს შეურაცხყოფას და მეტი სხვას განსაკუთრებით კი იმას, ვინც ისინი აღზარდა.

**— თქვენ შეურაცხყოფილად იგრძენით თავი?**

— არა, იოტისოდენადაც არა, მითუმეტეს იქ ბობოხიძეზე უარესებიც ბევრნი არიან შეიძლება თავშეკავებულნი, მაგრამ ზნეობრივად უარესები.

ერთმა ექსპერტმა მითხრა, სპეციალურად ვუყურებ ამ ნაცისტების სამივე ტელევიზიას და დავრწმუნდი, რომ მისი ერთგულები თითზეჩამოსათვლელნი არიან. 20 კაციც კი ვერ შეიკრიბება ერთადო. უმრავლესობა კი, რომლებიც იქნებიან 116-117 კაცი, კარგად ერკვევიან იმაში, რაც ხდება. ბევრი მათგანი ელოდება იმ დროს, როდის დაუმთავრდებათ პარლამენტარობის ვადა. თუმცა, იმასაც კარგად ხვდებიან, რომ მათზე რეჟიმის კონტროლი არ დამთავრდება. რაკი ერთხელ მოხვდნენ მათ გუნდში, მათ ყოველთვის გააკონტროლებენ, მითუმეტეს, თუ ბიზნესი აქვთ.

როდესაც 27 მაისს დავით ფაცაციამ პირში მიახალა სააკაშვილს რომ — შენ ხარ მკვლელი, ნაძირალა და არაადამიანი და ამაზე პასუხს აგებო. ამის შემდეგ მე ვთქვი, რომ რაც არ უნდა ბევრი შეკრებები გამართონ ნაციონალებმა და აქონ და ადიდონ სააკაშვილი, იმ ერთი კაცის ერთი მართალი ფრაზა — გადაწონის მათ მთელ მოქმედებას, ვინაიდან ის თავგანწირვის ფასად იყო ნათქვამი.

**— ტელევიზიით არ ჩანდა, საუბარი შეგაწყვეტინეს, მაგრამ სათქმელი ვერ დაამთავრეთ, რისი თქმა გინდოდათ?**

— სათქმელი მე დავამთავრე, როგორც კი ჩაირთო მიკროფონი, ინციდენტი არც მიხსენებია, მაგრამ ვთქვი, რომ ყოველი დღე, სააკაშვილის რეჟიმის პირობებში, ეს არის დაკარგული დრო აფხაზებთან და ოსებთან დიალოგისა, მათი ნდობის, მეგობრობისა და სიყვარულის აღდგენისათვის. ყოველ დღეს ახალი მოაქვს. ის, რომ „რკინის ფარდა ჩვენს შორის აქედან შენდება“, ანუ ჩვენი იზოლაცია ხდება. პარლამენტის დარბაზში მოგვიწოდა ჯო ბაიდენმა, რომ ფართოდ გაუღეთ კარი თქვენს აფხაზებს და ოსებსო. ამის შემდეგ ევროგაერთინებამ მიიღო პროგრამა, რომ თბილისის მიღმა თვითონ იქონიონ ურთიერთობა ამ ორ რეგიონთან. ეს არ ნიშნავს მათი მხრიდან აღიარებას, არა. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთმა სააკაშვილის დახმარებით რასაც მიაღწია, მოინანიოს ბოლომდე.

მე მინდა დავამატო, რომ არა მარტო ლანგარზე დადებული მიართვა სააკაშვილმა რუსეთს აფხაზეთი და ოსეთი, არამედ მას შემდეგ ოფიციანტის პოზაში დგას და ყოველდღე ეუბნება — გემრიელად მიირთვითო. ამას აჩვენებს მისი მოქმედებები, ტრაგედიაა ის, რომ ამ ხელისუფლებას. საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებისათვის ყველაფერზე ხელი აქვთ აღებული და არაფერს არ აკეთებენ იმისათვის, რომ საქართველო ოდესმა გაერთიანდეს.

**— ბატონო პეტრე, სააკაშვილის მმართველობამ შეიძლება შეუწყო ხელი რუსეთის განმტკიცებას აფხაზეთსა და ოსეთში, მაგრამ, ვფიქრობ, ეს პროცესი უფრო ადრე გამიზნულად დაიწყო, უბრალოდ, ჩუმად მიმდინარეობდა და თვალშისაცემი არ იყო. ამ მიზნით არ ეწოდათ ამ რეგიონებს „სამხრეთ ოსეთი“, „ზემო აფხაზეთი“, რატომ დაყვეს ეს რეგიონები და განაცალკევეს ერთიანი საქართველოდან?**

— ტერმინი „ზემო აფხაზეთი“ თავად სააკაშვილმა შექმნა. მანამდე არ არსებობდა. შეგახსენებთ, რომ ვიდრე კოდორის ხეობაში სააკაშვილმა არ შეიყვანა სამხედრო ძალები და იქ არ განათავსა აფხაზეთის მთავრობა, რომელთაც იქ შესვლა მაშინ არ უნდოდათ, ვიდრე მან თავად არ განაცხადა კოდორში ჩასულმა, რომ იქ, ქვევით სხედან მშიერი „ჰიენები“ — აფხაზებზე თქვა, და სულ ცოტა ხანში თქვენი „მთავრობა აქედან იქ გადავა სოხუმშიო, მანამდე იქ დაძაბულობა არ იყო. ეს მისი



სიტყვები კი იყო კატასტროფული შეცდომა, რამაც შემდგომში ასეთი მძიმე შედეგები მოიტანა. უნდა გვახსოვდეს რომ აფხაზები კოდორის ხეობაში არ შესულან, იქ მოსახლეობას შეუძლია დაბრუნდეს, მაგრამ მათი შეფერხება ხდება აქედან. საქმე იმაშია, რომ ვინც დღეს აქედან თავის მშობლიურ კოდორში დაბრუნდება, იქიდან აქ ვეღარ ჩამოვა, იმიტომ რომ მას ჯაშუშად ჩათვლიან. ასევე უშლიან ახალგორელებს ჩავიდნენ თავიანთ სახლებში, მოინახულონ იქ მშობლები და ა.შ ახალგორიც ასე „მიაწებეს“ სამხრეთ ოსეთს. ფაქტობრივად, მაშინ ის ხალხი ძალით გამოდევნეს იმ ადგილებიდან. მათი ძალით გამოდევნეს იმ ადგილებიდან. მათში ძალით ჩააგდეს პანიკა, ჩოჩელი და სხვა ნაციონალები დადიოდნენ მეგაფონებით და ხალხს მოუწოდებდნენ, მიეტოვებინათ სახლები და წამოსულიყვნენ. არ იყო ეს „ლანგრით“ მირთმევა?

სააკაშვილის ხელისუფლებამ ვერ გაიგო რომ ნატოსა და ევროკავშირისაკენ „მსვლელობა“ შეწყდა, ეხლა უკუსვლით მივდივართ. თუმცა, არ სცხვენია ბარამიძეს, რომელიც ჰებელსის დონეზე იტყუება და აცხადებს, რომ ხორცის ფასი იმიტომ გაიზარდა, რომ ევროპული სტანდარტის სასაკლაოები მოეწყო, რომელიც ევროკავშირის მოთხოვნა იყოვო. ეს მტკნარი სიცრუეა, ვინაიდან მათი მონოპოლიაა ყველაფრის შუაში და არა ევროკავშირი. მეტსაც გეტყვით, როგორც ფაშისტების დროს იყო, რომ ფაბრიკები და ქარხნები ფორმალურად იყო დატოვებული და ნაცისტების იყო ყველაფერი ისეა დღესაც. ბიზნესმენები მხოლოდ თავიანთი ბიზნესის მენეჯერები არიან მხოლოდ და არა მეპატრონეები. ახლაც იგივეა.

ევროკავშირისათვის კარგადაა ცნობილი, რომ ინფლაცია საქართველოში განპირობებულია, მხოლოდ არასწორი ეკონომიკური პოლიტიკით და არა ევროკავშირის მოთხოვნით.

**— ამჟამად ახალი ფრაქცია შეიქმნა პარლამენტში. „ერთობა სამართლიანობისათვის“, რომლის შემადგენლობაშიც შეხვედით, რა მიზანი გაქვთ?**

— ფრაქციის შემადგენლობაში შევედი იმიტომ, რომ ფრაქციას უფრო მეტი ბერკეტი აქვს მუშაობისათვის, ვიდრე ცალკეულ დეპუტატს. მთავარი გაღიზიანება სწორედ ამანაც გამოიწვია, რის გამოც ჩემი შეურაცხყოფა სცადეს, თვითონ კი დარჩნენ შეურაცხყოფილნი. ისინი ფრაქციას ვერ მართავენ, ვერ აკონტროლებენ, ამიტომაც გაცოფდნენ.

ყველამ ის უნდა ვიღონოთ, რომ ჩაუშესკუს სისხლიანი სცენარი საქართველოში არ განმეორდეს.

**ეთერ კასრელიშვილი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# xelisuflebis axali `saukunis maqinacia~ agrarul Temaze

## ანუ როგორ იშოვა კვეზერელმა საექსპორტოდ ჰიბრიდული სიმინდი



ვიდრე საპარლამენტო პოზიცია და ოპოზიცია საკომიტეტო მოსმენაზე სიმინდის ტაროებით ხელში დარბოდა (კიდევ კარგი, ტაროებით ხელში და რამე უარესი არ დაემართათ), ჩვენ დავსხედით, ჩავიხედეთ ოფიციალურ სტატისტიკურ მაჩვენებლებში, ცალკეული მონაცემები გავამრავლეთ, გავყავით და გარკვეული შედეგებიც მივიღეთ, ისეთი, რომელიც ბევრ მნიშვნელოვან ამბავს გვეტყვის და ბევრ „საიდუმლოს" მოჰფენს ნათელს. სიმინდის ტარო არგუმენტი არ არის. ეს პოზიციამაც და ოპოზიციამაც კარგად იცის. რა არის არგუმენტი და სად უნდა ეძებონ, ეს კიდევ უკეთესად იციან. მაგრამ სამწუხაროდ, არ ეძებენ, რადგან მაშინ ხმაური და ცირკები აღარ გამოვა. შესაბამისად, ველარც საზოგადოება გაერთობა. ამის გარეშე კი დღევანდელი პოლიტიკური ელიტის ფასი ნულის ტოლია.

საპარლამენტო ცირკებზე მნიშვნელოვანი ის აფერაა, რასაც ხელისუფლება ჰიბრიდულ მარცვალთან დაკავშირებით ეწევა და რის შესახებაც გლეხები უკვე დაუფარავად საუბრობენ. ამჯერად ჩვენ კახეთის ამბებს მოგახსენებთ, თუმცა დარწმუნებული ვართ, სხვა რეგიონებშიც ანალოგიური სიტუაციაა.

### სიმინდში დამალული ძაღლისთავი

დავიწყოთ იმით, თუ როგორ უნდა ხელისუფლებას, დაგვაჯეროს, რომ ამერიკული სიმინდით ზღვა მოსავალი მივიღეთ და 100 ათასი ტონა მარცვალი ექსპორტზეც გავა. კომენტარების გარეშე შემოგთავაზებთ სტატისტიკურ მაჩვენებლებს და ვნახოთ, რამდენად წარმატებულია 2011 წელი ერთწლიანი კულტურებისათვის. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სიმინდის მარცვლის წარმოება არ იყო სახარბიელო, უკანასკნელი სამი წელიწადი კი მკვეთრი დაცემით გამოირჩეოდა. 2008 წელს წარმოებული იყო 328 ათასი ტონა სიმინდი, 2009 წელს – 291 ათასი, 2010 წელს – 141 ათასი ტონა. 2011 წლის სტატისტიკა ჯერ არ არსებობს, მაგრამ ოფიციალური სტრუქტურები უკვე ავრცელებენ წინასწარ მონაცემებს. ქართული საინფორმაციო სააგენტოების ინფორმაციით,



**„საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაციის ცხელი ხაზის მიერ ჩატარდა სიმინდის წარმოების ხელშეწყობის პროგრამაში მონაწილე იმ ფერმერთა გამოკითხვა, რომლებმაც სიმინდის მოსავალი უკვე აიღეს. სოფლის მეურნეობის კორპორაცია მოხარულია გაცნობოთ, რომ ერთ ჰექტარზე მაქსიმალურმა მოსავლიანობის დონემ 14 ტონა შეადგინა, ხოლო მინიმალურმა - 2.5 ტონა, საშუალო მოსავლიანობის დონე 1 ჰექტარზე 6.6 ტონას შეადგენს".**

მოგვიანებით იგივე კორპორაცია ავრცელებს ინფორმაციას, რომ „სიმინდის

**წარმოების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერმა, დავით ლობჟანიძემ, შეაჯამა პროექტის შედეგები. მან აღნიშნა, რომ სიმინდის წარმოებაში წამყვან რაიონს ლაგოდეხი წარმოადგენს. შეხვედრაზე კონსულტანტებმა ფერმერებს გააცნეს „პიონერის" რეკომენდაციები უკეთესი მოსავლიანობის მისაღებად. აღნიშნულ იქნა, რომ ქვეყნის მასშტაბით დათესილი ჰიბრიდის მთლიანი ფართობი (23 400 ჰა) საკმარისია მოსავლიანობის და გატარებული აგროპროცედურების შესაფასებლად".**

თუ ჰიბრიდული სიმინდი 23 400 ჰექტარზე დაითესა და საჰექტარო მოსავალმა საშუალოდ, 6,6 ტონა შეადგინა, გამოდის, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით, ჰიბრიდული სიმინდით მიღებული მოსავალი 154, 440 ტონაა. როგორც ხედავთ, ეს მაჩვენებელი ბევრით არაფრით აჭარბებს შარშანდელ მონაცემებს. ბუნებრივი კატასტროფების გამო, წელს ჩვეულებრივი წესით მოყვანილ მარცვლეულს ბევრი არაფერი მიუცია გლეხისათვის, ესეც ყველასათვის ცნობილია. მაშინ სად იშოვა კვეზერელმა ესქპორტზე გასატანი სიმინდი?

აი, ძაღლის თავიც სწორედ აქ არის დამალული. „საერთო გაზეთი" უკვე წერდა იმის შესახებ, თუ როგორ „მოტეხა" სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ამერიკიდან შემოტანილი მარცვალი, გლეხების უმეტესობას კი ადგილზე გადამუშავებული და უცხოდ შეფუთული თესლი შეასყიდეს ამერიკულის ფასად. ბუნებრივია, გლეხებისა და ფერმერების უმრავლესობა, ანუ 80 პროცენტი მაინც ამ პროექტით უკმაყოფილო დარჩა. რისთვის სჭირდებოდა ეს მანევრი ხელისუფლებას, ამ ერთი თვის წინ გაუგებარი იყო. მაშინ გამოვთქვით ვარაუდი, რომ სამინისტრომ დიდი ფული გააკეთა, რადგან იაფფასიანი ქართული მარცვალი ამერიკულის ფასად გაასაღა. ახლა შეგვიძლია ამ ვარაუდს დავუმატოთ ისიც, რომ ხელისუფლებამ ფულთან ერთად პიარიც გაიკეთა: ხომ ხედავთ, ქვეყანა შენდება, პირველად საქართველოს ისტორიაში სიმინდის ექსპორტს ვიწყებთო.

როგორც ჩანს, კვეზერელი შარშან შენახული ფუთების გახსნას იწყებს, უფრო სწორად, საზღვარგარეთ გატანას. იქიდან შემოტანილ ფულს როგორ გაიყოფენ, ეს უკვე პრობლემა აღარ არის. ცნობისათვის, საქართველოში სიმინდის ფქვილის ფასი თანდათან იზრდება და სამ ლარს უახლოვდება. ისეთი გასაგიჟებელი მოსავალი რომ იყოს, როგორც ამას ხელისუფლება აპიარებს, მჭადის ფქვილი ახლა ყველაზე იაფი პროდუქტი იქნებოდა. ეკონომიკას არ უყვარს გადახვევები და ყოველთვის ისე იქცევა, როგორც ამას ობიექტური კანონები მოითხოვს.

ასე რომ, ჰიბრიდული მარცვლით ხელისუფლებამ ორი კურდღელი დაიჭირა: როგორც თვითონ აცხადებენ, სიმინდის ექსპორტიდან 40 მილიონ დოლარზე მეტი შემოვა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საარჩევნო წლის დასაწყისში „დიდი აღმშენებლობის" შესახებ დიდი პიარი გაიკეთეს. ვერაფერს იტყვი, იციან ბიჭებმა მუშაობა!

### „სოკარი" ბუხრებიდან ამოსულ ბოლს დაითვლის?

კახეთში, ისევ კახეთზე უნდა ვისაუბროთ, რადგან ბოლო ორი თვეა, გამუდმებით გვიწევს იქ ყოფნა, გაზიფიკაციისა და გაზმომარაგების საკითხები, ძირითადად, კომპანია „სოკარის" კომპეტენციაა, რადგან ადგილობრივი ქსელების უმეტეს ნაწილს ეს კომპანია ფლობს. თუ ორი-სამი წლის წინ გაზის მიყვანა ოჯახებს 150 ლარი უჯდებოდათ, ახლა ეს სიამოვნება 500 ლარი გახდა და შესაბამისად, გართულდა კიდეც ახალი აბონენტების მოზიდვა. ამას ემატება ისიც, რომ სოფლებში, სადაც გათბობის სეზონი 7-8 თვე გრძელდება, მუდმივად გაზის გამოყენება ზედმეტად ძვირი საქმეა და მოსახლეობა ცდილობს, სულ



თუ არა, ნაწილობრივ მაინც შეშა მიაშველოს გასათბობად.

პარალელურად, სოფლის მოსახლეობა ხედავს, რომ შეშა გაძვირდა და ძნელი საშოვარი გახდა. ენერგეტიკის სამინისტროს ინფორმაციით, ივლისიდან ამოქმედდა ახალი წესები და მოსახლეობა შეშის მოპოვებისას, ზოგიერთი შეზღუდვისგან გათავისუფლდა. ახლა მოქალაქეს შეუძლია, იმდენი შეშა მოჭრას, რამდენიც სჭირდება. სამინისტროს განმარტებით, მოქალაქე ერთ კუბურ მეტრ შეშაზე ბანკში იხდის 6 ლარს (3 ლარი მომსახურების, 3 მოსაკრებელი) და სპეციალურად გამოყოფილი სოციალური ტყეკაფიდან შესაბამისი ოდენობის შეშა გამოაქვს. ამასთან, შეშის მოჭრის დრო შეზღუდული არ არის. შესაბამისი ბარათის აღების შემთხვევაში მომხმარებელს შეშის მოჭრა სასურველ დროს შეუძლია.

ამ თავისუფლების მიუხედავად, თითქმის ყველა რეგიონში შეშის დამუშავება გართულდა. უმრავლესობას ტყიდან საშეშე მასალის გამოსატანად მუშების დაქირავება უწევს, რაც საკმაოდ ძვირი ჯდება. დაბლობ ადგილებში ტყეების ძირითადი ნაწილი გაჩეხილია, ამიტომ მოსახლეობა იძულებულია, მთებში ავიდეს, რაც კიდევ უფრო აძვირებს პროდუქციას.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, პრობლემის მოგვარება ხელისუფლებამ ჩვეული მეთოდებით სცადა. ამ ხერხს ჩვენ „მეხანძრის სინდრომს" ვუწოდებთ. სადაც ცეცხლია, მიდი და მიასხი წყალი, მერე რა, თუ ხვალე უფრო უარესი ხანძარი შეიძლება გაჩნდეს?! როგორც კახეთის სოფლებში ლაპარაკობენ, „სოკარს" გადაწყვეტილი აქვს, გააკონტროლოს საკუთარი აბონენტების მიერ შეშის შესყიდვისა და გამოყენების ფაქტები. არა გჯერათ? ამ კითხვას კახელები ასე პასუხობენ: რაც ჭორად თქმულა, ყველაფერი გამართლებულა და ეს რატომღა იქნება ტყუილი?!

როგორ გააკონტროლებს გაზის კომპანია ამ სიტუაციას, ჩვენთვის ძნელი წარმოსადგენია. ოფიციალურად არავინ აკეთებს კომენტარს და პირად საუბრებში აცხადებენ, რომ სისულელეზე კომენტარი არასერიოზულია.

სოფლის მოსახლეობას პასუხი აქაც მზადა აქვს: ამბობენ, გაზის ინკასატორები მთელი დღის განმავლობაში დააკვირდებიან საკუთარი აბონენტების სახლებს და რომელი საკვამურიდანაც ამოსულ ბოლს დაინახავენ, იმ ოჯახს ჯარიმის ქვითრებით თავზე დაეცემიანო. ამ ვარაუდის სიმართლეში ეჭვი არ ეპარებათ და ზამთრის მოსვლას შიშითა და გულის კანკალით ელოდებიან. ლაპარაკობენ იმაზეც, რომ გათბობის უზრუნველსაყოფად, „სოკარი" აპირებს სპეციალური გამათბობელი ღუმელების დარიგებას. . . არც თუ იაფ ფასად. ადგილობრივების ინფორმაციით, შესაძლებელი იქნება განვადების გაკეთებაც, რადგან ერთდროულად ასობით ლარის გადამხდელი სოფელში ბევრი არ არის.

კიდევ ერთი არგუმენტი, რომელსაც კახელები იყენებენ საკუთარი ვარაუდების გასამყარებლად, ასეთია: რა, არ იკადრებენ? თუ ჯერ არ უკადრიათ?! ამ შემთხვევაში მკადრებელი ხელისუფლებაა, რადგან სოფლადაც კარგად მოეხსენებათ, რომ „სოკარის" მსგავსი ნებისმიერი კომპანია ხელისუფლების ნების იქით ნაბიჯსაც ვერ გადადგამს და რაც ნაცებისთვის სარფიანია, იმ გადაწყვეტილებას მიიღებს.

ჩვენის მხრივ დავამატებთ, რომ საეჭვოდ ემთხვევა ერთმანეთს სამინისტროს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მოქალაქეს შეუძლია, ნებისმიერი რაოდენობის შეშა აწარმოოს და ის ამბავი, რომ ტყეებში ამ ეტაპზე მოსაჭრელი ხეების დეფიციტია. მოჭრის თავისუფლებასა და მასალის დეფიციტს ხელისუფლება, ბუნებრივია, არაეკონომიკური მეთოდებით დაარეგულირებს, რადგან სხვანაირი მოქმედება მას არ სჩვევია. პიარისთვის ილაპარაკებს, რომ მოქალაქეებს სრული თავისუფლება აქვთ, შეისყიდონ და დაამზადონ შეშა, რამდენიც უნდათ, სინამდვილეში კი შესყიდვის მსურველებს გაზის კომპანიას დააყენებს თავზე იასაულივით და კარგი ბიჭი ხარ, მიდი და გაუმკლავდი!

SOCAR
ENERGY GEORGIA

მაინც ძალიან საინტერესოა, როგორ მოიქცევა „სოკარი" და რა სამართლებრივ საფუძველს მოუძებნის საკუთარ მოქმედებას?! უფრო საინტერესო კი ის გახლავთ, რომ კახეთის სოფლებში ეჭვიც არ ეპარებათ, ხელისუფლება რასაც უნდა, იმას იკადრებს. რას ვიზამთ, ადამიანები ცხოვრებაში ხანგრძლივი გამოცდილების მიხედვით აკეთებენ დასკვნებს.

**მანანა გეგიძე**



# `sukinsini~ `sukis sinebiT~ dakompleqtebuli saqarTvelos Zveli da axali xelisufleba vovas molodinSia!

2003 წელს, ჩვენი ეროვნული ჭირი „ნაც. მოძრაობა", ხელისუფლებაში სწორედ მაშინ მოეთრია, როცა რუსეთის დღევანდელი პრემიერი პუტინი, პრეზიდენტი იყო. ჰოდა, იმიტომ რომ სწორედ რუსეთის პოლიტიკური ავანტიურა გახლდათ ე.წ. „ვარდების რევოლუცია", კარგად უნდა გახსოვდეთ, ისიც რომ,

**მაშინ „ვარდოსანთა" ხელისუფლებაში მოსვლას პირადად აკონტროლებდა რუსეთის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი, დედით ქართველი და ქ.ახმეტაში გაზრდილი იგორ ივანოვი. ისიც გემახსოვრებათ, ამ ფარსის (რევოლუციას ვგულისხმობ) უკეთ შესანიღბად, ბატონი ივანოვი როგორ დაფრინავდა ქალაქიდან ქალაქში, როგორ გამოდიოდა სააკაშვილის მომხრეთა მიტინგებზე და როგორ „ევედრებოდა" ედუარდ შევარდნაძესა და ასლან აბაშიძეს გზა „დემოკრატიისთვის" დაეთმოთ.**

როგორც მოსალოდნელი იყო, კარგად გაწერილი შეთქმულება. (გეგმის უზუსტესი დეტალების ჩათვლით) წარმატებით დასრულდა და ხელისუფლებაშიც ის მოვიდა, ვინც ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან იწვრთნებოდა კიევის ელიტარულ „მწვანე ბატალიონში", ანუ კგბ-ს უშუალო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარისო ნაწილში და ვისაც გენეტიკურად მოსდგამდა ყოფილიყო ისეთი, როგორც მხოლოდ ჭეშმარიტი ჩეკისტი უნდა ყოფილიყოს. ალბათ, მიხვდით ვისზეც ვსაუბრობ, ხომ დიახ, მიხეილ სააკაშვილზე მოგახსენებთ ძვირფასო მკითხველო და ნუ დამიწყებთ, ძალიან გთხოვთ შეგონებას, რა შუაშია რუსეთი, ანდა „კგბ", როცა სააკაშვილი ამერიკელების და სომხური ლობის დახმარებით მოვიდა ხელისუფლებაშიო? დიახ, სააკაშვილი მართლაც სომხური ლობის დახმარებითაც მოვიდა ხელისუფლებაში, მაგრამ სომხეთის რესპუბლიკა ვისი მთავარი სტრატეგიული პარტნიორია სამხრეთ კავკასიაში?

ასე, რომ, სააკაშვილი რუსეთ-ამერიკის ერთობლივი „პროექტია", გეთანხმებით, მაგრამ, მოდით, იმაზეც შევთანხმდეთ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლაც რუსეთ-ამერიკის ურთიერთშეთანხმებით მოხდა და ამ ავანტიურაშიც სარგებელი ერთობლივად ნახეს ორმა მეგა სახელმწიფომ! როგორ? როგორ და ჰუმანიტარული ბიზნესისგან შემოსული მილიარდებით ფარმაბიზნესისგან შემოსული მილიარდებით, იარაღის ვაჭრობიდან შემოსული მილიარდებით და რაც ყველაზე მთავარია, რკინის კედლის გაღმა გასული ადამიანების იმედგაცრუებით —„აღქმული მიწის" მითის გარშემო იმათ სასარგებლოდ დამთავრდა, საიდანაც ეს ადამიანები გაიქცნენ თავის დროზე ანუ, საზღვარგარეთ გაქცეული „საბჭოთა მონების" ევროპელ და ამერიკელ მონებად ქცევის რეალობამ, წასულ ადამიანებში იმედგაცრუება გამოიწვია და მათ, დროთა განმავლობაში ისევ სამშობლოში ჩამოსვლის სურვილი გაუჩინა! საბჭოთა ადამიანებისათვის, ყოველ შემთხვევაში მორალის თვლსაზრისით, გარკვეული ჩარჩოები, საბჭოთა იდეოლოგიის წყალობით, ასე თუ ისე არსებობდა, მაგრამ „კედელს მიღმა" სულ სხვაგვარი ფასეულობების დანახვამ, მათში ზნეობრივი პროტესტი გამოიწვია და ამანაც განაპირობა ის, რომ მათი მენტალობა ამ კუთხით საფრთხის ქვეშ შეიძლება დამდგარი-



ყო. მოკლედ, სხვისი არ ვიცი, მაგრამ ჩვენმა „მონები" მართლაც დაფიქრდნენ ე.წ. „დასავლურ ღირებულებებზე" და იყნოსეს ის საშიშროებაც, რომელიც უცხოეთში გაზრდილ მათ შვილებს შეიძლება დამუქრებოდათ! თუ აკვირდებით, ჩვენგან წასული ემიგრანტების უდიდესი ნაწილი, შვილების გარეშეა გასული საზღვარგარეთ და მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სწავლა-განათლების ხარისხი ძალიან დაბალია, მაინც აქ ტოვებენ თავის შვილებს, რომ არ გადაჯიშდნენ და ის ევროპულ-ამერიკული სექსუალური „ღირებულებები" არ შეისისხლხორცონ, რომელსაც, როგორც ჩვენი რელიგია, ისე ეროვნული ტრადიცია კრძალავს!

აბა, დააკვირდით რისი ეშინია ყველაზე მეტად ქართველს და რაზე რეაგირებს უმალ? ეროვნულ ფასეულობებზე, თვითმყოფადობაზე, ეთნიკურ რიცხოვნობაზე და რელიგიის დაცვაზე, ხომ? „ამერიკელების ეგიდით" მოსულმა სააკაშვილმაც ხომ ამ ყველაფერს დაარტყა უმალ? ანუ ჰოდა, რომ დაარტყა, ქართულმა ქვეცნობიერმაც გადარჩენის ინსტინქტით, იმ მხარეს მიატრიალა გონი, საიდანაც, როგორც რელიგიური, ისე ფიზიკური დაცულობის თვალსაზრისით, ბოლო 80-90 წელი არაფერი დამუქრებია და პირიქით, პრივილეგირებულობის ამბიცია გაუჩინა. მოკლედ რომ გითხრათ, სააკაშვილმა ქართველების უდიდეს ნაწილს სწორედ „ამერიკელების" ეგიდით საბჭოთა ეპოქა მოანატრა და დიდი ალბათობით, აფხაზეთში, ცხინვალში და თბილისში ინსპირირებული ძმათამკვლელი ომებიც, ნაწილობრივ, ამ მონატრების წინაპირობა იყო, ოღონდ სხვა პრეზიდენტების მიერ დაწყებული!

ბევრი დამეთანხმება იმაში, რომ 2003 წლის ნოემბრის ავანტიურა ედუარდ შევარდნაძის გარეშე წარმოუდგენელი იყო, რადგან ბატონი ედუარდიც „კგბ"-ს მაღალჩინოსანია (ყოფილი კგბ-შნიკები არ არსებობენ) თუ ღრმად ჩავიხედავთ, ე.წ. შევარდნაძისტთა „საკრებულოში", უმალ დავინახავთ, რომ ბატონი ედუარდი თავის გარშემო, მხოლოდ და მხოლოდ იმ ადამიანებს იკრებდა, რომლებიც „კგბ"-ს კარგად ჰყავდა შესწავლილები, გამოცდილები და რაც მთავარია, უხერხული კომპრომატებით დახუნძლულები! მასთან შემთხვევით არავინ ხვდებოდა, დაწყებული სტუდენტით, დამთავრებული არტისტით. „მოქალაქეთა კავშირიც" ისე დააკომპლექტა, ძირითადი ბირთვი სულ ყოფილი ჩეკისტების და ყოფილი ჯალათების ბადიშიშვილები იყვნენ, მაგრამ იმიტომ, რომ, უფრო „დემოკრატიული", უფრო თანამედროვე ელფერი შესძენოდა „პერესტროიკის" შემდგომი ქვეყნების პოლიტიკურ იერსახეს, ახალგაზრდების მოზიდვაც დაიწყო და ნახეთ, ამ სეგმენტშიც რა „სახეების" წამოწევა დაიწყო ბატონმა ედუარდმა, პირადად მე, სულ რაღაც ორიოდე წლის წინ გავიგე, რომ ჟურნალისტი ინგა გრიგოლია თურმე სტუდენტობის პერიოდში „მოქალაქეთა კავშირის" წევრი იყო, ისევე როგორც, სტუდენტი ლევან ვეფხვაძე, მაგრამ აქ პერსონალებზე კი არ არის საქმე, არამედ იმაში, რომ „კგბ"-ეს გენერლის პარტიაში, ნიჭიერი ახალგაზრდების მოზიდვა-გადაბირების ფაქტები ხდებოდა და შემდეგ ამ ახალგაზრდებს, კარიერული აღმასვლის პარალელურად საჭირო დროს და საჭირო მომენტში ისე ათამაშებდნენ, როგორც მიზანშეწონილად მიაჩნდათ! ასევე „კგბს" გენერლის ედუარდ შევარდნაძის მარიონეტები იყვნენ და არიან ის ტიპები, რომლებიც 70-იანი წლების საქართველოში „ერის სახეებად" იქცნენ და რომლებმაც, 90 წლების სისხლიანი დაპირისპირების დროს, მეტად უარყოფითად წარმოაჩინეს საკუთარი თავები!

ქართველთა მტერი მიხეილ სააკაშვილიც ედუარდ შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირის" პირტიტველა ცრუ რაინდი იყო ჩეკისტი წინაპრებით რომ აღარაფერი ვთქვა გოკა გაბაშვილზე, მიშა მაჭავარიანზე, დავით ბაქრაძეზე, ხათუნა გოგორიშვილზე, ნინო ბურჯანაძეზე, ძმებ კუბლაშვილებზე და ყველა იმაზე, ვისი წინაპრებიც ერთგულად ემსახურენ საბჭოთა რეჟიმს და ვინც ქართველების სისხლის სმით, ჯერაც ვერ გამძღარა! შევარდნაძის უშუალო გარემოცვა იყო და არის დღემდე ის „ნაღები" საზოგადოებაც, რომლებმაც დაჩოქვისკენ მოუწოდეს ქართველებს რუსთაველის გამზირზე. მერე, რა, რომ მიშამ მათზე ერთხელ „ჩარეცხილები" თქვა? ტყვია ესროლა რომელიმეს თუ რა, ციხეებში გამოკეტა?

სამწუხაროა, და ძალზე საგულისხმო ის ფაქტიც, რომ ჩვენი ქართული მედიაც ჩათრეულია „სისტემის" კვლავ შემობრუნების საქმეში და რაც დრო გადის, ეს ისეთი აშკარა ხდება, დაფიქრებად ნამდვილად ღირს!

# mogenatraT vova? waikuzeT, mova!!!

თქვენ როგორ გგონიათ, კრემლში არ იციან ფასეულობათა გადაფასების ერთ-ერთი საუკეთესო ხერხი რა არის? ჩვენთან მიმართებაში რუსებმა მშვენივრად იციან, რომ ვერ ვიტანთ სიდუხჭირეს! ხანგრძლივად არ შეგვიძლია ომები იმიტომ, რომ ცოტანი დავრჩით და არ გვაქვს საკუთარი სამხედრო ინდუსტრია! გადავეჩვიეთ ჭრაქს, ე.წ. „კერასინკებს", ანუ გათბობის და კომფორტის გარეშე ცხოვრება არ შეგვიძლია! ვმერყეობთ და ვიხრებით „ვითარცა ლერწამნი" ქარის ნებისმიერი მიმართულებით! აღარ გვაქვს ეროვნული იდეოლოგია და რელიგიის საფრთხის შემთხვევაში კი იმათ მივაშურებთ, ვინც ჩვენი ერთმორწმუნეა და აბა, გამოიცანით, ჩვენს სამეზობლოში ვინ არის ასეთი?



**ყველა ქვეყნას თავის არჩევანში გაუმარჯოს, მაგრამ საქართველოს მოსახლეობა როდის უნდა მიხვდეს, ნეტავ, რომ შევარდნაძემდეც და მისი მეორე დაბრუნების დროსაც, ასევე 2003 წლის ნოემბერშიც დემოკრატიისათვის კი არ მიუციათ ხმა, არამედ „კგბ"-ს მისცეს!**

რატომ? ვიცი, იქუხებენ ახლა „ნაცებიც", „შევისტებიც", და ვაი „ოპოზიციონერებიც", მაგრამ მოთმინება, მოთმინება, „კნიაზებო"! გეტყვით, რატომაც: ჯერ ერთი იმიტომ, რომ თქვენ რომ ოკუპანტს ეძახით, სწორედ იმ ქვეყანას აუწიეთ „სატოპკე პადაჩა" 2008 წლის აგვისტოში, როცა საომარი ავანტიურა დაიწყეთ და რუსეთს მიეცით კარტბლანში მსოფლიო ბატონობაზე უფრო ხმამაღალი განცხადებები რომ გაეკეთებინა!!! დიახ, თქვენი ერთობლივი შეთანხმებით დაიწყო 1 დღიანი ომი და საქართველოს, როგორც ტერიტორიულ ერთეულს, კარგა მოზრდილი მიწის ნაჭერიც თქვენი ხელშეწყობით ჩამოაჭერით.

დიახ, სწორედ აგვისტოს ომის შემდეგ სულ რაღაც 3 თვეში, 31 დეკემბერს მიჰყიდეთ რუსეთს ენგურჰესი და იქამდე, ანუ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან ასხვისებთ მათზე წყალს, დენს, ჰექტრობით მიწებს, ოქროს საბადოებს, წიაღისეულ სიმდიდრეებს და ყველა სტრატეგიული ღირებულების ობიექტებსაც!

განა სასაცილო და იმავდროულად სატირალი არ არის ისიც, რომ ოკუპანტ ქვეყანას თბილისში ოკუპაციის მუზეუმებს უშენებთ და მეორე ხელით აძლევთ ამ ყველაფერს „ძვირფასო ნაცებო" და „ნაცების" ნაწყლში შემძვრალო „ოპოზიციონერებო? იქნებ, ამიტომაც გამოეცხადეთ მიშას მორატორიუმში? „კგბ"-ს გეგმის ნაწილია, აბა, რა ჯანდაბაა, როცა პარლამენტის ორგზის თავმჯდომარე, ორგზის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ბურჯანაძეც და ყოფილი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოლაიდელიც „ჩრდილოეთის დიდი დათვის თანავარსკვლავედიდან" ჩამოგიცვივდნენ ფეხებიდან და თქვენ დიდი უმრავლესობით ისინი ერთხმად აირჩიეთ ამ პოსტებზე?

განა სასაცილო და სატირალი არ არის „ძვირფასო" „ნაცებო" და „ნაცების ნაწყლებო" ის, რომ წარსულში თქვენი მამა-პაპანი, ჯერ შევარდნაძის ქვედა საცვლების დაუთოვებაში იტყავებდნენ ხელებს, ხოლო მოგვიანებით, ეს „საშვილიშვილო" მისია, ახლა თქვენ იტვირეთ სააკაშვილთან მიმართებაში და „დემოკრატიას" კი ქადაგებთ?

საერთოდ, ერთგვარი ტრაგი-კომედია არ არის ისიც, რომ ქვეყნის

იხილეთ „საერთო გაზეთი" ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# rodis mixvdebian qarTvelebi, rom xma demokratias ki ara `kgb~-s misces?

დაზვერვის შეფი ბეჟუაშვილი საგარეო საქმეთა მინისტრი, ვაშაძე თავდაცვის ყოფილი მინისტრი კეზერაშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრი, ვანო მერაბიშვილიც კი უცხო ქვეყნის მოქალაქეები გყავთ? (სხვათა შორის, ვანო მერაბიშვილს ორმაგ მოქალაქეობაზე ინფორმაცია ჩემთან ინტერვიუში რუსმა ჟურნალისტმა მაქსიმ შევჩენკომ მომაწოდა) ანდა ის, „ბუთხუზა" ბენდუქა რომ დანიშნეთ ეკონომიკის მინისტრად და მთელი საქართველოს უმდიდრესი ობიექტები, ორი ქვეყნის მოქალაქე მინისტრს რომ ჩაუთვალეთ ხელში.

ახლა „წვრილფეხობა" რა მოსატანია ამ სუფრაზე, მაგრამ კიდევ რამდენს გიდევთ ჯიბეში ორი პასპორტი, „ძვირფასო" ნაცებო, დათვლილი გაქვთ? ე.წ. ოპოზიცია რომ ფარულად და აშკარადაც, ჩრდილოეთისკენ გადახრილია ნაც. მოძრაობასთან, ანუ „მოქალაქეთა კავშირთან" ერთად, ესეც, ხომ ფაქტია? ის კი არადა, თბილისში ჩარჩენილი", მოსკოვში „პაკლონზე" ვერ ჩასულები რომ კბილებს აწკაწკაკებენ „ხაზიაინ ბარინ"-თან დაგვიანებული აუდიენციის გამო, რაშია ნეტავ საქმე? ე.ი. უფრო ნათლად რომ განგიმარტოთ: — თქვენი და მიშას ორბიტაზე მბრუნავი ოპოზიცია რომ რუსეთუმეები გყავთ და ერთად რომ აგრძელებთ კრემლის და „კგბ"-ს პრეზიდენტ სააკაშვილს, იქნებ გვიპასუხოთ ტყუილს ვამბობ თუ მართალს?

**2003 წლის ნოემბრის 23-ში ვინ გაგიღოთ პარლამენტის კარები და ვინ შეგიყვანათ ჟივილ-ხივილით სხდომათა დარბაზში, გახსოვთ?**

**თქვენ თუ არ გახსოვთ, მე მახსოვს და ახლავე გაგახსენებთ, ესენი იყვნენ —„სუკის", ანუ იგივე „კგბ"-ს „კადროვი გენერალი" ვალერი ხაბურზანია, „კგბ"-ს გენერალი ბადრი ბიწაძე და ასევე „კგბ"-ს გენერალი აწ გარდაცვლილი ავთანდილ იოსელიანი!**

ისიც კი მახსოვს, ძალიან რომ შეტოპეთ და სხდომათა დარბაზის ლეწვა რომ დაიწყეთ ნამდვილი რევოლუცია რომ გეგონათ თქვენი ჩეკისტური სპექტაკლი, ავთო იოსელიანმა რა სიტყვები უთხრა პირტიტველა „კგბ"-ს ვირთხა გიორგი არველაძეს (დღეს ტელეკომპანია „იმედის" შეფი): „დავაი ეხლა, თქვენს ხალხს მოკიდეთ ხელი და პარლამენტის წინ მიტინგზე დაითესეთო" — ავთო იოსელიანის და არველაძის დიალოგის, ამსახველი ფოტოც არსებობს და ეს ფოტო „ზურგიდან გადაღებული რევოლუციის" ფასდაუდებელი დოკუმენტური მასალის ბრწყინვალე ნიმუშია! „საერთო გაზეთის" მკითხველს ვპირდები, რომ ამ ფოტოს უახლოეს მომავალში აუცილებლად დავბეჭდავთ! აბა, „ნაცებო", იქნებ მიპასუხოთ, რა უნდოდა თქვენი რევოლუციის „კომანდირებად" მაშინ, ედუარდ შევარდნაძის და „კგბ"-ს ყურმოჭრილ ოფიცრობას? არ მითხრათ ახლა — „ჩვენს მხარეს გადმოვიდნენ და იმიტომო" თუ მართლა ასე გგონით, ასჯერ ვაი, თქვენს პატრონს! მაგრამ, სახალხოდ თუ არა, გულში ხომ სათითაოდ იცით ის, რომ — არც ერთი მათგანი არ იყავით ოკეანისგაღმელი „დემოკრატი" და სულ ყველა ერთად აღებულები მშობლიური „კგბ"-ს მიერ მეძავებად ქცეული არარაობათა „ერთიანი გუნდი" იყავით? რა მნიშვნელობა აქვს სტალინის ძეგლს დაანგრევთ თუ ვალოდია ლენინის ფიტულს დააფასებთ, ამით თქვენი წარსული და შინაგანი მწრამსი შეიცვლება?

თქვენი გუნდის წევრები იყვნენ ის ტვინგარეცხილი ქართველებიც, რომლებიც კუდში დასდევდნენ და ის ქართველებიც, რომლებიც ანაფორების ქვეშ, ბიბლიის ნაცვლად, ძერჟინკის ფიცის წიგნს მალავდნენ! სწორედ ამიტომაც არ მოვიდნენ მაშინ ახალი პარლამენტის საკურთხებლად და სპექტაკლი რომ იყო გასათამაშებელი 23 ნოემბერს, ესეც მშვენივრად მოეხსნებოდათ.



ძალიან არ მინდოდა 90-იანი წლების მოვლენებს შევეხებოდი, მაგრამ ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, აუცილებელია, რადგან იგივე „კგბ"-ს ხელი მაშინაც აშკარა იყო და მაშინაც უმაღლეს იერარქიებს, სწორდაც რომ „კაგებ"-შნიკები იპყრობდნენ!

არც მოჭორილს ვამბობ და არც არავის ნათქვამს არ ვიმეორებ. როგორც იტყვიან, სანდო წყაროსგან პირადად მომისმენია, რომ: „კგბ"-ს მიერ იყვნენ დავერბოვკებული კათოლიკოს პატრიარქი ილია II, აკაკი ასათიანი, ნემო ბურჭულაძე, თენგიზ კიტოვანი, თენგიზ სიგუა, ერთი ცნობილი პოეტი და სხვა უამრავი ადამიანი! რომელთა „კლიჩკებიც" კარგად ჩამრჩა მეხსიერებაში — „ჭოლა" ის პოეტი იყო, „ივერიელი" — პატრიარქი, „მალიში" — კაკო ასათიანი, „კილაძე" — ნემო ბურჭულაძე, „ხუდოჟნიკ" — თენგიზ კიტოვანი და თენგიზ სიგუას კი, მგონი „დოქტორს" და „აკადემიკ"-ს ეძახდნენ.

**გასაოცარია, რომ კაკო ასათიანი — „მალიში" გახდა ეროვნული მთავრობის პარლამენტის თავმჯდომარე და ისიც გასაოცარია, რომ მაშინდელი პარლამენტი და პრეზიდენტი „ივერიელად" წოდებულმა ილია II-მ აკურთხა. თავდაცვის მინისტრად „ხუდოჟნიკი" კიტუშა დაინიშნა და მთელი მთავრობა კი თენგიზ სიგუამ ჩაიბარა!**

ახლა, მოდით, იმაზე ვისაუბროთ, ამ 20-წლიანი ჯოჯოხეთური რკალიდან რატომ ვერ ვაღწევთ თავს? ამაზე პასუხი შალვა ამირეჯიბმა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში გასცა, როცა თქვა, რომ: „ერმა, რომელმაც 1801 წლს მონარქიაში დაიძინა, 1918 წელს რესპუბლიკაში გაიღვიძაო", მაგრამ რამდენად ორგანული იყო ეს გაღვიძება ქარველობისთვის, ამ მცირე, მაგრამ გენიალურად ნათქვამ ფრაზაშიც ნათლად არ იკითხება? ახლა, მოდით, 1921 წლის დაძინებაზე და 1991 წელს გაღვიძებაზე დავფიქრდეთ — ვიცით, კი ზუსტად, სად გავიღვიძეთ? ჰოდა, დღემდე რომ ვერ გაგვირკვევია — „დემოკრატიაში" ვართ, „ანარქიაში", „დეპოში" თუ საერთოდაც, ვიღაცის უკანალში, ეს არის მთავარი და თუ უფრო ფართოდ გავახელთ თვალს, უეჭველად დავინახავთ, რომ ისევ „კგბ"-ს ბრჭყალებში ვართ, ისევ კომუნისტები გვბატონობენ და ისევ იმ გზას ვტკეპნით, რომელზე გავლაც მართალია, კი გვინდოდა, მაგრამ ადგილიდანაც ვერ დავიძარით ბევრი ვაი ქართველი „მეგზურის" წყალობით!

**2012 წლის არჩევნები რუსეთში, პირდაპირ არის დაკავშირებული საქართველოს ხვალინდელ დღეზე. ვლადიმერ პუტინის მოსვლა ხელისუფლების სათავეში იმას ნიშნავს, რომ „კგბ"-ში თითქმის დაბერებული ვოვა, თავისი შორსმიმავალი ჩეკისტური იდეოლოგიით ჩვენამდეც მალე მოვა და ვისაც არ გჯერათ, დაგენიძლავებით!**

**იმაზეც დაგენიძლავებით, რომ სააკაშვილი აუცილებლად გადაინაცვლებს პრემიერ-მინისტრის სავარძელში და ვლადიმერ პუტინის დარად (იმიტომ, რომ ყველაფერში მას ბაძავს) მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭსაც იყრის „უკანშემოსაბრუნებლად" იქამდე კი, პრეზიდენტად ან გიგიშა უგულავას დააგდებს, ან დავით ბაქრაძეს, მაგრამ იმიტომ, რომ სულსწრაფია, ქვანიასავით ბოლოს მოუღებს რომელიმე მათგანს და სულ რაღაც რამდენიმე თვეში, კონსტიტუციური უფლებებით აღჭურვილი, კვლავ პრეზიდენტის სავარძლიდან დაგვეჭყანება!**



დღეს ჩეკისტების შთამომავალი, თვითონაც ჩეკისტი მიშა სააკაშვილი აღარც მალავს, რომ რუსეთთან მჭიდრო კავშირები გარდაუვალი რეალობა უნდა იყოს, მაგრამ უცბად ხომ არ მოგვახლის, აი, „მეც იმათთაგანი ვარ, თქვენ რომ არ გიყვართო?" ჰოდა, ამიტომაც მოსკოვში — კრემლში ხან ერთ კიკუს აგზავნის, ხან მეორეს, ხან — მესამეს და თვალს და ყურს გვაჩვევინებს იმას, რომ საქართველოდან ყველა გზა არა „ნატოში", არამედ „ნატაშების" ქვეყანაში მიდის, ე..ი. რუსეთში და თქვენ გგონიათ საქართველოში ეს ვინმეს ეწყინება?

ვლადიმერ პუტინის ხელმეორე რევანში მსოფლიოზე იმასაც გულისხმობს, რომ ძალიან მალე ვოვოჩკა მოდერნიზებული „საბჭოთა კავშირის" აღდგენასაც დაიწყებს და ვისაც არ გჯერათ, ამაზეც დაგენიძლავებით! ანდა რა შეუშლის ხელს? განა თითქმის ყველა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში (ჩვენი არ იყოს) „კგბ"-ს ერთგული კადრები არ ჰყავთ პრემიერებად, პარლამენტის თავმჯდომარეებად და პრეზიდენტებად? ანდა, რა უნდა თუნდაც ურჩების მორჯულებას? ერთი-ორი ჩვენნაირი გრძელვადიანი „კონფლიქტები", შუქის და გაზის „რიჩაგების" ჩამოწევა და მორჩა — შეკითხვები აღარავის გაუჩნდება, „კაკ მილენკიე ბეზ ვოპროსოვ" დაუწყებენ იქეთ ხვეწნას და მთელი ეს მასკარადიც ამით ამოიწურება!

„კი, მაგრამ მიშას რომ პუტინი „ადნო მესტოთი" დაკიდებას უპირებს, რანაირი ლოგიკაა, ან როგორ შეიძლება რუსეთ-საქართველოს მომავალზე ასეთი „ლაითი" მსჯელობით? შემომდავება ბევრი, მაგრამ ავიწყდება, რომ თვითონ პუტინსაც აღარ ემახსოვრება, ცოტა ხანი არც 2008-ში მსოფლიოს თვალის ასახვევად თქვა სააკაშვილის მისამართით და მეორეც, ვინც მედავებით თუ იცით ნეტავ, რომ სააკაშვილის მისამართით და მეორეც, ვინც მედავებით იმათ თუ იცით ნეტავ, რომ სააკაშვილის დედის ძმა, ისიც „კგბ"-შნიკი თემურ ალასანია კრემლის ოფიციალური წარმომადგენელია „გაეროში" და პუტინის უახლესი გარემოცვის წევრია? ახლა თქვენ მიპასუხეთ, რანაირი ლოგიკაა — მამასისხლად გადაკიდებულ „ოკუპანტთან" ოჯახის ერთი წევრი მეგობრობდეს, უზარმაზარი სახელმწიფოს წარმომადგენელი იყოს და მეორე წევრი კი „ადნო მესტოს" თამაშით იყო გართული და რუსეთს ჩუქნიდეს იმას, რაც ზემოთ ჩამოვთვალე, სტრატეგიული ობიექტების ჩათვლით?

**ხომ ცხადი და აშკარა, რომ სააკაშვილი „დიდ სამოკავშირეო ხელშეკრულებას" სწორედ პუტინის გაპრეზიდენტების პერიოდში მოაწერს ხელს? არ მოაწერს და მოაწერინებენ, ანდა ზუსტად ისეთ სცენარს გაათამაშებენ, ჩვენ რომ „ესენგეში" არ გვინდოდა, მაგრამ მაინც რომ შევედით!**

შესაძლოა, რუსეთის სამხრეთში განთავსებული პატარა საქართველოს გეოპოლიტიკური დანიშნულება, ბევრს გასიგრძეგანებული არა აქვს, მაგრამ პოლიტიის ანა-ბანის მცოდნეებს კარგად მოეხსენება, რომ რუსეთი ახლო აღმოსავლეთზე კონტროლს სწორედ საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის ტერიტორიებიდან ანხორციელებდა და ამ ტერიტორიებზე გავლენის სფეროს დაკარგვას არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს. ეს ისეთივე ჭეშმარიტებაა, როგორც ის, რომ 2012 წლის მარტის თვეში, პუტინის რუსეთის პრეზიდენტი გახდება და იმ „გეოპოლიტიკური კატასტროფის" შედეგების გამოსწორებას დაიწყებს, რომელზეც ასე დანანებით საუბრობდა პირველი პრეზიდენტობისას, უფრო ზუსტად კი სიტყვასიტყვით ამბობდა: „საბჭოთა კავშირის დაშლა, გეოპოლიტიკური კატასტროფა იყო მსოფლიოსთვისო", სადაც იქვე დაამატა, რომ „დიდი კატასტროფა და შეცდომაო!"

ასე, რომ ყველაფერი დღესავით ნათელია, პუტინმა თავისი პრეზიდენტობის პირველ ვადაში, ჯერ რუსეთის ჰიმნად ძველი საბჭოური ჰიმნი „სოიუზ ნერუშიმი" დაუკრა და დააბრუნა პოლიტიკურ „პლასტინკაზე", ახლა თვითონ ბრუნდება და „კატასტროფის" შედეგების ლიკვიდაციისთვისაც დაბერავს კუნთებს! (ანდა ვინ შეუშლის?).

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ რუსეთში ჩატარებული გამოკითხვებით მოსახლეობის დაახლოებით 52 პროცენტი, თურმე პუტინს უჭერს მხარს, შემდეგ, დაახლოებით 31 პროცენტი კომუნისტური პარტიის ლიდერს გენადი ზიუგანოვს და რა არის იცით აქ ყველაზე დამაფიქრებელი და საგულისხმოს? რა და ის, რომ „კგბ" და კომუნისტები შემთხვევით არ აღმოჩნდნენ რეიტინგულად უპირატესნი! ისე კი, ძალიან საინტერესო იქნებოდა კომუნისტური პარტია, ჩვენშიც რომ ფუნქციონირებდეს და არჩევნებშიც ღებულობდეს მონაწილეობას, ნეტავ, რამდენ ხმებს დააგროვებდა? თუმცა, რაღა დააგროვებდა, განა სულ მთლად ბოლშევიკ-კომუნისტებად დაჩეკილი ნეობოლშევიკები არ მოგრიალდნენ ხელისუფლებაში ამ ბოლო 20 წლის განმავლობაში? ეჰ, როგორ დავიღალეთ ამ მასკარადებით?

**„ეჰ ვოვა ვოვა, კაკ ნამ ხუიოვა"?**

**შენღა გვაკლდი ამ ძნელბედობის ჟამს და შენც მოდიხარ... აბა, ამის შემდეგ „იბერია" გაბრწყინდება, ამხანაგებო?**

**ისე, ამხანაგო „ნაცებო"! გაგეხარდათ ხომ პუტინის ხელმეორე გაპრეზიდენტების ამბავი? მალავთ, მაგრამ ზუსტად ვიცით, რომ გაგეხარდათ და რა მინდა იცით გითხრათ, თქვენც და იმათაც, ვინც სიხარულით შეხტა, მედვედევის განცხადების შემდეგ? ხომ გიყვართ და გინდათ, პუტინი ვოვა, წაიკუზეთ და უეჭველად მოვა!**

**ფუუ, თქვენი დედაც, თქვენი მშობლიური პარტიაც და მშობლიურ „კგბ"-ს — ჰასკაცა, ცავატანემ.**

**ირინე გოგოსაშვილი**







# cxedrebiT mofenili gza sapatriarqo taxtisken

*დიდი სჯულისკანონი, ნაწილი IX „ეპისკოპოსთა და სხვა სასულიერო პირთა ცოდვებისა და მსჯავრის შესახებ...“ თავი XXXIII: „სამღვდელო დასის წარმომადგენელთა ცოდვა თუ იცის ვინმემ და არ განაცხადოს:*

*ბასილი დიდის კანონი 71: „ვინმე მოწმე იყოს ყველა ზემოჩამოთვლილი ცოდვისა და თვითონ კი არ აღიაროს, არამედ სხვამ ამხილოს, რომ იცის ცოდვის შესახებ, იმდენ ხანს იყოს დასჯილი ისიც, რამდენ ხანსაც განკანონებული იქნება თვითონ ცოდვის ჩამდენი“.*

**(დასასრული)**

1984 წლის 16 ივლისით დათარიღებული წერილის ე.წ. „დამატებაში“ **მეუფე შიო (ავალიშვილი)** წერს: *„თუ ეკლესიაში არ იქნება დაცული ზნეობრივი სიწმინდე და პატიოსნება, სადღა უნდა იყოს იგი?*



მთავარეპისკოპოსი შიო (ავალიშვილი)

*თუ მღვდელი და მღვდელთმთავარი არაფრად ჩააგდებენ ეკლესიის არსებობის ამ გვერდშეუვალ პირობას — მაშინ ვის უნდა მოვთხოვოთ იგი? საქართველოს ეკლესიაში მიწასთან არის გასწორებული ყოველგვარი ზეობა. აქ არამცთუ ეწინააღმდეგებიან სიბილწეს, არამედ ცდილობენ, დააკანონონ იგი და ამ გზით გააუქმონ სჯულის კანონი, მოციქულთა და მსოფლიო საეკლესიო კრებათა დადგენილებანი...*

*ასეთ საქმეთა ფაქტების ნუსხა ძალიან დიდია, მაგრამ მრავალ მოსაზრებათა გამო ჩემი სიმდაბლე ამ ნუსხას მაშინ გამოაქვეყნებს, როდესაც შესაძლებელი იქნება ამჟამად არსებულ სიბილწეთა ამოშანთვა“...*

როგორც წერილებიდან ჩანს, მეუფე აპირებდა დაეწერა დოკუმენტური ნაწარმოები — „შვიდი წელი, რამაც შეძრა პატიოსნება“, მაგრამ მიტროპოლიტი ისე გარდაიცვალა, ამ ჩანაფიქრის განხორციელება ვერ მოახერხა.

წერილში კი იგი კათოლიკოს-პატრიარქს ილია II მიმართავს: *„მცხეთის სასულიერო სემინარია თქვენ და პატრიარქმა ეფრემმა ჩამოაყალიბეთ და თქვენ ბრძანდებოდით რექტორი 1973 წლამდე.*

*თქვენთვის ამ სემინარიისა და იქიდან გამოსული სტუდენტების ავლადიდება ისეა ცნობილი, როგორც ნათელი დღისა. ისიც ცნობილია, რომ (აქ გვარებია ჩამოვლილი, რომელთაგან ზოგი გარდაცვლილია, ზოგი დღეს, ეკლესიაში მოღვაწეობს. — ი.კ.) სემინარიაში მამათმავლობდნენ.*

*რაიპროკურატურის გამომძიებელ ბერიძეს აწ განსვენებული პატრიარქის დავით მეხუთის პირადმა მდივანმა გიორგი ცქიფურიშვილმა განუცხადა, რომ დავით მეხუთეს მამათმავალი სემინარიადამთავრებულებისთვის უთქვამს — სამღვდელო ხარისხში ვერ აგიყვანთ, რადგან მამათმავლები ხართო...*

*... 1976 წელს სოხუმიდან ჩამოვიდა მიტროპოლიტი ილია (შიოლაშვილი — ი.კ.) მან წაიყვანა მამათმავლები სოხუმში და იქ აკურთხა მღვდლებად“...*

1988 წლით დათარიღებული სემინარიის სტუდენტთა წერილი ინტერნეტით მოვიპოვეთ. ისინი ერთ საზარელ ფაქტზე მოგვითხრობენ.

***„ჩვენ რექტორს, ეპისკოპოს ზოსიმეს*** (ამჟამად წილკნისა და დუშეთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი) ***თავიდანვე შევატყვე ჩემდამი თბილი დამოკიდებულება. ამის შემდეგ დაგვიბარა მე და თ.ნ. (თემურ ნიქაბაძე- ი.კ.) და გამოგვკითხა სამხედროს ამბავი, ვინაიდან არც მე და არც თ.ნ.-ს არ გვქონდა სამხედრო სავალდებულო რიგები გამოვლილი. ეპისკოპოსის ჩემდამი ასე თბილი დამოკიდებულება მახარებდა და დიდი სიყვარული ჩავინერგე მისი ჩემს გულში. გავიდა სულ რამოდენიმე დღე და მოვიდა ჩვენს აუდიტორიაში აკადემიის სტუდენტი, რომელსაც საერთოდ არ ვიცნობდი (როგორც მერე გაირკვა, ეს იყო სემინარიაგამოვლილი და აკადემიის პირველი კურსის სტუდენტი მიხეილ ბოტკოველი, იგი იყო მუდმივი სტიქაროსანი ეპისკოპოსი ზოსიმესი) (დღეს მამა მიქაელ ბოტკოველი, რომელიც, როგორც ამბობენ, გარკვეული დროის განმავლობაში მეუფე ზოსიმეს პირადი მძღოლი იყო — ი.კ.) და გვკითხა... შენ ხარო ჯარში წასასვლელი? ვუპასუხე, დიახ-მეთქი და გამიკვირდა, ამან საიდანღა იცის-მეთქი. შემდეგ მეკითხება: მე არ მიცნობ? არა-მეთქი და მეუბნება: მე ვარ მეუფე ზოსიმეს რეფერანტი (მიხეილ ბოტკოველი — ი.კ.) 4 წელია. რა იმედები გაქვსო ჯარიდან დარჩენისო? მე ვუთხარი, არავითარი-მეთქი, მორჩილება თუ შეგიძლია? ყოველ შემთხვევაში, მაქსიმალურად ვცდილობ-თქო. და როცა ვკითხე, გავერკვიე, რაში იყო საქმე, ასე მითხრა: ნუ ჩქარობ, ყველაფერს მერე მიხვდებიო. შემდეგ ნახა თეიმურაზი და იგივე კითხვა დაუსვა. რა იმედი გაქვსო ჯარიდან დარჩენისო?“ და როცა თ.ნ.მ უპასუხა: მე მხოლოდ ღმერთის იმედი მაქვსო,***

***დაიბნა და ესღა უპასუხა: ღმერთის კი, მაგრამ, მარტო ღმერთის იმედი ხომ არ გექნებაო.***

*რის შემდეგაც თეიმურაზმა თავი აარიდა.*

*რექტორში თბილ დამოკიდებულებას ვპოულობდი, მაგრამ შინაგანად მაინც მრისხანე მეჩვენებოდა, რაც სტუდენტების მეტანიების გაკეთებით დაადასტურა. მან 40 მეტანია გააკეთებინა სტუდენტებს კაბინეტში, რამაც ძალიან აღმაშფოთა. უფრო ადრე, ლექციების შემდეგ დაგვიბარა რექტორმა მე და თ.ნ.-ს და გვითხრა: ხვალ კვირაა და სვეტიცხოველში მოდით წირვაზეო სტიქაროსნებადო. თქვენს მეტი არ მინდა არავინო. მეორე დილით 8 საათზე ვიყავი სვეტიცხოველში. სანამ ეპისკოპოსი ზოსიმე ჩამოვიდოდა, ჩვენ, მე და თ.ნ.-ს დაგვირიგეს სტიქრები და ველოდებოდით ზოსიმეს. მისი მძღოლი კი, რომელიც დიაკვანი იყო,*

***ეცვა დიაკვნის სამოსელი და საკურთხეველში მასხრად იგდებდა მღვდლებს.***

*ზოგიერთს, ვითომცდა ხუმრობით, ხელითაც ეხებოდა. ჩამოვიდა ეპისკოპოსი ზოსიმე და მღვდლები შეხვდნენ მას, როგორც წესია.*

***წირვის დროს, როცა ზოსიმე იდგა წმინდა ტრაპეზთან დიაკვანი იგივე ხულიგნობას ჩადიოდა მღვდლების მიმართ და ეპისკოპოსის წინ.***

*მე მიკვირდა ეპისკოპოსის, რომელიც სტუდენტებთან ასე მრისხანე იყო და აქ კი, საკურთხეველში, წმინდა ტრაპეზთან, ასეთი მიმტევებელი, რომ შენიშვნაც კი არ მიუცია. დიაკვანი კი განაგრძნობდა მაიმუნურ მანჭვას, თვით ეპისკოპოსსაც კი „ეჯღანებოდა“, რითაც დანარჩენ სტიქაროსნებს აიძულებდა, ეცინათ...*

*გავიდა ცოტა ხანი ერთხელ, როცა სვეტიცხოველში წირვა დამთავრდა, დაითხოვა ეპისკოპოსმა ზოსიმემ ყველა სტიქაროსნები ჩემ გარდა. მე ვიჯექი და შინაგანაც რაღაცას ველოდი, ვიჯექი და გაოგნებული ტელევიზორს ვუყურებდი. ზოსიმე მომადგა უკნიდან, მომხვია ხელები და თავზე მაკოცა. ერთიანად გავწითლდი და ყელში ბოლმა მომაწვა. შემდეგ, როცა ტელევიზორში გვაჩვენეს ძველი ქართული მარგალიტები, ასეთი სიტყვებით შემამკო: „შენც მარგალიტი ხარ“. შემდეგ, მომკიდა ხელი ხელზე და მითხრა, მოდი, მოგეფერო და შემიყვანა გვერდით სამზარეულოში და ისევ ალერსიანად მეუბნებოდა: „რა ჟუჟუნა თვალები გაქვს, გიშრის თმა გაქვს“ და სხვა. მე მეშინოდა, მეშინოდა იმის, რომ არაფერი მომეწია ამ გათახსირებულისთვის და დაჭერისთვის. როგორღაც ვაიძულე, მომშორებოდა.*

*ერთხელ, როცა ვთხოვე, სახლში გავეშვი (თავის დაღწევის მიზნით), გამანთავისუფლა — ორი დღე ვთხოვე და ორიც მე დავამატე. როცა ჩამოველი, გაბრაზებული დამხვდა. დამიბარა და მეუბნება, „ამდენი ხანი ავად იყავიო“. მეც ვუთხარი, სადაც ვიყავი და მაშინ მითხრა: „შვილო, ძველებს უთქვამთ, თუ რამეს ჯიბეში არ იგულებ, მანამდე არ იფიქრო, რომ ის შენია“. მე მივხვდი, რა ჯიბეზეც და რა რამეზეც იყო აქ საუბარი, სულ რამოდენიმე დღის შემდეგ დამიბარა და მეუბნება: შენ წაყევი მიხეილს (ბოტკოველი-ი.კ.) ბენზინზე, დაგტოვებს და მანქანა წამოიყვანეო. (ჩემი მართვის მოწმობის არსებობა ჯერ კიდევ მაშინ იცოდა, როცა მაისამდე დატოვება შემომთავაზა). მეც გავყევი მიხეილს, მიხეილმა რიგში ჩააყენა მანქანა და წავიდა. მე იმასაც ვხვდებოდი, რომ ჩემი მანქანასთან დაახლოებით ჩემი უფრო დაახლოება უნდოდა. ზოსიმემ შეადგინა თხოვნა პატრიარქის სახელზე, რათა აღეძრა რესპუბლიკის კომისარიატში შუამდგომლობა და მითხრა. „აი, ასე გადაწერე, შვილო, ლამაზად და სუფთად“. მეც დავწერე და მითხრა:*

***„ადექი და ეს თხოვნა შენ შეუტანეო, შემოგხედავს, დაგაკვირდებაო“.***

*მერე გადაიფიქრა, უმჯობესია, მე შევუტანოო, დამითხოვა ისევ ალერსითა და ამბორით. როცა ეს თხოვნა შეუტანა რექტორმა პატრიარქს, მითხრა, ლექციების შემდეგ (შეტანიდან რამოდენიმე დღის შემდეგ) შედი პატრიარქთან და პასუხი გაიგეო და მე აქ დაგელოდებიო. აუცილებლად ამოდი კაბინეტში და პასუხი გამაგებინეო. ჩემი პატრიარქთან ლოდინის დროს (საკმაოდ დიდი დრო გავიდა) ეპისკოპოსი ზოსიმე წავიდა მცხეთაში. ამასობაში ჩამოვიდა პატრიარქის რეფერანტი შორენა (გვარი არ ვიცი) და მითხრა — რომ მიმემართა ამ საკითხზე მამა იოაკიმესათვის. არ ვიცოდი მამა იოაკიმეს მისამართი (არც საპატრიარქოში იცოდნენ ზუსტი მისამართი) და ჩავედი მცხთაში, ზოსიმესთან, მისამართის გასაგებად. მივედი თუ არა სვეტიცხოველში, მაშინვე აღგზნებული პირუტყვივით მითხრა — აქეთ შემოდიო და კაბინეტში შევედით. შინაგანად რაღაცას ვგრძნობდი, რაც უნდა მომხდარიყო. ერთი გაფიქრება ისიც ვიფიქრე, თუ კიდევ ისეთი რამ გაიმეორა-მეთქი, აუცილებლად რაღაცას დავუსახიჩრებდი. ამის საშუალება მქონდა, გარშემო დაწყობილ შანდლებს რომ შევხედე, მაგრამ მაშინვე ისიც ვიფიქრე, ამ ბილწს მარტო ეკლესიისადმი მორჩილება არ ექნებოდა და აუცილებლად დამიჭერდა. მე დამსვა დივანზე და გვერდით მომიჯდა. დამიწყო ხვევნა-კოცნა (ეპისკოპოსი კაბით იყო)... ეს უკვე მეტისმეტი იყო და წამოვაგდე ფეხზე, მხოლოდ მაშინ მოეგო გონზე ავადმყოფი და ცდილობდა, მღელვარებისაგან არეული სახე დამშვიდებოდა. წამოვედი გაბრაზებული და ვფიქრობდი, ამნაირი არც ჯარიდან დატოვება მინდა და არც სწავლა-მეთქი. რა ვიცოდი, თუ აქ ასეთი სიბინძურე სუფევდა. ავიცრუე გული სწავლაზე და მცხეთიდან სულ ლანძღვა- გინებით ჩამოვედი თბილისში. ეს ამბავი გამხილდა თუ არა, მაშინვე კომისარიატმა გამომიძახა...*

***თბილისის სასულიერო სემინარიის პირველი კურსის სტუდენტი კ. რ. მცხოვრები. ქალაქ ზ-ში ცხაკაიას ქ. №X“*** (ტექსტიდან ამოღებულია სხვა საზარელი დეტალები).

აი, რას წერს ოთარ ფერაძეს, თეიმურაზ ნიქაბაძეს, მალხაზ სხილაძეს და კილაძეს (სემინარიის ყოფილ სტუდენტებს) ამ ამბის გახმაურების შემდეგ მარგველი **ეპისკოპოსი ქრისტეფორე** 1988 წლის 21 დეკემბერს:

*„მე მინდა, რომ ეს წერილი არ იყოს ოფიციალური, არამედ უფრო მინდა რჩევა-დარიგებითი იყოს. თქვენ იცით, რომ საქართველოს სასულიერო აკადემია რამოდენიმე ასეული წელიწადია არ ჰქონდა და დღეს ერთი წელიც არ გასულა მისი გახსნიდან. მისმა გახსნამ ერის შეგრძნებაში ფრიად ამაღლებული ძალა და შემართება შეიტანა. ყველა ქართველს გათვითცნობიერებულს თუ გაუთვითცნობიერებელს, სასულიერო აკადემია და სემინარია იმედად ესახება ქართული სულის, ქართული ზნეობის ასაღორძინებლად და რაოდენ სამწუხარო იქნება ქართველი ერისთვის იმის გაგება, რომ სემინარიაში და აკადემიაში სწარმოებს ახალგაზრდა სტუდენტთა გახრწნა. ამიტომ, მე გთხოვთ, არ გაახმაუროთ მომხდარი ამბავი, გირჩევთ, განაგრძოთ სწავლა და საიდუმლოდ ნახოთ კათოლიკოს პატრიარქი და სემინარიის რექტორი, რათა თვითონ გადაწყვიტონ ეს საქმე. თქვენ კი ეცადეთ, შეიძინოთ ცოდნა და მეტი სიწმინდე, რათა თქვენ გახდეთ მაგალითი ცოდნისა და სიწმინდისა ყოველთა ქართველთათვის და ახალგაზრდობისთვის, რომლებიც თქვენს სიახლოვეს იქნებიან.*

*გთხოვთ იყოთ მოთმინებით და ეცადეთ, ყველაფერში ზრდილობიანად სიწმინდით მოიქცეთ.*

***თქვენი ქრისტეფორე***
***ეპისკოპოსი მარგვეთისა***
***ქ.ზესტაფონი, ქრისტეშობის***
***სამლოცველო სახლი***
***21.XI. 88 წ.“***

ახლა იხილეთ ემიგრაციული ეკლესიის ქართული სამრევლოს მოძღვრის გიორგი სხილაძის წერილი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსისადმი.



**მეუფე ზოსიმე (დ. 1951, თბილისი) - წილკნისა და დუშეთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი.**

1972 - თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი;
1977 - მცხეთის სემინარია;
1976 - დიაკვნად კურთხევა;
1977 წლის 27 ივლისი - მღვდლად კურთხევა;
1981 - ბერად აღკვეცა;
1983 წლის 11 ოქტომბერი - ჭყონდიდელი ეპისკოპოსი;
1984 წლის 20 ივლისი. - წილკნელი ეპისკოპოსი;
1984-1989 - მცხეთის სემინარიის რექტორი;
1984-1994 - საგამომცემლო დეპარტამენტის თავმჯდომარე;
1996 - წიკნელი მთავარეპისკოპოსი.
კათედრა წილკანში, რეზიდენცია წილკანში,
დუშეთსა და თიანეთში.

## „საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ქორ-ეპისკოპოსს

*თქვენთვის, ალბათ, ცნობილია 1988 წ. თბილისის სასულიერო სემინარია-აკადემიაში გახმაურებული ამბავი, რომელიც დასრულდა იმ სტუდენტთა გარიცხვით, რომლებმაც სოდომურ ქმედებებში ამხილეს აღნიშნული სასწავლებლის მაშინდელი რექტორი – ეპისკოპოსი (აწ უკვე მთავარეპისკოპოსი)* ***ზოსიმე შიოშვილი,*** *იმ სტუდენტთა შორის ვიყავით ჩვენც.*

*აქამდე ველოდებოდით საქ. ეკლესიაში საეკლესო სასამართლოს ამოქმედებას (რაც, მოგეხსენებათ, ყველა ეკლესიას აქვს და ჩვენსასაც უნდა ჰქონდეს საეკლესიო სამართლის მიხედვით), რომ ეს საკითხი იქ დაგვესვა განხილვისთვის.*

*გიგზავნით ჩვენს ხელთ არსებულ მასალებს (მათ შორის რექტორის ხელწერილს), რომლებიც იმ დროს მომხდარ უმსგავსობას აღწერს და გთხოვთ, თქვენ, როგორც კათალიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსმა, დასვათ ეს საკითხი ან სინოდის სდომაზე ან სხვაგვარად გამოიძიოს (ან განგვიმარტოთ, ვის მივმართოთ ამისათვის) აღნიშნული ყოფილი რექტორისადმი (ის ხომ ამჟამადაც სინოდის წევრია) ამ მასალაში აღწერილი ბრალდება და ერთხელ და სამუდამოდ გაირკვეს, რა მოხდა სინამდვილეში.*

*დაე, ეს ყოფილიყო დასაწყისი საქართველოს ეკლესიის განწმენდისა როგორც მამათმავლებისაგან, ასევე მრუში, ნარკომანი, თამბაქოს მწეველი, უფლის სახელით მოვაჭრე თუ საიდუმლო პოლიციის თანამშრომელი მსახურებისაგან!*

**წინასწარ გიხდით მადლობას!**
**ულირსი მღვდელი**
**გიორგი სხილაძე –**
**ემიგრაციული ეკლესიის**
**ქართული სამრეკლოს მოძღვარი**

მიუხედავად იმისა, რომ მეუფე ზოსიმემ აღიარა ის, რაც ჩაიდინა და ხელწერილიც დაწერა: „თუ აღნიშული ხელწერილი იქნება დარღვეული, მიცემულ ვიქნე სისხლის სამართლის პასუხისგებაშიო“, ვერც მან გაიმეტა თავი და ვერც ეკლესიამ გაიმეტა იგი განსაკვეთად. მეუფე ზოსიმე სინოდის წევრია და იგი მთავარეპისკოპოსი ბრძანდება.


საქართველოს საპატრიარქო
ანდრია პირველწოდებულის სახელობის
მცხეთის სასულიერო სემინარია

ГРУЗИНСКАЯ ПАТРИАРХИЯ
МЦХЕТСКАЯ ДУХОВНАЯ СЕМИНАРИЯ
имени АНДРЕЯ ПЕРВОЗВАННОГО

ჩვენს ხელთ არის სხვა დაუზუსტებელი ფაქტები სინოდის წევრთა ამ სოდომურ ცოდვაზე, მაგრამ ახლა მოვერიდებით ამაზე ლაპარაკს.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით გამოცემულ საპატრიარქოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში **„ჯვარი ვაზისა“** ასეთი ცნობები მოვიპოვეთ.

**— „საპატრიარქოს საგარეო განყოფილების მოწვევით 3-16-დან 17-30 აპრილამდე საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა ვენის უნივერსიტეტის კათოლიკურ-თეოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პატროლოგიის პროფესორი, კათოლიკე მღვდელი, დოქტორი ერნსტ ქრისტოფ სუტნერი და მისი თანმხლები პირი – აღმოსავლეთის ეკლესიათა ინსტიტუტის თანამშრომელი, ავგუსტინელთა ორდენის წევრი, ვიუცბურგის მონასტრის წინამძღვარი მამა ცელესტინ პატოკი. ვიზიტის პირველ დღეს სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის ტაძრები და ესაუბრნენ ამ ეკლესიათა წინამძღვრებს, ხოლო საღამოს სიონის საპატრიარქო ტაძარში დაესწრნენ დიდი სამშაბათის ლოცვას“.**

***მოციქულთა 45-ე კანონი კი ამბობს: „თუ ეპისკოპოსი, მღვდელი ან დიაკონი მწვალებელთან ერთად ილოცებს, აეკრძალოს მღვდლობა, თუ ნება მისცეს მათ (ერეტიკოსებს), რომ შეასრულონ რაიმე სამღვდელო წესი, როგორც მღვდლებმა, განიკვეთოს“.***

გადავშალოთ კიდევ **„ჯვარი ვაზისა“**:

**— „დიდ ხუთშაბათს — ფეხთბანვის დღეს მამა ერნსტ ქრისტოფ სუტნერი და მამა ცელესტინ პატოკი თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძარში დაესწრნენ საღმრთო-სადღესასწაულო ლიტურღიას და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ხელიდან მიიღეს წმიდა ზიარება, ხოლო დიდ შაბათს — ლიტონიობის დღესასწაულზე საქართველოს ეკლესიის სასურველი სტუმრები სრულიად საქართველოს პატრიარქთან და სიონის ტაძრის სამღვდელოებასთან ერთად ღამის 12 საათიდან დილის 7 საათამდე აღავლენდნენ ლოცვებს ბრწყინვალე აღდგომის სადიდებლად“.**

***ანტიოქიის კრების II კანონი: „თუ ეპისკოპოსთა მღვდელთა, დიაკონთა ან სხვა სამღვდელოთაგან აღმოჩნდება ვინმე უზიარებელთა მაზიარებელი, ისიც უზიარებელი უნდა იყოს, როგორც საეკლესიო კანონებში არევ-დარევის შემტანი“.***

**— „პატრიარქმა ილია მეორემ ქ.ბერნში, ძველ კათოლიკურ ტაძარში, აღასრულა მწუხრის ლოცვა, რომლის შემდეგ უამრავი მრევლის წინაშე წარმოთქვა ქადაგება“ („ჯვარი ვაზისა“. 1981 წ. #1).**



**ილია II სიტყვით გამოდის „ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში“ ქ. ჟენევა.**

***„თუ ვინმე სასულიერო პირი ან ერისკაცი ურიათა ან მწვალებელთა შესაკრებელში შევიდეს სალოცავად, სასულიერო პირი განიკვეთოს, ერის კაცი უზიარებლობით დაისაჯოს“.***

**— „საქართველოს ვიზიტის დასასრულს ქართული ეკლესიის სტუმრები კვლავ შეხვდნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, რომელმაც კათოლიკური და მართლმადიდებელი ეკლესიების დაახლოების საქმეში სასიკეთო წვლილის შეტანისთვის ვენის უნივერსიტეტის პროფესორი მამა ერნსტ ქრისტოფ სუტნერი და ვიუცბურგის ტაძრის წინამძღვარი ცელესტინ პატოკი. დააჯილდოვა ოქროს ჯვრის ტარების უფლებით“.** (რაიმე ხომ არ გენიშნათ? – ი.კ.).

***წმიდა რუის-ურბნისის საეკლესიო კრების განჩინება:***

***„ყველა მწვალებელი შეჩვენებულ-იყოს! ყველა მწვალებლის საუკუნო იყოს წყევლა და დაუსრულებელი შეჩვენება!“***

**— „აქ საღამოს ჩვენც მივიღეთ მონაწილეობა. მორიგეობით გალობდნენ ანგლიკანები, შავკანიანები და ჩვენი დელეგაციის წევრები. გაიმართა კონცერტი (რელიგიური), შემდეგ მოვიდნენ შავკანიანები... ისინი გალობდნენ, რაც საერო სიმღერასაც მოგვაგონებდა: მთელი ტანით მოძრაობდნენ, რაც ცეკვასაც მოგვაგონებდა. ყოველივე ეს დიდხანს გაგრძელდა და დიდად კმაყოფილნი დავრჩით“ („ჯვარი ვაზისა“, 1983 წ.)**

***სასულიერო დასისთვის შეუფერებელი ქმედების ბრალმდებელი ლაოდიკიის კრების 54-ე და კონსტანტინეპოლის სამეუფეო პალატაში შეკრებილ მამათა 50-51 კანონები:***

***„მღვდლებმა და საეკლესიო დასის სხვა წარმომადგენლებმა არ უნდა უყურონ ქორწილში ან წვეულებაში წარმოდგენილ სანახაობებს, არამედ სანამ შემოვიდოდნენ მსახიობები, უნდა ადგნენ და წავიდნენ, სასულიერო პირთაგან ნურავინ მიეცემა შვება-თამაშს, სახუმარო სანახაობას, მგოსანთა როკვას, ხოლო თუ ვინმე დაარღვევს ამ კანონს... თუ ვინმე სასულიერო პირი იქნება იგი, განიკვეთოს“.***

ეს მხილებანი იმ პერიოდს ეკუთვნის, როცა კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრი და შემდეგ პრეზიდენტიც იყო. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ მას მკაცრ ბრალს სდებდნენ ეკუმენიზმში. იგი ამ საბჭოდან იძულებით გამოსვლის შემდეგაც აგრძელებდა და აგრძელებს მონოფიზიტ მწვალებლებთან შეხვედრებს სომხეთში მოლებთან – აზერბაიჯანში, კათოლიკეებთან, არის იეღოველთა შემწყნარებელი და ა.შ...

ნახეთ, რა განცხადება გაავრცელეს 2007 წელს ათონელმა ბერებმა, რომლებიც, როგორც ამბობენ, საიდუმლო, სპეციალური ვიზიტით იყვნენ ჩამოსული საქართველოში პატრიარქთან მას შემდეგ, რაც ეკუმენიზმში შემჩნეული კათოლიკოს-პატრიარქი კვლავ არ წყვეტდა კავშირებს მწვალებლებთან:

### ათონის წმიდა მთის ბერ-მონაზონთა განცხადება

**მართლმადიდებელი პირველი იერარქების და რომის პაპის ბენედიქტე XVI-ის შეხვედრასთან დაკავშირებით**

„...ათონის წმიდა მთის კინოტი წყენას გამოთქვამს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მართლმადიდებელი იერარქების რომის პაპთან „საეჭვო ურთიერთობა“ და ერთობლივი მსახურების დემონსტრირება არის მართლმადიდებელი ეკლესიის, როგორც ქრისტეს ერთადერთი ჭეშმარიტი ეკლესიის უგულველყოფა.

...საღვთისმეტყველო დიალოგი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რომ საერთო ლოცვის თანხლებით, საღვთისმსახურო შეკრებებზე მონაწილეობით, ერთობლივი მსახურებით, ან სხვა ქმედებებით აღესრულებოდეს – რომლებმაც შეიძლება შექმნან შთაბეჭდილება, რომ მართლმადიდბელი ეკლესია ცნობს რომაელ-კათოლიკეებს, ვითარცა სრულყოფილ ეკლესიას და პაპს – ვითარცა რომის კანონიერ ეპისკოპოსს. მსგავსი ქმედებები აცდუნებენ როგორც მართლმადიდებლებს, ასევე კათოლიკეებს, რომლებსაც მათდამი მართლმადიდებელთა დამოკიდებულებაზე მცდარი შეხედულება უყალიბდებათ.

**წმიდა ათონის მთის ყველა ოცი მონასტრის წინამძღვრის და წარმომადგენლის კრება. კარეია, 17.30 დეკემბერი, 2006 წელი.**

„ივერიის გაბრწყინება“,
№1 (50) აპრილი, 2007 წ.

იმ დიდი საეკლესიო ცოდვის გარდა, რაც როგორც აღმოჩნდა, ჩვენს ეკლესიებში აღესრულება – ურწმუნო ერეტიკოსთა, სხვა არაჭეშმარიტ რელიგიულ მიმდინარეობათა წარმომადგენლების ზიარება წინდა ბარძიმიდან, სასაჩუქრე ძღვენი პატრიარქს ერეტიკოსებისგან.

მამა ბასილ მკალავიშვილი ბროშურაში **„12 კითხვა ილია II-ს“** წერს: „ყველასთვის ცნობილია, რომ ხართ „სუკის“ თანამრომელი 1962 წლიდან ე.ი. ღვთისმსახური ჯაშუშობდი. გაქვს ფსევდონიმი „ივერიელი“ და შენი სააღრიცხვო ბარათის ნომერია 13565. ამ ფაქტიდან გამომდინარე, მოციქულთა მე-6 კანონისა და ქალკედონიის I- მსოფლიოს საეკლესიო კრების მე-7 კანონის დარღვევით შესდგომიხარ ამქვეყნიურ საზრუნავს და განკვეთასა და შეჩვენებას ექვემდებარები.

თეატრებში, სპექტაკლებზე დასწრებით უგულვებელყოფდი წმ. პავლე მოციქულის მე-6, მე-13 კანონს, ლაოდიკიის კრების 54-ე კანონს“ და .შ.

აგრძელებ სულიწმიდის მგმობელ მონოფიზიტებთან ერთობლივ ლოცვას, სტუმრად ჩადიხარ მუსულმანებთან, ევქარისტულ ერთობაში ხარ ქალთა მღვდლად ხელდამსხმელ და მამათმავალ მამაკაცთა ურთიერთქორწინების მაკურთხეველ „ეკლესიებთან“... დიდ სულიერ ერთობასა და მეგობრობას აგრძელებ კათოლიკეთა, ევანგელისტთა და ლუთერანთა ღირსების ორდენებით დამაჯილდოებელ საერო ხელისუფალთან...

... სამღვდელო ამალასთან ერთად მარხვაში ესწრები „საშობაო“ ნაძვის ხეზე გამართულ გართობა-მხიარულებებს“...

ყოველივე ამის შემდეგ კიდევ გიკვირთ, რომ საქართველოს ეკლესიის ბირთვმა – წმინდა სინოდმა ხმა რომ მისცა მართლმადიდებლობის შემზღუდველ და დამაკნინებელ კანონს?..

* * *

„საერთო გაზეთს“ არაერთი მცდელობა ჰქონდა საპატრიარქოს წარმომადგენლებს გასაუბრებოდა, მაგრამ მათ ეს არ ისურვეს. სამაგიეროდ, გვირეკავს უამრავი ადამიანი, გვსტუმრობენ, გვაწვდიან მამხილებელ მასალებს და დაჟინებით გვთხოვენ გამოვამზეუროთ ისინი, გამოვააშკარაოთ ქართულ ეკლესიაში არსებული პრობლემები, რომლებიც სასიკვდილო მახვილს ურტყამს მართლმადიდებლობას და ქართულ სახელმწიფოებრიობას.

როგორც ეტყობა, დადგა ჟამი მხილებისა. დრო დადგა ვაღიაროთ, რომ ქრისტიანობა არაა მხოლოდ წვერის გაზრდა და ანაფორის ფრიალი... ახლა, აი, სახეზეა ბევრი რამ და კომენტარი, ძვირფასო მკითხველო, თქვენთვის მოგვინდვია.

**ირანდა კალანდაძე**

**P.S. წერილი უკვე დაწერილი მქონდა, როცა სააგენტო „პირველის“ მიერ გავრცელდა ინფორმაცია, რომ პატრიარქმა მიიწვია ჟურნალისტები, დააჯილდოვა და დაარიგა: „არსებობს ქვყნისთვის საზიანო სიმართლე, რომელიც არ უნდა ითქვას და ის სიმართლე, რომელიც უნდა ითქვას, მთავარია, თქვენ – ჟურნალისტები, გულწრფელები უნდა იყოთ“, – უთქვამს უწმინდეს პატრიარქს.**

**მართალია, „საერთო გაზეთის“ ჟურნალისტებს არ გვრგებია პატრიარქთან ვიზიტის პატივი, მაგრამ, მიგვაჩნია, ეს ნიშნავს: „მულო გეუბნებიან, რძალო – გესმოდესო“ და კიდევ, აქამდე არ ვიცოდით, ამქვეყნად „ორი სიმართლე“ თუ არსებობდა...**

**ისიც ნათქვამია, „მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო“. მე არც ცხენი მყავს, არც სხვა სიმდიდრე მაქვს. რასაც ვწერ, ესაა ჩემი სიმართლე და „ვისაც ყური აქვს ისმინოს“...**

# „პოლიტიკის ობოლ ხიდზე, მიდის კაკო ბობოხიძე...



## `qarTveli xalxisTvis tyviebi maqvs nasroli~...

არცთუ შორეულ წარსულში იყო ასეთი პოეტი, — კალე ბობოხიძე, ანუ გულანთებული კომუნისტი, უდანაშაულო თუ დამნაშავე ადამიანების წამება-დახვრეტის ტაშისდამკვრელი, აქტიური პროლეტკულტელი:

„პოეზიის ობოლ ხიდზე,
კალე მიდის ბობოხიძე —
კალე უკან მისდევს ქალებს,
კალეს რაღაც უკანკალებს.
ის, რაც კალეს უკანკალებს,
იგი უნდა უკან კალეს...“

ცხონებული კალე კომუნისტი იყო, კაკო ბობოხიძე ნაციონალისტია.

კალე ბობოხიძე, ლექსის ავტორს თუ დავუჯერებთ, ქალებს დასდევდა, კაკო ოპოზიციონერობაში ეჭვმიტანილ კაცებს დასდევს.

აკაკი ბობოხიძე კიდევ ერთხელ გადაირია გასულ კვირას და სულ „იდიოტო-სირო-ახვარ-ნაძირალოს“ ყვირილით მიეჭრა პარლამენტის მიკროფონთან მდგარ პეტრე მამრაძეს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

ახლა, იმის კლასიფიკაციას, „ალიყური აჭამა“, „სილა უთავაზა“ თუ „თავში ჩააფეთა“ დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ცოტა ხნის წინ ზარზეიმით მიღებული კანონი, რომელიც ხელისუფლების წარმომადგენელზე თავდასხმისთვის სანქციების გამკაცრებას ითვალისწინებდა (სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლი) ვერ ამოქმედდება, რადგან მასში არაფერია ნათქვამი, თუ რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ორივე მათგანი ხელისუფლების წარმომადგენელია. ამას ისე, ქართული ხედვით ვამბობ, რადგან აკაკი ივანეს ძე ბობოხიძეს არავინ დაუქნევს თითს, თორემ ნორმალური ქვეყანა რომ ვიყოთ, ასეთი საქციელისთვის სანქციის ქვედა ზღვარი 7 წელია, ზედა კი 14 წელი. სხვა თუ არაფერი, ხულიგნობის ფაქტი ხომ სახეზეა, რაც 2-იდან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება. (ამ მუხლით, მაგრამ ჩაუდენელი დანაშაულისთვის 8 ადამიანი იხდის სასჯელს) არც იმის გახსენება იქნებოდა ურიგო, რომ „გორდი კაკოსგან“ განმეორებით ჩადენილი დანაშაული გვაქვს სახეზე, თუმცა, არცთუ მცირეოდენი განსხვავებით, — 2005 წლის 1 დეკემბერს, რეგიონალურ ტელეკომპანია „რიონში“ ჟურნალისტ ირაკლი იმნაიშვილს პირდაპირ ეთერში დებატების დროს თავს დაესხა და ცხვირი გაუტეხა.

ამ ინცინდენტს თუ შევადარებთ ბოლოდროინდელს, გამოდის, აშკარად არ უნდოდა მამრაძესთვის მძიმე ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება „გორდი კაკოს“, (ნაცმოძრაობის პარტიული სიით 28-ე) ისინი ხომ „ოდესღაც“ ერთი პარტიული სიით არიან პარლამენტში ერთად მოხვედრილები, მერე რა, რომ წინა ხელისუფლების სახელმწიფო კანცელარიის მამასახლისმა ბატონმა პეტრემ (ნაცმოძრაობის პარტიული სიით მე-19) 2008 წელს უგანა უმრავლესობას და ნოღაიდელისკენ, ანუ რუსეთისკენ მიიდრიკა პირისახე.

მოკლედ, ასეა თუ ისე, არამხოლოდ ჰეიდი ტალიავინი, მთელი მისი კომისია მზადყოფნაში უნდა იყოს, მაგრად უნდა ჩარაზონ ევროპის კარი „გორდი კაკოსთვის“, თორემ, ბიჭს ტვინში სისხლი ასხამს იმის გაგონებაზე, რომ რუსეთ-საქართველოს ომის მაპროვოცირებელი საქართველოს ხელისუფლებაა და ეშმაკმა უწყის „ქუჩის მოჩხუბრის“ რომელ ილეთს გამოიყენებს მათ ჭკუაზე მოსაყვანად.

უცნაური ბიჭია „გორდი კაკო“, სხვანაირად უცნაური, უცნაურად უცნაური...

„საქართველოში მსოფლიო არარსებულ სენს მკურნალობდა — ეთნოკონფლიქტებს ოსებთან და აფხაზებთან, სინამდვილეში კი, ეს პრობლემა საქართველოში არც ყოფილა, ამიტომ, არარსებული პრობლემის მოგვარება შეუძლებელი იყო. დღეიდან საქართველოში ნულიდან იწყება პრობლემის მოგვარების გადაჭრა — კონფლიქტი რუსეთსა და საქართველოს შორის“ — განაცხადა 2008 წლის 13 აგვისტოს „გორდი კაკომ“ და აბა, ამის მთქმელი კაცი უკანდამხევია?

ისე, უცნაური „გორდი კაკო“ ისეთი უცნაური რამეების მთქმელიცაა შიგადაშიგ, შეიძლება ყბა ჩამოუვარდეს მსმენელს თუ მკითხველს, — მსუბუქიდან დავიწყოთ. მაგალითად, გაგანია ზაფხულში ხორცი რომ კატასტროფულად გაძვირდა, თურმე ხორცის გაძვირებას ის სპეკულანტები ცდილობდნენ (ალბათ, ახლაც ისინივე ცდილობენ), რომელთაც მონოპოლიზებული ჰქონდათ თბილისის ხორცით მომარაგება და ხან ვირის, ხან ცხენის ხორცს ჰყიდდნენ. „სახელმწიფოს აქვს ორი ამოცანა, იყოს ხარისხიანი ხორცი და იყოს იაფიც, ერთდროულად ორივე ამოცანის გადაწყვეტა კი ვერ ხერხდება“, — მარტივად გაგვიმარტა „გორდი კაკომ“ მაგრამ იმედი არ დაიშურა, თვენახევარში ხორცი გაიაფდებაო და ლევან ვეფხვაძეს შეუტია, არ მინდოდა მეკადრებინა, მაგრამ მატყუარა ხარ, ხუთი სასაკლაოდან შემოდის ხორცი და არა ორიდან, ლოტკინელ სპეკულანტებს რას უყურებ, ვირის ხორცს რომ ჰყიდიანო. რატომ ვერ შეეპასუხა თბილისელი კაცი ხონელ „გორდი კაკოს“, ლოტკინზე ვირებს და ცხენებს რა უნდაო, — ამას ვერ ვხვდები, მაგრამ ლოტკინის კი არა, მთელი კახეთის ვირები და სრულიად საქართველოს ცხენები რომ არ ეყოფა იმ რაოდენობის ხორცის აქნას, რაც მხოლოდ თბილისის მომარაგებას სჭირდება, ამას რა დათვლა უნდა. (ნეტავ სოფელ გორდაში რამდენ კაცს ჰყავს ცხადში ნანახი ვირი?)

ჯანდაბას, დავუშვათ, საქართველოში ისე გამრავლდა ვირიც და ცხენიც, წვრილფეხა და მსხილფეხა საქონელი, მონაშენეები ველარ აუდიან ნამატის მიღებას, ხორცი რატომ არ გაიაფდაო, აუცილებლად იკითხავს ხორცსმონატრებული მკითხველი, მაგრამ პასუხს რომ ვერ მიიღებს, თვითონვე დაასკვნის, ჩეჩნეთიდან გადმოსული წითური მგლები შეჭამდნენ ჩვენებურ ვარდისფერ მგლებთან ერთადოო...

ვინ ცხენის ხორცს მიირთმევს, ვინ ვირის ტვინს, — არ ვიცი, მაგრამ „გორდი კაკოს“ ერთ დღეს, „ერთხელ და სამუდამოდ“ იმის თქმა მოუნდა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, რომ სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში მსჯავრდებულები სასჯელს მკვლელობისთვის არ იხდიდნენ „არა მარტო იმიტომ, რომ არ დავსაჯეთ, არამედ იმიტომ, რომ იქ, ამ ხალხის მიერ მკვლელობა არ მომხდარა. საქმეს მივცეთ სწორი კვალიფიკაცია და არა ის, რა საზოგადოებრივი აზრი გინდათ ჩამოაყალიბოთ ამ პროცესის მიმართ“, — განაცხადა მან სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე მსჯავრდებულების გათავისუფლების გამო ატეხილი ხმაურზე. (გემახსოვრებათ, პროტესტს მხოლოდ „გორდი კაკომ“ და ეკა ხერხეულიძემ უპასუხეს, ნუგზარ წიკლაურმაც კი „ინამუსა“!).

ენა უძვლოა — „ჩემს ოპოზიციონერ მეგობრებთან ერთად ქართველი ხალხისთვის ტყვიები მაქვს ნასროლი, ამიტომ, მათგან შენიშვნებს არ მივიღებ!... მე როცა ვამბობ, ქართველებს ტყვიებს ვესროდი-თქო, ვიღებ ჩემს პასუხისმგებლობას, მაგრამ ჩემი ავტომატი არასდროს დამიმიზნებია ქართველისთვის, თუმცა, ამას არა აქვს მნიშვნელობა, რადგან ეს ყველაფერი ჩვენ დავიწყეთ, ბიჭები გავუშვით ერთმანეთთან საბრძოლველად და ჩვენ კაბინეტებში ვისხედით. არ მჯერა ამათი დემოკრატობის! ისევე, როგორც 1990-იან წლებში დავატრიალეთ საშინელება, ესენი ხვალ რომ ხელისუფლებაში მოვიდნენ, კვლავ იგივეს იზამენ“, — განაცხადა 1990 წლის საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოსდროინდელმა დეპუტატმა „გორდი კაკომ“ 2009 წლის 23 მაისს ჩემი სეხნია ჟურნალისტისთვის მიცემულ სკანდალურ ინტერვიუში. როგორია? გამოვა მერე ვიღაც და დაიწყებს, ბობოხიძემ ვიღაცას ცხვირი გაუტეხა, ვიღაცას გაექაჩაო, ესაო, ისაო...

ვინც არ იცის, ახლა მაინც ისმინოს, „გორდი კაკომ“ ჟურნალისტს იმიტომ აძგერა მუშტი პირდაპირ ეთერში, რომ „დაიცვა საკუთარი და ოჯახის პატივი“ იმერეთის რწმუნებულის რანგში, ახლა კი, არავის ეგონოს, რომ პრეზიდენტს გამოესარჩლა, — მან საქართველოს პრესტიჟი დაიცვა იმ ხალხის სახელით, მთელ „ნაცებს“ რომ წყევლა-კრულვას უთვლიან დილა-საღამოს!

ერთი რამ ნამდვილად საინტერესოა, დავით კირკიტაძემ რომ დაცვის სამსახურის წარმომადგენელს უთაქა, (ძებისაშვილი იყო, მგონი, გვარად) საქართველოს პრეზიდენტმა გმირად გამოაცხადა და, ამ ანგარიშით, ბობოხიძეს სულ ცოტა ვახტანგ გორგასლის რომელიმე ხარისხის ორდენი მაინც ეკუთვნის პუტინთან მოპუტუნე მამრაძის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის.

ნეტავ, რას გადაწყვეტს ბატონი პრეზიდენტი, დაუფასებს თავდადებას თუ არ შეცვლის გაუხმაურებელ გადაწყვეტილებას და ბობოხიძესაც იმ ვირის აბანოს გზას გაუყენებს, სადაც მისი საახლობლო უკვე გაშინაურებულია? — რა ვიცი, ამბობენ, მიშას ფეხსაცმლის ჭვინტს იმიტომ ულოკავს, ამიტომ ჩაატარა კაკომ 10 წუთიანი გაქაჩვა, თორემ მიშაც ფეხზე ჰკიდია, საქართველოც და პუტინიცო...

„გორდი კაკომ“ მამრაძის გარდა ყველას ბოდიში მოუხადა, მაგრამ სეფე-სიტყვა დააგდო, თუ პარლამენტის დარბაზში მსგავს საკითხებზე საუბარი კიდევ იქნება, დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტას მოვითხოვ, ან საკუთარ ქმედებაზე პასუხს არ ვაგებო.

ოჰ, დიდი ამბავი! ტელეკოპანია „რიონში“ ხულიგნობის შემდეგ თუ გადადგა, ერთ მდინარეში მეორედ ვერ შევიდა თუ რა, შევიდა კი არა, გულადად შეტოპა და ფონსაც გავიდა...

მოკლედ, ბატონი პრეზიდენტი რომელ დღეს რომელ ფეხზე ადგება, კაკომ ინაღვლოს, მართლმსაჯულების აღსრულებაზე — პეტრე მამრაძემ. ჩვენ ის ვიკითხოთ, რაც გაუგებარია — კალე ქალებს რატომაც დასდევდა, — გასაგებია, ეს ბუნებრივია, მაგრამ კაკო რატომ დასდევს ოპოზიციონერობაში ეჭვმიტანილ კაცებს?

**მაია ჭელიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

*„მცხეთიდან ერთი კაციც კი არ წასულა ქართველთა მარშზე. არადა ამ რაიონში ფორუმს უამრავი მხარდამჭერი ჰყავდა. ხალხს ისე გაუცრუა იმედები ოპოზიციამ, კერძოდ კი „ეროვნულმა ფორუმმა“, რომ პოლიტიკის გაგონება აღარ უნდათ. მე თვითონ ამ პარტიის წევრი ვარ, საპარლამენტო არჩევნების დროს პარტიის კოორდინატორი ვიყავი, მაგრამ არც მე წავსულვარ ამ აქციაზე. მე თვითონ აღარ მჯერა ამ ხალხის და სხვას როგორ ვურჩიო ფორუმის მხარდაჭერა?“, – განუცხადა „საერთო გაზეთს“ მცხეთელმა* ***ნუკრი ქირიამ***.



# ratom toveben mcxeTelebi `erovnuli forumis~ rigebs?

## nukri qiria `erovnul forums~ erovnuli interesebis RalatSi amxels

მცხეთელების უნდობლობა და იმედგაცრუება არც გაგვკვირებია, რადგან საზოგადოებისგან იგივეს ხშირად ვისმენთ. ისიც ხშირად უთქვამთ „ეროვნული ფორუმი“ გაიყიდაო და მათ ერთ-ერთ დამფინანსებლად დონაძე-მერაბიშვილის ერთობლივი კომპანია „ეკოფუდიც“ დაუსახელებიათ. ამ ინფორმაციის სიზუსტეზე თავს ვერ დავდებთ, მაგრამ სულ უფულობაზე მოწუწუნე პარტიის ლიდერებს ძვირადღირებული ავტომანქანების საჭესთან რომ ხედავენ თბილისელები, ესეც ფაქტია. სხვათა შორის, ისიც გვითხრეს გუბაზ სანიკიძე ისეთი შავი „ჯიპით“ დადის, თბილისში სულ 2-3 თუ იქნებაო.

ნაციონალებსა და „ეროვნულ ფორუმს“ შორის დიდი სიამტკბილობა რომ სუფევს, გუბაზ სანიკიძის განცხადებაც მოწმობს, გიგი უგულავას ავიწროებენ, მის ინტერესში სულაც არ შედიოდა ე.წ. მარშრუტკებით მგზავრობის გაძვირებაო. საინტერესოა ნაგვის გადასახადის დენის გადასახადზე მიბმა და საბავშვო ბაღების გაძვირება ვილას ინტერესებში შედის, ნეტავ კიდევ ხომ არ ხდება უგულავას შევიწროება? საზოგადოებას ისიც ახსოვს, როგორ უარყოფდნენ ფორუმის პარტიული ბოსები პოლიციის მიერ აბსურდული ბრალდებით დაჭერილ ფორუმელებთან თუ მხარდამჭერებთან რაიმე კავშირს, ეგენი ჩვენი წევრები არ არიანო. რატომღაც ძალზე ასაიდუმლოებენ მათი წევრების დაჭერის ამბებს, ეტყობა „ქვეყნის ხერხემალ“ მერაბიშვილის განაწყენებას ერიდებიან. მაისის აქციების დროს თელავის რაიონში დაკავებული ერთ-ერთი ფორუმელის შესახებ პარტიის წევრებმაც მაშინ შეიტყვეს, როცა ამ კაცს 3-თვიანი ადმინისტრაციული პატიმრობა უკვე მოხდილი ჰქონდა.

„მფრინავ“ პოლიტიკოს აკაკი ასათიანთან „დამეგობრებამ“ ხომ სულ მთლად ბოლო მოუღო ფორუმის ისედაც დამცრობილ რეიტინგს. კაკო ასათიანი ჯო ბაიდენს კარგად იცნობს, ამიტომ მასთან კავშირი ჩვენთვის მომგებიანიაო, ასე აუხსნიათ დამეგობრების მიზეზი პარტიულ ბოსებს.

**ნუკრი ქირია**: „ამ აქციაზე მარტო მცხეთიდან კი არა, მთელი რეგიონიდან არავინ წასულა. დუშეთისა და ყაზბეგის კოორდინატორებისგან ვიცი, რომ არავინ წავიდა. ძალზე ნაწყენია ხალხი. განსაკუთრებით იმან გაგვალიზიანა მაისის აქციებზე რომ არ მოვიდნენ ფორუმის ლიდერები. ამ აქციებზე უამრავი ფორუმელი ვიყავით, დარბევაშიც მოვყევით. ხალხს დიდი მოლოდინი ჰქონდა, რომ ფორუმის ლიდერები მოვიდოდნენ, აკი ბრძანეს, მართალია „სახალხო კრებიდან“ გამოვედით, მაგრამ საპროტესტო აქცია თუ იქნება, ხალხის გვერდით აუცილებლად დავდგებითო, თუმცა დაპირება დაავიწყდათ. მერე კი მოიწონა თავი გუბაზ სანიკიძემ, 26 მაისის აქციაზე ყველაზე მეტი ფორუმელი იყოო, მაგრამ ამას თავის დამსახურებად ნუ ჩათვლის.

სულ არ ვაპირებდი პოლიტიკაში ჩართვას, მაგრამ ქვეყანაში გამეფებულ უკანონობის ყურება ვერ ავიტანე. საპროტესტო აქციებზე სისტემატურად დავდიოდი. იქ გავიცანი რეზო შავიშვილი, რომელიც მართლაც პატიოსანი ადამიანია და გადავწყვიტე გაერთიანებულ ოპოზიციას გვერდით დავდგომოდი. სხვათა შორის, „ეროვნული ფორუმის“ დაფუძნებაში მეც მივიღე მონაწილეობა.

**- მაინც რატომ გაგიჩნდათ „ეროვნული ფორუმის“ მიმართ ასეთი მწარე უნდობლობა?**

- მცხეთაში საპარლამენტო არჩევნებს, როგორც ჟურნალისტი თქვენც ესწრებოდით და ხედავდით, რა ზეწოლა იყო კომისიის ოპოზიციონერ წევრებზე და დამკვირვებლებზე. ისიც გეხსომებათ როგორ მოუწოდეს ჩვენი საარჩევნო შტაბიდან წარმომადგენლებს უბნების დახურვის წინ, დატოვეთ მანდაურობა და შტაბში დაბრუნდითო. შტაბის თავმჯდომარე ირწმუნებოდა სატელეფონო ზარები ამ მოთხოვნით გაერთიანებული ოპოზიციის ცენტრალური ოფისიდან იყოო, თუმცა მერე ყველა პარტიამ ხელები დაიბანა ჩვენ არ მოგვითხოვია უბნების დატოვებაო, ერთმანეთს აბრალებდნენ. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ დამკვირვებლები შეგნებულად გამოიყვანეს, რითაც „ნაციონალებს“ გაყალბება გაუადვილეს. მცხეთაში სასამართლოთი მაინც ვიდავეთ და სამი უბნის შედეგების გაუქმებას მივაღწიეთ, მაგრამ რატომღაც ბრძოლის გაგრძელება აღარ ისურვეს. პირველი ეჭვიც სწორედ ამ დროს გამიჩნდა.



ან 2009 წლის აპრილის აქციების დროს რაც გააკეთა ფორუმმა იმას რა გამართლება უნდა მოუძებნო? რომ იტყვიან დუღილის პროცესში ყველაფერი მიატოვეს და რეგიონებში მოკურცხლეს. ამათი ინფორმაციის მიწოდება ვის ჭირდებოდა, როცა ისედაც ხალხმა ყველაფერი იცოდა. მთელი რეგიონების მოსახლეობა აქ იყო ჩამოსული და ესენი ვისთან წავიდნენ, ვერ გავიგე. მაშინ უკვე დადიოდა ხმები, რომ ფორუმმა თავისი აიღო და წავიდაო, მაგრამ არ მინდოდა დაჯერება.

მერე იყო ადგილობრივი არჩევნები, რომელში მონაწილეობაზეც ფორუმმა უარი განაცხადა. მე ამის კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი, ხალხიც ძალზე უკმაყოფილო დარჩა. უარის მიზეზად დაასახელეს, მაინც გაგვიყალბებენო. გვებრძოლა და ვერ გაგვიყალბებდნენ. გუბაზ სანიკიძე რომ აცხადებს, ყველა არჩევნებში მივიღებთ მონაწილეობასო, ახლა რისი იმედი აქვს, აღარ გაუყალბებენ? მცხეთის რაიონში ისეთი მხარდაჭერა გვქონდა ფორუმს აუცილებლად უნდა მიეღო არჩევნებში მონაწილეობა. ხალხი მოდიოდა და მეკითხებოდა რატომ არ იღებთ არჩევნებში მონაწილეობას, აბა, ხმა ვის მივცეთო.

ამ ყველაფრის შემდეგ ხალხი მაინც გვენდო. საარჩევნო გარემოს შეცვლაზე როცა დაიწყეს საუბარი 1700 ხელმოწერა ჩავიტანეთ მცხეთის რაიონიდან, სხვათა შორის ბევრმა ნაციონალმაც მოგვიწერა ხელი. კარდაკარ დავდიოდი, ბევრს შეეშინდა, მხარს კი გიჭერთ მაგრამ კაცი არ ჩამოსულა, რომ ხალხისთვის მხარდაჭერა გამოეცხადებინათ. საერთოდაც ჩვენ თვითონ თუ ჩავიდოდით ცენტრალურ ოფისში, თორემ ხალხთან შესახვედრად არასდროს მოსულან, რომ ის მაინც ეკითხათ რა უჭირთ და რას ფიქრობენ.

რა პროგრამა აქვთ, რას გეგმავენ და აპირებენ ვერაფერი გავიგეთ. მათმა წინ და უკან სირბილმა ხომ სულ დამაკარგვინა მათ მიმართ ნდობა. ამ ყველაფრის შემდეგ რეზო შავიშვილს, რომ ვკითხე ახლა რალას აპირებდნენ, მიპასუხა თუ ვერაფერს მივაღწიეთ, ე.ი. არ ვვარგებულვართ, ჩამოვართვათ ნაციონალებს ხელი და გამარჯვება მივულოცოთო. მგონი ძალზე დამამშვიდებელია პასუხია არა?

ტელევიზიით რომ აცხადებენ ფორუმის ლიდერები ყველაფერი კარგად არისო, არ არის ასე საქმე. ტყუილად ჰგონიათ, რომ ბევრი მხარდამჭერი ყავთ. ვფიქრობ, ეს 27 სექტემბერმაც დაადასტურა. იცით, ამ „მარშზე“ მცხეთელებმა რა თქვეს? ფორუმის ლიდერებმა საკუთარი ცხოვრება კარგად მოიწყვეს, ახლა საშემოდგომოდ ხალხი წიწილებივით დასათვლელად გამოყავთ, რომ ვისაც კიდევ შერჩა პროტესტის გრძნობა, ისინიც გააშიფრინონ და დააჭერინონო.

ხელს ვერ მოგიწერთო. სწორადაც მოიქცნენ.

რატომ?

ეს სიები ხომ ხელისუფლებას მიუტანეს, სადაც საარჩევნო გარემოს შეცვლის მსურველთა ყველა მონაცემი იყო. პარლამენტმა ამ ხელმოწერების ნოტარიული დამოწმება მოითხოვა, რაც უზარმაზარი თანხა ჯდებოდა და ამ გაჭირვებულ ხალხს საიდან უნდა მოეტანა ეს ფული? ეს ყველაფერიც ჩაფლავდა, მაგრამ ის სიები ხომ დარჩა, მოკლედ, უშიშროებას მუშაობა გაუადვილეს. მერე წავიდა ამ ხალხზე ზეწოლა. ამ ხელმოწერებს როცა ვაგროვებდი, არაერთხელ მითქვამს ფორუმის ხელმძღვანელებისთვის, რომ ამ ხალხს დარტყმის ქვეშ ვაყენებდით. ორ კვირაში ვიწყებთ აქტიურ მოძრაობას, ასე რომ ვერც მოასწრებენ მათთვის ხელის მოკიდებასო. რა მოძრაობაც დაიწყეს ყველამ კარგად ვნახეთ. თუ არაფერი უნდა გაეკეთებინათ, ამ ხალხს რაღას ერჩოდნენ. ბევრი ისე იყო შეშინებული ვერც ამხელდა რა ზეწოლის ქვეშ იყო. მხოლოდ ძალიან ახლობლებმა მითხრეს, დაგვიბარეს და გაგვაფრთხილეს „ეროვნულ ფორუმს“ ახლოს არ გაეკაროთო. ჩემზეც დიდი ზეწოლა იყო, ჩემს მეგობრებსაც კი აუკრძალეს ჩემთან ურთიერთობა. ეს ყველაფერი გავაგებინე ლიდერებს. მათ ტელევიზიით კი გააკეთეს ზოგადი განცხადება, მაგრამ ადგილზე

რაც შეეხება იმ აზრს, რომ ფორუმი გაიყიდა და ხელისუფლებასთან არის „შეკრული“ ეს ჩემთვისაც არაერთხელ უთქვამთ, „ნაციონალების“ ბიზნესში ფორუმის ლიდერებს წილები აქვთ, სანიკიძეს საკუთარი „ცეხებიც“ აქვს, თუ ხელისუფლებასთან არ არის დაახლოებული, ისე ვინ ამუშავებსო. ერთმა ნაცნობმა ნაცმოძრაობელმა ისიც მითხრა, რომ ამ ზაფხულს, რომელიღაც ნაციონალის, მგონი პარლამენტარის ქორწილში, რომელიც მან თურქეთში გადაიხადა, გუბაზ სანიკიძეც იყოო. ის ღამე ძვირადღირებულ სასტუმროშიც გაუტარებიათ. სიმართლე გითხრათ, ასეთ რაღაცეებს რომ ვისმენ, ძალზე მწყინს, რადგან მეც ამ პარტიის წევრი ვარ. გაყიდვაზე უფრო ის მგონია, რომ, ეროვნულმა ფორუმმა“ პოლიტიკურად ვერ „გაქაჩა“, ძალა და ჭკუა არ ეყოთ. ფაქტია, რომ ვერაფერი გააკეთეს და ხალხს მწარედ გაუცრუეს იმედი, რა მიზეზით მოხდა ეს, ამას უკვე აღარც აქვს მნიშვნელობა.

**მანანა ხუციშვილი**

## თურქეთში წიგნი „სამხრეთ ოსეთი. გენოციდი“ გამოვიდა




**თურქეთში გამოიცა ფატიხ ტვანბას წიგნი, სახელწოდებით „სამხრეთ ოსეთი. გენოციდი“. ამის შესახებ „აპსნი პრესი“ იუწყება. წიგნი 2008 წლის აგვისტოში განვითარებულ მოვლენებს ეხება და თურქულ ენაზეა დაბეჭდილი. წიგნში რუსულ და თურქულ მედიაში გამოქვეყნებული, სხვადასხვა მასალა შევიდა. წიგნს თან დართული აქვს 2008 წლის აგვისტოში, ცხინვალში განვითარებული მოვლენების ამსახველი ფოტომასალა. ფატიხ ტვანბა გარდა აღნიშნული წიგნისა, კიდევ ორი წიგნის ავტორია. ესენია: „აფხაზები თურქეთში“ და „კავკასია-აფხაზეთი. სოლიდარობის კომიტეტი. 1992-1993 ერთი ეპოქის ანატომია.“ მან ინტერნეტ გვერდიც (http://www.abhazyam.com/) შექმნა, სადაც აფხაზეთის შესახებ მასალები განთავსებული.**

# samefo ojaxSi didi skandali da dapirispireba mwifdeba

თუ კანონიერება თავის დინასტიურ ჩარჩოებს არ დაუბრუნდა, ქართულ საზოგადოებას ახალი ჭორ-მართალისა და ლაპარაკის თემა მიეცა. ეს საქართველოს სამეფოს ტახტის მემკვიდრის თემაა. სანამ ყვითელი პრესა, სახელისუფლებო მედია და "კეთილისმოსურნე ლიბერალი" სიტუაციას კიდევ ერთხელ აამტუტებდნენ, აწ როგორც ჟურნალისტმა, სპეციალობით კი ხელოვნებათმცოდნე-ისტორიკოსმა და მონარქიის გამოუსწორებელმა მომხრემ, საზოგადებისთვის, ჩემის აზრით, სწორ გამოსავალზე მივუთითე. შესაძლო სკანდალიდან, სახელმწიფოებრივი ინტერესების სასარგებლოდ გამოსვლის გზის შეთავაზება ვცადე. ქვეყნისა და ხალხისთვის სწორი, ყოველთვის ისტორიული გამოცდილებით მიღებული ტრადიციული გზით სვლა ამართლებდა. ვანოს გარდა კი საპატრიარქოდან ინფორმაციის მოპოვებას ჟურნალისტებიც ვახერხებთ ხოლმე. ეს ინფორმაცია და ისტორიკოსის სპეციალობა კი ისტორიულ-დოკუმენტურ ფაქტებზე დაყრდნობით, შესაბამისი დასკვნების კეთების საფუძველსაც მაძლევს.

„კაცობრიობაც ისტორიისა და დინასტიური კუთვნილების კანონიერების გაყალბების არაერთ ფაქტს იცნობს. ჩვენ კი კულტურული, ისტორიული მემკვიდრეობის კუთხით, "იესაიან-დავითიან-სოლომონიანთა" შთამომავალ ქართველებს, ამ მხრივაც დიდი სიფრთხილე გვმართებს. ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიის სამართლებრივ-მორალური თვალსაზრისით, გაყალბების დაშვების უფლება საქართველოს სინამდვილეში ჩვენ არა გვაქვს. მითუფრო მაშინ, როდესაც ლამის დღე არ გავა, ჩვენს მიწა-წყალზე, წინარე ქრისტეანობისა და უძველესი ცივილიზიის კვალი რომ არ აღმოაჩინონ.

მართალია, ქვეყნისა და ერის არსებობის განმსაზღვრელი უმთავრესი ფაქტორი – სახელმწიფოებრიობა, საქართველომ 1801 წელს, სამეფო ტახტის გაუქმების, ქართლ-კახეთის (საქართველოს) სამეფოს ანექსიის შედეგად დაკარგა. გულში ყველა ქართველი მაინც მონარქისტია. მას ისეთი მამულიშვილებიც შესტრფოდნენ, როგორებიც, წმ. გაბრიელ ქიქოძე, წმ. კირიონ I საძაგლიშვილი, წმ. ამბროსი (ხელაია), წმ. ილია მართალი და მრავალი სხვა ბუმბერაზი პიროვნებები იყვნენ. საქართველომ "ბეწვის ხიდზე" ბევრჯერ გაიარა და ახლაც გადის. ეროვნული იდეის აღორძინების სურვილი საზოგადოებაშიც დიდია. ქვეყანას კი 1300 წლოვანი ბაგრატოვანთა დინასტიის, ბაგრატიონ-გურზინსკების სამეფო ოჯახის სახით, სამეფო ტახტის პირდაპირი მემკვიდრე, ბატონიშვილი ნუგზარი ჰყავს. ამით კი ყველა მიზეზი გააჩნია ტრადიციულად კუთვნილსა და ბიბლიურად კურთხეულ ინსტიტუციას დაუბრუნდეს. საქართველოსაც ამდენწლიანი პოლიტიკური კრიზისიდან გამოსვლის შანსიც მიეცეს. 70 წლიანმა ბოლშევილურ-კომუნისტურმა მმართველობამ, საზოგადოების ნაწილს, ეროვნულ-ისტორიული აღმავლობის პერიოდი – საქართველოს სამეფო ტახტისა და დინასტიური მმართველობის ინსტიტუცია გადაავიწყა. ეს კი ქართველს ისეთივე ძალადობრი გზით წაართვეს, როგორც მიწა-წყალი და ბევრი სხვა რამ. ამ იდეის ხორცშესხმა, უფრო შესაძლებელი გახდა, რაც ბატონიშვილ ანასა და თავად დავითს ვაჟი, გიორგი შეეძინათ. ამ მართლაც ეროვნული, სახელმწიოფოებრივი იდეის განხორციელების ხორცშესხმას წინა ისტორიაც ახლავს. ამ მოძიებული ინფორმაციით, 2009 წლის 8 თებერვალს შემდგარი დინასტიური ქორწინების შემდეგ თავად დავითის უღირსი საქციელის და "მავანთა დიდი მუშაობის" შედეგად, ცოლ-ქმარს შორის ურთიერთიერთობა დაიძაბა. დავითი ესპანეთში გაემგზავრა. 2010 წელს კი პატრიარქის თხოვნით, სამეფო ტახტის სამემკვიდრეო ხაზის უწყვეტობის შესანარჩუნებლად (ანა დავითისგან უკვე ფეხმძიმედ გახლდათ) ბატონიშვილი ანა, მეუღლესთან ესპანეთში მიემგზავრება. მანამადე კი...

90-იანი წლების დასაწყისში, ქართული მონარქისტული წრეების წარმომადგენლები ბატონიშვილ ნუგზარ ბაგრატიონს და მის უფროს ქალიშვილს, ბატონიშვილ ანა ბაგრატიონ-გრუზინსკის ხვდებიან. პატრიოტული მოსაზრებით ახსენებენ, რომ ჩვეულებრივი ქალიშვილებისგან განსხვავებით, ბატონიშვილი ანა სამეფო შტოს ტახტის მემკვიდრეა და ბატონიშვილისთვის შესაფერისი სასიძოს მონახვისთვის ზრუნვას ჰპირდებიან. ("ბაგრატოვანთა სახლმა" და მონარქისტულმა წრეებმა კარგად იციან, ბატონიშვილი ანას სამეფო შტოსადმი კუთვნილების შესახებ) ამავე პერიოდში, 90-ან წლებში, (საეჭვოდ) ვრცელდება მითი, რომ, თითქოს, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ და საპატრიარქომ, საქართველოს ტახტის მემკვიდრედ, ესპანეთში მცხოვრები, გიორგი (ხორხე) აღიარეს. 1990 წლის 12 აგვისტოს გაზეთ "ქართველ ერში" კი, ტრადიციონალისტთა კავშირის მიმართვას ვკითხულობთ, ის "საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეს, ბაგრატიონთა სამეფო სახლის მეთაურის, მის სამეფო უდიდებულესობას, ბატონიშვილს გიორგი ბაგრატიონს" და მის შვილს "უფლისწულ ირაკლის" ეხება. მიმართვაში ბაგრატიონ-მუხრანელები საქართველოს სამეფო სახლის კანონიერ მემკვიდრეებად მოიხსენიებიან. 1998 წელს მოსკოვში გამოცემულ წიგნშიც, „Äâî ðÿí ñêèå Ðî äû Ðî ññèéñêî é Èì ï åðèè", ბაგრატიონ-მუხრანელების ოჯახი მოხსენიებულია, როგორც "საქართველოს სამეფო სახლის მეთაური", სამეფო უდიდებულესობა", რაც სიმართლეს არ შეეფერება. რუსეთის იმპერიის შემადგელობაში, "ქართული სამეფო ტახტი" არსებობის გარძელებას რომ არ აპირებდა, ამაზე 1832 წლის შეთქმულებაც მეტყველებს. შეთქმულებაში მონაწილე სხვა თავად-აზნაურებთან ერთად მონაწილე ბაგრატიონ-მუხრანელების შტოც ტახტის მემკვიდრედ ერეკლე II-ის შვილის, ალექსანდრეს (1770-1844წწ.) ტახტზე დასასმელად იბრძვის. 1783 წელს დადებული «რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებითაც", რუსეთის იმპერატორები და მათი მემკვიდრეები, "საუკუნო პირობასა და გარანტიას" დებდნენ სამეფო ტახტის ერეკლე II-ის შთამომავლებისგან მფობელობაზე. (ასეთებს კი ბაგრატიონ-მუხრანელები არასდროს წამოადგენდნენ. იხ. ბაგრატოვანთა სამეფო შტო) ხელშეკრულებაზე ცვლილებების შეტანის შემთხვევაში კი ხელი "ორთავ კერძოთა თანხმობით" უნდა მოწერილიყო. აქტი ძალაში 1784წ. 24 იანვარს შევიდა. ეკატერინე II-ის გამოგზავნილ "სარატიფიკაციო სიგელსაც" ხელს ერეკლე II-ე აწერს. არც ერეკლე II-ს, არც მის შვილს, გიორგი XII-ს საკუთარი ნებით სამეფო ტახტი არავისთვის გადაუციათ. ბატონიშვილ ანას ქორწინებამდე სულ რამოდენიმე წლით ადრე,(2003წ.) გაზეთ "სამეფო გვირგვინში" (თბ, 2003, №6, 2-9 ოქტომბერი), სათაურით "საქართველოს ტახტის მემეკვიდრეს, მის სამეფო უდიდებულესობას, ბატონ გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელს". (ასეთი ტიტულით ბაგრატოვანთა სამეფო ტატის გვერდითა შტოს მოხსენიება არასწორია. ბ.ა.) ისტორიიდან ცნობილია, რომ სამეფო ტახტი ბაგრატიონტა მუხრანის შტოს არასდროს ეკუთვნოდა. ამდენად, არც ტრადიციონალისტთა კავშირსა და არც ქართულ მონარქისტულ წრეებს ("თავადაზნაურთა საკრებულოსა", თუ "ბაგრატიონთა სახლს"), ისტორიული ფაქტებისა და დინასტიური მემკვიდრეობის გაყალბება არ ეპატიებათ. ისევე როგორც, ქართული დინასტიური სამართლის კანონში, თვითნებურად, პირადი ინტერესების გამო, რომანოვთა საიმპერატორო დინასტიის წარმომადგენელის მიერ "შეტანილი შესწორებებიც", ქართული დინასტიური სამართლისთვის კანონიერად ვერ ჩაითვლება. ჩემი ინფორმაციით, მონარქისტულ წრეებთან ბატონიშვილ ანას შეხვედრიდან 10 წლის ლოდინის შემდეგ, ბატონიშვილი ანა ბაგრატიონ-გრუზინსკი სიყვარულით თხოვდება. მეუღლე არაპირდაპირი, მაგრამ დედის ხაზით, გიორგი XII-ის შთამომავალი – გრიგოლ მალანიაა. პატრიარქმა ქორწინება დალოცა. დინასტიური კანონმდებლობის მიხედვით, საქორწინო ხელშეკრულებაც გაფორმებულა. რის საფუძველზეც, ქორწინებიდან დაბადებული შვილი სამეფო სტატუსს დედის ხაზით მიიღებდა. მეუღლე გრიგოლი კი, კონსორტი, ტახტის მემკვიდრის მამა, ოჯახის უფროსი და არა სამეფო სახლის, ან დინასტიის მეთაური ხდებოდა. დინასტიური კანონმდებლობით, ეს მხოლოდ ბატონიშვილ ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკის უფლებაა. ამავე კანონმდებლობის თანახმად, დინასტიური მემკვიდრეობითობაც, მომავალ მემკვიდრეზე მხოლოდ ბატონიშვილ ანას მეშვეობით გადადის. .წინაალმდეგ შემთხვევაში, ქორწინებიდან შობილი შვილი (ისევ დინასტიური კანონმდებლობით) ტახტის მემკვიდრეობის უფლებას ვერ ღებულობს. პატრიარქისვე თხოვნით, ცოლ-ქმარს (ანასა და გრიგოლს) ქორწინებიდან შობილი ქალიშვილები (აწ მათი სამეფო უმაღლესობანი ირინე და მარიამი) სწორედ **სამეფო დინასტიური ხაზის შესანარჩუნებლად, დედის - ბაგრატიონ-გურზინსკები გვარზე დაუწერიათ**. ამის პრეცენდენტები, დღევანდელ რუმინეთსა და შვედეთშიც არსებობს. ქმედითმა მონარქებმა ტახტის მემკვიდრეებად იქაც ქალიშვილები გამოაცხადეს. მართალია, ბატონიშვილ ნუგზარ ბაგარატიონ-გრუზინსკის ვაჟი არ ჰყავს, ქმედითი მონარქი არ გახლავთ, მაგრამ "დე-იურედ", სუზრენადაა აღიარებული. ქალის ხაზით სამეფო დინასტიის გაგრძელება კი უცხო არც საქართველოსთვისაც არის. თამარ მეფე, რუსუდანი, ჰერეთის მეფე-დედოფალი დინარა I და დინარა II, კახეთის რეგენტი დედოფალი ქეთევანი, იმერეთის მეფე-დედოფალი დარეჯანი – ამის დასტურია. დავით სოსლანიც ბაგრატიონთა გვერდით შტოს წარმოადგენდა. ქორწინებიდან შობილი მეფე გიორგი IV-იც, ბაგრატიონად იწერებოდა და არა ბაგრატიონ-ბაგრატიონად, (როგორც ეს დღევანდელი "ტახტის მემკვიდრის" მამის მიერ არასწორად ვრცელდება) სოსლანიც კონსორტი გახლდათ, რადგან სამეფო შტოსთან მიმართებაში ისიც არატოლფასოვნად ითვლებოდა. რუსუდანის ვაჟიც, დავითVI ნარინიც, (მამით თურქ-სელჯუკი ერზრუმის სულთნის მოღ-ედ-დინ ტოღრულ შაჰი) დედის გვარს, ბაგრატიონს ატარებდა. ასევეა რუსეთი სამეფო ტახტის მემკვიდრის შემთხვევაშიც. ვლადიმერ კირილეს ძე რომანოვის და ლეონიდა ბაგარატიონ-მუხრანელის ერთადერთი შვილის მარია რომანოვასა და დიდმთავარ ფრანც ვილჰელმ ჰოჰენცოლერნის შვილის გიორგის შემთხვევაშიც. სწორედ დინასტიური კანონიდან გამომდინარე, ის რომანოვების გვარს ატარებს. **(თუმცა ესპანელი ბაგრატიონ-მუხრანელების მიერ, სამეფო ტახტის მისაკუთრების მცდელობის შემდეგ საერთაშორისო დინასტიური სამართლით, რომანოვების საიმპერატორო გვარის წარმომადგენლის – მარიას ლეგიტიმურობის საკითხიც, შესაძლოა, ეჭვის ქვეშ დადგეს. ევროპის დინასტიური ქორწინებებიც, არც-თუ მცირე ქონებასა და სიმდიდრეს უკავშირდება?!)**

კანონიერებისა და ისტორიული სამართლიანობის აღდგენის კუთხით, ყველაზე სამართლიანი და დღევანდელობისთვის უპრიანიც, 1801 წელს დარღვეული სამართლიანობის აღდგენა და სამეფო ინსტიტუციის ხელხა-



2001 წლის 10 ივნისი. ჯვრისწერა სვეტიცხოველში



ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის ოჯახი

## დღევანდელი მდგომარეობით, ტახტის მემკვიდრედ, შეიძლება, ანა ბატონიშვილის უფროსი ქალიშვილი ირინე (მალანია) ჩაითვალოს



მათი სამეფო უმაღლესობანი
ირინე და მარიამ ბაგრატიონი-გრუზინსკები

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# რატომ არ აწერს ხელს ხელშეკრულებას თავადი დავით ბაგრატიონ-მუხრანელი და რატომ უღობავს გზას თავის შვილს — გიორგის სამეფო ტახტის კანონიერ მემკვიდრედ აღარებისკენ?!

ლი შემოღება იქნება. ქართველ ხალხსაც, სამეფო ტახტიც თავისი ნებასურვილით არ გაუუქმებია, მეფე არც ჩამოუგდია და არც დაუმხია. ამდენად, მას ამ ინსტიტუციის აღდგენის ყველნაირი ლეგიტიმური უფლება აქვს. **“კონსტიტუციური მონარქიის” დონეზე, ასეთი ინსტიტუციის შემოღება, სწორედ იმ ისტორიული სამართლიანობის აღდგენა იქნება, რის საფუძველზეც, საქართველოს თავისი ტერიტორიული იურისდიქციის, ეთნიკური და ენობრივი იდენტურობის საკითხის გადაწყვეტის შესაძლებლობაც მიეცემა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი, საქართველოსთვის ამ კუთხით, *ევროპულ მონარქიულ ოჯახში შესვლით, მისთვის განვითარებადი ქვეყნის სტატუსიდან გამოსვლის თემა უნდა წარმოადგენდეს.* რომელი სტატუსის შედეგადაც, საქართველომ განათლების დამანგრეველი რეფორმა, ასეთივე აგრარული სექტორი და სტატუსის შესაბამისი ეკონომიკური ფონიც მიიღო.** ქართველთა ეროვნული თანხმობაცა და სახელმწიფოს მოწყობის ქვაკუთხედიც, სწორედ ტრადიციული, ქვეყნის ეროვნული ინტერესების გამტარებელი და მასზე მზრუნავი ინსტიტუცია უნდა გახდეს. რისი მოგვარების საუკეთესო გზა, ილიას ისტორიულ გამოცდილებაზე დაფუძნებული, აკ. ჯორჯაძის “საერთო ნიადგის თეორიაა”. მასში “ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს” პრინციპი — “ხმლის, გუთანისა და გვირგვინის” საქართველოს ეყრდნობა. მონარქიული სახელმწიფო, (გარკვეულ დრომდე კონსტიტუციური) ქართველთა ეროვნული ერთობისა და თანხმობის, ქვეყნის გაერთიანების საფუძვლიც გახდება.

ისტორიული დოკუმენტებიდან ცნობილია, რომ მეფის რუსეთის მიერ საქართველოსთვის ძალადობრივად გაუქმებული “სამეფო ტახტის” მიუხედავად, საიმპერატორო კარმა, ბაგრატიონთა შტოებიდან (ბაგრატიონ-გრუზინსკები, ბაგრატიონ- ბაბადიშები, ბაგრატიონ-იმერეტინსკები) სხვა ბაგრატიონების გამოსარჩევად, 1865 წელს სამეფო შტოს “გრუზინსკი” (“საქართველოსი”, “ოფ გეორგია”) დაუმატა. რაც არა ეროვნების (ქართველობის), არამედ მხოლოდ ტახტის მემკვიდრეობითობაზე უფლების ხაზგასასმელად გაკეთდა. **სამეფო ტახტზე მეკვიდრეობის უფლებაც მხოლოდ ბაგრატიონ-გრუზინსკებისა და ბაგრატიონ-იმერეტინსკების სამეფო გვარებს შეუნარჩუნდათ.** ეს ორად გაყოფილ საქართველოს არ გულისხმობდა. **ერთიან საქართველოზე მეფობის უფლებას, ერეკლე II-ს, მასთან “ივერიელთა ტრაქტატის” სახელით, 1790 წელს დადებული ხელშეკრულება აძლევდა. რითაც ერეკლე II-ე საქართველოს სუვერენად —” ვითარცა მამა საზოგადო მათი” სახელდებოდა. ტრაქტატს ხელს იმერეთის მეფე სოლომონ II, გრიგოლ დადიანი და სიმონ გურიელი აწერენ. შესაბამისად, ერეკლე II -ამ ტრაქტატით, ერთიანი საქართველოს მეფედ წარმოსდგება. ეს მემკვიდრეობითობა კი, მის ძეს გიორგი XII-ს გადაეცა, რომლის პირდაპირი მემკვიდრეც, ბაგრატიონ-გრუზინსკების სამეფო ოჯახია.** “საბჭოეთის” 70 წლიანი ულმერთობა-ათეიზმის პირობებში, ამ ინსტიტუციის აღდგენა შეუძლებელი იყო. ბატონიშვილი პეტრე ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკი (1857-1922) გარდაიცვალა. 17 წლის ასაკში გარდაიცვალა პეტრეს უფროსი ძმა კონსტანტინეც. დედა გადაასახლეს. დარჩენილი მემკვიდრე, პეტრე პეტრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკი, 1946 წლისთვის, წარმომავლობის გამო დააპატიმრეს. ეს ის პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკია, ვის ლექსებზე დაწერილ სიმღერებითაც საქართველოს მთელი მსოფლიო იცნობს. “სიმღერა თბილისზე”- თბილისის ჰიმნი, “ყური უგდე საქართველოს”, “გაზაფხულდა, აყვავილდა ნუში”, “მუხამბაზი” და ბევრი სხვა. ვისაც ეკუთვნის სიტყვები: **“დღეს ბაგრატიონს აღარ მარტყია მეფე ერეკლე პირბასრი ხმალი. . .”.** “საბჭოეთის სინამდვილეშიც”, მისი ვაჟი, ტახტის კანონიერი მემკვიდრე თბილისში მცხოვრები, ბატონიშვილი ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკიც, სამეფო ტახტს სათავეში ვერ ჩაუდგებოდა. 2006 წლის “ბაგრატოვანთა სახლის” მიერ ხელმოწერილ მემორანდუმში (პირველ რიგში “ბაგრატოვანთა სახლი”განიხილება) ბატონიშვილი ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკი საქართველოს ტახტის მემკვიდრედაა აღიარებული. (მემკვიდრის არარსებობის გამო “იმერეტინსკების” შტო შეწყდა.) ტახტის მემკვიდრედ ნუგზარ ბატონიშვილს რუსეთის საიმპერატორო გვარის სამეცნიერო საბჭოსა და პეტრე-პავლეს საიმპერატორო საზოგადოებაც აღიარებს. თავად-აზნაურთა და საერთაშორისო კომისიის (აშშ) დასკვნით, “დეიურე მეფედ”, ასევე მისი უგანათლებულესობა, ბატონიშვილი ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკია აღიარებული. **მომავალი მემეკვიდრის გამოცხადებაც, არა ბაგრატოვანთა გვერდითა შტოების, არამედ სწორედ სამეფო სახლის მეთაურის უფლებაა!**



სამეფო სახლის მეთაურის მიერ, ტახტის მემკვიდრის გამოცხადების პრეროგატივით, ტახტის მემკვიდრეობა, წესით, ბატონიშვილ ნუგზარის შვილიშვილს, ახლა უკვე ესპანეთში დაბადებულ გიორგის უნდა გადაეცეს. ბატონიშვილი ნუგზარი, ჯერ კიდევ ან ბატონიშვილის პირველი ქორწინებისას, გაგებით შეხვდა და მიენდო პატრიარქის წინადადებას — თავისი სამეფო ღირსება ქალიშვილის, ბატონიშვილ ანას ხაზით, შვილიშვილისთვის გადაეცა. საქართველოს მონარქისტული წრეები ბატონიშვილ ანას სამეფო ტახტზე მემკვიდრეობითობის უფლებას უფრო ვაჟის და არა ქალიშვილების ხაზით ანიჭებდნენ. ვაჟის, გიორგის დაბადების შემდეგ, 1801 წელს ძალადობრივად გაუქმებულ საქართველოს სამეფო ტახტს, წესით, უკვე კანონიერი მემკვიდრეც უნდა ჰყოლოდა. **თუმცა არსებობს ერთი მაგრამ. . . ბატონიშვილ ანას მეუღლეს, თავად დავით ბაგრატიონ-მუხრანელს, დინასტიური კანიონმდებლობის შესაბამისად, საქორწინო ხელშეკრულებაზე ხელი დღემდე არ მოუწერია.** ხელშეკრულების გაუფორმებლობა, ხელოვნურად შექმნილი პრობლემების გამო ქორწინების დღის გადმოწევამ, პატრიარქის საეჭვო ვითარებაში ავად გახდომამ და ქვეყნიდან გამგზავრებამ გამოიწვია. ჯვრისწერის ცერემონიალში სამეფო ტახტის მემკვიდრის, ბატონიშვილ ანას მომავალი მეუღლის მიმართ უპირატესობა, დასაქორწინებელთა სტატუსი უნდა დაცულიყო. რის შესაბამისად, ამ ქორწინებიდან შობილი შვილიც, მხოლოდ დედის, ბატონიშვილ ანას ხაზით მიიღებდა სამეფო სტატუსს. მართალია, (როგორც მითხრეს) საქართველოს სამეფო სახლის მეთაურმა, ბატონიშვილმა ნუგზარმა საქორწილო სიტყვაში, დინასტიური კანონმდებლობის თანახმად, ოფიციალურად დააფიქსირა ქალიშვილის, როგორც მომავალი ტახტის მემკვიდრის სტატუსიცა და უპირატესობაც მომავალ მეუღლესთან მიმართებაში. დამსწრეთაგან ეს ბატონიშვილ ნუგზარის სიტყვიერ დეკრეტად ყოფილა მიღებული. თუმცა საქორწინო ხელშეკრულება ჯერაც ხელმოუწერელია?! ჯვრისწერის შემდეგ პატრიარქთან შეხვედრისას გადაწყდა, რომ ორივე მხარის წარმომადგენლები შეიმუშავებენ დინასტიური ქორწინების დაგვიანებულ ხელშეკრულებას. საგანგებოდ გამართული ოთხი შეხვედრის ხელმოწერილი ოქმებიც, პარალელურად პატრიარქს, ბატონიშვილ ნუგზარსა და თავად დავითს დაეგზავნათ. არალოგიკურად, დავითის ესპანეთში ხელშეკრულებაზე ხელმოუწერლად გამგზავრებამ კი, საზოგადოებაში ეჭვები გააჩინა. **ქართული დინასტიური სამართლის წესი არასდროს არავის შეუცვლია. ამის შეცვლის უფლება არც ჩვენ გვაქვს, მაგრამ ვინაიდან ეს საქორწინო ხელშეკრულება ვაჟის დაბადებამდე ძალაში არ შევიდა, ახლადშობილ ვაჟს დინასტიური კანონმდებლობის თანახმად, ბაგრატიონ-მუხრანელთა თავადური ხაზის გააგრძელების უფლება არა აქვს. ამას ტახტის მემკვიდრე მხოლოდ სამეფო სახლის მეთაურის ნებით ღებულობს.** ქართული დინასტიური სამართლის ისტორიაში აქამდე ასე იყო. სანამ ახლადშობილი ბაგრატიონ-გრუზინსკების სამეფო გვარს არ მიიღებს, ვერც სამეფო სახლის მემკვიდრედ გამოცხადდება. ამრიგად, თავადიშვილ დავითის მიერ ინტრენეტ გვერდებზე გავრცელებული ცნობა, მემკვიდრის, ბაგრატიონ-ბაგრატიონის დაბადების შესახებ საზოგადოების შეცდომაში შეყვანაა. მიკვირს, რატომ სდუმს ამაზე “ბაგრატოვანთა სახლი”? მონარქიის აღდგენით დაინტერესებულმა პირმა თუ ვიცი, რომ ბაგრატიონ-ბაგრატიონის გამოცხადებით თავადი დავითი თავისი გვარის სამეფო ტახტის უპირატესობაზე მიანიშნებს, ქალბატაონმა ია მუხრანელმა ეს არ იცის? თუ იცის, რატომ სდუმს ამაზე? ისტორიიდან ცნობილია, რომ სამეფო სახლის მეთაურებს სპეციალური დეკრეტების გამოცემით, მომავალი მემკვიდრეობითობის განსაზღვრის უფლებაც ჰქონდათ. როგორც ბაგრატოვანთა სამეფო სახლის მეთაურს, ამის უფლებას ბატონიშვილი ნუგზარიც უნდა ფლობდეს. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, მიუხედავად საკითხის პრობლემატურობისა, თავადმა დავით ბაგრატიონ-მუხრანელმა, საქართველო დინასტიური ქორწინებით გათვალისწინებულ ხელშეკრულებაზე ხელმოუწერლად დატოვა. 2010 წელს, პატრიარქის თხოვნით - არ დარღვეულიყო დინასტიური ქორწინება, ამასთან, ბაგრატიონთა სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრის მოვლენის იმედით, (იმ დროისთვის, ანა ბატონიშვილი თავად დავითისგან უკვე ვაჟზე ფეხმძიმედ იყო) ბატონიშვილ ანას, ცოლ-ქმარს შორის დავითის უღირსი საქციელის გამო გართულებული ურთიერთობის მოგვარება და ესპანეთში გამგზავრება სთხოვა. საქართველოს ტახტის მემკვიდრეობითობისადმი პასუხისმგებლობით განწყობილი ანა პატრიარქს დაემორჩილა. ესპანეთში გაემგზავრა. გაემგზავრების წინ კი დაიბარა, რომ გაარკვევდა პირად ცხოვრებას და რომ მამამისის, როგორც ბაგრატოვანთა სამეფო სახლის მეთაურის ლეგიტიმური უფლებების წინააღმდეგ არასდროს წავიდოდა.



თავად დავით ბაგრატიონ-მუხრანელისგან პირად ინტერენეტ საიტზე და საერთაშორისო ვებგვერდებზე გავრცელებული ინფორმაცია, მემკვიდრე ბაგრატიონ-ბაგრატიონის დაბადების თაობაზე —.სრული აბსურდია. თავადმა დავითმა, წესით, ჩემზე უკეთ უნდა იცოდეს, რომ სამეფო მეკვიდრეობის დინასტიურ ჩარჩოებში მოქცევის გარეშე, ბატონიშვილ ანასთან შობილი შვილი ბაგრატიონ-მუხრანელის თავადური შტოს გვარის გამგრძელებლად რჩება. თავად დავით-მუხრანელისგან საქორწინო ხელშეკრულებაზე ხელმოუწერლობით, ის ფაქტიურად უარს ამბობს კონსორტობაზე, ამით კი მისი ვაჟის, როგორც ტახტის მემკვიდრედ აღიარებაზე. ერთადერთი მიზეზი, სამეფო ტახტის მემკვიდრეობაზე ბაგრატიონ-მუხრანელთა უსაფუძვლო პრეტენზიები შეიძლება იყოს. წინა საუკუნის დინასტიურ ქრონიკებში გახმაურებულ ამბავს თუ დავეყრდნობით, შესაძლოა ამან ბაბუის დის, ლეონიდა ბაგრატიონ-მუხრანელის შვილთან მარია ვლადიმერის ასულ რომანოვამდეც მიგვიყვანოს. მარია რომანოვას სურვილს — რომანოვების საიმპერატო კარის მეთაურობაზე ხელი დედის, ლეონიდა ბაგრატიონ-მუხრანელის არასამეფო წარმომავლობამ შეუშალოს.

ემიგრანტების ცხოვერბის ისტორიიდან ცნობილია, რომ ესპანეთში მცხოვრებ რომანოვთა საიმპერატორო ოჯახის წარმომადგენელს, იმპერატორ ნიკოლოზ II-ის ძმიშვილს, ვლადიმირ კირილის ძე რომანოვს თავდავიწყებით შეჰყვარებია ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელის ულამაზესი და ლეონიდა. ქორწინების ტოლგვაროვნად ჩასათვლელად, ლეონიდა ბაგრატიონ-მუხრანელისთვის სამეფო ოჯახის სატატუსის მინიჭება გახდა საჭირო. საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეობის სტატუსი სჭირდებოდა ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელსაც. მას ესპანეთის ინფანტა მოჰყავდა მე-2 ცოლად და ამით ესპანეთის სამეფო ოჯახთან ნათესავდებოდა. ევროპის სამეფო შტოსთან დანათესავება საერთაშორისო პრესტიჟის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, მაგრამ საქართველოსთვის უპირველესი მაინც ლეგიტიმურობისა და სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესის დაცვა უნდა იყოს. ბაგრატიონ-მუხრანელები კი, მონარქიის გაუქმებამდე, ბაგრატოვანთა სამეფო სახლის გვერდითა შტოს მუხრანბატონთა უმცროსი განაყოფის თავადი ჩამომავლები იყვნენ და მეფის კარს ემსახურებოდნენ. ამ საერთაშორისო აფერის ფაქტს რუსეთის საიმპერატორო სახლის მეთაურის, “ვლადიმირ კირილოვიჩისადმი” მიწერილი წერილიც ადასტურებს. **“ ბაგრატიონთა სამეფო სახლის ღირსება. საიმპერატორო სახლის მეთურის 1946 წლის 5 დეკემბრის აქტი. ვლადიმირი. სანლუკარ დე ბარრმედა. 1946 წელი”.** ამ აქტის საფუძველზე, **ვლადიმირ კირილეს ძემ, ირაკლი ბაგრანტიონ-მუხრანელის დის, ლეონიდას მეუღლემ, (რომანოვების სასარგებლოდ, დინასტიური ქორწინებით დაინტერესებულმა პირმა) “სამართლიანად და სასარგებლოდ ჩათვალა” ესპანეთში მცხოვრები ბაგრატიონ-მუხრანელებისთვის, თავადი “გრუზინსკების” წოდების მინიჭება.(რაც ბაგრატოვანთა მხოლოდ ერთი გვარის, ბაგრატიონ-გრუზინსკების პრეროგატივაა და რომანოვთა მიერ, კიდევ უფრო ადრე მინიჭებული) ამ წოდების მფლობელობა კი, როგორც ისტორიული წყაროები გვამცნობენ, ყოფილა და არის, არა ესპანეთში გადასახლებული რომანოვების, არამედ ბაგრატიონ-გრუზინსკების წოდება.** აქტის პირველ და ბოლო აბზაცში ვკითხულობთ:” მისმა სამეფო უმაღლესობამ, ინფანტმა დონ ფერდინანდმა, ბავარიის პრინცმა, მომმართა შეკითხვით, მისი ქალიშვილის, ინფანტა მერსედესის თავად ირაკლი გიორგის ძე ბაგრატიონ-მუხრანსკიზე ქორწინების წინ შემიძლია თუ არა მე, 1918 წლიდან 1921 წლამდე საქართველოს დამოუკიდებლობისა და ასევე საქართველოს სამეფო სახლის სადღეისო მდგომარეობის გათვალისწინებით, მოსალოდნელი ქორწინება ჩავთვალო ტოლგვაროვნად. .. . **მე გადავწყვიტე შემედგინა წინამდებარე აქტი რუსეთის იმპერიის საკეთილდღეოდ, და მომავალში მისი მთლიანობის** შესანარჩუნებლად და **სასარგებლოდ მივიჩნიე** დამემტკიცებინა საკუთარი ხელმოწერით, რათა **დამეკმაყოფილებინა ქართველი ხალხის სამართლიანი ეროვნული გრძნობები,** და **ვიმედოვნებ, ამდაგვარად თავიდან ავიცილოთ მომავალში სამხედრო ძალის მიერ მათი**

16 gv.

# ბაგრატიონ-მუხრანელთა შტო სამეფო ტახტის არაკანონიერად მითვისების მცდელობით წყალს რუსეთის იმპერიის წისქვილზე ასხამს

# samefo ojaxSi didi skandali da dapirispireba mwifdeba

15 gv.

**სამშობლოს შესაძლო დაპყრობა რუსეთის იმპერიიდან მისი თვითნებური გამოყოფის შემთხვევაში.”** რუსეთის იმპერიის სასარგებლოდ, 1946 წელს შედგენილი აქტები ქართული “სამეფო ტახტის” კანონიერებას, ან დინასტიურ სამართალს როგორ შეესაბამება, ეს საზოგადოებამ გასაზღვროს. მითუფრო რომანოვთა წარმომადგენელს, მამისგან კარგად უნდა სცოდნოდა, ბაგრატოვანთა ქართული გვარებიდან, სამეფო ტახტის მემკვიდრეობა, რომელ შტოსაც შეუნარჩუნდა. გამოდის, რომ ამ დინასტიურ კანონდარღვევაზე ვლადიმირ კირილეს ძე შეგნებულად წასულა. ჩვენ კი “ასეთი შეცდომით”, შესაძლოა საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეობითობაც დაგვერღვეს) ქორწინებამდე ბატონიშვილ ნუგზართან საუბრისას თავად დავითსაც ულიარებია, რომ მისი წინაპრები “საბჭოთა საქართველოში” ბაგრატიონ-გრუზინსკების არსებობას ვერ უშვებდნენ და შეცდომაშიც, ინფორმაციის არქონამ შეიყვანა. (აკ. დვალიშვილის მოგონება, თბილისი, 2005 ე.) ვკითხულობთ: “როგორც თვითონ ბატონმა ირაკლი გიორგის ძე ბაგრატიონ-მუხრანელმა მაცნობა, მისთვის ეს ფაქტი (ბაგრატიონ-გრუზინსკების არსებობის .ბ.ა.) იმ დრომდე



ცნობილი არ იყო, წინააღმდეგ, შემთხვევაში, ის უარს იტყოდა ამ მაღალი წოდების ტარებაზე”. აკაკი დვალიშვილისვე ინფორმაციით, ბაგრატიონ-გრუზინსკების არსებობა, თავადიშვილმა ირაკლი გიორგის ძე ბაგრატიონ-მუხრანელმა ესპანეთში სუხიშვილების ვიზიტისას შეიტყო. “დვალიშვილის მოგონებებშიც” ასე მოხვდა. მიუხედავად ამდენი არგუმენტირებული მტკიცებულებისა, საქორწინო ხელშეკრულების გაუფორმებლობით, კონსორტის უფლების არაღიარებით, დაშვებული ისტორიული სიყალბე ჯერ არ გამოსწორებულა. ვლადიმირ კირილეს ძეს ასეთი წოდების მინიჭების უფლება რომ არ ჰქონდა, მეფის რუსეთის იმპერიისვე შედგენილი დოკუმენტიდანაც ირკვევა: “Ì í åí èå Ãî ñóäàðñòâåí í î ãî Ñî âåòà. (Âû ïèñêà èç Æóðí àëî â 10-ãî è Î áù åãî Ñî áðàí èÿ 31 ì àÿ 1865ã.) Ãî ñóäàðñòâåí í û é Ñî âåò, â Äåïàðòàì åí òàõ Çàêî í î â è â Î áù åì Ñî áðàí èè, ðàçñì î òðåâ âí åñåí í óþ èç Êàâêàçñêî ãî Êî ì èòåòà çàïèñêó î ï ðåäî ñòàâëåí èè ïî òî ì êàì áû âø èõ öàðñêèõ äî ì î â Ãðóçèí ñêî ãî è Èì åðåòèí ñêî ãî òèòóëà Ñâåòëî ñòè, ì í åí èåì ïî ëî æèë: õî äàòàéñòâî î ï ðåäñòàâëåí èè òèòóëà Ñâåòëî ñòè ïî òî ì êàì ïî ñëåäí èõ Öàðåé Ãðóçèè è Èì åðåòèè, ïðèñõî äÿù èì îò ì óæñêî ãî èõ ïî êî ëåí èÿ Êí ÿçüÿì è Ãðóçèí ñêèì è Èì åðåòèí ñêèì èïî-âåðãí óòü í à Âñåì èëî ñòèâåéø åå áëàãî óñì î òðåí èå Ãî ñóäàðÿ Èì ïåð-àòî ðà. . . .”. არსებობს კიდევ ერთი დოკუმენტი “თავად გრუზინსკებისთვის უგანათლებულესობის ტიტულის მინიჭების შესახებ”. “Äåëî Äåï àðòàì åí òà Ì èíèñòåðñòâà Þ ñòèöèè. Î ï ðåäñòàâëåí èè Êí ÿçüÿì Ãðóçèí ñêèì òèòóëà Ñâåòëî ñòè. (Í à÷àëî íü ì àðòà 30 äíÿ 1865 ãî äà Êî í ÷åí î èþ ëÿ 2 äíÿ 1865 ãî äà Ñäàí î â àðõèâ 26 èþ ëÿ 1865 ãî äà Â ñåì äåëå í î ì åðî âàí í û õ ëèñòî â 233“. მსოფლიო ისტორიაში სამეფო გვარის ლეგიტიმურობის პრინციპი უფროს შვილზე ხელისუფლების მემკვიდრეობითობას გულისხმობს. თუ რუსეთის საიმპერატორო სახლის მემკვიდრეები, წინაპრების დადგენილებებს არღვევენ, ამისი უფლება ჩვენ არა გვაქვს. ეს პრინციპი საქართველოსთვისაც და მსოფლიოსთვისაც ერთნაირად საერთოა. ამ პრინციპის დარღვევას, სახელმწიფოს, ისტორიისა და გვარის დინასტიური ღირსების შენარჩუნებას, ალბათ ბატონიშვილი ნუგზარიც დააპირებს. სხვა შემთხვევაში, ის სამეფო ღირსების მატარებელ მის წინაპართა, საქართველოს მომავალი ისტორიის და საზოგადოების მიმართაც პირნათელი ვერ იქნება. ისტორიულად, საქართველოს სამეფო სახლის მეთაურების ექსკლუზიური უფლებებით ფლობდნენ სამეფო ტიტულს, დროშასა და გერბს. სამეფო სახლისადმი მიკუთვნებული შტოებისთვის, ღირსების, ტიტულების მინიჭება, გერბების დამტკიცება და რაინდთა ხარისხების მინიჭების უფლებაც, სამეფო სახლის მეთაურების უმაღლეს პრეროგატივას წარმოადგენდა. აღვნიშნეთ, რომ ბაგრატოვანთა ტახტის მემკვიდრეს, “დეიურე სუვერენული სახლის” მეთაურს ბატონიშვილი ნუგზარ ბგრატიონ-გრუზინსკი წარმოადგენს. საქართველოს დინასტიური კანონმდებლობიდან გამომდინარე, ზემოთჩამოთვლილ ყველა უფლებას ისიც უნდა ფლობდეს. ამ უფლებეში კი, (რამდენადაც ვერკვევი) სპეციალური დეკრეტით, ტახტის მომავალი მემკვიდრეობითი თანამიმდევრობის განსაზღვრაც შედის.

ქართულმა საზოგადოებამ კი, ისტორიული სიმართლე უნდა იცოდეს. “ბაგრატიონთა სახლმა”, უფლის, ერისა და სამშობლოს და გვარის წინაშე თავისი ფუნქცია პირნათლად უნდა შესარულონ. საერთაშორისო დონეზე, საქართველოს სამეფო ტახტზე, მხარი მემკვიდრეობითობის კანონიერებას, საერთაშორისო და ქართული დინასტიური სამართლით მიღებულ წესს უნდა დაუჭირონ. სხვა შემთხვევაში, საპატრიქოსთან აქტიური თანამშრომლობა და დინასტიური ქორწინების საკითხებშიც მათი ასეთი ჩარევა, პირადი დაინტერესების, გარეშე ძალის ინერესების სასარგებლოდ და ქართველი ხალხის მოსატყუებლად დაწყებული თამაში გამოდის.

**P.S. ჩემთვის, როგორც მონარქიული იდეის მომხრისათვის, ისტორიკოსისათვის, ქართველისთვის აუცილებელი და უმთავრესი ისტორიული სიმართლიანობისა და სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვაა. ხელისუფლებასთან შეთამაშებული და საპატრიაქროსთან დაახლოებული ჯგუფების პოლიტიკური ინტერესების გამო სიმართლეზე დუმილი დაუშვებელია. ევროპული წარმომავლობაც, ქართული “სამეფო ტახტის” დამცრობისა და დაკნინების უფლებას არავის აძლევს. საქართველო, თავისი იავარქმნილი, მაგრამ ღირსეული ისტორიული წარსულით, კანონიერ და ღირსეულ ტახტის მემკვიდრეს ნამდვილად იმსახურებს.**

**ბაია ამაშუკელი**

# aqa ambavi robiko sturuas gaqceva-darCenisa

ვიცი, ბატონებო, ვიცი, რობიკო სტურუას არ უყვარს რუსთაველი, “ვეფხისტყაოსანი” კრეტინობად მიაჩნია, მაგრამ მის მიერ დადგმული ბოლო “სპექტაკლი” თეატრიდან გაქცევა-გამოქცევისა იმდენად ეპიკურია, რომ მას სათაურად სხვა ფაბულას ვერ მოვუძებნიდი, გარდა იმიტირებული „ვეფხისტყაოსნის“ ქვესათაურისა. მართლაც, რამხელა ნიჭის პატრონი უნდა იყო კაცი, რა რეჟისორული გაქანების, რომ შენ მიერ დადგმულ სპექტაკლში ლამის მთელი ქვეყანა ჩართო და მათაც ფაქტის შეუცნობლად ითამაშონ შენ მიერ მიჩენილი როლი და ითამაშონ უნაკლოდ, თანაც ისე, რომ ხშირად ეს თეატრის რეკვიზიტებად ქცეული პერსონაჟები ვერც კი გრძნობდნენ, რომ მაესტროს დადგმულ სპექტაკლს თამაშობდნენ და მის ჩანაფიქრს ახორციელებდნენ. ამ იდეას თუ რა ქვია, ამაზე ვისაუბრებთ, მაგრამ მანამდე ფეხზე წამოვუდგეთ ამ “დიდებული” სპექტაკლის შემქმნელს და ერთხმად შევძახოთ — ბრავო, ბრავო, რობიკო სტურუა, ბრავო! თქვენ დიდებული რუსი რეჟისორი ბრძანდებით. არ მეშლება დიახაც — რუსი! თქვენი პიროვნული ფაქტურა, თქვენი არსი გაჟღენთილია არათუ რუსეთუმეობით, არა ბატონო ჩემო, თქვენ ცნობიერებით რუსი ბრძანდებით, ამიტომაც გძულთ რუსთაველი, რადგანაც არ გესმით მისი. რუსთაველი ბოლომდე რომ გაითავისო, ჭეშმარიტად ქართველი უნდა იყო ბუნებითაც და ცნობიერებითაც. თქვენ კი მთელი თქვენი რენეგატი და კოლაბორაციონისტი ჩამომავლობით რუსი ბრძანდებით და მათ სამსახურში აღამებთ და ათენებთ (რა თქმა უნდა, მე რუსობაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, პირიქით, დიდი ერია, მაგრამ თქვენ რატომ მალავთ რომ რუსი ბრძანდებით?), ახლა არ მითხრათ სისხლით ქართველი ვარო, სისხლით ქართველები იყვნენ — ორჯონიკიძე, ცხაკაია, მახარაძე, ბერბიჭაშვილი, კიტოვანი და სხვა შადიმანები, მაგრამ მათი ქართველობა მივა მირიან მეფესთან (რომელიც ირანის შაჰის უმცროსი შვილი გახლდათ და მის ძარღვებში გრამი ქართული სისხლი არ ჩქეფდა?) ნანა დედოფალთან, ვახტანგ გორგასალთან (რომლის ძარღვებშიც სასანიდური ჩამომავლობა იკვეთებოდა) და სხვა მამულიშვილებთან, რომლებმაც საქართველოს აღორძინება შესწირეს ცხოვრება?! მათ თავი რომ დავანებოთ, რამდენ დიდ ქართველში არ ჩქეფდა ქართული სისხლი, მაგრამ ვის მოუვა თავში მკრეხელური აზრი, რომ ისინი დიდ ქართველებად არ შერაცხოს? ბაგრატიონები თამარის შემდეგ ხომ მამით ოსური ჩამომავლობის არიან, მაშინ ისინი ოსებად ჩავთვალოთ? ეს ხომ სიგიჟე და საქართველოს მტრობა იქნება?! ის კი არადა, არაბი აბო და სომეხი შუშანიკი ცნობიერებით უფრო დიდი ქართველები იყვნენ, ვიდრე თქვენ ბრძანდებით და სწორედ ამიტომ გამოგიწოდათ ხელი თქვენმა მოსკოვმა, რათა თავისი გამორჩეული შვილი — რობიკო სტურუა მკერდში ჩაეკრა...




ეს გაუბედურებული თქვენგან დაზომბებული, სნობი საზოგადოება კი მკერდში მჯიღის ცემით გაიძახის — რობიკო სტურუა დიდი რეჟისორია, რითაც დიდი ქართველიც არისო. მის რეჟისორობაზე არ ვკამათობ, მაგრამ კარგი რეჟისორობა სულაც არ ნიშნავს, რომ ის აუცილებლად კარგი ქართველია და ხმამაღლა ვაცხადებ “ვეფხისტყაოსნის” შემგინებელი კაცი კაი ქართველად კი არა, უბრალოდ ქართველადაც ვერ იწოდების.



ახლა მინდა ორიოდე სიტყვა მათ გასაგონად ვთქვა, ვისაც თვალზეც და გონებაზეც ლიბრი გადაჰკვრია და დაზომბებული რუსეთუმეთა გვერდით დამდგარა. შოთა რუსთაველი და მისი “ვეფხისტყაოსანი” ქართული სულიერების სინონიმია. ქართველი შვილებს, თაობებს, არა მარტო ეპოსის გმირთა სახელებს არქმევდა, არამედ „ვეფხისტყაოსნის” გმირთა მიბაძვით ზრდიდა და ეამაყებოდა თუკი რამით ემსგავსებოდა თავიანთი პირმშო ან ასული პოემის გმირებს. “ვეფხისტყაოსანს” ბიბლიას უტოლებდა, ხელის გულზე აგოგმანებდა, მისი გულისთვის თავს სწირავდა, რომ ამ წიგნშია ჩადებული (რომელიც უნიკალური ქართულით გახლავთ წერილი), კოდი მისი თვითობისა და უნიკალურობისა, მისი გადარჩენისა და უკვდავებისა, და ვიდრე ეს წიგნი ქართულ იდენტურობას წარმოადგენს, მას გადაშენება ვით უწერია?! ეს აზრი ერის კოლექტიურ მეხსიერებაში ღრმად დაილექა და ღრმად გაჯდა, უფრო სწორედ იჯდა, წარსული დროით ვსაუბრობ იმიტომ, რომ გამოჩნდა კაცი, რომელმაც ეს შეგვიგინა, შეგვიფურთხა და იმის მაგივრად ყალყზე დამდგრებს (ეს ფაქტი, ხომ დედის შეგინებაზე მეტი უნდა ყოფილიყო თითოეული ქართველისათვის) საკადრისი პასუხი გაეცა, ერის ყვავილოვანი, მოწითალო, ინტელექტუალური ელიტა გაიტრუნა და გუნდრუკის კმევა განაგრძო მის მიმართ. რას ნიშნავს ყოველივე ეს, მითხარით? მძიმე სენითი სიმპტომების გამომჟღავნებასა თუ სრულ დაცემასა და დეგრადირებას. ეს ეხება ყველას, ვინც მიხვდა თუ რამხელა შეურაცხყოფა მიაყენეს ქართულ ცნობიერებას და მაინც გაიტრუნა და რუსეთუმე შადიმანებსაც, რომელთაც მინდა ხმამაღლა შევძახო — შადიმანებო, გაითვალეთ! მე არ მესმით, ამაზე მეტი რა უნდა შეეგინებინათ ქართველისათვის, რომ ის გამოფხიზლებულიყო და “ხელში აელო ფარხმალი” — არ მესმის!!! ამის შემხედვარეს, ასე დაცემულებს ვინ გვაღირსებს ტერიტორიულ მთლიანობას, ვინ რას დაგვიბრუნებს, ის კი არადა, ფრთხილად ვიყოთ, არ ახდეს შადიმანთა დიდი მოგვის — სერგო ორჯონიკიძის მუქარანარევი გაფრთხილება: ჭკუით იყავით ქართველებო, თორემ საქართველოს საზღვარს თბილისში, თათრის მოედანზე გავავლებო. “დიდმა სერგომ” ეს “უკვდავი” ფრაზა მაშინ თქვა, როცა ვაჟა-ფშაველას შვილის ლევანის სიცოცხლის გადარჩენა სთხოვეს — მან კი ლევანიც დახვრიტა და ლამის მეორე მუქარაც აგვისრულა. ამის შემდეგ ხმამაღლა ვკითხულობ — მართლაც რისი ღირსი ხარ შენ, საქართველოვ?!

რობიკო სტურუამ კი ერთი ხანობა ბუტიობა ითამაშა, თითქოსდა “უმადურ” სამშობლოსაც ტოვებდა, მერე კი უცბად განაცხადა — საქართველოდან არ მივდივარო. აქ უკვე ბუნებრივად იბადება კითხვა — რატომ? ახლა რა სპექტაკლის დადგმა გადაწყვიტა? ანდა ახლა საერთოდ ვის თამაშს თამაშობს? რამდენი ბატონის სამსახურშია ჩამდგარი?! ვის წისქვილზე ასხამს მისი და მხოლოდ მისთვის ცნობილი შორს გათვლილი საირიგაციო არხიდან მოვარდნილი წყალი??? რამდენს ან რამდენნი უხდიან მსუყე ჰონორარებს?!

ეს კითხვები პასუხს მოითხოვს! მე კი ერთხელ დავწერე სტატია: “სინდრომი ნონა გაფრინდაშვილი” და მინდა განვაცხადო “რობიკო სტურუა” სინდრომ ნონა გაფრინდაშვილის ერთ-ერთი ვარიაციაა და ამიტომაც, მართლაც, ვაი, ჩვენს დაავადებულ სულებს.

**ნოდარ კობერიძე**

მწერალი

## ივანე ჯავახიშვილი:

# saqarTvelos sazRvrebi

## istoriulad da Tanamedrove TvalsazrisiT ganxiluli



### 8. ქვემო ქართლის კუთვნილების საკითხი ისტორიულისა და თანამედროვე თვალსაზრისით

ამგვარად, ორი გარემოებაა სრულებით ცხადი: ერთი ის, რომ ამ კუთხის ახალშენში სომხები იმ სომეხთა მემკვიდრეები არ არიან, რომელნიც საქართველოს ამ კუთხის სომეხთა მიერ ზემოაღნიშნული პოლიტიკური მოტაცებისა და ბატონობის გამო აქ ქართველ მკვიდრ მცხოვრებთა შორის გაჩნდნენ. არც იმ სომეხთა მემკვიდრენი არიან, რომელნიც შემდეგ საუკუნეებში საქართველოს მთავრობის ნებართვით დროგამოშვებით სახლდებოდნენ (ის მოსახლეობა ხომ რამდენჯერმე ჯერ აიყარა სამუდამოდ, ხან მტრის მრავალგზის შემოსევისაგან მკვიდრ ქართველებთან ერთად ამოწყდა), — მერეც ის, რომ სომეხ მცხოვრებთა ეხლანდელი სიმრავლე საქართველოს სამხრეთის სამზღვარზე გარემოებათა ბუნებრივი შედეგი კი არ იყო, არამედ მხოლოდ რუსთა მთავრობის პოლიტიკური გეგმის წყალობით მათი უცხოეთითგან ხელოვნური გადმოსახლების შედეგი.

ამ ხელოვნური ხელშეწმყობი პირობების და მიუხედავად, სომხები მაინც მცხოვრებთა შორის აბსოლუტურ სიმრავლეს კი არ შეადგენენ, არამედ მხოლოდ შედარებითს. 1897 წ-ის საყოველთაო აღწერის თანახმად, ბორჩალოს მაზრაში სულ 128587 მცხოვრები ითვლებოდა და მათ შორის სომხები 48609. თურქ-თათრები — 37609, ბერძნები — 21347 და ქართველები — 6685.

საგულისხმოა და დამახასიათებელი, რომ საქართველოს და სომხეთის პოლიტიკური განახლება და დამოუკიდებლობის აღდგენა ამჟამად სომეხთა იერიშით და ომით დაიწყო ისევ საქართველოს სამხრეთის სამზღვარზე მდებარე ქვეყნის ქვემო ქართლის, ანუ როგორც იგი რუსების მიერ წოდებულია, ბორჩალოს მაზრის დასაპყრობად.

ზემოთქმული ვრცელი მიმოხილვის შემდგომ, რომელშიაც აღნუსხული იყო საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს ამ კუთხის მდგომარეობა, დასკვნა ძნელი არ არის. თავისთავად ცხადია, სომეხთა უკანასკნელი დასახლება ქვემო ქართლში საქართველოს ამ განუყოფელი ნაწილების მდგომარეობას ვერც ერთის მხრით ვერ შესცვლიდა. რუსეთთან 1783 წ. დადებული ხელშეკრულების ძალითაც და საქართველოს რუსეთთან შეერთების დროს რეალური მფლობელობითაც პოლიტიკურად იგი საქართველოს უცილობელი კუთვნილება იყო. ხოლო რუსეთთან შეკრული კავშირსა და მფარველობის ერთადერთი მიზანი საქართველოსთვის ჩვენი ქვეყნის მიწა-წყლისა და დამოუკიდებლობის ხელშეუხებლობა შეადგენდა. ეს დებულება თვით ხელშეკრულებაშიც არის შეტანილი და იქ, მეორე მუხლში ნათქვამია, რომ რუსეთის ხელმწიფე თავდებობას კისრულობს, რომ მეფე ერეკლეს მაშინდელი სამფლობელოს ანუ სამეფოს მთლიანობა და ხელშეუხებლობა დაცული იქმნებოდა.

მაშასადამე, როდესაც რუსეთის მთავრობა ამ ქვემო ქართლში სომხებს დასახლების ნებას აძლევდა, ეს შეიძლებოდა მხოლოდ და მხოლოდ ეთნოგრაფიული თვისების მოვლენა ყოფილიყო და თვით საქართველო და ქართველობა ამ გარემოებას ვერას გზით მიწა-წყლის სახელმწიფოებრივი სამზღვრების შემცველ გარემოებად ვერ ჩასთვლის, მით უმეტეს, რომ სომეხთა სამშობლოთგან აყრა და საქართველოში გადმოსახლება მათი ოსმალეთისა და სპარსეთის მიერ დევნის შედეგი იყო და, ცხადია, რა წამს მდგომარეობა მათთვის საკეთილდღეოდ შეიცვლებოდა, ისინი ისევ თავიანთ სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყვნენ.

რაკი სომეხთა დასახლებით ქვემო-ქართლში, ბორჩალოს მაზრაში, იმ კუთხის გეოგრაფიული თვისებებიც, თავისთავად, ცხადია არ შეიცვლებოდა, — საუკეთესო გზებიც ტოპოგრაფიული პირობების გამო ტფილისისაკენ არის მიმართული და ამის გამო ეს მხარე წინანდებურად დანარჩენ საქართველოსთან უმჭიდროესად არის დაკავშირებული, ამიტომ ეკონომიკური დამოკიდებულების ვითარებაც მისი და ჩვენი ქვეყნის დანარჩენ ადგილებს შორის არ შეცვლილა, — კვლავინდებურად ეხლაც ეს კუთხე საქართველოსთან არის დაკავშირებული. ეს გარემოება ამ კუთხის თვით ადგილობრივ დაწესებულებათა წარმომადგენლებსაც არაერთხელ ხამამაღლა აღუნიშნავთ იმ დროსაც, როდესაც პოლიტიკური საკითხის წამოყენება ჯერ ფიქრადაც არავის მოუვიდოდა, იმ დროს, როდესაც კავკასიაში მეფის მოადგილე სომეხთა თავგამოდებული მომხრეობით ცნობილი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვის წყალობით წამოაყენ საკითხი ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრების ტფილისის გუბერნიითგან გამოყოფისა და გუმბრთან შეერთების შესახებ, რომ ამგვარი სრულებით ხელოვნური საშუალებით გუმბრის (ალექსანდროპოლის) გუბერნია შეექმნათ.


ივ. ჯავახიშვილი
საქართველოს საზღვრები
ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით
განხილული
ტფილისი
სახელმწიფო სტამბა
1919

სომეხთა სურვილი რომ განხორციელებულიყო, ვორონცოვ-დაშკოვმა ბრძანება გასცა, ეს საკითხი შეესწავლათ და შესაფერისი მოხსენება დაემზადებინათ. ამიტომ 1913 წლის 6 ნოემბერს და 18 დეკემბერს ტფილიის გუბერნატორმა ბორჩალოს სამაზრო კომისიას, რომელშიაც ერთი რუსი იყო (მომრიგებელი მოსამართლე ბურნაშოვი), 6 სომეხი (გადასახადთა ინსპექტორი ზახარიანცი, შულავერის საზოგადოების წარმომადგენელნი ერიბეკოვი და ვ.მეჰრაბოვი, ჯალალოღლის საზოგადოების წარმომადგენელნი ვ.სააკოვი და მ.ბახშინოვი, ბოლნის-ხაჩინის საზოგადოების წარმომადგენელი ვ.ავეტისოვი), 4 თათარი (მეჰტი-აღა-სულთანოვი, ახმედ მირზა მამედ-ოღლი: შამილი, აბბას-ოღლი და აბდურახმან გაიბმოვი), 1 გერმანელი (იაკობ ტაუში) და 3 ქართველი (მაზრის უფროსის თანაშემწე ინალიშვილი, გადასახადთა ინსპექტორი ინალიშვილი, გადასახადთა ინსპექტორი ბარათაშვილი), ერთი მხრივ დაადგინა, რომ ბორჩალოს მაზრის ტფილისის გუბერნიითგან გამოყოფა სასურველი არ არის. თავიანთი დასკნა მათ იმ მოსაზრებით აქვთ დასაბუთებული, რომ ეს მაზრა აღმოსავლეთით და სამხრეთით მთებით არის მორთული და გუმბრისაკენ მიმართული ორი საურმე (ბეზობდალისა და გულიბულახის) გზატკეცილი ზამთარში ნამქრების გამო გაუვალი ხდება, დანარჩენი გარდასავლები კი ამ მთებზე ზამთარში სრულებით შეკრულია ხოლმე, რომ ეკონომიკურად მთელი ეს მხარე ტფილისთან არის დაკავშირებული, იქ ყიდის თავის მოსავალს და იქვე ყიდულობს თავისთვის, რაც რამე დასჭირდება.

ბორჩალოს სამაზრო კომისიის ეს დადგენილება 24 იანვარს 1914 წ. ტფილისის საგუბერნიო განსაკუთრებულმა საბჭომ, რომელშიაც 11 რუსი სხვადასხვა მოხელე იღებდა მონაწილეობას გუბერნატორითგან მოყოლებული (ჩერნიავსკი, ს. პანოვი, სმირნოვი, კორვინ-პავლოვსკი, კ.სლავინსკი, მ.შესტაკოვი, ე.ციგანკოვი, მ.მისენკო, ს.პერშკე, იზიუმსკი და ჟდანოვი), 3 ქართველი (კ.აბხაზი, ი.აბხაზი და ტ.ქიქოძე) და 2 სომეხი (კ.იუზბაშევი და ელიმიზროვი), მოიწონა და თვითონაც სრულებით მიემხრო (იხ. ტფილისის გუბერნიის საგლეხო საქმეთა საკრებულოს წევრის ივ.აბხაზის მოხსენება).

ამ ერთხმრივ დასკვნას ორსავე განსაკუთრებულ საბჭოში და ბორჩალოს მაზრის ტფილისის გუბერნიის სამზღვრებითგან გამოყოფისა და გუმბრთან შეერთების აზრის ამ ერთმხრივ უარყოფას ორსავე განსაკუთრებულ საბჭოში მით მეტეს აქვს დიდი მნიშვნელობა, რომ თვითამ საბჭოების მონაწილეებმა კარგად იცოდნენ, რამდენად თანაუგრძნობდნენ ამ აზრის განხორციელებას თვით მეფის მოადგილე და მისი თანაშემწე, ამიტომ მოსალოდნელი იყო კიდეც, რომ ისინი კავკასიის უმაღლესი მთავრობისა და სომეხთა გულის წადილს კვერს დაუკრავდნენ. თუ ამისდა მიუხედავად ეს აზრი ერთხმრივ უარყოფილი იყო ორჯერვე, ცხადია, ბორჩალოს მაზრის ტფილისის გუბერნიისგან ჩამოშორება და გუმბრთან შეერთება სრულებით შეუწყნარებელი და ბუნებრივი პირობების მოუხეშავი დარღვევა იქმნებოდა.

### მე-5 თავი
### სამხრეთ-დასავლეთის სამზღვარი მესხეთი ანუ ზემო ქართლი

საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს საზოგადო სახელად ზემო-ქართლი ეწოდებოდა, სკუთრივ-კი და უფრო ხშირად მესხეთს ეძახდნენ და სწორედ ამ სახელით იქმნება იგი ქვემოთ ნახსენები ხოლმე.

მესხეთი ბევრს სხვადასხვა სახელის მატარებელს თემს შეიცავდა. მესხეთის სანაპირო თემებად, აღმოსავლეთითგან რომ მოვაყოლოთ, შემდეგი ადგილები იყო: ჯავახეთ-აბოცი, არტაჰან-კოლა, კლარჯეთი, ტაო-ოლთისი და თორთუმისპირი. კლარჯეთის სამხრეთ-დასავლეთით ზღვის პირას ტრაპიზონამდის უკვე ლაზისტანი, ანუ ჭანეთი იყო.

### პალაკაციო, ანუ აბოცი და საქართველოს ამ სამზღვრის ხაზი

აბოცი ჯავახეთის სამხრეთით მდებარეობდა და ვითარცა მესხეთისა და ქვემო-ქართლის შუამდებარე თემი, ზოგჯერ მესხეთს ეკუთვნდა, მაგრამ ხშირად და მე-17-მე-18 ს.ს.-ში განსაკუთრებით ქვემო-ქართლის სამზღვრებში, იყო მოქცეული.

აბოცს ძველად პალაკაციოსაც ეძახდნენ, შემდეგში-კი თუნდა მაგ. ვახტანგ მე-6 მეფის დროს ყაიყული ეწოდებოდა. იგი „გამოხვეულია სრულიად მთითა და შუაში ვაკეა“ (ვახუშტი. გეოგრაფია 148-150). აბოცს ტაშირისაგნ, იმგვარადვე, როგორც ბერდუჯს, ანუ დებედას ბამბაკისგან „ჰყოფს მთა ირჯანისა და აწ ყარაღაჯად წოდებული (იქვე 148). ამავე უკანასკნელი სახელით არის ეს მთა ეხლაც ცნობილი. მას ჩრდილო-სამხრეთით აქვს მიმართულება, „მდებარებს სამხრიდამ ჩრდილო კერძ“ (იქვე), მაღალია, „მარადით თოვლიანი და უტყეო და კალთათა ბალახოვანი“ (იქვე).

დასავლეთ-სამხრეთით აბოცს სამზღვრად ალაბაბას მთა ჰქონდა, რომელიც ერთის მხრით ტბა „პალაკაციოს“ და აბოცს შორის) მდებარეობდა და, ამასთანავე, იყო „საზღვარი ქართლისა და ყარსისა ვიდრე თეთრ ციხემდე და ტბამდე ტაშაღანისა“ (ვახუშტი, გეოგრაფია 150).

ამ აბოცში მდებარეობდა „ყარანჩი“, რომელიც თურმე „იყო ქალაქი მცირე“ (იქვე). ორივე სახელი ყაიყულიცა და ყარანჩიც, ვითარცა ნაშთი, ეხლაც არის საგეოგრაფიო სახელად შენახული რუკებზე „ყაიყული-ყაზანჩი“-ს სახით სწორედ ყარაღაჯის ქედსა და ალაბაბას მთას შორის მდებარე მაღლობ ვაკეზე.

მაშასადამე, აბოცის სამხრეთის სამზღვარი იწყება იქ, სადაც ირჯანის ანუ ყარაღაჯისა და ბერდუჯის (ბეზობდალის) მთების შესაყარია. აქეთგან ხაზი მიდის ბაბას მთების ქედ-ქედ და ალაბაბის მწვერვალამდე, შემდეგ უკვე საკუთრით მესხეთის სამზღვარი იწყება და იმ ძველად ყარსის მთებად წოდებული მთავარი წყალგამყოფელი მთების ქედს მისდევს, რომელიც მტკვრისა და ჭოროხის შემდინარეების აუზს არეზის აუზისაგან ჰყოფს და რომელნიც ამჟამად ჯერ ყარსის გუბერნიის არტაანის ოლქისა და ხოლო მერმე ოლთისის ოლქის სამხრეთ აღმოსავლეთს სამზღვარს ჰქმნის. შემდეგ სამზღვარი მიდის ძველ დროს ირიჯლუს მთებად წოდებულ ჭოროხისა და არეზის შემდინარეების წყალთგამყოფელი მთების ქედზე, მერმე ჩრდილო-დასავლეთით უხვევს, სანამ ლაზისტანის სამზღვარს არ მიადგება.

(გაგრძელება იქნება)

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

რედაქციისაგან: ივანე ჯავახიშვილის წიგნი „საქართველოს საზღვრები“ იბეჭდება უცვლელი სახით.

# `ero, guli wagsvlia da gagwyromia suli wminda, gonebaze rom moxvide asi aliyuri ginda!~

# qveyana avadaa _ `saerTo gazeTi~ konsiliums iwvevs

*„კონსილიუმის“ სტუმრები არიან მწერალი ელიზბარ ჯაველიძე და ფილოსოფოსი ლელა გაფრინდაშვილი:*

**ელიზბარ ჯაველიძე, მწერალი, აკადემიკოსი:** შეგნება იმისა, რომ ჩვენი სახელმწიფო, ქართველი ერი ძლიერ ავადაა, უკვე წარმატებას ნიშნავს. ბოლო დროს ჩვენს ტერიტორიაზე ლაბორატორიებში გამოყვანილი ბაცილები შეგნებულადაა გავრცელებული და ეს ბაცილები ქართული სახელმწიფოს ჯანსაღ გონს, ნიჭს კლავს და ანადგურებს. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, ეს არის არსებული სისტემა, რომელიც ქართული სახელმწიფოს ხერხმალს ხრავს. დღეს მიხეილ სააკაშვილის გადაყენების მოთხოვნა მართებულია, მაგრამ არა არსებითი. სააკაშვილის შეცვლა მეორე ან მესამე უფრო გონიერი სააკაშვილით ბევრად საშიშია ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის. ამიტომ უმთავრესი მიზანია სახელმწიფოში არსებული სისტემის მოშთობა. ანუ დღეს ჩვენ ისეთ ვითარებაში ვართ თერაპიული მკურნალობა ვერ გვიშველის, ღრმადაა გამჯდარი ქართული სახელმწიფოს ორგანიზმში ეს ავადმყოფობა, საჭიროა ქირურგიული ჩარევა. თერაპიული მკურნალობის ის გზა, რომელიც შეიძლება წამლებით მოკეთდეს, გაუმჯობესდეს, იქნება მხოლოდ გარეგნული სახის შენარჩუნება. მთავარია ამ სენის არსებითი გარდაქმნა, შინაგანი დაბუდებული ბოროტების, ძალმომრეობის ამოშთობა. ქირურგიულ ჩარევას ვუწოდებ რა მხოლოდ რევოლუციურ გზას, არამედ პრინციპულ ბრძოლას არსებული ხელისუფლებისა და რეჟიმის ანუ სისტემის წინაალმდეგ და არა ფიქრს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე, რასაც დღეს ოპოზიციის დიდი ნაწილი აწარმოებს. მათი გზა ფარისევლურია, ისინი კარგად გრძნობენ, რომ ამ რეჟიმის დროს არ შეიძლება ობიექტური, დემოკრატიული არჩევნების ჩატარება. ეს ძალიან კარგად იცის ჩვენმა დასავლელმა მეგობრებმა, ქართულმა ოპოზიციამაც. მათ უბრალოდ სურთ ხალხს თვალში ნაცარი შეაყარონ, არსებული რეჟიმი გახანგრძლივდეს და გაუმაგრონ ტახტი სააკაშვილს. ოპოზიციამ იცის, რომ ეს ხელისუფლება თავის დასაკლავ დანას არ გალესავს, მათ ისიც კარგად უწყიან, რომ დღეს ქართველ მოსახლეობას არავინ არაფერს ეკითხება. სისტემა, რომელიც ჩვენში ამერიკამ დააფუძნა – მასონური ძალა არ გააღიზიანონ და მათი წყალობით თავად მოხვდნენ პარლამენტში, რათა თავისი კეთილდღეობა მოიპოვონ, ხელი მოითბონ, ხალხის დარდი მათ არ აქვთ.



**ლელა გაფრინდაშვილი, ფილოსოფოსი, პროფესორი:** ავადობის სიმპტომები მრავალგვარია. ახლახან ლაშა ბუღაძემ დაწერა სტატია – რა ხდება, როცა ჭაღარა ბებიები პრეზიდენტს ეხვევიან, რამაც არამარტო ჩემი, არამედ საზოგადოების დიდი ნაწილის გაღიზიანება გამოიწვია იმიტომ, რომ ქალები საჯაროდ გამოხატავენ თავიანთ სიმპათიებს პრეზიდენტის მიმართ და არც არაფერს არ მალავენ მაშინ, როცა მამაკაცები კაბინეტებში და მოფარებულ ადგილებში მშვენივრად ჰკოცნიან მას სხვადასხვა ადგილებზე და ამის განსაჯაროება არ ხდება. ამიტომ ეს სხვა პრობლემაა. ჩნდება კითხვა – ამ მომენტისთვის სად ვართ? – ვმონაწილეობდი ძალიან საინტერესო პროექტში, რომელიც მეგობრებთან ერთად ქვემო ქართლში განვახორციელეთ. პროექტი ბრიტანეთის საელჩომ დააფინანსა. ქვემო ქართლის აზერბაიჯანული, სომხური და ქართული თემიდანაც გვყავდა ადამიანები. გვაინტერესებდა რამდენად აცნობიერებენ ეს ადამიანები პრობლემებს, უფლებადარღვევებს, რაც საკმაოდ ხშირია საქართველოში, რამდენად უკავშირებენ ამას თავიანთ პერსონალურ ბედსა და გამოცდილებას და რამდენად იციან, რომ ამ უფლებების დაცვის გარანტორი სახელმწიფოა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო. საქართველოში მუშაობს გავრცელებული პრაქტიკა ნაცნობის გამოძებნის, ჩაწყობის და ა.შ. სამწუხაროა, რომ დემოკრატიის შუქურა ქვეყანაში ადამიანები არჩევენ საქმის მოგვარებას უფრო ტრადიციული პატრიარქატულ მეთოდებს, ვიდრე კანონიერი გზით წასვლას. ეს ტრანსფორმაცია არ მომხდარა. მთავარი კითხვაა – ვინ უნდა გააკეთოს ეს? – რა თქმა უნდა მოქალაქეთა განათლების და კანონმორჩილების სამართლებრივი ცნობიერების ფორმირებაში მთავარი პასუხისმგებელი ხელისუფლებაა. ხელისუფლება კი არაფერს აკეთებს და ეს განსაკუთრებით იმ რეგიონებში იგრძნობა, სადაც ეთნიკური უმცირესობები კომპაქტურადაა დასახლებული. ამ ადამიანების უმრავლესობამ არ იცის სახელმწიფო ენა. ადამიანები წლობით ცხოვრობენ სახელმწიფოში, რომლის მოქალაქეებადაც ითვლებიან და არ იციან სახელმწიფო ენა. ვინ არის ამაზე პასუხისმგებელი? გრძელვადიანი გეგმის არსებობის ვალდებულება ხელისუფლებას აქვს. შეიძლება აზერბაიჯანელი გაღიზიანდეს თუნდაც ქართული ენის სწავლასთან დაკავშირებით, რადგან ეთნიკურ უმცირესობებს თავიანთი კულტურული თვითმყოფადობის დაკარგვის შიში აქვთ. ამიტომ სახელმწიფო ვალდებულია აუხსნას მათ რისთვის არის ეს საჭირო – მათი ფუნდამენტური უფლებაა იღებდნენ განათლებას იმ სახელმწიფოს ენაზე, სადაც ცხოვრობენ, ჰქონდეთ იგივე შესაძლებლობები, რაც უმრავლესი ეთნოსის წარმომადგენლებს. მაგრამ ხელისუფლება დაინტერესებულია ეს ხალხი უმეცრებაში ამყოფოს იმისათვის, რომ არჩევნებზე ამ ხალხმა 5-იანები დაიწერონ ხელისგულებზე და შემდგომ შემოხაზონ ეს ციფრი. ეს აბსოლუტურად შედის ხელისუფლების ინტერესებში, რომ ამ ადამიანებს არ ესმოდეთ რა სახელმწიფოში ცხოვრობენ. ბუნებრივია ის პოლიტიკური პროცესი, რომელიც არჩევნებთან დაკავშირებით ახლოვდება, ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს. რა ვითარებაში ვართ? – ეს არის ნიჰილიზმი, პრაგმატიზმი, ოპტიმიზმი თუ სხვა რამ, რა განწყობებია მოსახლეობაში? ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე საკმაოდ ხშირად დავდივარ რეგიონებში და ვამჩნევ, რომ ადამიანები საკმაოდ პრაგმატულად აფასებენ მოვლენებს. ხალხი ხედავს იმ ჩიხს, რომელშიც შესულია სინამდვილეში პოლიტიკური, სამოქალაქო პროცესი. ამიტომ ისინი შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე მათთვის სასარგებლო გამოსავლის ძიებას იწყებენ – თუ მომავალ არჩევნებზე 1 ტომარა ფქვილი არ იქნება საჭირო და ვინმე 2 ტომარას ჩაიტანს, ისინი ამას აიღებენ ისევე, როგორც თავის დროზე 1 ტომარა ფქვილი აიღეს. იმიტომ, რომ ისინი ამ ყველაფრის გამო თავს შეურაცხყოფილად, მოტყუებულად გრძნობენ. ამიტომ ვინ ვის მოატყუებს ეს სიტუაცია უფროა, ვიდრე ის, რომ თითქოს ადამიანები ვერ ხვდებიან ვინ და რატომ ატყუებს. ხალხს არ აქვს ამ პროცესში თანამონაწილეობის განცდა. ყველა ორიენტირებულია თავად მოიფიქროს რაღაც და საკუთარ ოჯახს მიხედოს. ძალიან სკეპტიკური იქნება ამ არჩევნებზე მოქალაქეთა დამოკიდებულება. თუ რომელიმე ოპოზიციური პარტია ფიქრობს, რომ სადღეგრძელოების და დუჟმორეული რიტორიკით რაიმეს გამოიწვევენ მოქალაქეებში, ძალიან ცდებიან. შეიძლება ოპოზიციას ტაში დაუკრან, მაგრამ ეს არ იქნება კორელაციაში იმ არჩევანთან, რომელსაც მოქალაქეები საარჩევნო უბანზე გააკეთებენ. დღეს, საქართველოში იმდენად მაღალია უსამართლობის ხარისხი და ავტოკრატულია რეჟიმი, რომ ადამიანებს ესმით – ხმის ამოღება სერიოზულ საფრთხეს უქმნის მათ. ამიტომ, ამ ვითარებაში, როდესაც მათ ოპოზიციური პარტიებისგან წყლის ფუნდამენტალურად შეცვლის მოლოდინი არ აქვთ, ისინი არჩევენ თავად მოიფიქრონ ისეთი რამ, რასაც სხვების დახმარების გარეშე გაწვდებიან. მგონია, რომ რაც მეტი პოლიტიკური პარტია გამოჩნდება, უკეთესია. სხვა საკითხია, რამდენად გვაქვს გარანტია, რომ ისინი დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალები არიან – ჩვენი ხელისუფლებისგან, რუსული გავლენისგან, რამდენად პრო-დასავლური, პრო-დემოკრატიული, პრო-ლიბერალურნი არიან. პოლიტიკურმა ისტებლიშმენტმა ის განწყობები უნდა ასახოს, რაც ხალხშია. **ელიზბარ ჯაველიძე:** ავად ვართ იმ მხრივაც, რომ ხდება საქართველოს ფიზიკური გაჩანაგება, ანუ ტერიტორიების დაშლა, გაყიდვა, გაცემა. დაკარგულ ტერიტორიებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თამამად შემიძლია განვაცხადო, დღეს აჭარა საქართველოს აღარ ეკუთვნის, რამეთუ იქ ქართული აღარაფერი ჭაჭანებს – დაწყებული ეკონომიკით, სულიერებით გაგრძელებული. რელიგიით, მსოფლმხედველობით, მიწიანწყლიანად აჭარა მთლიანად გაყიდულია თურქებზე. ზვიად გამსახურდიას და მის შემდგომ პერიოდშიც აჭარის მოსახლეობის მხოლოდ 46 პროცენტი იყო მუსულმანი, მაშინ მთელი ახალგაზრდობა მოინათლა. დღეს, პირიქით, ხდება 76 პროცენტია მუსულმანი და, სამწუხაროდ, არათუ დედ-მამა, ბავშვები, ახალგაზრდებიც მუსულმანები არიან. გარდა ამისა, წელიწადში 3 ათასი ბავშვი გადის სასწავლებლად. რაც შეეხება იმას, თუ რა წარმატებას მიაღწია აჭარამ – ბათუმი დაბალი გემოვნების ბალაგანის და კიჩის სცენად გადააქციეს, სადაც მიდის ქადაგებები ბოზობისკენ. ქართველ ახალგაზრდა გოგონებს აიძულებენ ემსახურონ თურქებს. რაც არ უნდა დანაშაული ჩაიდინოს, თურქის დასჯა არასდროს ხდება, საკმარისია ქართველმა ხმა ამოიღოს თავის დასაცავად და მაშინვე ციხეში მიაბრძანებენ. სხვა საკითხია, რა ხდება ჩვენს ძირძველ მიწაზე სამცხე-საათაბაგოში, როგორ წამოსწიეს თავი ჩვენმა მეგობარმა ე.წ. სომხებმა. ჯერ არა, მაგრამ ძალიან მალე დადგება ქვემო ქართლში აზერბაიჯანული ტერიტორიის დამოუკიდებლობის საკითხი. ამრიგად, თანდათან იშლება და ნაწევრდება ქართული ტერიტორიები, რაც ქართული პოლიტიკური სხეულის სიკვდილს ნიშნავს. ამავე დროს ხორციელდება მიზანმიმართულად ქართველი კაცის ფიზიკური განადგურება – შიმშილი, უმუშევრობა, უსახსრობა – ეს ყველაფერი აჩანაგებს ქართველ ერს. გარდა ამისა, შეგნებულად ხდება მიგრაცია – ემიგრაციის პროცესი. ემიგრაციაში უკვე გასულია 2 მილიონი ქართველი, მიგრაციისთვის კარები ღიაა ქართველის გარდა ყველასთვის, ჩამოდის – თურქი, აზერბაიჯანელი, სომეხი, ჩინელი, იაპონელი, ვიეტნამელი და ა.შ. ეს არის შეგნებული პოლიტიკა – აქედან წასული ქართველი, რომელიც უცხო ქვეყანაში ლუკმა-პურისთვის იღწვის, უკვე აღარ არის ქართველი და არც აქვს სურვილი უკან დაბრუნების. ისე, როგორც აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას უკვე აღარ აქვს სურვილი თავის საცხოვრისს დაუბრუნდეს. დღეს, საქართველოს დემოგრაფიული კრიზისი გახლავთ, ის, რომ სულ რამდენიმე წელიწადში საქართველოში ქართველზე მეტი იქნება სხვა, უცხო ტომის ხალხი. სხვა ტომების დასახლება ჩემი ძირძველი, ავტოქტონური ერის ხარჯზე არ უნდა ხდებოდეს, ქართველის ნაცვლად სამუშაოს თურქი არ უნდა შოულობდეს, ქართველი თურქის მონა არ უნდა იყოს. აზერბაიჯანულ კომპანია „სოკარში“ მმართველები აზერბაიჯანელები არიან, საპირფარეშოს დამლაგებლები ქართველები არიან და საშინელ დამცირებას განიცდიან. საქართველოში ქართველი კაცი უცხო ტომის მონადაა ქცეული, ვერ პოულობს სამსახურს. ეს გახლავთ უბედურება. გარდა იმისა, რომ ქართველ კაცს მიწა გამოაცალეს, ყველაფერი გაიყიდა, სახელმწიფო ეკონომიურად სტრატეგიული ინტერესები გაყიდულია და გადაბარებულია სხვა ქვეყანაზე, რაც ერის ფიზიკურ გაჩანაგებას ნიშნავს, ასევე ხდება მისი სულიერი სიკვდილი. ანუ ერთდროულად ხდება ერის ფიზიკური და სულიერი გენოციდი. ამ ძალებმა კარგად იციან, რომ ერის საბოლოო სიკვდილი მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც მას სულს ამოაცლი. ახალ აღთქმაში წერია – ნუ გეშინის იმის, ვისაც ფიზიკურად ძალუძს შენი სიკვდილი, გეშინოდეს იმის, ვისაც ძალუძს შენი სულიერი სიკვდილი. ის, ვინც ჩვენ სულიერად გვკლავს, ხელისუფლებამ პირველ მეგობრად გამოგვიცხადა – აშშ. დღეს ბევრს საუბრობენ რუსეთზე, მან წაიღო ტერიტორიები, მაგრამ რუსეთის მიზნები ლოკალურია. 150 წლის განმავლობაში რუსეთს ჩვენთვის არ მოუყენებია ისეთი ზიანი, როგორც 3-4 წელიწადში აშშ-მ გააკეთა. სულიერება, კულტურა, განათლება ყველაფერი ნულზეა დასული და არაფერი აღარ დაგვრჩა, რასაც დიდი ილია გვკარნახობდა – მამული, ენა და სარწმუნოება. მამული გავასხვისეთ,




იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

გავყიდეთ, გავაჩანაგეთ, ენა შევრყვენით, ენას პირდაპირ ჩამოვართვით საქართველოს სახელმწიფო სტატუსი, როგორც მუხრანი ამბობდა ორლობის ენად აქციეს, ინგლისური გამოაცხადეს სახელმწიფო ენად. როდესაც პრეზიდენტი აცხადებს — ჩვენ არ ვაძლევთ დიპლომს იმ სტუდენტს, რომელსაც ინგლისური არ ეცოდინება, ეს ნიშნავს, რომ ქართული კი არა ინგლისური გაქვს სახელმწიფო ენად. მეორეც — როცა სამსახურში გიღებენ და ჭკუათხელი გიგი თევზაძე გიცხადებს, რომ დამლაგებელიც არ უნდა სამსახურში თუ ინგლისური არ იცის, დამთავრებულია საქმე. ქართული ენის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაზე არავინ საუბრობს და სარწმუნოება, რომელსაც ოდითგანვე უტევდნენ და დღეს განსაკუთრებულად გამოაჩინეს კბილები და სინოდსაც მიაღებინეს გადაწყვეტილება, რასაც ცოტა ხანში ისეთი სისხლისღვრა მოჰყვება, რომ დედა შვილს ვერ აიყვანს.

**ლელა გაფრინდაშვილი:** საჭიროა ვისაუბროთ იმაზე, თუ როგორ დგება საგანმანათლებლო რეფორმის შესახებ გრძელვადიანი სტრატეგია, ვინ ადგენს — თავად შაშკინი ერთპიროვნულად, სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან გადმოყოლილ მეგობრებთან ერთად თუ სხვა. რა სპეციალობის ადამიანები მონაწილეობენ ამ სტრატეგიის შემუშავებაში? შევხედოთ რეალობას — საერთოდ ვიცით ვინ დაადგინა მანდატურების ინსტიტუტი, რასთან დაკავშირებით შემოიღეს სკოლებში ვიდეო-თვალი? ხელისუფლების წარმომადგენლებს აბსოლუტურად არ აქვთ განცდა ამასთან დაკავშირებით, არ არიან მგრძნობიარენი ამ პრობლემებთან მიმართებაში. ისინი ფიქრობენ, რომ ხალხი ბნელია, მათ კი აქვთ ზემოდან ბოძებული ღვთაებრივი მისია — ასეთი განცდა აქვთ შაშკინს და მსგავსი ტიპის ჩინოვნიკებს, რომ ყველა ვინც სკოლაში მუშაობს, მუშაობდა, ყველა მოწაფე არის კრიმინალი, მათ კი ასეთი სპარტანული, ნაჯახის მეთოდოლოგიით უნდა შეცვალონ სიტუაცია. ეს არ მოხდება, უკუპროცესებს, სერიოზულ რეზისტენციას ექნება ადგილი, რომელსაც შეიძლება მყისიერი რეაქცია არ ჰქონდეს, მაგრამ როდესაც ამ მანდატურების ხელში გავლილი თაობა გაიზრდება და მათი სოციალიზაცია მოხდება, იმ მომენტში საფრთხეს ნამდვილად დავინახავთ.

**ელიზბარ ჯაველიძე:** მთავარია ძილქუშიდან გამოვიდეთ. სპექტაკლის საზოგადოებად ვიქეცით — ეს დაავადება ძალიან ცუდი რამაა. ფრანგი ფილოსოფოსი ამბობდა — ამის მკურნალობა ძალიან ძნელიაო. ეს რას ნიშნავს? — როცა შენ უყურებ რეალობას, მაგრამ ვირტუალურ გარემოში ხარ, რაღაც ხერხებით მოწოდებული სხვისი აზრი შენი გგონია და აღარ გინდა რეალობას თვალი გაუსწორო, ბრძოლის უნარი არ გაქვს, ხარ ინერტული, ცხოვრობ მოჩვენებით სამყაროში და თეთრსა და შავს ვეღარ არჩევ, ასეთი საზოგადოება, ერი განწირულია სასიკვდილოთ. ტელევიზიით იმდენი უზნეობა იფრქვევა, მათი წყალობით უკვე ტვინგამორეცხილები ვართ. არავინ არაფერს არ გვეკითხება და ამიტომ ვამბობთ — ბრძოლა არაფერს მოიტანს, ეს შეხედულება მცდარი და დამღუპველია. ქართველმა კაცმა უნდა შეიგნოს — ხელისუფლების მონა-მორჩილი და მსახური კი არ არის, არამედ ხელისუფლებაა მისი მსახური. ხელისუფლება უნდა ემსახურებოდეს ხალხს და არა ხალხი იყოს მისი მონობის უღელში შებმული. უნდა მოხდეს ეროვნული, ქართული ძალების გაერთიანება, რომელთაც პრინციპული ბრძოლისუნარი შესწევთ. დღეს ჩვენი ხელისუფლება ქვეყნის სამსახურში კი არ არის, არამედ ახორციელებს უცხო ქვეყნების ინტერესებს, ხატად გაუხდია ამერიკა, როგორც დემოკრატიის შუქურა, ამიტომ ისინი საქართველოს მტრები არიან და არა პრეზიდენტები, არამედ უცხო მხარის რეზიდენტები და სისხლის სამართლის დამნაშავენი.



**ლელა გაფრინდაშვილი:** პრობლემას ვხედავ საზოგადოებაშიც, რომელიც საკმაოდ განსხვავებულია — არიან ადამიანები, რომლებიც აბსოლუტურად ზუსტად აცნობიერებენ სად არიან და რა ხდება. არიან ადამიანები, რომლებიც ვერ აცნობიერებენ არა იმიტომ, რომ მენტალური პრობლემა აქვთ, არამედ ინფორმაცია არ მოეწოდებათ. ხალხი ბნელი, უმეცარი, მკვლელი, გაუნათლებელი არ იბადება. თუ მას ინფორმაციის მიღების ასპარეზი არ აქვს, ის იქნება იმ სტატუსკვოში, რომელშიც იმყოფება. ამიტომ ჩემი აზრით, დღეს საქართველოში არის სიტუაცია, როდესაც სერიოზული დეფიციტია იმისა, რომ ადამიანებმა არ იციან, განვითარების რა მომენტში არიან. მათ არ იციან რა არის დემოკრატია, კანონის უზენაესობა, მრავალპარტიულობა, ადამიანის უფლებები. თუ ეს ცოდნა ექნებათ, შემდგომ აირჩევენ რა სჯობს — ავტორიტარული რეჟიმი თუ მრავალპარტიულობა, გაყალბებული თუ სამართლიანი არჩევნები, ადამიანის უფლებების დაცვა თუ დარღვევა. ამ არჩევანს თავად გააკეთებს საზოგადოება თუ ამის საშუალება ექნება. მაგრამ, როდესაც მათ მხოლოდ შავ ფერს სთავაზობ და არ აჩვენებ თეთრს, ყვითელს, წითელს, ლურჯს, როგორ უნდა გააკეთონ არჩევანი?! დღეს, ადამიანებს საქართველოში ტოტალურად არ აქვთ არჩევანის თავისუფლება. ამის დიაგნოზირება რთულია. შეიძლება ხელისუფლებას დაუსვა დიაგნოზი — ეს არის ტიპიური ავტორიტარული რეჟიმი. სისასტიკის შემთხვევები უამრავია. ახლახან ნანა კაკაბაძის ორგანიზაციამ —„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის" ჩაატარა კვლევა, გამოქვეყნდა სტატისტიკა 100 ათას მოსახლეზე პატიმართა რაოდენობის შესახებ. საქართველოში, ამ მხრივ, განსაკუთრებით „ვარდების რევოლუციის" შემდეგ კატასტროფული სიტუაციაა. რა ხდება, ქართველები ყველაზე კრიმინალი ერი ვართ პოსტსაბჭოთა სივრცეში, ევროპაში და აზიაში? ეს იძლევა ერთადერთი დასკვნის საშუალებას — საქართველოში არის რეჟიმი, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია ასეთი სტატისტიკა გვქონდეს. ასევე, ორგანიზაციამ გამოიკვლია სასამართლო სტატისტიკა — 1918 სასამართლო განხილვიდან, მხოლოდ 19 გამამართლებელი განაჩენი გამოვიდა. ეს სრული კატასტროფაა და გვიჩვენებს, თუ რა მდგომარეობაშია კანონის უზენაესობა საქართველოში და როგორ ასრულებს სასამართლო თავის ფუნქციას. ეს მაჩვენებელია ადამიანის უფლებების ტოტალური დარღვევის და იმის, რომ სასამართლო სახელისუფლებო შეკვეთას ასრულებს და პასუხისმგებელი არ არის კანონის წინაშე. ეს, ასევე აჩვენებს იმას, რომ მოქალაქეები ვერ ენდობიან ასეთ სასამართლოს. თუ ადამიანი საბრალდებო სკამზე მოხვდა, ეს მაღალი ალბათობით ნიშნავს მის ციხეში მოხვედრას.

**ელიზბარ ჯაველიძე:** ჩემი აზრით, საზოგადოების დაავადება ერთია, რაც დღეს და გუშინ არ მომხდარა, ქართველ ხალხში შიშის სინდრომი ჩანერგეს. ანუ ხალხი ასე ფიქრობს



— სხვისი ჭირი ღობეს ჩხირიო, მეორე — განცდა იმისა, რომ ეს ტალღა როგორმე აიცდინო და თავი გადაირჩინო, მესამე — როცა მიხვდება რომ ეს უბედურება მასაც ეწევა, ვიშვიში და გოდება გვიანი იქნება, რამეთუ აღარ დარჩება ადამიანი, რომელსაც სხვისი დახმარების უნარი ან სურვილი ექნება. აი, ასეთ დღეში ვართ ჩავარდნილი. სააკაშვილმა ეს შიში, როგორც ტირანმა შეგნებულად დანერგა. ამის დაძლევაა საჭირო, მუხრანი ამბობს — მინდა სამშობლოს უშველო, მაგრამ მარტომ ხმალი როგორ ვიშიშვლოო. მარტო ვერაფერს ვერ გავხდებით. საჭიროა იმ ცნობიერების დაბრუნება, რაც ქართველ კაცს სისხლში ჰქონდა — მოყვასისადმი სიყვარული. ახლა ყველას უკვირს ქართველი კაცი რატომ არ გამოდის გარეთ სოციალური მიზეზების გამო. ქართველი კაცი არასოდეს არ აჯანყებულა სოციალური პრობლემის გამო, არამედ იგი ყოველთვის მაშინ იღებდა ხმას, როდესაც მას ღირსებას ულახავდნენ, ურყვნიდნენ ოჯახს, როდესაც სამშობლოს ეხებოდა ეს საკითხი. ამ გენეტიკურ კოდს მოვლა უნდა. დღეს სამშობლო მივიწყებულია — ესეც ავადობაა. თუ დააკვირდებით ბოლო პარლამენტში საერთოდ სიტყვა სამშობლო და ეროვნულობა არავის უხსენებია. სამშობლო, პატრიოტიზმი მიხეილ სააკაშვილმა გვითხრა ბუჩქებში სექსუალური კავშირიდან იწყება და მთავრდებაო. ამიტომ არის, რომ ჩვენი განათლების სისტემიდან, თუ სადმე ეპიზოდი იყო ქართული, სადაც ეროვნული ღვიოდა, ყველაფერი მოსპეს.

**ლელა გაფრინდაშვილი:** სხვადასხვა სენი სჭირს საზოგადოებას — არიან ადამიანები, ვინც ხელისუფლებას შეგნებულად უჭერს მხარს და ბედნიერია როცა სააკაშვილი ოთხ გვამზე აღლუმს იბარებს, არსებობენ ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ დიახ, ავტორიტარული მეთოდებით უნდა მოხდეს რეფორმები საქართველოში. ამ ადამიანების დიაგნოზი, ხომ განსხვავდება ჩემნაირი ადამიანის დიაგნოზისგან, რომელიც ფიქრობს, რომ ეს კატასტროფაა და დემოკრატიასთან საერთო არაფერი აქვს. მათ სერიოზული მენტალური პრობლემები აქვთ. მოქალაქეები გაიყინნენ რაღაც მომენტში, რომელიც გარდამავალია სოციალიზმიდან კაპიტალიზმზე, ავტორიტარიზმიდან დემოკრატიაზე. ძალიან ჭრელია სიტუაცია საქართველოში და ერთი დიაგნოზი რომლისკენაც მიდრეკილნი ვართ, არ არსებობს. ასევე არ არსებობს ერთი წამალი მე სულ სხვა წამალი მჭირდება, სხვას სულ სხვა და ა.შ. თუ განვასხვავებთ ხელისუფლების ფუნქციებს მოქალაქეების ფუნქციებისგან, ხელისუფლების ქცევებს მოქალაქეთა ქცევებისგან, შეგვიძლია ვისაუბროთ პასუხისმგებლობის საკითხზე. ავტორიტარიზმის პირობებში მოქალაქის პასუხისმგებლობა ძალიან დაბალია იმიტომ, რომ შიშის პირობებში იგი ცნობიერ არჩევანს ვერ აკეთებს. დემოკრატია არის აუცილებელი პირობა იმისათვის, რომ ეს პასუხისმგებლობა ავიღოთ საკუთარ თავზე. როგორც კი ვაკეთებ ცნობიერ, თავისუფალ არჩევანს, მაშინვე პასუხისმგებლობას ვიღებ იმაზე, თუ რა მოხდება პარლამენტში, დაიწყება თუ არა ომი, როგორი იქნება საგანმანათლებლო რეფორმა და ა.შ. იმიტომ, რომ ჩართული ვარ ამ პროცესში, ჩემმა ხმამ მიიღო ასეთი პარლამენტი. მაგრამ როცა ამ ყველაფერს ფორმალურად ვაკეთებ იმიტომ, რომ 2 ტომარა ფქვილი მომცეს ან მაჟორიტარი დეპუტატი ჩემი ნათესავია, ამ დროს არანაირ პასუხისმგებლობას არ ვატარებ იმაზე, თუ რა მოხდება. ეს არის ავტორიტარული რეჟიმი, მოქალაქეები არიან დაბნეულნი, შეშინებულნი, ზოგი ამ შიშს აცნობიერებს, ზოგი ვერა. მაგრამ ის, რომ ხელისუფლება ამას აკეთებს ავტოკრატიულად, ბუნებრივია, ვფიქრობ, რომ ეს რეჟიმია. სხვა შემთხვევაში დემოკრატიის დაბალ ხარისხზე ვისაუბრებდით. დღეს ჩვენ ბევრად მძიმე სიტუაციაში ვართ, ვიდრე კბილის ტკივილია. ავტორიტარული რეჟიმი უფრო სიმსივნურ დაავადებასთან ასოცირდება, ვიდრე კბილის ტკივილთან. კბილის ტკივილი შეიძლება იყოს დემოკრატიის დაბალი ხარისხი.

**ელიზბარ ჯაველიძე:** მიზანმიმართულად ხდება ჩვენი სულიერების გაქრწნა. მთელი უბედურება იცით რა არის? — როდესაც ჩვენთან მსოფლიო ბანკი და სავალუტო ფონდი გაბატონდა, ისინი აფრთხილებდნენ ხელისუფლებას — არცერთი კაპიკი არ უნდა დაიხარჯოს საზოგადოების სოციალური ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. გზები რომ იგება, შემოდის უცხო ფული, რომელიც აქ „თეთრდება" და მიდის ისევ უკან. ეს გზა კი გვრჩება, მაგრამ ამ გზის მომხმარებლები აღარ ვრჩებით. ანაკლიაში ხიდის გადებას რაც შეეხება, ამ ავადობაზეც მინდა მოგახსენოთ — ეს ტირანის ბუნებაა. ასე მოინდომა კალიგულამაც, ყურედან ყურეში ხიდი გადო. რომის იმპერიიდან ჩამოიყვანა გემები, დააყარა მიწა, გაასწორა, ცხენზე შეჯდა და სამი დღე გაიარ-გამოიარა. ის რომის იმპერატორი იყო, სააკაშვილი მისი მიბაძვით აკეთებს ამას. გააკეთა ვითომ 500 მეტრიანი ხიდი, რომელიც არც იყო დამთავრებული, მერე დაშალეს და თავიდან აგებენ. ეს 7 მილიონი ევრო დაჯდა. მეორე ხიდი, რომელიც პამპერს ჰგავს ფუნქციადკარგულია, თუმცა 30 მილიონი ევრო დაჯდა. ამ დროს ქართველ კაცს ფული არ აქვს, ეს სწორედ მიზანმიმართულია იმისკენ, რომ ქართველი კაცი უნდა მოკვდეს.

**ლელა გაფრინდაშვილი:** გზების, ხიდების შენება, გაზი, შუქი ცუდი არ არის, მაგრამ ვინ განსაზღვრა ქვეყანაში, სადაც სიღარიბის ასეთი დონეა, რომ შადრევნების მშენებლობა უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე საპენსიო რეფორმა. ვინ დაადგინა, რომ გზების მშნებლობა უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე სოფლის მეურნეობის განვითარება. რა სახსრები იხარჯება ბიუჯეტიდან, როგორია დანახარჯების ხვედრითი წილი, რასაც სახელმწიფო ამ ტიპის მშენებლობებზე გაიღებს პატრიოტულ ბანაკებზე, უამრავ სასიმღერო და სატლინკაო აქციებზე. ვინ დაადგინა, რომ ამაში თანხების დახარჯვა უფრო პრიორიტეტულია. პრობლემაა ის, რომ ეს აბსოლუტურად გაუმჭვირვალე პროცესია, მოქალაქეებს არ აქვთ განცდა, რომ ეს ყველაფერი მათთვის კეთდება, არამედ, პირიქით, აქვთ განცდა, რომ ეს ყველაფერი სხვისთვის კეთდება. ალბათ, ხშირად გაგიგიათ შეკითხვა ვისთვის შენდება ეს სასტუმროები, ეს ხომ ჩვენთვის არ შენდებაო. ადამიანებს არ აქვთ განცდა, რომ რაც ქვეყანაში კეთდება ეს მათთვისაა. რატომ? იმიტომ, რომ მათ არ აქვთ განცდა, რომ ამ პროცესში თანამონაწილეობენ. დემოკრატია საჭიროა იმისთვის, რომ მოქალაქეებს ჰქონდეთ განცდა, რომ ქვეყანას მიხეილ სააკაშვილი ან მისი ხუთკაციანი ჯგუფი კი არა, არამედ თავად ისინი აშენებენ.

**თამარ შველიძე**

## ლალი აფციაური: იურისტები „წინააღმდეგობის მოძრაობის" აქციას ვუერთდებით



ადვოკატ ლალი აფციაურის განცხადებით, ადვოკატების საქმე არა აქციებში მონაწილეობა, არამედ სასამართლო დარბაზებში თავიანთი დაცვის ქვეშ მყოფების დაცვაა. თუმცა როგორც აფციაურმა დღეს ჟურნალისტებს განუცხადა, სასამართლო და სასჯელაღსრულების სისტემებში არსებულმა უკანონობამ იურისტები აიძულა სასამართლო დარბაზებიდან გამოსულიყვანენ და სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით აქციები ქუჩაში გაემართათ.

„ამიტომ ჩვენ ვუერთდებით, "წინააღმდეგობის მოძრაობის" აქციას, რომელიც ადამიანის უფლებების დაცვა ეხება", - განაცხადა აფციაურმა და დასძინა, რომ დღევანდელი სისტემის პირობებში სასამართლოში სიმართლის დადგენა შეუძლებელია.

აფციაურის განცხადებით, ხელისუფლება უკვე არამხოლოდ პატიმრებზე, არამედ ადვოკატებზე ზეწოლის განხორციელებასაც კი აღარ ერიდება.

**„მედიანიუსი"**



## saqarTvelos istoria Tavidan bolomde gayalbebulia!

# rogor SeiZleba saqarTvelos istoriaze somxebis mier dawerili `qarTlis cxovrebiT~ vmsjelobdeT?

გაგძელება. დასაწყისი იხ. „საერთო გაზეთი" №36-38

### ნაბუქოდონოსორი (ნაბუქალდე-ნეცარი) — საქართველოს მეფე

საიდან მომდინარეობს სიტყვა „კოლხა", რომელიც მეფე ანმარემ დააარქვა თავის სახელმწიფოს, ენგურის დედაქალაქს, სად მდებარეობდა ძველი ქალაქი კოლხა?

მეფე ანმარემ დედაქალაქი კოლხა დაარსა თავისი ვრცელი სახელმწიფოს შუაგულში, მდინარეების იდიგნასა და ძაბ-ის შესართავთან, ანუ ხერთვისში. დედაქალაქი კოლხა რამდენჯერმე ნახსენებია ყურანშიც. ათასწლეულების შემდეგაც, ქალაქი კოლხა ქვეყნის დედაქალაქი იყო, კერძოდ, ნაბუქალე-ნეცარის (მენცარის — მეცნიერი — წინასწარმეტყველი) მეფობისას, რომელსაც უცხოელები მცდარად „ნაბუქოდონოსორად" მოიხსენიებენ.

როგორც ცნობილია, ჩვ, წ. აღმდე დიდი ხნით ადრე დაინგრა სემირამიდას დაკიდული ბაღები, რომელიც მეფე ნაბუხათ ნასრმა (ნაბუქოდონოსორ II-ემ) ხელოვნურ გორაკებზე, ტერასებზე გააშენებინა თავისი მეუღლის საპატივცემულოდ (ძვ. წ 605-572 წ.წ), რადგან გადმოცემის მიხედვით, ირანში დაბადე-



ბული სემირამიდა თავისი ქვეყნის ბაღებს ყოფილა შეჩვეული.

თურმე ადამ და ევასდროინდელი ხე მას შემდეგ გამხმარა, რაც ამერიკელებმა შეტევა („ქარიშხალი უდაბნოში") განახორციელეს და დაბომბეს ერაყის სოფლები და ქალაქები.

დაბა ელ-კურნაში, სადაც ედემის ბაღი ყვაოდა, დღეს აღარაფერი მიგვანიშნებს ასეთი ბაღის არსებობაზე, არც ქალაქ ედესაში კარდუხების (კოლხების) საცხოვრისზე, გარდა აღნიშნული გამხმარი ხისა, რომელმაც „ამერიკულ ქარიშხალსაც" გაუძლო. იქვე ახლოს მდებარეობს ქალაქი ური, რომელიც მრავალჯერ არის ნახსენები „ძველ აღთქმაში", — „შუმერული" კულტურის ცენტრი. აქვე მდებარეობს ღმერთ ნანას ტაძარი, რომელიც აგებულია ჩვ. წ. აღ-მდე ოცი საუკუნით ადრე.

მკვლევარი ბადა სოფია წერს: „სანამ ე.წ შუმერები მოვიდოდნენ შუამდინარეთის სამხრეთში, მანამდე ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ნამდვილი შუმერები, იგივე ლაზ-მეგრელები, რომლებსაც ჰქონდათ თავიანთი კულტურა, ჰყავდათ თავიანთი ღმერთები თავიანთი ტაძრებით. ასეთ დროს შუამდინარეთის სამხრეთი დაიმორჩილა დამპყრობმა ხალხმა, რომლებიც იყვნენ ე.წ „შუმერები" და რომლებიც შეცდომით იწოდებიან შუმერებად."

თანამედროვე ქალაქ მოსულის მიმდებარე ტერიტორიაზე, ბაბილონის დასუსტების შემდეგ ათასწლეულის წინ შექმნილია ასურეთის უძლიერესი სახელმწიფო ნინევია, რომლის ტერიტორიაზეც გათხრების დროს ნაპოვნი იქნა მეფე აშურბანიპალის (აშურბანიფალის) ცნობილი ბიბლიოთეკა, რომელშიც აღმოჩნდა მსოფლიოში უძველესი „გილგამეშის ეპოსი".

ეს საკითხები იმიტომ მოვიტანეთ, რომ, როგორც უკვე ითქვა, ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ პროტო-ქართველები — კოლხ-კარდუხები და სხვა ქართველური ტომები, სწორედ აქ მდებარეობს ძვ.წ 3200 წელზე ადრე დაარსებული ქალაქი „კულხა" (კოლხი, კოლხუა)

### ძვ. წ. XV–XIII საუკუნეებში ქასქ-მეგრულ ტომებს გვარსახელები ჰქონდათ

ცნობილია, რომ წინახეთურ მოსახლეობას შეადგენდნენ ქასქები, იგივე მეგრულ-ჭანური ტომები. აკად. გ. გიორგაძე აღნიშნავს, რომ ძვ. წ. XV-XIII საუკუნეებისდროინდელ ხეთურ ტექსტებში დასახელებული ქასქური ტოპონიმიკის, ქასქური საკუთარი სახელებისა და ცალკეული სიტყვების ანალიზი ქასქების სამხრეთ კოლხურ წარმომავლობას გვიჩვენებს. „ქასქების" ტომები განსახილველნი არიან, როგორც დასავლურ-ქართველური, მეგრულ-ჭანური, ანუ სამხრეთ კოლხური წარმოშობის ტომები. ასეთ შემთხვევაში მივიღებთ სრულიად ახლებურ დასკვნას: მაშინ, ასეთსავე ტომებად უნდა ჩავთვალოთ ასურული ტექსტების „ქაშქებიც" („ქაშქაია") და მაშასადამე, აბეშლაელებიც, ასურული წყაროების „ქაშქა" და „აბეშლა", თუკი ისინი სინონიმებია. (საერთო ჯამში, „აფსილებიც" — „აბეშლა" და „აფსილი" ტერმინის გაიგივების შემთხვევაში)".

ამ პერიოდში პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდიან სხვა ტომებიც, მათ შორის ქართველური წარმოშობის „მუშქები" (მესხები, იგივე მეგრული ტომები), რომლებმაც მიიერთეს ასურეთის ქვეშევრდომი ქვეყნები ჩრდილოეთ მესოპოტამიაში: ალიზი, ფურულუმზი, ქათხუმი და მრავალი წელი ბატონობდნენ მათზე.

ქაშქების ტომებს ჰქონდათ საკმაოდ ვრცელი ქვეყანა მთელი პონტოს ტერიტორიაზე, როგორც ამტკიცებენ, სწორედ იმ არეალში, სადაც მოგვიანებით ქართველური კოლხური ტომები ცხოვრობდნენ, ხალიბები, მოსინიკები, სანები და სხვა.

პროფესორი ნ. ქუთელია წერს, რომ ვინც ონომასტიკურ მასალას გაეცნობა, პირველი, რაც თვალში ეცემა, ეს არის ფონემათა განაწილების იდენტურობა ქასქურსა და კოლხურს (ლაზურ-მეგრული) შორის, განსაკუთრებით, აფიქსთა იდენტურობა.

ქასქური ტოპონიმიკა კარგადაა ასახული ხეთურ ლურსმნულ ტექსტებში. საინტერესოა გეოგრაფიული სახელები, რომლებიც მთავრდება „ია" სუფიქსზე: აშხარფაია (აშხარბაია, ასხარბაია), ელურია (ილურია), გახარია, ქათხარია, ქაშქია (ქასქაია), ფათადია, შარია (სარია), შუხურია (სუხურია), თახანთარია, თალიფაცია, თაქაშთრია (თაქასთურია), თალმალია, თიმია, თიფია, ვაშხაია (ვასხაია), ციხარია, ციხთახარაია, ციხარცია და სხვა მრავალი. ქასქური ტოპონიმიკის „ია" სუფიქსთან დაკავშირებით შდრ. მეგრული „ია-ზე" დაბოლოებული გვარები: ქეცბაია, თოფურია, გახარია, გამახარია, პაჭკორია, ქუთელია, ოდიშარია, ფიფია და ა. შ



ქასქურ, აშკარად მეგრული სიტყვების მსგავს სიტყვებს, გამოთქმებს, შეიძლება, ასეთი განსაზღვრებაც მივცეთ, რომ ისინი ჰგვანან, თანხვდებიან მეგრულ სიტყვებს. ზოგი მათგანი დღეების სახელწოდებებია: მუნისქა (მუნიშხა), „ჯუმაშხა" (ოთხშაბათი), თათისქა (თათიშა), — „თახაშხა" (სამშაბათი), თუთუსქა — „თუთუშხა" (ორშაბათი), ციანთისქა, — ციანთეშქა) — „ცაშხა" (ხუთშაბათი) და ა. შ.

აშკარად ქასქური წარმოშობის სახელებია: ასაფლალა (აშაფალა), ხათეფა, ხაცინა, იციცი, ქასქამუვა, ქაციფირი (გიციფირი), ფაათა (ჰაათა), ფათალია, ფაცანა, ფიხუნია, ფია, ფიგაფაცუი, ფიფელუ, ფიციცი, სფალი, სიუსმელი (შიუშმელი), დადა (თათა, დათა), დადილუ, თემეთი, თითა (დითა), თუთუ და ა.შ — გარკვევით ჩანს, რომ ყველა სახელი მეგრულია.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია (თუ სიმართლეს შეესაბამება), რომ გვარების ინსტიტუტი იქმნება მხოლოდ XII-XIII საუკუნეებში. საქართველოში პირველი გვარი დაფიქსირებულია წებელდის ეკლესიის წარწერაში — ქორჩილავა, მეორე — ილორის ეკლესიის წარწერაში — კვარაცხელია და ა.შ.

გ. გიორგაძეს მრავალი ქასქური გვარი აქვს ჩამოთვლილი, თუმცა მათ არ უწოდებს გვარებს. მათგან ბევრია თანამედროვე მეგრული გვარი, — ეს მსოფლიო სენსაციაა, ძვ. წ XVII-XV და XV-XIII საუკუნეებში კოლხურ ტომებს გვარები ჰქონიათ!

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მეგრული ენა ქალისა და მამაკაცის გვარს ერთმანეთისგან განასხვავებს, მაგალითად, ქალი შონიას გვარი იქნება შონ-ხე, სამუშია — სამუშ-ხე ა.შ.

### აფრიკელი ბერბერები მეგრულ (ქართულ) ენაზე მეტყველებენ

როგორც ვთქვით, ბერბერებს ესმოდათ უნაჩების ენა. კოლხთა მონათესავეებად ითვლებიან აფრიკის ვრცელ ტერიტორიაზე მცხოვრები უძველესი თეთრკანიანები, ბერბერები, რომლებიც ცხოვრობენ ალჟირში, მაროკოსა და აფრიკის ზოგიერთ სხვა ქვეყანაში (ამ მოსახლეობის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი დამახინჯებული მეგრულით ლაპარაკობს). ბერბერი მოსახლეობის დაახლოებით 30% მშობლიურ „ბერბერულ" დიალექტზე მეტყველებს, დანარჩენს ენა დავიწყებული აქვს, მაგრამ შენარჩუნებული აქვთ ეროვნული თვითშეგნება, იციან, რომ ეროვნებით ბერბერები არიან. ისინი აფრიკის 33 მილიონიანი მოსახლეობის თითქმის მეხუთედს შეადგენენ და საკუთარ ენასა და ეროვნულ კულტურას ერთგულად იცავენ.

### კონტინენტ ევროპას „ოროფა" უნდა ერქვას

კონტინენტ ევროპის სახელწოდება, ერთგვარად კოლხეთის ღმერთთან არის დაკავშირებული. ის, რაც უცხოურ ენებზე ევროპად იწოდება, მეორენაირად წარმოითქმის „ოროფა-დ" და ეს მეორე არის მისი საწყისი ფორმა.

„ევროფა" — „ოროფა" იმ მეფის ასულის სახელია, რომელიც კოლხების ერთი ნაწილის, პელაზგების ღმერთმა, სახელად „ძე-მ" (ძეუსი) გაიტაცა და ჩაასახლა კუნძულ კურატოზე (ამჟამინდელი კრეტა), იმ მიდამოებში, რომელსაც კოლხური სახელი გორდი ერქვა (ამჟამადაც გორდი ჰქვია). კრეტა ძირძველი კოლხური მხარეა. კურატო-კრეტის კუთვნილ ერთ პატარა კუნძულს ამჟამადაც ჰქვია მისი ათასწლეულების წინანდელი სახელი „კოლხითი" — „კოლხეთი". ამაზე მიუთითებენ იქაური სამგზავრო (ტურისტული) ბიუროს მასალები. ადგილობრივმა მოსახლეობამ ათასწლეულების განმავლობაში შეინარჩუნა სახელწოდებები „გორდი" და „კოლხეთი".

კუნძულ კურატო-კრეტაზე მდებარე ქალაქ ფათის-ფაისთის მიდამოში 1908 წელს იტალიელმა არქიოლოგმა ლუიჯი პერნიემ აღმოაჩინა უძველესი, თიხისგან გამოძერწილი მრგვალი ფირფიტა. ნაქალაქარის ძველთაძველი სახელია „ფათი", იგივე „ფოთი". შემდგომ პერიოდში უცხოელები ქალაქს მოიხსენიებდნენ „ფაისტოს" სახელით, სადაც იმავე წელს პერნიემ კვლავ აღმოაჩინა თიხის დისკო „ფესტოს დისკო" - კოლხური ოქროდამწერლობა.

„ოროფა" ქართების (ქართველების) მიერ შექმნილი სიტყვაა (კერძოდ, კოლხურია) და ნიშნავს „სიყვარულს". კონტინენტისთვის „ევროფას" შერქმევის გამო უკმაყოფილებას ჰეროდოტეც გამოთქვამდა, არასწორად მიაჩნდა.

### ლაზ-მეგრელებს უძველეს დროში „ეფუთი" (სიბრძნის წიგნი) ჰქონიათ

„ეფუთი" არის საკაცობრიო მნიშვნელობის ნამოღვაწრების, შედევრების წიგნის სახელი, იგივე „სიბრძნის კრებული" რაც დაკარგულად ითვლება. მის შესახებ დიდმა თუ პატარამ იცის სამეგრელოში. გადმოცემით იციან, რომ ამ წიგნში გადმოცემული იყო ქვეყნის წარსული და მომავალი, რომელიც ზუსტად სრულდებოდა და ეს აღნიშნული ქვეყანა იყო ჩვენი სამყაროს დასაწყისი. ჩანს, რომ „ანუნაკი" უნდა ნიშნავდეს „ეფუთს".

მკვლევარი, მწერალი ი. კვეკვესკირი წერს, რომ ქართული წარმართული ეპოქა 7 ათას წელზე მეტს ითვლის, რომ „ბიბლიამდე" ხუთი ქართული წიგნი არსებობდა: „ეფუთი" — 7 ათასი წლის; „მარგალითი" — 7 ათასი წლის; „ტოფშა" — 3500 წლის; „ტაბუ" — 3500 წლის; „ოქროს საწმისი" („კვიბრი") — 3300 წლის და რომ სამეგრელოს მკვიდრნი „ეფუთს" „პირველ ბიბლიას" უწოდებდნენ, რადგან „ათი მცნება" პირველად იქ იყო ჩამოთვლილი. ის მთელი 4000 წლით უსწრებდა ამ აღიარებულ წიგნს. (გარდა ამისა, სამეგრელოს ჰყავდა პრომეთე, ამირანის მსგავსი სხვა გმირის, არამხუტუ (ერემხუტუ)).

### აია-კოლხეთს (საქართველოს) წარღვნამდელი ცივილიზაციის ისტორია აქვს

7000 წლის წინანდელ მსოფლიო წარღვნას („წყარი-ღვნა"), ატლანტიდის დაღუპვას პლატონი უკავშირებს კოსმიურ აფეთქებას და ამას, გარკვეული თვალსაზრისით, კოლხეთის მეფის ძმის, ფაეტონის (ფაეთონის) მითით ხსნის.

XIX საუკუნის ამერიკელი მეცნიერი და მწერალი იგნატიოს დონელი წიგნში „ლათინური ენის წარმოშობა" აღნიშნავს, რომ „მაია არის წარღვნამდელი ატლანტიდიდან მოსული ტომის კოლხუას კულტურული მემკვიდრე" და რომ „კოლხუას ერა დამთავრდა ქრისტეს დაბადებადებამდე რამდენიმე ათასი წლით ადრე".

დონელის პირველ საბაზო წყა-

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი





როს წარმოადგენს XVI საუკუნის ქრისტიანი ესპანელი მისიონერის დიეგო დე ლანდას ხელნაწერი წიგნი „მაიას ტომის ისტორია", რომელიც ინახება ესპანეთის სამეფოს ისტორიის აკადემიის წიგნსაცავში. იგი პირველი ქრისტიანი ეპისკოპოსი იყო იუკატანის ნახევარკუნძულზე, რომელმაც აღწერა წარღვნამდელი მაიას ტომის ისტორია, „მაიას ანბანი" და ამ ანბანის წინასახე – კოლხური ანბანი. მისი ხელნაწერები შეისწავლა ფრანგმა კათოლიკე მისიონერმა ბურბომ და „მაიას ანბანზე" დაყრდნობით ძველი ამერიკული წარწერებიც გაშიფრა.

ფრანგი მეცნიერი ედუარდ დემოლინსი: „ეგეოსიდან თუ ზევით ავიწევთ, ვხედავთ სამხრეთ გერმანიას, საფრანგეთს – ეს ადგილები ეკავათ იბერებს. ამის კვალი შემონახულია გერმანულ და ფრანგულ ენებში და ამასვე მოწმობს ადგილებისა და მდინარეების სახელწოდებები. ეტრუსკები, ისევე როგორც პელაზგები, კოლხეთიდან არიან გადმოსახლებულები და კოლხეთმა დაუდო სათავე მედიტერანულ კულტურას, მის ფიზიკურ და სოციალურ ტიპს, მის მხატვრულ გემოვნებას".

ა. მორტინი, ინგლისერი მეცნიერი, ინგლისის ისტორიის ავტორი: „იბერიელები გახდნენ ბრიტანეთის კუნძულების თანამედროვე მოსახლეობის ერთ-ერთი მამამთავრები, განსაკუთრებით ირლანდიაში, უელსსა და ინგლისის დასავლეთში".

აშშ-ის ადამიანის გენეტიკის სპეციალისტებმა (ხელმძღვანელი პროფ. ბრაიან საიქსი) ადამიანის მიტოქონდრიული ანალიზის საფუძველზე აღმოაჩინეს, რომ ევროპელთა დიდი ნაწილის წინაპრები კავკასიიდან (კავკასიაში მაშინ კოლხები ცხოვრობდნენ) არიან წამოსულნი და ეს გენი მართავს ადამიანის გენეტიკას.

ევროპის „დი-ს" კლანებიდან უძველესი და უმდიდრესია ქსენი-ზანას, ანუ ქართული მითოლოგიით „დალის" კლანი, რომელიც ჩამოყალიბდა კავკასიაში (კოლხეთში) 25 000 წლის წინ და ბოლო დიდ გამყინვარებამდე გავრცელდა მთელ ევროპაში. (მომდევნო, „ვალადას" („ვალდას") კლანის ასაკი 17 000 წელია). ქსენი-დალის გენები აღმოცენდა ჩრდ. ამერიკის ინდიელთა ზოგიერთი ტომის წარმომადგენლებშიც.

### სომხური დამწერლობა იოანე ლაზმა (იეროთეოსმა) შექმნა

ისტორიული მასალებიდან ჩანს, რომ კოლხური აკადემია 414 წლიდან 422 წლამდე ჯალი ეგრისელის (მითრიდატე ლაზის) ხელმძღვანელობით მცხეთაში გადმოვიდა. ირკვევა, რომ აღნიშნულ პერიოდში იგი კოლხეთის აკადემიის მოძღვართმოძღვარი იყო. ბიზანტიური ორიენტაციის სწავლულმა პოლიტიკოსმა ქუჯი ეგრისელმა ბიზანტიასთან იბერიისა და ალბანეთის დაახლოების მიზნით 421 წელს 52 ნიშნიანი ალბანური ანბანის შექმნა დაასრულა.

„სომხეთისთვის უდიდესი შეჭირვების ჟამს 430 წლის 11 მაისს მითრიდატე ლაზმა თავის მოწაფე მარუან იბერიელთან ერთად კონსტანტინეპოლში სომხური ანბანის შექმნა წამოიწყო" და 445 წელს დაასრულეს იოანე ლაზმა და პეტრე იბერიელმა (არეოპაგელმა). იმავე წელს მაიმუში ჩავიდა პეტრე იბერიელის დედა, ქვრივი ბაკურდუხტ იბერიელი, რომელმაც სომხური ანბანი მცხეთაში ჩამოიტანა და 446 წელს ვარდან მამიკონიანის ოჯახს გადასცეს. (გრ. კაპანციანი, ერევანი 1952 წ. „სომხური და ლაზ-მეგრული ენების ურთიერთობის შესახებ") იოანე რუფუსი, მითრიდატე ლაზისა და პეტრე იბერიელის თანამოღვაწე (მოწაფე) და უშუალო მონაწილე თავის შრომებში ადასტურებს, რომ სომხური ანბანი და სომხური დამწერლობა მითრიდატე ლაზისა და პეტრე იბერიელის შექმნილია.

### ამერიკა კოლუმბთან ერთად კოლხებმაც აღმოაჩინეს

არ იყო შემთხვევითი, რომ 1492 წლის აგვისტოში ქრისტეფორე კოლუმბის 90 კაციანი ეკიპაჟი (სამი გემით) გავიდა ესპანეთის ნავსადგურ პალოსიდან და ეკიპაჟში კოლხი ძმები მოლაშხიები და ლიპისკუა იყვნენ. აღნიშნულ საკითხზე გამოჩენილ მეცნიერს, ნევროპათოლოგ პროფ. იური მოლაშხიას მოუპოვებია მასალები, მაგრამ კომუნისტური რეჟიმის დროს ვერ მოახერხა მათი გამოქვეყნება. ი. მოლაშხია ორი უდიდესი აღმოჩენისთვის გერმანელმა მეცნიერებმა ნობელის პრემიაზე წარადგინეს, მაგრამ იგი ძალიან მალე გარდაიცვალა. აღნიშნულ საკითხზე საინტერესო მასალები გამოაქვეყნა 1998 წელს თ. შოთაძემ, – ი. მოლაშხია მეხიკოში საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობისას შეხვედრია თავის მოგვარეს, მექსიკაში მცხოვრებ დიდი ფოტოატელიეს მფლობელ მოლაშხიას, რომელიც კოლხების ექსპედიციის მონაწილე უმცროსი მოლაშხიას შორეული მემკვიდრე ყოფილა. მას იური მოლაშხიასთვის გადაუცია მნიშვნელოვანი მასალები ექსპედიციაში მონაწილეთა გვარების მითითებით და სხვა დოკუმენტებით. კოლუმბის ერთ-ერთ კარაველას, რომლის კაპიტანი იყო ვინსენტე იანესი, მეგრული სახელი „ნინია" ერქვა...



### კორსიკას „ქართლს" უწოდებენ, ნაპოლეონს კი ქართველს

ბევრი ითქვა და დაიწერა იმის შესახებ, რომ ამჟამადაც „ქართ-ს" უწოდებენ თავიანთ ენას, კუნძულსა და ქვეყანას კორსიკელები, ნაპოლეონს კი ქართველს. კუნძულზე მცხოვრებთა მნიშვნელოვან ნაწილს შენარჩუნებული აქვს ქართული ადათ-წესები, ზნე-ჩვეულებები, მრავალხმიანი სიმღერა, მეგრული ცეკვები, მეგრული სამზარეულო. ამტკიცებენ, რომ ნაპოლეონ ბონაპარტემ კარგად იცოდა საკუთარი კოლხურ-ბასკური წარმომავლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში თავის დაცვის უფროსად არ დანიშნავდა ტყვედაყვანილ ქართველ ოფიცერს, ყოფილ მამლუქ როსტომ რაზმაძეს.



ნაპოლეონმა ისე დაიახლოვა რუსტანი, (როსტომი) რომ ყველგან ახლდა. საფრანგეთის შს მინისტრის ფუშეს ცხოვრების მკვლევარის ლუი მადლენის მოწმობით, ნაპოლეონს ფუშეს ადგილას რუსტანის დანიშვნა უნდოდა. რუსტანმა კარგად იცოდა, რომ ნაპოლეონი წარმომავლობით ბასკი-ივერიელი იყო, ამიტომ მათი ურთიერთობა ახლო მეგობრული და ნათესაური იყო და არა როგორც იმპერატორისა და დაცვის უფროსისა...



ნაპოლეონი საუბრის დროს ხშირად იხსენებდა, რომ მის ძარღვებში კავკასიური სისხლი ჩქეფდა. მან კარგად იცოდა, რომ ბასკი-კოლხი იყო. შემთხვევითი არ იყო, რომ ნაპოლეონს ახლო ურთიერთობა ჰქონდა სამეგრელოს თავად დადიანების ოჯახთან (დადიანების საგვარეულო მუზეუმში ახლაც ინახება ნაპოლეონის ნაჩუქარი ჭადრაკი). როცა ნაპოლეონი წმ. ელენეს კუნძულზე მოწამლეს, მას აუღეს სახის ორი ნიღაბი, ერთი პარიზში ინახება, მეორე – ზუგდიდში.

ნაპოლეონი დიდ პატივს სცემდა პეტრე ბაგრატიონს, როდესაც მისი გარდაცვალების ამბავი უთხრეს, გლოვის დუმილის წუთი გამოაცხადა და მუხლმოდრეკილმა პატივი სცა მის ხსოვნას...

**– ბატონო კლიმენტი, მართალია, მოკლედ ვისაუბრეთ, მაგრამ ძალზე საინტერესო იყო ყველაფერი, მაგრამ რას იტყვით, რა ვქნათ, კაცობრიობის ისტორიის და საერთოდაც, კაცობრიობის შემქმნელთა შთამომავლებმა, რით ვუშველოთ ძალზე ბევრ გაფუჭებულ საქმეს...**

– ილიას სიტყვები ჩავიბეჭდოთ გონებაში: „ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება, იქიდამ დაიწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს!" და კიდევ: „გვეყო ბატონებო, ჩვენი აწმყოსა და მომავლის ბედის სხვაზე მიგდება!"

**მაია ჭელიძე**

*ბატონი კლიმენტის შრომებს – წიგნებს, სტატიებსა თუ ინტერვიუებს ეხმაურებიან როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ქართველები და მეცნიერები (იტალია, საფრანგეთი, ბელგია, კანადიდან პროფესორი შოთა ლაშხი და ა. შ), რომლებიც უკვე წიგნად გამოცემული „კოლხეთი (საქართველო) – კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი" და „სამყაროს ისტორიას" ინგლისურ ენაზე თარგმნას სთხოვენ აშშ-ში, ინგლისში, კანადასა და სხვა ინგლისურენოვანი ქვეყნების გაზეთებში გამოსაქვეყნებლად. მათი მოსაზრებით, ბატონი კლიმენტის გახმაურებული მტკიცებულებანი მსოფლიო ცივილიზაციის სათავის შესახებ, მთელმა მსოფლიომ უნდა გაიგოს. როდესაც „საერთო გაზეთში" №36 დაიბეჭდა ჩვენი საუბრის I ნაწილი, ქვეთავი „იაპონელი აინები – უძველესი კოლხური ტომები", ამ საკითხთან დაკავშირებით რუსეთის ტელეარხმა ნტვ-მა ვრცელი გადაცემა გაუშვა ეთერში, სადაც ითქვა, რომ დადასტურებულია თავდაპირველი აინების სახლობა 12 000 წლის სახალინზე, დროთა განმავლობაში აინები მეზობლებში აითქვიფნენ. თუმცა მათი რაოდენობა, ანუ იაპონელი აინების რაოდენობა დღესდღეობით 20 000 მეტია. რუსი მკვლევარები ადასტურებენ, რომ აინები უძველესი კოლხური წარმოშობის ტომები არიან.*

## „ჯავახკი" ნიკოლა სარკოზის ჯავახეთში მცხოვრები სომხების საკითხზე მიმართავს

სომხური ორგანიზაცია "ჯავახკის" ადამიანის უფლებების დაცვის საკორდინაციო საბჭო საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის მოუწოდებს, 7 ოქტომბერს ქართველ კოლეგა მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრისას ჯავახეთში მცხოვრები ეთნიკური სომხების პრობლემების საკითხი დასვას.

როგორც ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ მიმართვაშია ნათქვამი, საქართველოს ხელისუფლება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, სომხური მოსახლეობის კულტურულ, რელიგიურ, პოლიტიკურ, სამოქალაქო და საგანმანათლებლო უფლებებს ზღუდავს.



მიმართვაში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული 2008 წელს სამცხე-ჯავახეთში დაკავებულ ვააგნ ჩახალიანის საქმესთან დაკავშირებით, ორგანიზაციის შეფასებით, ჩახალიანი ხელისუფლების კრიტიკის გამო დააკავეს.

"აღნიშნული მოვლენები ჯავახეთის მოსახლეობის უკმაყოფილებასა და იმედგაცრუებას იწვევს, რაც რეგიონში კონფლიქტის პოტენციალს ქმნის", - ვკითხულობთ მიმართვაში.

**„მედიანიუსი"**

## მოგზაურობა სამშობლოში

# ... iq, sadac

## უჯარმა

**დაკვირვებიხართ ვეება, დანისლულ ლოდებს და თუ გიფიქრიათ, რომ მათ საუბარი შეუძლიათ? არადა, საკმარისია, ოსტატმა ხელი შეახოს, გამოჰკოდოს და ტაძრის კედელში ჩადგას, რომ უმალ ამეტყველდებიან. ქტიტორული და თარიღიანი წარწერებიც რომ არა, ქვის ეს ფურცლები ამა თუ იმ ეპოქას და იმ ეპოქაში მოღაწე ჩვენს მამა-პაპებს გვახსენებენ.**

**ქვათა ამ ენას კარგად იცნობს ტელედოკუმენტალისტი და ისტორიკოსი, ექ.თაყაიშვილის პრემიის ლაურეატი გელა ქოქიაშვილი, რომელიც რა ხანია საქართველოს მთა-ბარში მოგზაურობს და ციხე-ტაძრებზე ფილმებს იღებს.**

**დღეიდან ჩვენი „საერთო გაზეთი“ იწყებს მისი მოგზაურობის ჩანაწერების გამოქვეყნებას. ეს არის ერთგვარი არქეოლოგიური და ისტორიულ-გეოგრაფიული ექსკურსიები, რომელსაც არც ჟურნალისტური კვლევა-ძიება აკლია.**

### ლომთალომის გახსენება

მიდიხარ კახეთისაკენ და ერთხანს მოწყენილი გასცქერი ჟამთაგან გადამძოვილ კორდებს, მერე სართიჭალიდან ჩარდილოეთით სურათი ნელ-ნელა იცვლება, სხვა გარემოში შედიხარ და თითქოს ხალისობ, ცოტაც კიდევ და ჰა, უჯარმაც!

...ერთი უსაშველო ფიქრი მამულზე... რამდენი უნდა ისწავლო და იწანწალო კაცმა ქვეყანაზე, რომ უჯარმამ იყივლოს შენში! რამდენჯერ უნდა მოხვიდე აქ?

ალბათ, იმდენჯერ და მანამდე, სანამ გორგასლის მოლაშქრე არ გამოგეცხადება. გამოკითხავ ლომთა-ლომი მეფის უკანასკნელ ამბებს და ისიც მოგიგებთ, — ახლა რომ აქ სასახლის ნანგრევებია, მასში აღესრულა მძიმედ დაჭრილი 60 წლის გოლიათიო. სად დასცეს მკერდში ისარი, რომელ ბრძოლის ველზე? — არ დაგელევა შეკითხვები.

...რაც შეეძლო იომა და იღვაწა, რამდენ ხანსაც შეძლო, დაუმალა სასანურ ირანს საქართველოს დასავლური ორიენტაცია, მაგრამ გადამწყვეტ ომს რომ ვერ აიცილებდა, ესეც კარგად იცოდა, იცოდა და ემზადებოდა — ხორნაბუჯის, ველისციხის, ჭერემის და მეტადრე, უჯარმის ციხე-სიმაგრეების განმტკიცებას დიდი დრო დაუთმო. არ ესწავლებოდა ვახტანგს, რომ მტერი ამ გზით წამოვიდოდა ქვეყნის გულისკენ. კახეთისა არ ეშინოდა. **„კახეთი ტყე იყო და შეუვალი მტრისა მიერ“.** ამიტომ აქაური მშვიდობიანი მოსახლეობა მთის ციხე-სიმაგრეებში შეიყვანა, ძე თვისი, თანამეფე დაჩი ოჯახითურ ლოპოტის მიუვალ ხევში გახიზნა, ცოლი და ოჯახის სხვა წევრები — უჯარმის ხევის ზედა მონაკვეთში, ხოლო პეტრე კათალიკოსი — უჯარმის ციხე- ქალაქის წმ.რაჟდენის ეკლესიაში, თავად ვახტანგი, სპასპეტ ჯუანშერთან და სამშვილდის ერისთავ ადარნასესთან ერთად, 240-ათასიანი ჯარით უჯარმის გარშემო დადგა. გადამწყვეტი ბრძოლის წინ მტერმა გაჭირვებით, მაგრამ მაინც აიღო ხორნაბუჯი, ველისციხე, ჭერემი და უჯარმას სამხრეთიდან მოადგა. მტრის ჯარი 740 ათას მეომარს ითვლიდა. ამხელა არმიით ივრის ნაპირებზე დაბანაკება მხოლოდ ხაშმის დაბლობზე თუ შეიძლებოდა. ამიტომ მტრის დასახვედრად **„სპანი ვახტანგისანი დადგეს გველსა ზედა გარემოს ციხე-ქალაქსა, სადა ჰქვიან დარფაკა და შეიბნეს იორსა ზედა“...** სად იყო კონკრეტულად ეს დარფაკა? ლევან ჭილაშვილი საკითხს კარგა ხანს იძიებდა და საკმაოდ არგუმენტირებულად დაასკვნა: **ეს ალაგი უჯარმის დიდი ციხე-ქალაქიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, ივრის მარცხენა და ლაფიანხევის მარჯვენა ნაპირზე, ხერთვისთან ახლოს მდებარე ის ტერიტორიაა, რომელსაც იქ არსებული ღვთისმშობლის ეკლესიის გამო ხაშმელები ყველაწმინდას უწოდებენ.**

ჩნდება ეჭვი, რომ დარფაკა ვახუშტი ბატონიშვილის რუკაზე აღნიშნული **ველისციხე** ან **ვერენა** უნდა იყოს.

იმედია, მკითხველი სიამოვნებით დამემგზავრება დარფაკისკენ.

### ხაშმი

ოპერატორ ვახტანგ ღუღუნიშვილთან ერთად უჯარმიდან სართიჭალაში ვბრუნდები, იორს გადავდივართ და დარფაკამდე ხაშმში შევდივართ. სოფელში ჯემალ მამუჩიშვილი გვხვდება თავისი დანჯღრეული „კოლხოზნიკით“. ხაშმიდან დარფაკის ყველაწმინდამდე 5 კილომეტრია, მაგრამ ისეთი გზაა, რომ სხვა მანქანას ვერ გაიმეტებ. ჯემალს უკვირს, რომ ხაშმის ისტორია ასე თუ ისე, ვიცი: **ხაშმელთა უშორესი წინაპრები ლაფიანხევის სათავეში, კაწარეთში ცხოვრობდნენ, ქვევით კი XVI საუკუნეში ჩამოსახლდნენ. ამჟამად ხაშმი დიდი სოფელია და 900 მეკომურს ითვლის, გვარებიც ბევრია, მაგრამ უმეტესად ქოქრაშვილები, ნახუცრიშვილები და მამუჩიშვილები ცხოვრობენ.**






დარფაკა. სასახლის მიმდებარე კარიბჭე

ჯემალ მამუჩიშვილს ყველაწმინდაში ასვლამდე უშუალოდ სოფელში არსებული ეკლესიების მონახულებას ვთხოვ. ყველაზე ახალი ეკლესია ხაშმის ცენტრში, ზედ გზისპირზე დგას. XIX საუკუნეში აგებული **„წმინდა გიორგი“** მოზრდილი დარბაზული საყდარია. ერთი საუკუნით ადრინდელია ყარაბულახის (შავწყლის) უბანში „ღვინის მარნებთან“, მდგარი **წმ. ნიკოლოზის ტაძარი,** რომელიც თედო ჩოლოყაშვილის კოხტა ციხე-დარბაზის კარის ეკლესია ყოფილა. ჩოლოყაშვილს იგი იმიტომ აუგია წმ. ნიკოლოზის სახელზე, რომ მის შვილს ამ წმინდანის სახელი რქმევია. ახლა ჩოლოყაშვილების ციხე-დარბაზში მამათა მცირე მონასტერია. XVIII საუკუნის ძეგლი კოხტადაა აღდგენილი. საკურთხევლის მხრებში ძალიან ნატიფი ჩუქურთმების ფრაგმენტებია შემონახული.

სოფელში არსებული ძეგლებიდან ყველაზე საინტერესო **ნათლისმცემლის კომპლექსია.** იგი ხაშმის უძველეს უბანში იმ ღელის გვერდითაა აღმართული, რომელიც საფერავის ცნობილ ვენახებს რწყავს. კომლექსი შედგება გალავნის ფრაგმენტების, დიდი კარიბჭე-კოშკისა და ნათლისმცემლის დარბაზული ეკლესიისგან, რომელსაც დასავლეთიდან მიდგმული საკუთარი კოშკიც აქვს. ამ კოშკის პირველი სართული ეკლესიის მხარეს თაღებითაა გახსნილი და საქალებოს ფუნქციას ასრულებს. იგი გადახურულია ვარსკვლავისებრი კამარით, გახსნილია მეორე სართულის აღმოსავლეთ კედელიც, რომელიც პატრონიკეს ჰგავს. ტაძარს აღმოსავლეთ ფასადზე დიდი, სამკაულებიანი ჯვარი აქვს. ეზოს სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში შემონახულია ძალიან ლამაზი საწნახლის ქვა.

„ნათლისმცემელი“ XVI საუკუნის ძეგლია. კაწარეთიდან ხაშმში ჩამოსულ მოსახლეობას ჯერ ეს ეკლესია აუგია და მის გარშემო მერე დასახლებულა. ძველი ხაშმი დავით გარეჯის უდაბნოს ნათლისცემლის მონასტრის შეწირული სოფელი ყოფილა და მას უიშვიათესი საბარძიმე შავი ღვინით ამარაგებდა.

* * *

სად იყო და სად არა, ხაშმის ცენტრში ძველი მეგობარი გერონტი კაჯილაშვილი გამომეცხადა. ჩემი აქეთ გამომგზავრების ამბავი რომ შეუტყვია, კვალში ჩამდგომია ვაჟიშვილთან ერთად.

— კვიცი უნდა გამიხედნო! — იცინის გერონტი და უკანა სავარძელში მჯდომ ყმაწვილზე მიმანიშნებს. წინა სავარძელზეც ვიღაც უზის, რომელსაც ვერ ვცნობ, მაგრამ ისე მესალმება, როგორც კარგახნის ნაცნობს.





ხაშმი. ნათლისცემის კომპლექსი — ეკლესია და კოშკი

ექვსი კაცი შევგროვდით. ეს უკვე ექსკურსიას ჰგავს და წრეში ჩამდგარი, მართლაც ექსკურსიათმძღოლივით ვიწყებ თხრობას:

ხაშმი მდებარეობს ისტორიული სუჯეთის ტერიტორიაზე, რომლის საზღვარი კაწარეთიდან იწყებოდა და სამხრეთ-აღმოსავლეთით ბოდბეს უწევდა. ეს მტკიცდება „მოქცევაი ქართლისაის“ ცნობიდან. მასში ნათქვამია, რომ **სუჯების დედოფალმა „დაბაი დიდი ბოდისი“ მცხეთის სვეტიცხოველს შესწირა.** თავად სუჯები რომ ივრის შუა დინების აუზში ცხოვრობდნენ, ამას დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვები მოწმობს. **„მისცა ნიჭად სუჯეთი და ყოველი ქვეყანა იორის პირი კახეთი“.** მაგრამ, ამასთანავე, სუჯეთი ჰერეთის საერისთავოს ნაწილიც ყოფილა, რადგან ვახუშტი ბატონიშვილის თხზულების თანახმად **სამების ხევი „არს საზღვარი ჰერეთისა და კახეთისა“.** (დიდი ქართველი გეოგრაფი აქ კახეთში კუხეთსაც მოიაზრებს). სამების ხევი ლაფიანხევია, საითკენაც ახლა ჩვენი მცირე საექსკურსიო ჯგუფი მიიჩქარის.

სუჯებზე საუბარი ასე იმიტომ გაგვიგრძელდა, რომ დღევანდელმა ქართველობამ მათ შესახებ თითქმის არაფერი იცის. საგარეჯოელ, ხაშმელ, ნინოწმინდელ თუ მანაველ კაცს რომ უთხრა, სუჯების შთამომავალი ხარო, შეიძლება იუკადრისოს კიდეც. უფრო მეტიც — ძალიან ბევრ ისტორიკოსსაც კი ჰერები (სუჯები, ჭილბები, ლიბინები) შეცდომით ალბანური წარმოშობის ტომებად მიაჩნია და ამით, ნებსით თუ უნებლიედ, ცუდ სამსახურს უწევს ქართულ სახელმწიფოებრიობას და ცნობირებას.

ტოპონიმი სუჯი დღეს შემორჩენილია ხევში მცხოვრები სუჯაშვილების გვარში, რომელიც, ალბათ, აქედან არის ასული მთაში. ფუძე „სუჯ“ უნდა იმალებოდეს ტოპონიმ გარეჯში — „გარე სუჯი“. სხვათა შორის, სუჯეთის ტერიტორია გარეჯის სანახებსაც რომ წვდებოდა სამხრეთით, ამას კაწარეთის ეპარქიის ძველი საზღვრებიც ადასტურებს.

### დარფაკა

მიუხედავად იმისა, რომ ხაშმიდან ყველაწმინდამდე, ანუ იმავე დარფაკამდე, სულ რაღაც 5 კილომეტრია, ამ მანძილის გავლას ნახევარ საათს ვანდომებთ თავად ლაფიანხევი სიგანეში 200 მეტრი თუ იქნება, მაგრამ მისი გადალახვა მანქანით კი არა, ფეხითაც ძალიან ძნელია. ჭალა გიგანტური ლოდებითაა მოფენილი. დარში ეს ხევი ორ ვიწრო ღელედ მოედინება, მაგრამ ამღვრეულ წყალზეც კარგად ეტყობა ავდრში რა შვილი ბრძანდება. რაც რომ ხეობაში მორენული ლოდები, ლაფი და მოგლეჯილი ხეებია, სულ მისი მოტანილია.

მეორე ნაპირზე გაჭირვებით გავაღწიეთ. მორღვეული მთის მწვანე ფერდიდან კოშკი შემოგვცქერის. თუ ვახუშტი ბატონიშვილს ვენდობით, სუჯეთ-ჰერეთიდან კუხოსის მამულში გადავედით. ერთ პატარა ველზე აღმოვჩნდით, იგი გალავნით ყოფილა შემოზღუდული და ორ ნაწილად იყოფოდა. დასავლეთ მონაკვეთი გაცილებით დიდია. იგი შედგება ქარვასლისათვის დამახასიათებელი მცირე კარიბჭისგან, მოზრდილი საჯინიბოსა და ორსართულიანი სასახლის ნაშთებისაგან. სხვა ნაგებობათა მოძიება ჭირს. კარიბჭეს გვერდიდან ქვის კიბე ჰქონია მიდგმული. ნაგებობის მეორე სართული — სათვალთვალო ფანჩატური მორღვეულია. პირველი სართულის გრძივ კედლებში წყვილ-წყვილი ფართო და ღრმა თაღოვანი ნიშია. ერთი მათგანი ძალიან დაბალი და კიდევ უფრო ღრმაა.

კომპლექსის დასავლეთ მონაკვეთში ყველაზე მნიშვნელოვანია ორსართულიანი სასახლის ნაშთები, რომლებიც, ამჟამად, სულ მცირე, მეტრნახევრით მიწაშია ჩამჯდარი. სასახლე ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვით. იგი ორი ფრთისაგან შედგება. მარჯვენა ფრთა კოშკს წააგავს და 3-სართულიანი უნდა ყოფილიყო. აქ, მეორე სართულზე, დიდი ბუხარია.

უჯარმა, ციხე-ქალაქი, წმინდა რაჟდენის ეკლესია



# idga gorgasali


დარფაკა. ყველაწმინდის სამონასტრო კომპლექსი


დარფაკა. სასახლის ნაშთები

კომპლექსში გაცილებით უკეთაა შემონახული აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც დანარჩენი ტერიტორიიდან კედლით და შიგ ჩადგმული 4-სართულიანი კოშკითაა გამოყოფილი. იგი კარიბჭის ფუნქციასაც ასრულებს... კოშკი ძველი უნდა იყოს, მაგრამ XVII-XVIII საუკუნეებში განუახლებიათ და სათოფურები დაუტანებიათ. ეს უკვე მონასტრის ტერიტორიაა.

**აქაურობის მშვენებაა მოვარდისფრო ქვიშაქვის თლილი ლოდებით აგებული ღვთისმშობლის ეკლესია (12X6,9 მ).** ტაძრის დასავლეთისა და სამხრეთის შესასვლელები გარედან არქიტრავული და შიგნიდან თაღოვანია. პორტალები აქცენტირებულია გლუვი ლილვებით და მის თაღებში ჩასმული ჯვრებით. მსგავსი ლილვებითაა გაფორმებული ტაძრის აღმოსავლეთისა და დასავლეთის ორადორი სარკმელი. აღმოსავლეთ სარკმელი შიგნით ამბრაზურასავით ფართოვდება და შეისრული ზღუდარი აქვს. ასეთივეა საკურთხევლის აფსიდის ჩრდილოეთ კედელში არსებული კაცის სიმაღლისა და ძალიან ფართო ნიშის ზღუდარიც (მსგავსი ფორმები, ოღონდ წარბების სახით, ნანახი მაქვს უბისის და ჟალეთის IX საუკუნეთა ეკლესიების ფასადებზე) ყველაწმინდის დარბაზი კიდევ ორი რამით იქცევს ყურადღებას: კამერის წყვილი თაღიდან ერთ-ერთი (სატრიუმფო) ოდნავ შებრტყელებულია, ხოლო მის ზევით დარჩენილი ადგილი — ამოშენებული. ეს ან ერთ-ერთი შეკეთების შედეგია (ეკლესია ბოლოს ამ საუკუნეში შეკეთდა მიწისძვრით გამოწვეული დაზიანების გამო), ან კონქში არსებულ სამალავზე მინიშნება. **აფსიდის სამხრეთ კედელში, იატაკის დონეზე, მართლაც არის საიდუმლო ხვრელი, მაგრამ იგი მიწაში ჩადის. როგორც ხაშმელები ამბობენ, ხვრელი კაწარეთის „სამებაში“ ამოდის. ეს იმას ნიშნავს, რომ საიდუმლო გვირაბის სიგრძე სულ მცირე 2 კილომეტრია. ბერების შრომა იმ მხრივაა განსაკუთრებით დასაფასებელი, რომ მათ თხრილი გაუყვანიათ (და მერე გადაუხურავთ) ლაფიანხევის მორენულ ჭალაში.**

„ყველაწმინდასა“ და კაწარეთის „სამებას“ სხვა რამეც აკავშირებთ ერთმანეთთან. მართალია, ერთი IX საუკუნის ძეგლია. მეორე კი V საუკუნისა, მაგრამ „სამება“, როგორც ჩანს, ახალი, მოვარდისფრო ქვიშაქვის პერანგით მაშინ შეიმოსა, როცა „ყველაწმინდა“ შენდებოდა. კახეთში სამშენებლო მასალად, მეტადრე კი საპერანგედ, ქვიშა-ქვა იშვიათად გამოიყენებოდა. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ IX საუკუნის „ყველაწმინდის“ ქტიტორი და „სამების“ რესტავრატორი დიდი ფეოდალი იყო და ხარჯებს არ ერიდებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ორივე ტაძარი რომელიღაც ეპოქაში ერთდროულად არის მოხატული. „სამებამ“ ფრესკების ნაწილი შემოინახა. „ყველაწმინდის“ კი მხოლოდ შავი ლაქები შემორჩა. მაგრამ „სამების“ შესახებ დარფაკიდან საუბარს ისა სჯობს, რომ კაწარეთში ავიდეთ.

## ᲙᲐᲬᲐᲠᲔᲗᲘ

კაწარეთი ლაფიანხევის მარცხენა სანაპიროზეა და ამდენად, ისტორიულ სუჯეთს ეკუთვნის. იგი დარფაკაზე გაცილებით მაღლაა, რადგან ხევის სათავეებშია. ამასთანავე, ხაშმიდან დარფაკამდე თუ 5 კილომეტრია, კაწარეთამდე 2 კილომეტრით მეტი გზაა გასავლელი. ეს ორი გზა ხაშმიდან 3 კილომეტრში იტოტება.

ივრის გაღმიდან სოფელ უჯარმის კლდეზე შემომდგარი უძველესი „კვირაცხოვლის“ მზერა მიგვაცილებს დიდხანს. რამდენსაც მივიხედავ, ფრიალოზე შემომდგარი ტყუპი ეკლესია თვალს არ ეფარება, თითქოს ხმას მაწვდენს და კიდევ უფრო მიმძაფრებს უჯარმის ციხე-ქალაქში გაჩენილ ეჭვს **— ნინოსეული ჯვარიპატიოსანი, შეიძლება, სწორედ აქ აღმართეს IV საუკუნეში. ასეთ ჯვრებს, ტრადიციისამებრ ხომ გაბატონებულ, ყოველი მხრიდან დასანახ ადგილებში დგამდნენ და არა ციხესამაგრეებში ან სხვა ჩაკეტილ ადგილებში... ასე იყო მცხეთის ჯვარიც და თხოთის მთის ჯვარიც, ასე იყო არანაკლები მნიშვნელობის მანგლისის ჯვარიც, რომელსაც, მცხეთის ჯვრის მსგავსად, სომხეთიდან ჩამოსულნიც მოილოცავდნენ ხოლმე VII საუკუნის სარწმუნოებრივ განხეთქილებამდე. ერთი სიტყვით, როგორც ციხესიმაგრე, ისე სოფელი უჯარმა შორიდან მისტიკურ საბურველში გახვეულ ალაგს ჰგავს...**

... გზამ მკვეთრად მოუხვია მარჯვნივ და ლაფიანხევის სათავეებს აუყვა. ეს უკვე კაწარეთია — სუჯეთის უკიდურესი ჩრდ. აღმოსავლეთი მონაკვეთი და დიდი უჯარმის შემადგენელი ნაწილი.

**ტოპონიმი კაწარეთი „კაწერი“-დან უნდა მომდინარეობდეს, რომელიც, დავით ჩუბინაშვილის განმარტებით, ყანის თავთავს ნიშნავს. მაშასადამე, ძალიან ძველ დროში ამ ადგილებში გამორჩეული საყანე ხოდაბუნები ყოფილა, თორემ ასე იოლად მის კაწარს ყურადღებას არავინ მიაქცევდა.**

დაბა კაწარეთი პირველად „მოქცევაი ქართლისაიში“ გვხვდება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ მატიანის საინფორმაციო წყაროები IV საუკუნიდან მოედინება, კაწარეთი, სულ მცირე 1700 წლისაა. **ჟალეთ-ედომიდან წმინდა ნინო „შთავიდა კხოეთა (ე.ი. კუხეთში) და დადგა კაწარეთს და მონათლა კხოელნი და სოჯნი ერითურთ მათით. და გარდავიდა კახეთა (ე.ი.კახეთში) და დადგა ქცელ დაბას და მოიყვანა კახნი მთავარნი და მონათლნა“.**


ხაშმის (კაწარეთის) სამების კომპლექსი.

საინტერესოა ისიც, რომ ვახტანგ გორგასლის დროს ჰერეთის 5 საეპისკოპოში, ჭერემთან, ხორნაბუჯთან, ბოდბესთან და გიშთან ერთად კაწარეთიც არის დასახელებული. **506 წლის დვინის საეკლესიო კრებაში მოხსენიებულია კაწარელი ეპისკოპოსი ზაქარია.** XV საუკუნის იმ საბუთში, რომელშიც ჩამოწერილია „წესი და განგებაი კურთხევისათვის მეფისა დროსა“ ნათქვამია, რომ **კაწარელი ეპისკოპოსი ამ დროს მღვდელმთავართა შორის მე-20 ადგილზე ჯდებოდა.**

— ეს რამხელა ტაძარი ყოფილა! — აღფრთოვანებული შემოსძახებს მალხაზ ღუღუნიშვილი, როცა მანქანა ბოლო მოსახვევის შემდეგ ჩრდილოეთისაკენ იბრუნებს პირს.

გრძელ გალავანში ჩამჯდარი ეკლესია და კოშკი შორიდანვე ჩანს. კარიბჭესთან მამათა მონასტრის წინამძღვარი მამა ანდრია და ბერ-მონაზონი ზინობი გვხვდებიან (ამჟამად აქ დედათა მონასტერია).

სალამ-ქალამის შემდეგ ეზოში შევდივართ. დარფაკისა არ იყოს, აქაც გალავანში ჩადგმული დიდი კოშკის პირველი სართული კარიბჭის ფუნქციას ასრულებს. მეორე სართული მოდარაჯე ბერის სადგომია, მესამე სართული — სამრეკლო. ეზოში ეპისკოპოსის სასახლე, სატრაპეზო და მარანიც ყოფილა.

ეს ნაგებობები გვიანი შუასაუკუნეებისა უნდა იყოს, უძველესი შენობა კი, რა თქმა უნდა, V-VI საუკუნეთა მიჯნის სამნავიანი ეკლესია „სამებაა“. იგი სიგრძეში 27 მეტრია, სიგანეში — 14. სამხრეთისა და ჩრდილოეთის ნავები ცენტრალური დარბაზიდან 4 წყვილი სვეტის და საკურთხევლის აფსიდის მხრებითაა გამოყოფილი. თაღებს, აფსიდისა და კამარის მსგავსად, ნალისებრი მოყვანილობა აქვს. უძველესი სვეტ-თაღები და კონსტრუქციული ნაწილები ქვიშაქვის თლილი კვადრებითაა ამოყვანილი, ინტერიერის დანარჩენი კედლები — რიყისა და კლდის ფლეთილი ქვით. შეკეთებისას გამოყენებულია ადრინდელი აგურიც. როგორც ჩანს, ტაძარი რამდენჯერმე შეუკეთებიათ. ამის ყველაზე ძველი კვალი თაღებიდან გამოსჭვივის და VII-VIII საუკუნეებისა უნდა იყოს. როგორც ჩანს, გვერდითი კამარები ისე დაზიანდა, რომ სასწრაფო შველა დასჭირდა, რესტავრატორებს ნავების მხრიდან სვეტებისათვის სისქე მოუმატებიათ და სვეტთაშორისი თაღები, მეტი სიმტკიცისთვის, შესამჩნევად დაუდაბლებიათ. მომდევნო რესტავრაციის ხანა IX-X საუკუნეებია. ამ დროს ჩრდილოეთის ნავის მეორე და მესამე სვეტს შორის 8-სხივიანი გუმბათოვანი კამარა ჩაუშენებიათ, რისთვისაც საგანგებო ტრომპები და ნიშები გამოუყენებიათ. გრანდიოზული მუშაობა გაუწევიათ გარედან. როგორც ზევით ითქვა, ეს ის დროა, როცა მეზობლად მდებარე დარფაკაში ყველაწმინდის დარბაზული საყდარი შენდება თლილი ქვიშაქვის კვადრებით. ამ დროს „სამებასაც“ ახალ პერანგს უკერავენ. შეუმოსავი დარჩა მხოლოდ ცენტრალური ნავის სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლების ზედა მონაკვეთები. ამდროინდელი უნდა იყოს აღმოსავლეთ კედელზე მარტივი ლილვებით გამოსახული უზარმაზარი ჯვარი. მართალია, ქართული ტაძრების ფასადებზე დიდი ჯვრები XIII საუკუნიდან ჩნდება, მაგრამ ისინი უნატიფესი რელიეფური სამკაულებითაა აქცენტირებული და ფასადებზე აშკარად დომინირებენ. „სამების“ ჯვარი ასეთი პანტენზიული არ არის.

**1518 წელს „სამებაში“ კვლავ სიახლეებია:** შენდება გალავანი, კარიბჭე-სამრეკლო და სხვა ნაგებობები, მთავარი კი ისაა, რომ ტაძარი შიგნიდან მთლიანად იხატება და ორ სვეტთან მუზარადის ფორმის შეისრულთაღოვანი ნიშნები იქმნება.

კედლებზე V-VI საუკუნის რელიეფებიდან შემორჩენილია საკურთხევლის კაპიტელებზე ამოკვეთილი სასანური სამკაულები.

კაწარეთის „სამება“ ქართული ხუროთმოძღვრების ადრეული ეტაპის ერთ-ერთი საეტაპო ძეგლია ბოლნისის, ურბნისის, შუამთისა და ანჩისხატის სამნავიან ტაძრებთან ერთად.

არის ეჭვი, რომ გორგასლის მიერ დადგენილი ერთ-ერთი ეპისკოპოსი, რომელიც იჯდა „ნინოწმინდას“ უჯარმის კარსა, რომელ გორგასალსა აღეშენა“, შესაძლოა, კაწარელიც კი იყო. უჯარმასთან ახლოს V-VI საუკუნეთა მიჯნის დიდი ტაძარი მხოლოდ კაწარეთის „სამებაა“. იგი მისგან აღმოსავლეთით 3 კილომეტრში მდებარეობს, ივრის მეორე ნაპირზე. არ არის გამორიცხული, რომ მას თავიდან „ნინოწმინდა“ ერქვა და „სამება“ მერე გახდა.

## ᲑᲝᲚᲝᲗᲥᲛᲐ

დიდებულია კაწარეთის სამება, მაგრამ თვალი და გონება მაინც დარფაკისკენ გამირბის.

დარფაკა... **განთიადზე აქედან მიუხდა გორგასალი სპარსელებს: „დაესხა და შევლო ვიდრე პალატამდე მეფისა. შევიდა კარავსა შინა მეფისა და მეფე შეესწრა ცხენსა ზედა და ძე მისი ბარტომ მოკლა და მოკუეთა თავი თვისი“.** ქართველებმა ამ ომში გაიმარჯვეთ. ჯუანშერის თხზულების თანახმად, 120 ათასი მომხვდური დაიხოცა მაშინ, მაგრამ **„მუნ შინა სპარსმან ვინმე სცა ისარი მკერდსა ვახტანგისსა“** და სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული გორგასალი რამდენიმე ხანში აქვე, უჯარმაში გარდაიცვალა... ასე დამთავრდა ერთი დიდი ეპოქა.

მართლაც რამდენი უნდა ისწავლო და იწანწალო ამ ქვეყანაზე, რომ ბოლოს უჯარმამ იყივლოს შენში, იყივლოს და შენთან ერთად შენი თანამოძმეც შეძრას, გამოაფხიზლოს და ღირსებით შემოსოს?!

**ᲒᲔᲚᲐ ᲥᲝᲥᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

**ავტორის ფოტოები**

ხაშმის (კაწარეთის) სამება. სამხრეთის ფასადი.



# facebook

# xalxis azriT

რა საინტერესოა, გაეროში ახმად ნეჯეთის გამოსვლისას, პროტესტის ნიშნად 36-მა დელეგაციამ რომ დატოვა დარბაზი, ჩვენი დელეგაცია რატომ იჯდა გატრუნული: აღარ ვიყავით მაშინ ევროპის ნაწილი თუ აშშ-ს სტრატეგიულ პარტნიორობაზე ვთქვით უარი? ალბათ შანტაჟისთვის დაიტოვა მიშამ ირანთან მისასვლელი პირი, რა იცი, რა ხდება:)))))))

"ოპოზიცია შაჰის პირველი ცოლობისთვის იბრძვის"

გამაგებინეთ ვინმემ, ტრანსპორტის მინისტრი და გუბერნატორი სამი მეტრის გზის დაგებას ანდა ასფალტის საფარის გამოცვლას რომ ესწრებიან, რატომ არის ეს ნიუსი? ეს ხომ მათი სამუშაოა, ყოველდღიური ბუნებრივი მდგომარეობა, რომლის გამოც მოქალაქეები მოხელეებს ფულს უხდიან? განა "ნიუსი" შეიძლება იყოს მზის ამოსვლა,ღამით დაძინება, სკოლაში წასვლა, ლექციის ჩატარება, ძროხის მოწველა ანდა სიმინდის, თუნდაც ჰიბრიდული სიმინდის ყანის გათოხვნა?

„ტაფების რაინდი" ბაქრაძე ნახეთ, რა დღეშია? ახლა ამ ლორთქიფანიძემ რო უჩივლოს ცილისწამებისთვის, თავს რითი იმართლებს, ნეტავ? თუ ხალხს მოუწოდებს დანა-ჩანგლით, შამფურებით და ქვაბებით იომონ პარლამენტის თავმჯდომარის გადასარჩენად?

7 ნოემბერს უამრავი ხალხი იყო პარლამენტის წინ... მთვრობამ ეს ხალხი გალახა და სახლში გაყარა... შემდეგ მიშა გადადგა და ისევ დაბრუნდა... რა ფეხები მოსჭამა ხალხმა?

იმედი დახურეს ნაგლად... რა ფეხები მოსჭამა ხალხმა?

მერე აგვისტოს ომი წააგო და ტერიტორიები დაუკანონა რუსეთს - რა ფეხები მოსჭამა ხალხმა?

მერე ეს 26 მაისის სტადიონი... დავით აღმაშენებელს არ ჰყოლია დიდგორზე იმდენი მებრძოლი, რამდენიც ოპოლიდერებს სტადიონზე, მაგრამ რა ხეირი? არა და ეს ოპოლიდერები უკლებლივ ყველა გაჰყვიროდნენ - ხალხნო, ოღონდ თქვენ გამოდით ქუჩებში და ამ რეჟიმს ორ დღეში დავამთავრებთო... რა ხეირი? აიღეს ქრთამები და ხალხი სახლებში გაუშვეს...

მერე ეს 26 მაისის ღამე ბურჯანაძის თაოსნობით... მაშინაც უნდა დაემთავრებინათ თურმე მიშას რეჟიმი... მაგრამ უფრო გაამყარეს, ვგონებ!

... და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი ასეთი ფაქტები...

სანამდე უნდა ტარდებოდეს ექსპერიმენტები ხალხზე? სად არის სასურველი შედეგი?

ოპოზიციაში ახლა ისევ გადაჯგუფების პერიოდია. რადიკალები ერთ მწკრივში დგებიან, კონსტრუქციულები მეორეში, არაფრის გამკეთებლები — მესამეში, ურეიტინგოები — მეოთხეში და ა.შ. ყველასათვის მოულოდნელად კი „ეროვნული ფორუმი" „დამამხობლების რიგებში" აღმოჩნდა.

არავინ იცის, რცხვენიათ თუ არა ოპოზიციის წარმომადგენლებს რამის, მაგრამ რთულია არ შეგრცხვეს, როდესაც ოპონენტს პოლიტიკურად მსუბუქი ყოფაქცევის ქალს ადარებ, მოგვიანებით კი მის ბანკში „შეძრომაზე" „ჩალიჩობ".

ვითომ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე მომუშავე-მეოცნებე „ეროვნული ფორუმი" ძალების მოსინჯვას გეგმავს 27 სექტემბერს და ამ საქმეში სანიკიძეს „ნახირი", ანუ ხალხი სჭირდება. ეს ისევ თავისი სიტყვებიდან გამომდინარე. სანიკიძეს მხარს უბამს ნინო ბურჯანაძეც, სავარაუდოდ, „ქართული პარტიაც".

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# `WeSmaritad morwmune adamians eqimi ar unda sWirdebodes~

***როგორ გახდა შესაძლებელი განკურნებულიყო ისეთი მძიმე დაავადებები როგორიცაა გენოპარეზი და ეპილეფსია და არის თუ არა ჯანსაღი სხეული და ჯანსაღი სული ორი ერთმანეთისგან განუყოფელი ცნება. ვესაუბრებით მკურნალ-ეზოთერიკს ელგუჯა გველუკაშვილს და მის პაციენტს გიორგი ყარამაშვილს.***

**რადგან ჩვენი საუბრის თემა ეხება, შეიძლება ითქვას, სასწაულის ტოლფას მოვლენას — გენოპარეზისა და ეპილეფსიის განკურნებას, ამიტომ დავიწყოთ ავადმყოფობის ისტორიით. თანდაყოლილი იყო თქვენი დაავადება?**

**გიორგი:** ჰემოპარეზის დიაგნოზი ძალიან ადრეულ ასაკში დამისვეს, ავადმყოფობის გართულებას ალბათ იმანაც შეუწყო ხელი, რომ როცა დედა ჩემზე მშობიარობდა, ექიმმა თავში უხეშად, ცუდად მომკიდა ხელი



და მარჯვენა მხარე დამიზიანა. განვითარდა გენოპარეზი. ექვსი თვის განმავლობაში ეს არავის შეუმჩნევია. ექვსი თვისა რომ გავხდი, შეამჩნიეს, რომ მარცხენა მხარე, კიდურები ამ მხარეს, უფრო აქტიური იყო, აქედან გამომდინარე მიხვდნენ, რომ რაღაც კარგი არ ხდებოდა, წამიყვანეს ექიმთან და დაისვა დიაგნოზი. მერე დაიწყო ხანგრძლივი ინტენსიური მკურნალობა: წამლები, ვარჯიშები, მასაჟები. ჩემი დიაგნოზი ბევრგან გაგზავნეს. დასკვნა ყველგან ერთი და იგივე იყო, ანუ ის, რომ ამ დაავადების ბოლომდე განკურნება არ ხდება. ნერვი იმდენადაა დაზიანებული, რომ აღდგენა გამორიცხულიაო. მარჯვენა ხელი შეკუმშული მქონდა, საერთოდ ვერ ვამოძრავებდი. ვიმკურნალე ახტალაშიც.

**— წამლებს ალბათ სისტემატიურად იღებდი...**

— დიახ, მედიკამენტები დამინიშნეს, მაგრამ ეს ძირითადად იყო დამაწყნარებლები, ეს იმიტომ, რომ მძიმე ავადმყოფობის ფონზე განმივითარდა ნერვოზი, ჩემს თავში ჩავიკეტე, ხალხს უჭირდა ჩემთან ურთიერთობა. ამას ერთვოდა ისიც, რომ ხშირად მქონდა სიცხეები, ანგინა მაწუხებდა, დღე არ გავიდოდა, ცუდად არ ვყოფილიყავი. სკოლაში სწავლის პერიოდის ნახევარზე მეტი სახლში მაქვს გატარებული, ასევე სტუდენტობა.

სიტუაცია თავიდანვე კიდევ იმან გაართულა, რომ 8 წლის ასაკში დამემართა ეპილეფსიური შეტევა, რაზეც ექიმმა თქვა, რომ ამ დაავადების თანამდევი პროცესიაო. ღამე დამემართა, ისე გავთიშულვარ, ხელოვნური სუნთქვის აპარატზე დაჭირვებიათ ჩემი შეერთება. დილით თავს კარგად ვრძნობდი. 2 თვის მერე ისევ გამიმეორა, ისევ ღამე. ამჯერად დილით ნაცემივით ვიყავი. ამის შემდგომ 3-4 თვეში ერთხელ სისტემატიურად მომდიოდა შეტევები. 15 წლის ასაკამდე დავყავდი ვარჯიშებზე და მასაჟებზე, მაგრამ მერე მე თვითონ დავიწყე. ვიცოდი რაღაც ვარჯიშის სისტემები, მაგრამ არ ვიცოდი, რა თანამიმდევრობით მევარჯიშა. მიუხედავად ყველაფერ ამისა, მარჯვენა ხელის მოძრაობა მაინც ძალიან მიჭირდა.

**— ასე როდემდე გაგრძელდა?**

— ასე გრძელდებოდა, სანამ 26 წლისა გავხდებოდი. ჯერ მე თვითონ დავინტერესდი აღმოსავლური ფილოსოფიით, ვარჯიშებით, იოგით. გუჯასთან ჩემი პირველი შეხვედრა განაპირობა იმან, რომ აქ მომიყვანეს იგლოთერაპიაზე, ჩინური ნემსებით სამკურნალოდ. დავიწყეთ ამ ნემსებით მკურნალობა, რამდენიმე თვის შემდეგ გუჯამ მითხრა, რომ იცოდა სტატიკური და დინამიური ვარჯიშების სისტემები. დავიწყეთ ვარჯიშები და დღემდე გრძელდება.

**— ანუ მკურნალობა თავდაპირველად ნემსებით დაიწყეთ...**

— გუჯა: დიახ, ნემსებით, მალამოებით, ბალახებით. იოგას ვარჯიშები ასე უბრალოდ არ იწყება. მომზადება ნემსებით დავიწყეთ. ჩინურ მედიცინას ბევრი სკეპტიკურად უყურებს. ჩინურ ნემსებს მეოთხე ხარისხის დამწვრობა მოურჩენია, ასეთ შემთხვევას პლასტიკური ოპერაციის გარდა არაფერი შველის. ეს ჩემი პირადი არა, სხვისი პრაქტიკის მაგალითზე გეუბნებით. ეს ბიო-ენერგოთერაპიაა. ჰქვია ჩენ-ციუ, ქართულად ეს გახლავთ ჩხვლეტა და მოწვა.

ახლა რაც შეეხება იოგას. რასაც ჩვენ ვაკეთებთ, კლასიკური იოგა არ გახლავთ და არც ახალი ბორბლის გამოგონება დაგვიწყია. იოგა სიტყვა-სიტყვით შერწყმას ნიშნავს ანუ, თუ ადამიანის ნებაში დევს სურვილი, რომ ჯანმრთელი იყოს, მე ვეხმარები და ხდება კიდეც გამოჯანმრთელება, გიოს გასავლელ გზას მე ვერ გავივლიდი. თუ უნდა, მიიღებს ჯანმრთელობას. თუ ჩვენს ნებაში დევს რაიმეს მოხდენის სურვილი, მოხდება.

**— გიორგი როგორც გავიგე, როცა შენ დაიწყე გუჯასთან მკურნალობა, მაშინ უკვე აღარ გქონდა კლასიკური მედიცინის იმედი...**

— გამოჯანმრთელების იმედი გადაწურული მქონდა... ერთადერთი რაც ხდებოდა, იყო ის, რომ მედიკამენტებით ნერვებს ვიმშვიდებდი.

**გუჯა:** ნელ-ნელა დავიწყეთ ვარჯიშები და ასევე ნელ-ნელა დავიწყეთ ამ ვარჯიშების გართულება. ამას გარკვეული ცოდნა სჭირდება და ეს ცოდნები ჩვენ გამოგვადგა. საუბარი მაქვს ეზოთერულ ცოდნებზე, ამაში გარკვევა გიორგისაც დასჭირდა. ეს აუცილებელია იმიტომ, რომ როცა რაღაცას აკეთებ, რწმენაც უნდა გქონდეს. აქედან გამომდინარე მივიღეთ ბრწყინვალე შედეგი: ეპილეფსია და ნერვოზი გაქრა, მარჯვენა ხელ-ფეხი აღდგა.

**— რამდენი წელია მკურნალობთ?**

**გიორგი:** უკვე ორი წლი და სამი თვეა. შედეგებმა მკურნალობის დაწყებიდან ექვსი თვის შემდეგ დაიწყო გამოჩენა. დაიწყო ეპილეფსიური შეტევების გაიშვიათება, წელიწადნახევრის შემდეგ კი საერთოდ გაქრა.

**— ამგვარი პრაქტიკა გქონიათ ადრეც?**

**გუჯა:** ბევრ დაავადებებზე მიმუშავია, რეანიმაციიდანაც მყავს ადამიანი გამოყვანილი, ინსულტისგან მყავს პაციენტი მორჩენილი, მიმუშავია დიაბეტზე. ამ შემთხვევაში შედეგი ძალიან მალე მივიღე. უკეთესობა თუ არა, უარესობა არსად მიმიღია. ასე რომ, ამ მეთოდიკას ბრწყინვალე შედეგები აქვს. ეს ჩემი გამოგონილი არ გახლავთ. მე გავაერთიანე ევროპული და აღმოსავლური ეზოთერული ცოდნები. კონკრეტულად ჩინურ-ინდური ვარიანტები, პლიუს ევროპული — სკანდინავური შამანიზმი. ვიმეორებ: ახალ ბორბალს არ ვიგონებთ, აქ არის ყველაფერი გაერთიანებული, დაფუძნებული რწმენაზე.

**— საერთოდ, ეზოთერული და ხალხური მედიცინის მიხედვით ეპილეფსია განკურნებადია?**

— მე არავის ქებას ან განკითხვას არ ვაპირებ, მაგრამ თუ ადამიანის ნებაში გამოჯანმრთელების სურვილი დევს, ეზოთერულ ცოდნას გააჩნია იმის ძალა, რომ სასწაული მოახდინოს. გარკვეულწილად სხვა რამეებსაც აქვს მნიშვნელობა: გენეტიკას, ასაკს. ახალგაზრდა ადამიანის ორგანიზმი რასაკვირველია უფრო იოლად დაძლევს ყველაფერს ვიდრე სამოცდაათი წლის ადამიანისა. ჩვენ აღებული გვაქვს ენერგეტიკული ვარჯიშები. ადამიანის ორგანიზმში უნდა მოხდეს სამი ძირითადი ცენტრის დამორჩილება. ეს ცენტრებია: 1) მენტალური, 2) ასტრალური, 3) ფიზიკური — ანუ თვითონ ორგანიზმი. ასტრალი ენერგეტიკაა, მენტალი — გონება. მენტალის დამორჩილება უნდა შეძლო იმისთვის, რომ ასტრალი და ფიზიკა დაიმორჩილო. დავიმორჩილეთ, ფაქტი სახეზეა.

**— დიეტას იყენებთ?**

— არა, სიგარეტიც კი არ ამიკრძალია არცერთი დღით. ზომიერების ფარგლებში ადამიანს ყველაფრის მიღება შეუძლია. ზომა გონებამ და ორგანიზმმა უნდა განუსაზღვროს. უზომოდ ბევრი ყველაფერი მავნებელია. კვების შემთხვევაში ვიცავთ ოქროს წესს: არ შეიძლება ვარჯიში ჭამის შემდეგ. ჯანმრთელი ცხოვრების წესი პირველ რიგში კარგი კვება და სიმშვიდეა. ჩვენ კი კაცმა არ იცის, რას გვაჭმევენ დაერთი სიგარეტი ვერ გადაწყვიტავს ყველაფერს. ვიმეორებ: ინდივიდუალური დოზა ორგანიზმმა უნდა განსაზღვროს.

**— ახლა არის იმისი პერიოდი, რომ ბევრი რამის გადაფასება უნდა მოხდეს, მათ შორის ალბათ სამედიცინო მეთოდებისა.**

— ადამიანის ორგანიზმს დიდი ძალა გაჩნია. როგორც ჩვენი რელიგია ამბობს: თუ რწმენა გაგაჩნია, ყველაფერს შეძლებ. ხალხს თავი ქრისტიანად მოაქვს და უმეტესობას არ აქვს გააზრებული რა არის საერთოდ ქრისტიანობა.

ქრისტე ჯვარზე გაკვრიდან მესამე დღეს აღსდგა, ეს ნიშნავს სულის მიერ სტიქიების დამორჩილებას. იმ სტიქიებისა, რომელიც სამყაროს განაგებს. ბევრი რამის ღრმად გააზრება გვჭირდება იმისთვის, რომ მივაგნოთ რაღაც ჭეშმარიტებს. ჭეშმარიტად მორწმუნე ადამიანს ექიმი არ უნდა სჭირდებოდეს. უბრალოდ, ბევრი ცოდნაა საჭირო იმისთვის, რომ ავადმყოფობა განდევნო ორგანიზმიდან.

**— ანუ ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულის ქონა ადამიანების ნებაზეა დამოკიდებული...**

— ნებაზე და გარკვეული საკითხებისადმი მიდგომაზე. მთავარია, ნუ უსურვებ იმას სხვას რაც არ გინდა შენ გისურვონ. ჭეშმარიტ რწმენაში ყველაფერი დევს. როცა ცოდნისკენ ინტერესით მიდიხარ, ღმერთი გიხსნის ბევრ რამეს.



**— როგორ ფიქრობთ, შეიცვლება საზოგადოების მენტალიტეტი და მიდგომა ეზოთერული საკითხებისადმი?**

— ჩვენ, ქართველ ერს საერთოდ შესაცვლელი გვაქვს მენტალიტეტი. ადამიანებმა სიყვარული დაკარგეს. როცა ვინმესგან გულწრფელ სიყვარულს იგრძნობენ, ამას იყენებენ. ღმერთი დაკარგეს ადამიანებმა.

**— ასეთი სიტუაცია ხომ თითქმის ყველგანაა...**

— კი, მაგრამ ვაღიაროთ, რომ ბევრი რამ ძალიან გადავაჭარბეთ. რომ გავიძახით ევროპელები ვართო, ვიქცევით ევროპელებივით? ევროპელის მენტალიტეტმა შექმნა ის ცივილიზებული ქვეყნები და ცხოვრება. მენტალიტეტს თუ არ შევიცვლით, ერთი და იგივე წრეში ვიტრიალებთ. სულიერად უნდა გავიზარდოთ.

**— შეიძლება ოდესმე სახელმწიფო დონეზე დადგეს არაორდინალური მკურნალობის მეთოდი?**

— მე არ ვთვლი, რომ სახელმწიფო ამაზე უნდა ზრუნავდს. მე, ჩემი შეხედულებებით მემარჯვენე ვარ. არაფერი უფასო არ მინდა, მათ შორის არც ექიმი და არც სკოლა. სახელმწიფო ვალდებულია შრომის პირობები დაიცვას. კანონი უნდა კანონობდეს, ადამიანმა მუშაობდა უნდა შეძლოს, რომ იყოს გადახდისუნარიანი. რა რა ღირს, ამას უკვე ბაზარი აფასებს.

**თამუნა ქადაგიძე**

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia

*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*

*მთვარისა კევლიშვილი.*
ტელ.: 2 79 63 91;
8 790 60 64 69;
5 93 78 64 69



* * *

**– ჩემი სრულწლოვანი შვილის შვილება ჩემი თანხმობით უნდოდა საბერძნეთის მოქალაქეს. სასამართლომ უარი მითხრა გაშვილებაზე. რამდენად სამართლიანია ეს?**

– თუ სასამართლოში არ დადასტურდა, რომ ეს შვილება გამართლებული იყო ზნეობრივად, რომ მშვილებელს და შვილად ასაყვანს შორის უკვე არსებობდა მშობლისა და შვილის ფაქტობრივი ურთიერთობა, სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერი იქნება.

* * *

**– დეიდაშვილიშვილი ჩაითვლება თუ არა მემკვიდრედ?**

– ბიძაშვილები, დეიდაშვილები და მამიდაშვილები, ხოლო თუ ეს უკანასკნელი არ არიან, მაშინ მათი შვილები – ითვლებიან მეხუთე რიგის მემკვიდრეებად.

მეხუთე რიგის მემკვიდრეები (თქვენს შემთხვევაში, დეიდაშვილიშვილი) კანონისმიერად მიიღებენ სამკვიდროს იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს წინა რიგის მემკვიდრეები.

* * *

**– ჩემი შვილი არის ძებნილი. შეიძლება თუ არა მის დაუსწრებლად ჩატარდეს სასამართლო პროცესი.**

– ძებნილი პირის მიმართ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმდინარეობს გამოძიება და სასამართლო განხილვა მისი დასწრების გარეშე, ადვოკატის სავალდებულო მონაწილეობით.

* * *

**– როგორია სახელმწიფო ბაჟის ოდენობა სააპელაციო გასაჩივრებისას?**

– სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქ-პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში არ უნდა აღემატებოდეს: 1) ფიზიკური პირისათვის – 5.000 ლარს, 2 იურიდიული პირისათვის – 7 000 ლარს.

* * *

**– მეზობელმა შეიტანა სარჩელი სასამართლოში ყოფილი მეუღლის წინააღმდეგ. როგორც ჩანს, მე დამასახელა მოწმედ. მომივიდა უწყება სასამართლო პროცესზე გამოძახების შესახებ. როგორ მოვიქცე?**

– უნდა მიბრძანდეთ სასამართლო პროცესზე და მისცეთ ჩვენება იმის შესახებ, რაც იცით.

* * *

**– ვარ მოსარჩელე. შეიძლება თუ არა სასამართლომ ჩემი დასწრების გარეშე მიიღოს გადაწყვეტილება?**

– აღნიშნული რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლით, რომლის I ნაწილი ადგენს შემდეგს. თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება კანონით დადგენილი წესით, მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

II ნაწილი: თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ...



თუ მოპასუხე სარჩელისგან უხილველად დატოვების წინააღმდეგია, სასამართლო გადადებს საქმის განხილვას. მოსარჩელის განმეორებით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას.

* * *

**– ჩემი წარმომადგენელი სამოქალაქო საქმეზე არ დაუშვეს სააპელაციო სასამართლოში. რამდენად სამართლიანია ეს?**

– თქვენს წარმომადგენელს, როგორც ჩანს, არ გაუვლია ადვოკატთა ტესტირება და არ არის გაწევრიანებული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 440-ე მუხლი ადგენს: პირებს, რომლებსაც არ გაუვლიათ ადვოკატთა ტესტირება და არ არიან გაწევრიანებული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, ეკრძალებათ წარმომადგენლის უფლებამოსილების განხორციელება სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებში, გარდა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ორგანიზაციის თანამშრომლებისა – ამ ორგანოებისა და ორგანიზაციის საქმეებზე.

* * *

**– გაშვილებული ბავშვი არის თუ არა თავისი ბიოლოგიური მშობლების მემკვიდრე?**

– არა. შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ნაშვილები კარგავს ქონებრივ (მაგალითად, ქონების მემკვიდრეობა) და პირად არაქონებრივ უფლებებს (მაგალითად, საავტორო უფლება) და თავისუფლდება მოვალეობებისაგან, თავისი ბიოლოგიური მშობლისა (მშობლებისა) და ნათესავების წინაშე.

ნაშვილებიდა მისი შთამომავლობა, მშვილებლისა და მის ნათესავთა მიმართ ისეთივე ნათესავად ითვლება, როგორც ბიოლოგიური ნათესავები. მათ ისეთივე პირადი და ქონებრივი ურთიერთობები წარმოეშობათ, როგორიც ბიოლოგიურ ნათესავებს.

* * *

**– შეიძლება თუ არა მშობლის ნაცვლად სამკვიდრო მიიღოს შვილიშვილმა?**

– ეს ხდება მაშინ, როცა მშობელი გარდაცვლილია. შვილიშვილი წარმომადგენლობის უფლებით, კანონისმიერი მემკვიდრეობის დროს, მიღებს გადაცვლილი პაპის ან ბებიის სამკვიდროს, ანუ დატოვებულ ქონებას.

მეორე გზა შვილიშვილის მიერ პაპის ან ბებიის დატოვებული ქონების მიღებისა გახლავთ ანდერძი. ასეთ შემთხვევაში, ცოცხლმა მშობელმა უარი უნდა თქვას, როგორც გარდაცვლილის I რიგის მემკვიდრემ სავალდებულო წილის მიღებაზე და შვილიშვილი მთლიანად მიიღებს ქონებას.

* * *

**– რა ვადაში ხდება სამკვიდროს მიღება?**

– პირის გარდაცვალების მომენტიდან 6 თვის განმავლობაში უნდა შეიტანოთ განცხადება ნოტარიუსთან სამკვიდროს მიღების შესახებ.

თუ ამ ვადაში არ მოხდება სამკვიდროს მიღება, არ არის გამორიცხული შემდგომში რიგი სამართლებრივი პრობლემების აღმოცენება და საჭირო ხდება სასამართლოსადმი მიმართვა. ამიტომ გირჩევთ, სამკვიდრო ქონების გაყოფაზე განცხადება დადგენილ 6 თვიან ვადაში შეიტანოთ.

* * *

**– შეიძლება თუ არა იმუშაოს მცირეწლოვანმა და სად?**

– თქვენ, ალბათ, გულისხმობთ 14 წლამდე ასაკის ბავშვს.

აღნიშნულთან დაკავშირებით მგახსენებთ შემდეგს. კანონით დადგენილია შრომის დაწყების მინიმალური ასაკი – 16 წელი. თუმცა, 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვანსო შუძლია მუშაობის დაწყება მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით, თუ ეს ზიანს არ აყენებს მის ზნეობრივ, ფიზიურ და გონებრივ განვითარებას და არ ზღუდავს მისი განათლების მიღების უფლებას და შესაძლებლობას. 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანის მუშაობა დაიშვება მხოლოდ სპორტულ, ხელოვნებასთან დაკავშირებულ და კულტურის სფეროში, ასევე, სარეკლამო სამუშაოს შესასრულებლად.

რაც შეეხება საჯარო სამსახურს, აქ უფრო მაღალი ასაკობრივი ზღვარია დადგენილი. სახელმწიფო მოხელედ შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ 21 წლის ასაკს მიღწეული პირი, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელედ – 18 წლის ასაკის პირი.

* * *

**– ვმუშაობდი საჯარო სამსახურში. ჩემი შტატი შეამცირეს. მეკუთვნის თუ რა რაიმე კომპენსაცია?**

– გეკუთვნით. დაწესებულების ლიკვიდაციის ან შტატების შემცირების გამო სამსახურიდან გათავისუფლებისას, საჯარო სამსახურში დასაქმებულს კომპენსაციის სახით ეძლევა 2 თვის თანამდებობრივი სარგო.

# facebook

# xalxis azriT

ნიჰილიზმი გარკვეულ წილად შიშს შეიცავს და დამღუპველია. უკან დახევის დრო არ არის, სამშობლო თავზე გვენგრევა ყოველდღიურად. მტერმა ხელი აიღო ყველაფერზე, რომელ დემოკრატიაზეა ლაპარაკი. ხალხის ღირსებას ყოველდღე გვითელავს და ეხლა "ეეჰ" და "უუჰ" აღარ გვინდა. გამოდი და დადექი მებრძოლად. თუ არ შეგიძლია, მაშინ სხვას ნუ გაუტეხ გულს. თუ კიდე გაგრძელდა ეგეთი ვიშვიში, მაშინ ვიფიქრებ, რომ ეს სპეციალური დავალება სრულდება!

დღეს ჩვენი ქვეყნის უპირველესი მტერი, ჩვენივე საზოგადოების დეგრადირებული და დახავსებული მენტალიტეტია, რადგან უზნეო ზნეობაზე მორალს არ უნდა მიკითხავდეს."

სააკაშვილის ვენახი :) ისეთი აურა იყო, რა.. "ნათლიაში" რომაა სანი რომ დაუმტვრევს ფოტოაპარატს რეპორტიორს და მერე მაყუთს რო მისცემს. ისე იქცეოდნენ მიშას ძალოვანები. ოღონდ ნათლია მაფიოზი იყო, ეს კი პრეზიდენტია!

იურისტ პავლე კუბლაშვილის აზრით, თურმე ემოციურ ფონზე კანონის დარღვევა, კერძოდ კი ხულიგნობა, მისაღებია. საინტერესოა, ეს „დებულება“ მარტო ნაციონალ დეპუტატებზე ვრცელდება თუ საერთოდ ყველას გვეხება. გამოდის, რომ დღეს, საქართველოში, ხულიგნობის მუხლით მსჯავრდებულთა არმია უემოციობისთვის ისჯება? :) გაიხარეთ თქვენ,ზელანდიელებო!კაი ხანია ამ ხელისუფლების წარმომადგენელთა ასეთი დამფრთხალი სახე არ მინახავს!




მაგ რეჟიმს ხალხი თავისი ძალებით ვერ მოიცილებს... ხალხს მაგის თავი რომ ჰქონოდა ,კი იყვნენ 26 მაისს სტადიონზე შეკრებილები და იქ უნდა გამოეჩინათ ფხა და მარიფათი...დასავლეთს მაგის მოცილება არ უნდა იმიტომ რომ, მიშა მაგათ ყველა მოთხოვნებას და კაპრიზებს უკმაყოფილებს!რუსეთის სახელის გაგონება კიდევ ხალხს აღარ უნდა, ისეთი ანტირუსული პროპაგანდა მიდის საქართველოში! არსებობს ეჭვი, რომ სააკოვმა რუსეთთან ომი იმიტომ დაიწყო, რომ რუსეთისგან მტრის ხატი შეექმნა და რუსეთი ხალხისთვის შეეზიზღებინა, რადგან ერთადერთი მისი რეალური ჩამომგდები სწორედ რუსეთი იყო... თუმცა სააკოვმა ჭკუა იხმარა და 3 დღიანი ომით რუსეთს მისცა ის აუცილებელი მინიმუმი, რაც რუსეთს საქართველოსგან სურდა - ეს არის სამაჩაბლო და აფხაზეთი და იქ განთავსებული სამხედრო ბაზები... ეხლა კი რუსეთს მიშკას ჩამოგდება მანამდე არ აინტერესებს სანამ საქართველოსგან ნატოში შესვლის საფრთხე არ არსებობს... სააკოვმა თავისი სკამის შესანარჩუნებლად ყველას, გარდა ქართველი ხალხისა, მოთხოვნები დააკმაყოფია და ყველას ის მისცა, რაც მათ სურდათ... მაგის ჩამომგდები ძალა საქართველოში არ არსებობს!

საქართველოს ეკონომიკა სულს ღაფავს, - მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენელთა საღამო-ფიარ-კამპანიებში ყვავის იგი! რაც კეთდება, გამორიცხავს ეკონომიკურ ზრდასა და აღმავლობას, - ეს იმდენად ნათელია და დროში ისე კარგად დადასტურდება, როგორც ის, რომ მე გულწრფელად ვსაუბრობ... სიამოვნებით მოვიხდიდი ბოდიშს იმის გამო, რომ მცდარი აღმოვჩნდი... საქართველოს ეკონომიკა მალე კუსტარულიც აღარ იქნება! მას ფაქტობრივად იმპორტი ანაცვლებს და კიდევ უფრო ჩაანაცვლებს...

საქართველოში არ არის ჯუნგლების კანონი, - ეს რომ იყოს, შესანიშნავი იქნებოდა! საქართველოში ზოოპარკის კანონია... ყველა იქაა და რასაც მიუგდებენ, იმით კმაყოფილდებიან!

ხალხო!!! მგონი, პრემიერი გაგვიბახეს კიდეც ამ არაკაცებმა! ისე ამდენი ტიტველა მამრების გარემოცვაში როგორ თავისუფლად გრძნობს თავს :))))))))))))) ნეტა, შმუთეს??? ზელანდიურად?! "ღრმად" მე ვერ გამოვიკვლევ, რა ჩოუდეს ზელანდიელებმა პრემიერს, მაგას მედიცინის არც თუ ისე სახარბიელო მიმართულების სპეციალისტი სჭირდება, მე მხოლოდ ვიცინებ.

# `sxva saqarTvelo sad aris?~

## (წიგნიდან „პრედელუკინო 2008-2011 წ.წ.“)

*ეძღვნება*
*გულიკო ხარჩილავას*

მერვე ათეულში გადამდგარ კაცზე ითქმის, აწი მეორეს ვერ დაადგამენო. უფრო მარტივად: ეგაა, რაც არის, აწი, ჭკუა არ მოემატებაო. ასე ამბობს ხალხი და ხალხის გამონათქვამებს კბილი არ გაესინჯება. ასეთი გამოთქმაცაა: მე რასაც ვამბობ, ჩემხელა კაცი გაიგებსო, ჩემი ასაკისა რომ მოიყრებაო. კიდევ უფრო ახლოით რომ დავაზუსტოთ, ეს ყველაფერი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ასაკოვანი კაცის მსოფლმხედველობა ახალგაზრდა კაცის მსოფლმხედველობასთან შედარებით უცვლელია და მტკიცე.

რა მალაპარაკებს?

მთელი ჩემი ცხოვრება თან დამყვება გრიგოლ ორბელიანის საყოველთაოდ გასმენილი გამონათქვამი: „სხვა საქართველო სად არის?“ — რაც უფრო მკაფიოდ ხმიანებს და ჩაგვესმის, როცა სამშობლოს გარეთ იმყოფები.

შვიდი ათეული წელი უნდა გამეცვითა, რომ შემეცნო, საქართველო არის იქ, სადაც არის თუნდაც ერთი კაკალი ქართველი კაცი. ანუ საქართველო იმდენია ამ დედამიწის ზურგზე, რამდენი ქართველიცაა. შეიძლება ალიასკაზე ცხოვრობდე, მაგრამ ქართველი იყო. შეიძლება პარიზში ცხოვრობდე, მაგრამ ქართველი არ იყო. შეიძლება ციხეში იჯდე, მაგრამ ქართველი იყო, რადგან სადაც შენ იქნები, იქ იქნება შენი საქართველოც — იქნება მანამ, სანამ შენ ქართულად ილაპარაკებ, დაკარგავ ენას და დაკარგავ სამშობლოს, რაც იმავე გენერალმა და პოეტმა გვითხრა, ვინც გაიკითხა „სხვა საქართველო სად არისო“.

ერთხელაც სიზმარში ხმა ჩამესმა.

— გიხარია, რომ ქართველი ხარ?

— არა-მეთქი, — ვუპასუხე.

— ვინ გინდა, რომ იყო?

— ქართველი, ოღონდ უკეთესი.

ზოგი სიზმარი გაცხადდება ხოლმე, ზოგი — არა.

ბედნიერება მერგო, უკეთესი ქართველი გამეცნო სამშობლოს გარეთ. ამ ქართველი კაცის სახელი და გვარი გახლავთ გულიკო ხარჩილავა.

იგი დასავლელი კაცია, წალენჯიხელი. ლეო ქიაჩელისა და ტერენტი გრანელის თანარაიონელი. წალენჯიხის მკვიდრია აგრეთვე ჩემი მეგობარი პოეტი ვახტანგ ხარჩილავა. ბატონი გულიკო რამდენიმე ათეული წელიწადია, რაც რუსეთის დედაქალაქში ცხოვრობს და მოღვაწეობს.

იმ ურთულესი ოპერაციის შემდეგ, რაც გადავიტანე და რასაც ვუმადლი უებრო დასტაქარს, ბატონ დავით გოცაძეს, აუცილებელი შეიქნა ჩემი გამგზავრება რუსეთში, სადაც გავიცანი ბატონი გულიკო ხარჩილავა.

გაეგონა, ალბათ, რომ წიგნის კაცი ვარ, ან არ გაეგონა, არ ვიცი, მაგრამ ისე გამეგება, როგორც დიდი ხნის უნახავ ნაცნობ-ნათესავსა და მეგობარს, და რომ არა მისი თანადგომა, ის სამი წელიწადი, რაც მე უცხო ქალაქში მომიწია ცხოვრება. ყელში ამომივიდოდა, თავს ვერ გავიტანდი.

საქართველოს საუკეთესო მესიტყვის ბარათმა ვერ იბარათა, რადგან, როგორც გამოირკვა, ბარათის ადრესატი საქართველოში არ იყო, ანუ იქ არ იყო საქართველო, სადაც იყო ბარათის ადრესატი და რაკილა მან საქართველოს უპირველესი მესიტყვე ვერ დაინახა, მე როგორ უნდა დავენახე. თუმცა ბარათი მაინც გამომართვა და ხელმარჯვნივ მდგარ თანამშრომელს თუ ხელქვეითს გადააწოდა, წაუკითხავად, ცხადია, ასე დავრჩი საქართველოს გარეთ, თუმცა საქართველო იმავე ქალაქში ვიპოვე, როგორც უკვე ვთქვი, და, რაზედაც მინდა კიდევ ვთქვა რამდენიმე სიტყვა.

რა რჯიდა ბატონ გულიკო ხარჩილავას, ვისთანაც საქართველოს საუკეთესო მესიტყვის ბარათი არ მისულა, ჩემი ავანჩავანი გულთან ახლოს მიეტანა?

უწინარესად ის, რომ იგი იქ იყო, სადაც იყო მისი საქართველო. მისი ენა მისი წიგნი. მისი ადათ-წესი. მისი რჯული და ნერჩი.

„სხვა საქართველო სად არის?“

გავიმეოროთ:

საქართველო არის იქ, სადაც არის თუნდაც კაკალი ქართველი კაცი. ანუ საქართველო არის იქ, სადაც არის გულიკო ხარჩილავა.

### გულიკო ხარჩილავას

„და გირჩევნია შენ ყველა თვეებს
ისევ და ისევ მაისი, რადგან
ოქროში ურევს მავანი ხელებს
და უკვე ჩვენი არ არის გაგრა.

არ არის ჩვენი ცხინვალი, ცხუმი,
არც ბიჭვინთა და არცა — რიწა,
სიტყვას, რომელიც სჯობია დუმილს,
კარგა ხანია, ჭამს შავი მიწა.

კარგა ხანია, არა ჩანს კაცი,
მამულის მომხვდურს აუგოს წესი,
ჩვარმა ჩაშალა ნაწერი ცარცით
და სამომავლო არა ჩანს გეზი.

თუმცა იქვეა ბიჭვინთაც, რიწაც,
ცხინვალიც იქვე, და ცხუმიც იქვე,
ვერც ვინ წაიღებს, არ უნდა ფიცი,
ვერ მოიკიდებს ტაძარს და ციხეს.

დადგება დრო და წამოვა ზევით
ისე, ვით ქვები, ღრუბელთა გროვა,
გაისრისება ეშმა და მხეცი
და სანატრელი დროება მოვა.

და გაიხარებს ჯურღაის ფარი,
საყვარელ სივრცეს დაივლის ლხენით,
რომ არა მარტო 26 მაისს
ზარ-ზეიმობდეს მამული ჩვენი!

მ.ჯ.
2011 წ. მაისი

ტერენტი გრანელი მოვიგონეთ.

საუბარში ვახსენე, რომ მე საკმაოდ ვრცელი წერილი — ესე მქონდა გამოქვეყნებული გრანელის შემოქმედებაზე, რაც იქნება პატარა წიგნადაც გამოიცეს-მეთქი.

„როგორ თუ გამოიცესო, — მითხრა ბატონმა გულიკომ, — ეს იმას ჰგავსო, თბილისი დაარსდაო რომ წერენ ისტორიის სახელმძღვანელოებში, კი არ დაარსდა, ბატონო მურმან, არამედ თბილისი დააარსა ამა და ამ კაცმა. ასე უნდა ითქვას. წიგნი თავისით ხომვერ გამოიცემა, იქნებ გამოიცესო რომ ამბობ, — შენ გაასრულე, მე გამოვცემ, დავაფინანსებ, ჩვენ წავალთ, წიგნი დარჩება“.

„წიგნს გიტოვებ!“ მომაგონდა ცხონებული სიმონ ჩიქოვანის ნაადერძევი. ან კი რა დარჩება მართლაცდა, თუ არა წიგნი. „ხმალს და მუზარადს ჟანგი შეჭამს, რჩება ნაწერი“, — ეს გამონათქვამი ეკუთვნის ცხონებულ პოეტს ოთარ მიქაძეს, აფხაზეთის მკვიდრს, დევნილს, რაც მეტ სივრცესა და საზრისს ჰმატებს ამ სტრიქონებს.

წიგნს გიტოვებო, რომ თქვა, იმასაც ჰგავს, საქართველოს გიტოვებო რომ დაიბარო.

გალაკტიონი ამბობს, რომ წიგნია ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი, მაგრამ იქვე წერს, რომ ლუარსაბი არ არის წიგნი.

„აქ წიგნს დაეძებ? აქ რა უნდა წიგნს!“

ანუ სადაც არის ლუარსაბი, იქ წიგნი არ არის. სამაგიეროდ, არის მწვადი, ბოზბაში და ჩიხირთმა, ხაშლამა და ჩახოხბილი, და ყანწების ტრიალი და მისთანანი. ესე იგი, წიგნი არ იყო იქ, მე რომ საქართველოს უპირველესი სიტყვის ბარათი მივიტანე. მეგონა, კია, მაგრამ არ იყო. წიგნის კარადა იყო, თარო იყო, წიგნი არ იყო, მაგრამ სადაც მე შემდეგ მივედი, წიგნი იყო. წიგნის თარო არ იყო, მაგრამ წიგნი იყო, რადგან თვითონ იგი იყო წიგნი, ვისთანაც მივედი და ვინც გავიცანი. წიგნი გავიცანი. წიგნის მკითხველი და წიგნიერი კაცი. წიგნის დამფასებელი, ანუ ბატონი გულიკო ხარჩილავა.

დღეს საქართველოში ისეთი ვითარებაა, რომ ყველა თავის თავზე ფიქრობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა მოქმედებს ყველას წინააღმდეგ.

„ახლა რომ იყოს, ვიცი, ჩემს სევდას
ბარათაშვილიც ვერ გაიგებდა“. (გრანელი)

აქ ისიც მინდა ვთქვა, რომ საყოველთაო გაგება გაუგებრობის ამხანაგია.

და მაინც, რეალობა დროზე უმცროსია, დროზე ნაკლები. მოვა დრო და წიგნს წაიკითხავენ და დააფასებენ.

ესეც უნდა ითქვას:

წიგნის კითხვისას ფართოვდება წიგნის მკითხველის ჰორიზონტი და ასევე ფართოვდება თავად წიგნის ტერიტორიაც, წიგნის არეალი.

წიგნი და მკითხველი ერთმანეთს ავსებენ.

მე არ მინდა, აქ თავი მოვიჭკვიანო ჩემი ნაკითხობით და მალარმეებისა და პრუსტების გამონათქვამები მოვიხმო, მაგრამ გალაკტიონის პატარა შედევრი ენაზე მადგას და უნდა წავიკითხოთ:

**„შენ შენი თასით,**
**მე — ჩემი წიგნით,**
**მივედით მარანს,**
**მივედით მარანს,**
**შევედით შიგნით,**
**ჭურს მტვერი ფარავს.**

**არ ჩდა მემარნე და**
**ჩვენ ძვირფასი**
**ღვინო მოვიგნეთ,**
**უკვდავი ღვინო,**
**შენ — ჩემი თასით,**
**მე — შენი წიგნით“.**

ამ ლექსის მთავარი სიტყვებია შენი და ჩემი, ჩემი და შენი, რაც ერთი და იგივეა.

მე და ბატონი გულიკო ხარჩილავა ვწერთ ერთ წიგნს.

გამგები გაიგებს.

გაგების ამბავი კი ასეთია:

სადაც გაგება (ერთობა) არ არის, იქ არ არის ნდობა.

„ჭეშმარიტია ის, რაც გვაერთიანებს“. (ჭაბუა ამირეჯიბი)

**მურმან ჯგუზურია**

---

7 ოქტობერს საქართველო კიდევ ერთ სამარცხვინო, გულისამრევ სანახაობას იხილავს — მხედველობაში გვაქვს ის პომპეზური დახვედრა, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება საფრანგეთის პრეზიდენტს ნიკოლა სარკოზის უმზადებს.

— სარკოზის ჩამოსვლა ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, თუ როგორ უჭერს მხარს საქართველოს და მის ხელისუფლებას ევროპა და როგორ უდგას გვერდში ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლაში, — აცხადებენ „ნაციონალური“

სინამდვილე კი ის არის, რომ დღემდე არავინ იცის, რა წერია იმ ხელშეკრულებაში, რომელიც სარკოზის შუამავლობით რუსეთ-საქართველოს შორის დაიდო და რომელიც, სარკოზის თქმით, რუსეთმა პირნათლად შეასრულა.

თუ რუსეთმა ხელშეკრულების პირობები შეასრულა, ცხადია, რომ ამ ხელშეკრულების თანახმად, რუსეთს უფლება მიუღია თავისი სამხედრო ძალები განალაგოს და ფაქტობრივად საქართველოს ტერიტორიაზე 20 პროცენტის ანექსირება მოახდინა.

# gaamrTelebs Tuara miSas `webo~ sarkos gatexil saxels?

## nikola sarkozi, rogorc amboben, warmoSobiT alJireli somexi, kavkasiaSi, rogorc Tavis istoriul samSobloSi, ise Camodis?!



ტელეარხები და მოქალაქეებს მოუწოდებენ თავისუფლების მოედანზე მოვიდნენ და თავიანთი მოქალაქეობრივი ვალი მოიხადონ.

სარკოზის, რომლის რეიტინგი კატასტროფულად ეცემა მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების წინ და რომელსაც ფრანგების 72 პროცენტი უნდობლობას უცხადებს, თავისი გაჭირვება აქვს და ცდილობს, ფრანგებს დაანახოს, თუ როგორ პატივისცემით ეპყრობიან და როგორი პოპულარობით სარგებლობს იგი კავკასიის რესპუბლიკებში, კერძოდ კი საქართველოში.

7 ოქტომბერს, ალბათ, მართლაც იქნება დიდი ჟივილ-ხივილი და — სარკო-სარკოს! ყვირილი, ითქმება ისიც, რომ 2008 წლის აგვისტოში საქართველომ რუსეთი დაამარცხა, რაშიც „სარკომ“ განუზომელი წვლილი შეიტანა, იქნება დროშების ფრიალი და ტაშის გრიალი, იქნება პროვინციული ფარსი, მაგრამ განა ეს შეცვლის სინამდვილეს?

აი, ასეთი გარიგების ავტორს ვხვდებით ზარზეიმით ხუთშაბათს, თავისუფლების მოედანზე?

სარკოზი, პუტინის და მედვედევის დიდი მეგობარი, სარკოზი, რუსეთის ყველაზე ერთგული პარტნიორი, რომელმაც ფასდაუდებელი სამსახური გაუწია რუსეთს თავისი სამხედრო არსენალის კიდევ უფრო გასაძლიერებლად, საერთოდ, რა პირით ჩამოდის საქართველოში, რომ კიდევ ერთხელ შეგვაყაროს თვალებში ნაცარი და კიდევ ერთხელ დაგვცინოს.

ნიკოლა სარკოზი, როგორც ამბობენ, წარმოშობით ალჟირელი სომეხი სააკაშვილს შეუამხანაგდა და ახლა აქედან — თბილისიდან, ბაქოდან, ერევნიდან აპირებს ფრანგებისთვის თვალში ნაცრის შეყრას და მათი გულის მოგებას, მაგრამ, დარწმუნებული ვართ, არაფერი გამოვა აქიდან — ფრანგები ქართველები არ არიან, რომ ტყუილი და სიცრუე სიმართლედ მიიღონ.

**დავით ქავთარია**

# kacuri sevda, mogonebebSi ganfenil i, anu, `niWi, Zamiko, niWi~...

ბატონ ომარ მარგველაშვილს ბოლოს ქაშუეთის წინ გიზო ნიშნიანიძის დაკრძალვაზე შევხვდი. აბა, სად შევხვდებოდი? ლამის მთელი „ბებერი“ თბილისი ხომ იმ დღეს იქ იყო. ანუ ჩვენი მამების, უფროსი თაობის ის ნაწილი, რომელსაც საფუძვლიანი „პრეტენზია“ გააჩნია მამულიშვილობაზე, ქართველობაზე, ნაღდ ქალაქელობაზე. ბოლოს და ბოლოს „უბრალოდ“, კაცობაზე...

ბოლოს, მეთქი იმიტომ, რომ ქართულ ტრადიციულ სუფრებზე მანქანასთან „მოჩალიჩე“ დიდ ჭაბუას თუ ანანურში დათვის გალიაში, დათვთან ერთად მოქეიფე რეზო ამაშუკელს, გენიალურ რეზო ლაღიძეს თუ განუმეორებელ თამადა სიმონიკა სხირტლაძეს, ვასილ პავლოვიჩ მჟავანაძის მამულიშვილობას თუ ნინა ჟვანიას „ყარაჩოღელობას“, იოსებ სტალინის ქართულ ხასიათს თუ ვერმახტის გენერალ შალვა მაღლაკელიძეს. და ა.შ. სხვა მრავალი... ერთი სიტყვით ყველაფერ იმას, რაც მოგონებების ავტორს ან თავად უნახავს, ან უტყუარი ხალხისგან, მასზე უფროსებისგან ამბად გაუგონია.




არ შეიძლება ამ წიგნის წამკითხავი არ განგაცვიფროს ავტორის მართლაც ფენომენალურმა მეხსიერებამ. და ყველაზე მთავარი, ეს წიგნი შორსა დგას დღევანდელი იმ სამწუხარო რეალობიდან, რასაც ჰქვია — „ვისაც შეძლება აქვს და არ ეზარება, ყველა წიგნებს წერს და გამოსცემს“. ბატონი ომარის ნაშრომი მართლაც საინტერესოა და, რომ იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით იკითხება.

მანდატურთა მიერ ჩამშვებ-დამსმენთა კონვეიერად ქცეული) დაწყებული და თბილისის დედა (დღეს ნაცების მიერ იავარქმნილი) უნივერსტეტით დამთავრებული, პირველ რიგში ეროვნული, პატრიოტული თაობების აღზრდის სამჭედლო იყო. თაობების (მათ შორის ჩემი თაობისაც), რომელთა მხრებით (სისხლითაც) მოიპოვა საქართველომ დამოუკიდებლობა! — გაზზე, შუქზე და წყალზე (თანაც ნაცებისგან ათასგზის დამადლებულისგან განსხვავებით, პრაქტიკულად უფასოზე, ხომ ლაპარაკიც არ ღირს), უფასო სამედიცინო მომსახურებაზე, ანუ, ზოგადად სოციალურ სამართლიანობაზე, საუბარიც კი უხერხულია.

აქედან გამომდინარე, თხრობის კონტექსტში, არც მწარე ალიყურები ენანება დღევანდელ ძლიერთა ამა ქვეყნისათა მიმართ ბატონ ომარს — უფროსი თაობის „ჩარეცხვა“ იქნება ეს, ძეგლებთან ომი თუ აგვისტოს ომში „გამარჯვება“. რაც მის მოქალაქეობრივ, უშიშარ პოზიციაზეც მეტყველებს. რაც დამატებით ხიბლს სძენს მის მონათხრობს და გალასეული „დრო აღნიშნე“, თუნდაც მხოლოდ ამის გამო უსარგებლო, ყალბ ბიჟუტერიად აღარ მოსჩანს წიგნის ყდაზე.

ეეჰ, არ ვიცი, აქედან რა გამოვიდა, რეცენზია? არა, რადგანაც ჯერ არაფერი გამიკეთებია საიმისო, რომ საკუთარ თავს სხვისი რეცენზირების უფლება მივცე. მინდოდა, იმ სიბინძურისგან, რასაც ადრეც არაერთხელ შევხვედრივარ, ისევე როგორც უფროსი თაობის ბევრ სხვა წარმომადგენლებს, რომელთაც საკუთარ პროფესიებში წარმატებულებს, უმთავრეს წარმატებად ზემოთხსენებული „პრეტენზიის“ უფლება მიუჩნევიათ.

ტრადიციული სალამ-ქალამის შემდეგ ბატონმა ომარმა საკუთარი წიგნის გამოცემის შესახებ მამცნო — შენი აზრიც მაინტერესებს (მადლობის მეტი რა მეთქმის. დ.მ.) და ამ დღეებში გამოგიგზავნიო.

მართლაც, ამას წინათ რედაქციაში მომიტანეს მისი მოგონებების წიგნი, რომელიც გალაკტიონის სიტყვებით — „დრო, დრო აღნიშნე“... დაუსათაურებია. და სწორედ ამის გამოძახილია ჩემს მიერ ამ წერილში, „გალას“ კიდევ ერთი რეფრენის გახმიანება.

რაც შეეხება სევდას, ეს ის დიდი განცდა, გნებავთ, გრძნობაა, რომელიც მარტივად თუ ვიტყვით, ადამიანს გამოარჩევს ცხოველისგან. უფრო „რთულად“ კი ეს არის ფიქრის, განსჯის, წარსულის ანალიზის შედეგი. ერთი სიტყვით, ქვეშეცნეულში ჩადებული წუთისოფლის ამაოების განცდის უნარი. რომლის გარეშე არ არსებობს არც აწმყო და მითუმეტეს მომავალი. ანუ სევდა ნიჭიერთა ხვედრია მხოლოდ...

ერთიც და მეორეც, ანუ ნიჭისგან შობილი სევდა კი ბატონი ომარის მოგონებათა პირველი ფურცლებიდანვე იგრძნობა — თხრობის ძალდაუტანებელი სტილი, სადა, ყოველგვარი ზედმეტი გადაპრანჭულობის გარეშე ლექსიკა და რაც უმთავრესია საინტერესო ამბების სამყარო. ვის აღარ შეხვდებით ომარ მარგველაშვილის მიერ შექმნილ გალერეაში, სარეცხ

ეს წიგნი პირადად მე იმის გაპროტესტებადაც აღვიქვი, რასაც ზოგადად ჩვენი გაუსაძლისი ყოფა ჰქვია და კონკრეტულად, დღევანდელი ხელისუფლების მხრიდან, ჩვენი ისტორიის, წარსულის, განსაკუთრებით ე.წ. კომუნისტური ხანის განურჩეველი განქიქება ჰქვია. მართლაც უსინდისობაა თუ მეტი არა ყველაფრის „პადოშიზაცია“ ანუ, ასე ხელაღებით, განურჩეველი უარყოფა იმ ხალხისა, ვინც არსებული კომუნისტური მმართველობის პირობებში, როგორც შეეძლოთ ქართულ საქმეს აკეთებდნენ. განსაკუთრებით 50-იანების დასასრულიდან და 60-იანი წლების დასაწყისიდან, როდესაც მმართველობაში ე.წ. ომის „თაობა მოვიდა“. რომელსაც ომარ მარგველაშვილიც მიეკუთვნება.

ანუ, მაშინ, როდესაც ე.წ. ორთოდოქსი ბოლშევიკების ნასახიც აღარ იყო (ან თუ იყო, ისინი ამინდს ვეღარ ქმნიდნენ) საქართველოში. და აბა, მაშინ კეთდებოდა თუ კეთდებოდა ქართული საქმე — თბილისის მეტროპოლიტენი იქნება ეს, სპორტის სასახლე თუ, ვ.ი. ლენინის სახელობის, მაგრამ მაინც ეროვნული სტადიონი და რაც მთავარია, განათლების სისტემა, რომელიც საშუალო სკოლებიდან (დღეს ქართული პოლიტიკა ჰქვია დამესვენა (თუმცა მგონი ბოლომდე ვერ შევძელი, რაც ჩები ბრალი კი არა, ქვეყნის უბედურება მგონია) და ჩემთვის არცთუ შორებელ ადამიანს უბრალოდ, მოვფერებოდი, მადლობა მეთქვა იმ სიამოვნებისთვის, რაც მისი წიგნის კითხვისგან მივიღე.

უდავოდ წარმატებული წიგნის შექმნის თავი და თავი მიზეზი კი ის მგონია, რომ ომარ მარგველაშვილი, მიუხედავად იმისა, რომ უმაღლეს თანამდებობებზე აქვს ნამსახურები, კარიერულ აღმასვლას არ გაუამპარტავნებია, ბუნებით მაინც იმ „ომის თაობის“ უბრალო თბილისელ ბიჭად დარჩა, რითაც იწყებს საკუთარ მოგონებებს.

დიდთან დიდი და პატარასთან პატარა, დიდი საძმაკაცო ამქრის ღირსეული წევრი, სამაგალითო მეუღლე, მამა და ბაბუა, ნამდვილი ქართული, ტრადიციული ოჯახის თავკაცი, ნაღდი ქალაქელი, როგორც იტყვიან, ცხოვრებამ, „ქიციც რომ ასწავლა და ქიცმაცურიც“. ამიტომაც იგრძნობა მის სტრიქონებში იმ თაობის თბილისის ქუჩაბანდების განუმეორებელი სურნელი და მისგან მოგვრილი სევდა...

**დათო მხეიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# `kupa l nii dan~ `l aguna ve r emde~

**მკითხველმა ვლადიმერ გოიაშვილის უაღრესად საინტერესო წიგნი მიიღო — „კუპალნიიდან ლაგუნა ვერემდე“.**

**წიგნში, რომელიც არმაზ სანებლიძეს „ჩაუწერია“, საინტერესოდაა მოთხრობილი როგორ შენდებოდა „ლაგუნა ვერე“ ბატონი ვლადიმერ გოიაშვილის თაოსნობით და ხელმძღვანელობით.**

**გთავაზობთ**
**გენო კალანდიას**
**წერილს წიგნიდან**



## „ზღვის ლურჯი ნაჭერი“

თუ შეიძლება ასე ითქვას, სოხუმში მე საკუთარი ზღვა მქონდა. დილის შვიდის ნახევარზე უკვე წყალში ვიყავი. იმ ადგილს, იმ ბეტონის ჯებირს, სადაც ტანსაცმელს ვალაგებდი, არავინ ეკარებოდა. თუმცა ისედაც თავისუფალი იყო, განსაკუთრებით — ზამთარში. ადგილობრივებს მაინცდამაინც არ უყვარდათ ზღვა. ზაფხულის ცხელი დღეები ისე გავიდოდა, ერთხელაც არ გაწვებოდნენ მის ლაჟვარდისფერ მკლავებზე.

ჩემთვის ყველა დღე ზღვით იწყებოდა. თუ წვიმა ან თოვლი მოდიოდა, ზღვა ნატვრისთვალივით იყო, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეგონა. ომის დროს, როცა ქალაქში ჭურვები ცვიოდა, მე ზღვაზე მივდიოდი. ქუჩაში ან ეზოში სიკვდილს წყალში სიკვდილი მერჩია.




აი, ასე შემაყვარა ზღვამ თავი. როცა სოხუმიდან წამოვედი, ჩემი წილი ზღვაც იქ დავტოვე, ჩემი სახლის გაგრძელებაზე. ძალიან გამიჭირდა, ღამ-ღამობით სულ ზღვა მესიზმრებოდა. რამდენიმე თვის შემდეგ ბათუმში რომ მოვხვდი, მანქანიდან გადმოსვლისთანავე პირზე ზღვის წყალი შევისხი, იქნებ იქიდან წამოსული ზღვის ცრემლებია-მეთქი.

ამგვარ სულიერ მარტვილობაში ვიყავი, როცა ჩემმა ერთმა ახლობელმა მირჩია: მიდი „ლაგუნა ვერეში“, იქ კარგი ხალხია და გულზე დარდი გადაგეყრებაო.

მეც ასე მოვიქეცი. ერთ მშვენიერ დღეს „ლაგუნა ვერეს“ შემოქმედს ბატონ ვლადიმერ გოიაშვილს მივადექი. ძველი ნაცნობივით შემხვდა, ბევრი ვინმე გავიხსენეთ, საერთო მეგობრებიც აღმოგვაჩნდა, გაიხსენა ქვემო ეშერის სპორტული ბაზა, არც აფხაზური ფაცხა დავიწყებია.

მოგონებებით გული რომ ვიჯერეთ, საქმეზე გადავედით. როგორც დევნილ კაცს, ძმობა და სამსახური შემომთავაზა. თანამშრომლებს დაუძახა, ჩემი თავი ჩააბარა, თან სურნელოვანი ყავითა და ვისკით გამიმასპინძლდა.

მას შემდეგ თხუთმეტი წელი გავიდა. „ლაგუნა ვერე“ ჩემთვის შვების კუნძულად, ოაზისად იქცა, ხოლო ამ ღვთიური ლაჟვარდის შემოქმედი ვლადიმერ გოიაშვილი — ძვირფას ძმად, მეგობრად და მამულიშვილად.

დიდი ომები გადაიხადა ვლადიმერ გოიაშვილმა ამ კუნძულისთვის, როგორც ჩანს, სიკეთეს უფრო მეტი მტერი ჰყავს ამ ქვეყნად, ვიდრე ბოროტებას. ვინ არ იქნია ხმალი ამ კუნძულის დასაპყრობად, რა ხვანჯებს არ მიმართეს ამ უბედურებმა, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ.

ვლადიმერ გოიაშვილი ძველი სპარტელივით მხოლოდ თავს იცავდა. ჩვენც იმ დანაღმულ ველზე ვიდექით. ირაკლი ბათიაშვილი და კახი კავსაძე, არმაზ სანებლიძე და გენო კალანდია, ოთარ მიმინოშვილი და ნოდარ კაკაბაძე, გივი გადელია და დიმა ჯაიანი, ნოდარ კურტანიძე და გურამ კალანდაძე, შალვა ჩხარტიშვილი და გია ნატრიაშვილი, ჰენრი კუპრაშვილი და მიხეილ მანწკავა.

ომგადახდილი კაცი ბრძანდებით, ბატონო ვლადიმერ, და, უპირველეს ყოვლისა, გამარჯვებულიც.

„ლაგუნა ვერე“ — მიწიერი კამარაა სპორტსმენთათვის.

„ლაგუნა ვერე“ — ზღვაა, ოკეანეა ახალი თაობებისთვის.

„ლაგუნა ვერე“— სოხუმში დატოვებული ზღვის ლურჯი ნაჭერია ჩემთვის და ჩემისთანებისთვის.

ღმერთმა სიკეთე და ჯანმრთელობა მოგცეს, ბატონო ვლადიმერ!

**გენო კალანდია**
**პოეტი**

# 6 წლის ლოთმა გოგონამ ექიმები საგონებელში ჩააგდო



ბრიტანეთის ერთ საავადმყოფოში სასწრაფოდ მოათავსეს 6 წლის პაციენტი, რომლის სისხლში ალკოჰოლის გადაჭარბებული დოზა აღმოჩნდა.

თავიდან ფიქრობდნენ, რომ ყველაფერი შემთხვევით მოხდა, მაგრამ მერე აღმოჩნდა, პატარამ არნახულად ბევრი ალკოჰოლი მიიღო. საქმეში მაშინვე ჩაერთო ადგილობრივი პოლიცია. საქმის დეტალებს არ ახმაურებენ, თუმცა ჯერ კიდევ იკვლევენ, რამ მიიყვანა მცირეწლოვანი ბავშვი აქამდე.

ისე, უნდა ითქვას, რომ ეს პაციენტი არ არის ერთადერთი და განსაკუთრებული. ბოლო წლების განმავლობაში ექიმების ხელში 2 ასეულმა პატარამ გაიარა, რომლებიც ალკოჰოლით იყვნენ მოწამლული. მათ შორის იყო 9 წლის ბიჭუნა ალკოჰოლიზმის კრიტიკულ სტადიაში. იგი სოციალურმა აგენტებმა შეამჩნიეს, თორემ ვერავინ ატყობდა სიმთვრალეს, რადგან ბავშვი ალკოჰოლის მიღების შემდეგ მომენტალურად იძინებდა.

# მეცნიერება ადამიანის აურის საიდუმლო ამოხსნეს

რატომ ვგრძნობთ თავს კარგად ერთ ადამიანთან და ცუდად სხვასთან? რატომ გვაქვს ხანდახან ისეთი შეგრძნება, რომ ესა თუ ის ადამიანი ძალას გვართმევს, ხოლო სხვა — გვმუხტავს ენერგიით? რატომ ხდებიან ადამიანები ალკოჰოლიკები და ნარკომანები? რატომ ვავადდებით?

პარაფსიქოლოგები დაწმუნებულნი არიან, რომ ჩვენი ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა, პირველ რიგში, ჩვენს აურაზე აისახება.

აურა არის ადამიანის ე.წ. სულიერი და ფიზიკური ჯავშანი და რამდენადაც უფრო ძლიერია ის, უფრო იშვიათად ავადდება ადამიანი ფიზიკურად და მით მეტად დაცულია მისი სულიერი სტაბილურობაც.

სხვა ადამიანების ნეგატიური ზემოქმედებისგან დასაცავად სპეციალური მეთოდები არსებობს. ყველას შეუძლია ამ მეთოდების გამოყენება, მაგრამ საქმე იმაშია, რომ უმეტესობა ამას ყურადღებას ნაკლებად აქცევს და ბიოენერგიის დეფიციტში მყოფი ორგანიზმი თავისთავად გადაქაჩავს ხოლმე საჭირო ენერგიას დაუცველი ენერგეტიკული ველებისგან.

რამდენიმე წლის წინ კეიპტაუნის უნივერსიტეტის მკვლევარებმა სენსაციური აღმოჩენა გააკეთეს — მათ გამოიკვლიეს, რა აკონტროლებს ჩვენს შეგრძნებებს.



„კირლიანის ეფექტის“ დახმარებით მიიღეს გამოსახულებები, რომლებიც გამოხატავდნენ ასტრალებსა და ადამიანურ აურას.

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ არსებობს ორი ტიპის ასტრალი: შავი და სუფთა. შავი ასტრალები შედარებით აქტიურები არიან და მეტად შეუძლიათ ადამიანზე ზემოქმედება. „სუფთა“ ეხმარება ადამიანს „შავი“ კი აგრესიის მატარებელია.

მეცნიერებმა ადამიანებს ტესტები ჩაუტარეს, რის შედეგადაც „კირლიანის“ ფოტოგრაფიულმა სურათებმა აჩვენა, როგორ ხდება ე.წ. „გადასახლების ეფექტი“ და როგორ გადაადგილდება „შავი“ ენერგია.

„შავი“ ენერგია აწუხებს და აავადებს ადამიანს, — აღნიშნავენ სპეციალისტები, ამიტომაც საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა ამ მავნე ზემოქმედებისგან. შესაძლოა, შავი ენერგიისგან დამუხტულ ადამიანს, მაგალითად, მუდმივი შიმშილის შეგრძნება ჰქონდეს, რაც ნერვული ატმოსფეროს არაჯანსაღ მდგომარეობაზე მიუთითებს.

სპეციალისტების მონათხრობს თუ გავითვალისწინებთ, უთანხმოება ურთიერთობებში სწორედაც რომ ბნელი ძალების ზემოქმედებით ხდება. ყოფილა შემთხვევა, როცა საბავშვო ბაღში ბავშვების ერთი ჯგუფი განსაკუთრებით ვერ იტანდა ერთმანეთს, იყო ჩხუბი და მუდმივად წიოკის ხმა ისმოდა. აღმოჩნდა, რომ ოთახში დიდი ხალიჩის ცენტრში, სადაც ბავშვები თამაშობდნენ, რომელიღაც „არსებას“ ჰქონდა ბუდე მოწყობილი. სწორედ ის მანიპულირებდა ბავშვების ფსიქიკაზე...

ლოთობა და ნარკომანია არა მხოლოდ სასიკვდილო ჩვევებია, არამედ ისინი აზიანებს ორგანიზმს და მის ასტრალურ სიცოცხლისუნარიანობას. ნარკომანებსა და ლოთებს დაკნინებული, შავი, მძიმე ენერგია აქვთ. პირველი რიგის დამხმარე საშუალება ასეთ შემთხვევაში ლოცვა და ეკლესიაში ხშირად სიარულია. მაგრამ ადამიანმა ეს თავისი კეთილი ნებით უნდა გააკეთოს, თორემ სხვა სახის ყველანაირი ზემოქმედება უშედეგოდ მთავრდება.

# დაიჭირეს მსოფლიოში ყველაზე გრძელი გველი

ბიოლოგების ჯგუფმა, რომლებიც გაიანას და სამხრეთ ამერიკის ტყეებში მოგზაურობდა გიგანტური ანაკონდა აღმოაჩინეს.



იგი 29 წლის ბიოლოგმა ნიალ მაკკანიმ შეამჩნია მდინარე რევას ნაპირთან გაიანაში. რეპტილია 6,5 მეტრია და 100 კგ-ს იწონის. „ვეცადე თავზე დავხტომოდი, რომ ჩემთვის არ ეკბინა, მაგრამ მან ეს მანამდე მოახერხა, ვიდრე მე რაიმეს მოვიმოქმედებდი. ეს იყო ნამდვილი ბრძოლა“, — ამბობს მაკკანი.

ასეთი ჯიშის ანაკონდები იშვიათად გვხვდება ბუნებაში და ყველაზე მძიმეწონიან გველებად ითვლებიან მსოფლიოში. ზრდასრული ანაკონდას სიგრძე 11 მეტრია და წონა 250 კგ-ს აღწევს. ისინი შემოერტყმებიან მსხვერპლს და გუდავენ მას. ანაკონდები ყველაზე ხშირად ნიანგებს, იაგუარებს და ადამიანებს ესხმიან თავს.

# მეცნიერებმა დაამტკიცეს სად იმყოფება ღმერთი



მისურის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა დაადგინეს ღმერთის ადგილსამყოფელი.

ადგილი, სადაც ღმერთი ცხოვრობს არის ადამიანის ტვინი. არა აქვს მნიშვნელობა რომელი რელიგიური აღმსარებლობის არის ესა თუ ის ადამიანი. ყველა მათგანის ფიზიოლოგიური მდგომარეობა ერთნაირია.

ამერიკელმა ნეიროფსიქოლოგებმა ადამიანის ტრანსცედენტალური მდგომარეობა შეისწავლეს.

სწორედ ეს ითვლება ღმერთთან ურთიერთობის საშუალებად. ლოცვის დროს ადამიანს ისეთი განწყობა ეუფლება, თითქოს ის არის ერთიანის და მთლიანის განუყოფელი ნაწილი. სწორედ ამ ერთიანობის პროცესში მოდის წინასწარმეტყველებები და ხდება სასწაულები.

როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, ამ მდგომარეობის მისაღწევად ერთადერთი საშუალება არსებობს, ეს არის ტვინის მარჯვენა ნახევარსფეროს აქტივობის შემცირება.

სწორედ ამ მეთოდს იყენებდნენ ცნობილი ადეპტები მსოფლიოს სხვადასხვა რელიგიასა და კულტურაში.

საინტერესოა, რომ რელიგიებს შორის განსხვავება ამ კუთხით მხოლოდ რიტუალებშია, რაც არის ტრანსში ყოფნის საშუალება ღვთაებრივ დიდებასთან მისაახლოებლად. ლოცვები, მედიტაცია, ფსიქოტროპული პრეპარატების მიღება, სპეციალური ცეკვები, ყველაფერი ერთისაკენ არის მიმართული.

ნეიროფსიქოლოგები იმასაც აღნიშნავენ, რომ ყველაზე იოლი გზა ღმერთთან კავშირისა არის ტვინის მარჯვენა ნახევარსფეროს მუდმივი ნახევრად უმოქმედობა, რაც შეიძლება ტრავმული ან თანდაყოლილი იყოს.

# მალაიზიაში აღმოაჩინეს ბაყაყი, რომელიც 7 წლის ბავშვის სიმაღლისაა



ორი კვირის წინ ეს ბაყაყი მალაიზიაში აღმოაჩინეს სრულიად შემთხვევით. იგი თურმე ორანგ ასლის ბოსტანში ბინადრობდა. ბაყაყი 20 კგ.ს იწონის, იმდენს, რამდენიც 7 წლის ბავშვი შეიძლება იყოს.

აღსანიშნავია, რომ მას შემდე, რაც გიგანტური ბაყაყი დაიჭირა გემრიელი კერძი მოამზადა და შეჭამა, ორანგ ასლი ავად გახდა და ლოგინიდან ვეღარ წამოდგა.

მოამზადა **ანა ვადაჭკორიამ**

# ასტროლოგიური პროგნოზი



**ვერძი** — კვირის დასაწყისში გექნებათ დატვირთული დღეები. კვირის მეორე ნახევარი განტვირთვისა და სიახლის მომტანია. ნუ დაკარგავთ იმედს, რადგან კვირის ბოლოს ფინანსურ პრობლემას გადაჭრით.



**კურო** — კვირის დასაწყისში ერიდეთ მგზავრობას. ოთხშაბათს გელით მსუბუქი დაბრკოლება, ნუ შეუშინდებით, მას ადვილად გადალახავთ. შაბათს მოერიდეთ ოჯახურ კონფლიქტს.



**ტყუპები** — სამშაბათი დაუთმეთ ბავშვებს; ოთხშაბათს და ხუთშაბათს არ გარისკოთ ფინანსური ოპერაციებისას. კვირა დღეს სასიამოვნო სიურპრიზი გელით.



**კირჩხიბი** — კვირის დასაწყისში გელით სასიამოვნო ნაცნობობა საპირისპირო სქესთან. შუა კვირაში ფინანსური პრობლემების გადაჭრა მოგიწევთ. შაბათს და კვირას მეტი ყურადღება დაუთმეთ ოჯახს.



**ლომი** — ეს კვირა საუკეთესოა თქვენთვის. მაქსიმალურად გამოიყენეთ იგი პირადი ცხოვრების მოსაწყობად. ნებისმიერი ფინარსური ოპერაცია წარმატებას მოგიტანთ.



**ქალწული** — ამ კვირას მოერიდეთ ფინანსური ოპერაციების განხორციელებას. ოთხშაბათს და ხუთშაბათს კარგია დასვენება ოჯახთან ერთად. შაბათს და კვირას გაფრთხილდით არ მოგატყუონ!



**სასწორი** — ამ კვირაში არავითარი სიურპრიზი არ გელით. ბეჯითი შრომა თქვენს საქმიანობას წინ წასწევს. ყურადღება გამოიჩინეთ ახლობლებისა და მეგობრების მიმართ.



**მორიელი** — იყავით დარწმუნებული თქვენს გადაწყვეტილებაში. ნუ დაკარგავთ შანსს, რომელსაც სამსახურში შემოგთავაზებენ. შაბათს ელოდეთ სასარგებლო შეხვედრას პირადი საქმის გაუმჯობესებისთვის.



**მშვილდოსანი** — კვირის დასაწყისში გელით სასიამოვნო საუბარი ახლობელთან. თქვენთვის საუკეთესო დღეები იქნება სამშაბათი და ოთხშაბათი; ეცადეთ შაბათ-კვირას მეტი დრო დაუთმოთ ოჯახს.



**თხის რქა** — კვირის პირველ ნახევარში ადვილი შესაძლებელია თქვენი ჯანმრთელობის ოდნავ გაუარესება. ნუ შეშინდებით, რადგან ოთხშაბათს და ხუთშაბათს გელით სიურპრიზი. კვირის ბოლოს სასიხარულო ცნობას გაიგებთ.



**მერწყული** — კვირის დასაწყისში თქვენი წარმატებების დღეებია; ნუ მოერიდებით ფახალი ოპერაციების დაწყებას. სასარგებლო იქნება, თუ მოუსმენთ უფროსებს.



**თევზები** — კვირის დასაწყისში ფინანსური პრობლემები გაგიჩნდებათ, მაგრამ შუა კვირაში მოახერხებთ მათ დაძლევას. კვირის ბოლოს მეტი დრო დაუთმეთ საკუთარ თავს.